ალეფბეი



3 2019

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
19003
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი | მაისი-ივნისი | №3 | 2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „კოლორ პრესში“.
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პროზა, პოეზია

გურამ ოდიშარია – შავი ზღვის ოკეანის რესპუბლიკა (რომანიდან „შენთანუშენოდ“) 3
ნატო ინგოროყვა – ლექსები 8
გურანდა ნიჟარაძე – გალაკტიონი (წიგნიდან „აუტ-საიდერის სოციალური ქსელი“) 16
სანდრო ბერიძე – ლექსები 25
მაია მახარაძე – გვიანი სინანული (დასასრული) 39
ბელა ჩეკურიშვილი – ლექსები 65
დალი თედორაძე – სიყვარულის ვარსკვლავი (ზღაპარი) 72
თამარ ჯაფარიძე – ლექსები 78
ციური მესხიშვილი – ლექსები 81

თარგმანი

მიხეილ ბულგაკოვი – ფსალმუნი (პიესა. თარგმნა გუნა სამნიძემ) 84

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თინა შიოშვილი, მაია ჯაფარიძე – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების
პატრიოტული ლირიკა 88

ლინგვისტიკა

მარინა ბერიძე – ხარაულას ლინგვისტური პორტრეტისათვის 101

პოლემიკა

ნიაზ ბოლქვაძე – პასუხი მიხეილ მახარაძის წერილზე „შენიშვნები“
ერთი ფილოსოფიური ნარკვევის თაობაზე 107
**შუშანა ფუტკარაძე, ჯემალ მიქელაძე, ალექსანდრე დიასამიძე,
ნუგზარ ჩხაიძე, დუგლას ზამთარაძე, ზაური აბაშიძე,
თამაზ დარჩიძე** – გამოხმაურება მიხეილ მახარაძის წერილზე „შენიშვნები
ერთი ფილოსოფიური ნარკვევის თაობაზე“ 113
მიხეილ მახარაძე – ჭეშმარიტებისთვის ჩვენებური არ არსებობს! 116



ᲒᲣᲠᲐᲛ
ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ

ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

(რომანიდან „შენთანუშენოდ“)

შუა ზაფხულის მშვიდი, წვიმიანი ამინდი იდგა, ისეთი, როგორიც მხოლოდ ბათუმში იცის ხოლმე, ზღვაც მშვიდად ღელავდა, თითქმის უხმოდ. თევზის პატარა რესტორნიდან, რომელსაც თევზის ბაზრისგან საერთო კედელი ყოფს, ჩემი ძველი მეგობრის, კლასიკური მუსიკისა და ოპერის გაერთიანებული ცენტრის დირექტორის, გიორგი მიქელაძის სახლში ავედით. ზღვის სანაპიროს, სადაც რესტორანი და თევზის ბაზარია, ქალაქელები „მელკიმორია“-ს ეძახიან. სამნი ვიყავით – გიორგი, სანიჩი და მე. ზომიერად შემთვრალები, მთელი დღის განმავლობაში ვხუმრობდით...

გიორგის დედა, მაღალი, ლამაზი ჩერქეზი ქალი, სიხარულით შემოგვეგებება.

გიორგის სახლის ფართო აივნიდან ღუზაჩაშვებული გემები და პორტი ჩანდა, კიდევ – თურქეთის მთებიც. დიდ მაგიდას შემოვუსხედით, გიორგიმ დოქით ღვინო, ლიმონათის ცივი, დაორთქლილი ბოთლები და ჭიქები გამოიტანა:

– სანამ ხაჭაპური კარგად დაიბრაწებოდეს, მოკლედ, დედაჩემს ხაჭაპურის გამოცხობის თავისი სტილი აქვს... თითო-თითო დავლიოთ და ვისაუბროთ, გავაგრძელოთ „მელკიმორია“-ში დაწყებული შავი ზღვის კონფერენცია, ანუ მიმოვიხილოთ, რა ხდება კავკასიაში და განვიხილოთ რეგიონის სამომავლო პერსპექტივები. ფაქტია, კავკასიელები ერთმანეთს დავერიეთ – ქართველები, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ეს მხოლოდ სამხრეთში, ჩრდილო კავკასიაში რა ხდება?.. მაგრამ ამაზე თავი რუსეთმა იტეხოს, მასთან ჩვენი პრეტენზიები გვაქვს... ამაზე მოგვიანებით, გასპადა!

გიორგიმ ირონიულად გაიცინა, თეთრი ღვინო ჩამოასხა, ზღვას გადახედა და თქვა:

– მშვიდობას გაუმარჯოს!..

ხმადაბლა წარმოთქვა, დალია და ხმამაღლა გააგრძელა:

– ან ჩვენ რა დღეში ვართ, შიგნით, ქვეყანაში? დამოუკიდებლობის პერიოდში სამი პრეზიდენტი გავაგდეთ ისე, რომ საპრეზიდენტო ვადა ბოლომდე არც ერთს არ მივაყვანინეთ... მეოთხე გავუშვით მშვიდად... მეხუთე?.. მეხუთესთან რა იქნება, არ ვიცი, არ ვიცი... ჯვარი სწერია... ჯვარი გვწერია. ერთმანეთთან ბრძოლაში მთელ ენერგიასა და დროს ვხარჯავთ, იმდენს, რომ, მოკლედ, ერთ ახალ, პატარა და კოხტა ქვეყანას ავაშენებდით... საფიქრალი ბლომად გვაქვს...

სანიჩი და მე მდუმარედ ვუკრავდით კვერს. ამასობაში აივანზე ყავის სურნელი დატრია-

ლდა, გიორგის დედამ კეთილ ღიმილს ყავა მოაყოლა.

– ჰოდა, – განაგრძო გიორგიმ, როცა ყავა მოსვა და ღვინის ჭიქები შეგვივსო, – ბოლო ოცი დღეა, სუფრებზე, ქეიფში, ჭირში, ლხინში სულ ამაზე ვფიქრობ, რა ვიღონოთ... და აი, რა მოვიფიქრე – უნდა შევქმნათ შავი ზღვის რესპუბლიკა! მხოლოდ ეს გვიშველის!

შემდეგ ღვინის ჭიქა მაღლა ასწია და ჭერს ახედა:

– ახალ იდეებს გაუმარჯოს, ახალ ხედვებს, ახალ ჰორიზონტებს!.. სასწრაფოდ უნდა დაიწეროს შავი ზღვის რესპუბლიკის კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის წერა უნდა დავიწყოთ ჩვენ სამმა, მერე კი სხვებს დავიხმარიებთ.

ჩვენც მხიარულად დავეთანხმეთ, ერთგულად.

– ახლა ახალი იდეები უნდა ჩამოვყაროთ, ვიტვინისშტურმოთ, ანუ, როგორც გვასწავლიან, ვიბრეინსტორმინგოთ!.. მხოლოდ ახალი ხედვები გადაგვიშლის ახალ ჰორიზონტებს, – მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, ჩაფიქრდა, მარცხენა ხელით ყავის ფინჯანი აიღო, მოსვა და განაგრძო, – შავი ზღვის რესპუბლიკის მოქალაქე გახდება ყოველი კავკასიელი, რომელსაც ჭირივით ეზარება ომი, უყვარს მეგობრები, მათთან შეხვედრა, კარგად იცის სუფრის წესები, კარგ სადღეგრძელოებს ამბობს... შემოქმედებითს... – გიორგი ჩაფიქრდა, – მეგობრებს შორის, მინიმუმ, ხუთი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ჰყავს, იცის კარგი ცურვა, ეს აუცილებელია... მეტი?.. ჯენეტლმენია და იცის, როგორ მოექცეს ქალს, ესეც აუცილებელია... მეტი?..

– სამი კავკასიური ენა მაინც უნდა იცოდეს, – დაეხმარა სავიჩი.

– სწორია, – ეს ფაქტორი კონფლიქტების მოწესრიგებაშიც დაგვეხმარება, – სახე გაებადრა გიორგის და გადმომხედა, აბა, შენ რას იტყვიო.

– გეთანხმებით, ჩემი მხრიდან, კიდევ რამდენიმე პუნქტს დავამატებდი, – ვთქვი მე, – სამუშაო გავხადოთ ყოველი მეორე დღე – ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი... შაბათ-კვირას ისედაც ვისვენებთ, ხომ? მე რასაც ვხედავ, მუშაობით თავს არავინ იკლავს, უპირველესად იმიტომ, რომ სამუშაო ადგილები არ არის, მაგრამ ეს სხვა კონფერენციის თემაა... ხალხი სოციალურ ქსელებშია ჩასახლებული, სხვა არაფერი აინტერესებს. კიდევ გასვენებებზე, დაბადების დღეებზე და ქორწილებში დადიან... მით უმეტეს, სამშაბათი და ხუთშაბათი ჩვენთან გასვენების დღეებია...

– კარგია, ძალიან მიმზიდველი იდეაა, სიახლეა, რეფორმაა, მადლობა... ოქმს ხვალ დავწერთ, ჯერ მდივანი არ გვყავს.

– მეტი დღესასწაულებია საჭირო, – თქვა სანიჩმა, – აბა, ნახეთ, 365 დღიდან წლის ბოლოსკენ კაცს მხოლოდ გამორჩეული დღეები ახსენდება და რამდენსაც ვკითხე, ასეთი დღეების რაოდენობა, სულ ხუთი, ან, დიდი-დიდი, შვიდი გაიხსენა, მეტი ვერა! დანარჩენი სულ მოსაწყენი და ნაცრისფერი დღეებია. ცოდვაა ადამიანი, კაცობრიობა, საერთოდ! წლის განმავლობაში მას დღესასწაულის 90 დღე მაინც უნდა ჰქონდეს. ახალი წლის აღნიშვნა პირველი დეკემბრიდან დავიწყოთ და ჩინური ახალი წლით დავამთავროთ!

– მომეწონა, კარგია! – წარმოთქვა გიორგიმ და არარსებული სახელმწიფოს მომავალი პრეზიდენტივით თავი ამაყად და ღირსეულად ასწია, შემდეგ შუბლი შეიჭმუხნა და სამზარეულოსკენ გაიხედა, – თუმცა ასეთ პირობებში მუშაობა ძალიან ძნელია, ხაჭაპურს გვიგვიანებენ, მაგრამ, მიუხედავად დაბრკოლებებისა, მოშურნეთა ჯიბრზე ჩვენ მაინც გავაგრძელებთ ცინცხალი იდეების ლოგიკურ ნიუანსირებას.

მართალია, მე და სანიჩმა კარგად ვერ გავიგეთ, რას ნიშნავდა „ლოგიკური ნიუანსირება“, მაგრამ ის კი კარგად ვიცოდით, რომ ყოველი ახალი იდეოლოგია ახალ ტერმინებს ამკვიდრებს.

– შავი ზღვის რესპუბლიკამ სრული ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს, – ვთქვი მე, – არა იარაღს!

ამ იდეის აფრთხიალება ტაშით აღვნიშნეთ.

– სამუშაო დღეებიც დასვენების დღეებივით სასიამოვნო უნდა გავხადოთ, – თქვა სანიჩმა,

ხალხმა უნდა იმუშაოს ისე, თითქოს ისვენებსო... ჩვენი შრომის დღეები სინამდვილეში იქნება შრომა-დასვენების დღეები, სხვა ქვეყნებში კი შრომის დღე მხოლოდ შრომის დღეა... პარლამენტი უნდა განლაგდეს დიდ ყავახანაში, ზღვის პირას, დეპუტატებს ქვიშაზე მოხარშული ყავაც უნდა ჰქონდეთ, როცა მოუნდებათ, და ასევე აუცილებლად ცივი ლუდიც, როცა მოუნდებათ, – სანიჩი ჩაფიქრდა და დაამატა, – დაბალგრადუსიანი... არა, არა, ზომიერგრადუსიანი... დაბალგრადუსიანი ლუდი პარლამენტში შემოქმედებით სიტუაციას ვერ შექმნის.

– რესპუბლიკას არ ექნება დედაქალაქი, – ვთქვი მე, – ეს გაუგებრობებს გამოიწვევს და სხვა ზღვისპირა ქალაქებს დააპირისპირებს. რესპუბლიკას ექნება ცენტრი, და ეს ცენტრი იქნება სრულიად შავი ზღვის სანაპირო.

– კარგია, – ტაში დაუკრა გიორგიმ, – თქვენ მაოცებთ, ეს რამოდენა პოტენცია გქონიათ! და რომანტიკა! რომანტიკის გარეშე დიდი საქმეები არ იქნება... მაგრამ მერე რომანტიკოსების მიერ მოპოვებული სიკეთეებით გარეწრებმა არ უნდა ისარგებლონ, როგორც ყოველთვის ხდება...

– ახლა არ გაუვათ! – ავენთე მე, – ძირს დამღუპველი კონფორმიზმი!

– ძირს! – გაიმეორა სანიჩმა, – ნებისმიერი მიმართულების მინისტრი შეიძლება გახდეს შავი ზღვის ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც გაიმარჯვებს საერთო-სახალხო კონკურსში. აქედანვე შემომაქვს წინადადება, რომ უნდა იყოს მინისტრების როტაცია, სამ თვეში ერთხელ უნდა იცვლებოდნენ და არ ეძლეოდეთ ხელფასი.

– პრეზიდენტებიც უნდა იცვლებოდნენ, ავირჩიოთ ერთდროულად რამდენიმე პრეზიდენტი, შევქმნათ პრეზიდენტთა საბჭო, რომელიც თვეში ერთხელ შეიკრიბება. ყოველ ახალ სხდომას ახალი პრეზიდენტი ჩაატარებს და მეორე სხდომამდე ის იქნება პრემიერ-პრეზიდენტი, ან პრიმა-პრეზიდენტი, როგორც გადავწყვეტთ, – ვთქვი მე, – ნუ, ტერმინებზე სამუშაოა...

ამასობაში გიორგის დედამ ახალგამომცხვარი აჭარული ხაჭაპურები ჩამოგვირიგა. გიორგიმ კვლავ შეგვივსო ჭიქები და შესვენება გამოაცხადა.

შესვენების შემდეგ გიორგიმ განაგრძო:

– შევეცადოთ, რესპუბლიკას საზღვრები ზუსტად არ დავუკონკრეტოთ, საზღვრები ნისლოვან-ბუნდოვანი უნდა ჰქონდეს, რათა რომელიმე მილიტარისტულ მეზობელს ჩვენი დაპყრობა არ მოუნდეს. ვიცი მათი ამბავი – სახელმწიფოები დაუძინებლად მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ რატომ მტრობენ, არც იციან იმ უბედურებმა, უბრალოდ, თავიანთ იდეოლოგიაში მტრისთვის ყოველთვის აქვთ ვაკანტური ადგილი.

შავი ზღვის რესპუბლიკის ტერიტორია განვსაზღვრეთ მთელი შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი სიგანის ზოლით და საწყის ეტაპზე მეტი საჭიროდ არ მივიჩნიეთ. გადავწყვიტეთ, რომ, როდესაც დრო დადგებოდა, შავი ზღვის მიმდებარე სახელმწიფოებისთვის დაგვევალებინა ახალი და მშვიდობიანი, ზეჰუმანური ქვეყნისთვის თავიანთი ტერიტორიებიდან სანაპიროს გაყოლებით სწორედ იმ სამი კილომეტრის სიგანის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

კიდევ ერთი ჭიქა ღვინო, ერთი ფინჯანი ყავა დავლიეთ და უკვე ერთმანეთს ლაპარაკს აღარ ვაცლიდით:

– ამიტომაც ფილიგრანული დიპლომატიით უნდა ვმართოთ რესპუბლიკა! პატარა ქვეყანას დიდი დიპლომატია სჭირდება!..

– მოვიწვიოთ საუკეთესო მეცნიერები, რომლებიც იმუშავებენ თემაზე „როგორ უნდა გამოვიყენოთ მუსიკალური შედევრების ჰარმონია ქვეყნის მართვის სრულყოფილების მისაღწევად“...

– რესპუბლიკას ეყოლება ათეულობით, ბოდიში, ასეულობით ორკესტრი, ანსამბლი, ბენდი, მუსიკალური ჯგუფი...

– და არც ერთი ჯარისკაცი!..

– რეპუბლიკას ეყოლება უამრავი ტურისტი, ზღვის სიყვარულით ჩამოსული დამსვენებლები...

– ტურისტები, დამსვენებლები შეავსებენ ბიუჯეტს...

– გავყიდით წყაროს წყლებს, გავყიდით ღვინოს... და ჩამოვიტოვებთ ევროპას...

– ارررررا, ძველი ლოზუნგები არ გვინდა...

– ბატონებო, მარიხუანის ლეგალიზებაზე რას იტყვით?..

– არავითარ შემთხვევაში, ჩემო ბატონო! არც იფიქროთ ამაზე! ხომ გახსოვთ, ამის გამო რა ამბები ატყდა?!.

– ჩვენ უნდა გვაღიაროს გაერომ...

– გვაღიარებენ... პატარა ქვეყნები უპირველესად... ბაზარი არ არი...

– პლაჟი უნდა გვქონდეს ორი, პირველი – იმ ქვეყნების მოქალაქეებისთვის, რომლებმაც გვაღიარეს, მეორე კი იმათთვის, რომელთა ქვეყნებმაც არ გვაღიარეს...

– კარგია! პირველ პლაჟზე უფასოდ დავარიგოთ ქვიშაზე მოდუღებული ყავა, ღვინო, ჭაჭის არყის შადრევანი დავდგათ, ვისკიც გავცეთ, ლუდიც... მეორეზე კი კეთილი ინებონ და ყოველივე ამაში ფული გადაიხადონ, მეორე პლაჟის დასუფთავებაც ფასიანი იქნება...

– კარგია... ეს იმიტომ, რომ მერე იმ მეორე პლაჟის კლიენტებმა, სახლში რომ დაბრუნდებიან, თავიანთი ქვეყნების ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადონ და ისინიც იძულებულები გახდებიან, გვაღიარონ...

– პარლამენტის სხდომები მოეწყობა ჩვენი სუფრის ლოგიკის მიხედვით. ამაში დიდი გამოცდილება გვაქვს და გამოვიყენოთ ეს, თორემ ისეთი ამბავია, ბატონებო, ხელში ოქრო გეჭიროს და წყალში აგდებდე...

– მართალია! ოპოზიციაც უნდა გვყავდეს, დემოკრატიას სჭირდება, უხდება კიდეც ოპოზიცია... დემოკრატია და ზღვა თითქმის სინონიმებია...

– და იქ, სადაც ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტის სხდომის დროს ერთ კათხა ლუდს დალევს, უმეტესობის წევრს, ანუ პოზიციონერს, უფლება უნდა ჰქონდეს ორი კათხის დალევს...

– არ ვარგა! თანასწორობა უნდა იყოს, ორივემ დალიოს ორ-ორი, თორემ ოპოზიციონერები გაბოროტდებიან. ლუდი არ უნდა დავაკლოთ, მოდუნებულ ოპოზიციონერს რა სჯობია... ან ადგებიან და გადმოვლენ პოზიციაში და ოპოზიცია არ გვეყოლება... ეს კი არ უნდა დავუშვათ...

– კათხებთანაც ფრთხილად! კერამიკისა და მინის მძიმე კათხები ავკრძალოთ, რა იცი, რთულ თემებზე კამათისას ერთმანეთს თავზე არ დააფშვნან... სპეციალური საპარლამენტო კათხები დავამზადოთ, პლასტმასის, მსუბუქი...

– ისე, შეიძლება, ბევრი არც დათანხმდეს ოპოზიციონერობაზე, პარლამენტში ხომ ჰარმონია გვჭირდება?.. მაგრამ დავავალოთ ოპოზიციონერობა, რა, არ დაუვალებიათ თუ?...

– გაეროს უშიშროების საბჭოს გულდაგულ შერჩეული დელეგაცია უნდა გავუგზავნოთ მოთხოვნით, რომ ხელი შეუწყონ ჩვენს განვითარებას...

– რომ არ დაგვეხმარონ?

– გამორიცხულია! მაშინ მათ ისეთ სუფრას გავუწყობთ... ისეთ კერძებს გავასინჯებთ... ანუ كااارგად გავაცნობთ ჩვენს კულინარიას და დავალევინებთ ჩვენს რჩეულ ღვინოებს, მივუჩენთ საუკეთესო თამადას, თამადების მსოფლიო ჩემპიონს და მერე აუცილებლად გვაღიარებენ, დაგვეხმარებიან... ბაზარი არ არი... გამბედაობა და საუკეთესო ღვინო ქვეყნებს იპყრობს!... კულინარიასთან ერთად...

– გარდა ამისა, რესპუბლიკა სხვა ქვეყნებსაც გამოუზრდის პრეზიდენტებს, ანუ ჩვენ ნელ-ნელა მსოფლიო ქვეყნების ქართველი პრეზიდენტების სელექციონერობას დავიწყებთ, მაგრად მივაწვებით ამ საქმეს. ხომ გვყავს ამის მაგალითი, სტალინი!.. არის ტრადიცია?.. არის!..

– ეს ისეთია, ოქრო გეჭიროს ხელში და წყალში აგდებდე... აი, ამას წინათ თუნდაც, კინაღამ უკრაინის პრეზიდენტად გაიჩითა ერთ-ერთი...

– მაგარი იდეაა! ყველა ქვეყნის პრეზიდენტი ქართველი რომ იქნება, მსოფლიოში არ იქნება ომი! მოდი, კიდევ ერთი დავლიოთ, განსხვავებული სასმისით!..

დავლიეთ განსხვავებული, სუპის თეფშით დავლიეთ.

– მსოფლიოში არ იქნებ ომი და ამით გაკეთდება მეგაეკონომია! ენერგორესურსები არ დაიხარჯება სამხედრო წვრთნებზე და ომებზე, არ დაიხარჯება ფული ასიათასობით სამხედრო თვიმფრინავისა და ტანკის გასაკეთებლად. ეკონომიურად ნიუანსირებული ბიუჯეტით კი ავითვისებთ სხვა გალაქტიკებს და მათ დასახლებულ პლანეტებს, მერე იმათაც ვასწავლით, როგორ უნდა მოაწესრიგონ თავიანთი სახელმწიფოები და პლანეტები, შავი ზღვის რესპუბლიკის კონსტიტუციის ქსეროასლებს პირდაპირ ხელში გადავცემთ...

– დედამიწაზე არ იქნება სიძულვილისა და შიშის ეპიდემიები...

– ჰიმნი?..

– მოვიფიქრებთ... ზღვის ტალღების ხმას მივუახლოვებთ ჰიმნის მუსიკას.. რელაქსირებული ჰიმნი გვექნება...

– რელაქსირებული?.. გერბი?..

– მოვიფიქრებთ... გერბზე არ ვიცი როგორ, მაგრამ ჩვენს ზღვასა და მთასთან, ჩვენს მცენარეებსა და ცხოველებთან ერთად ჩვენი კულინარიაც და ღვინოც უნდა აისახოს... არავითარი ლომები და არწივები და ბეჰემოთები, არავითარი ზოოპარკი... ზაზა, ახლა შენ ჩამოასხი, დავლიოთ...

ჩამოვასხი. დავლიეთ.

– ხაჭაპური რო დავხატოთ გერბზე?..

– აჭარული?.. სეპარატიზმში არ ჩამოგვართვან, ხო იცი, თბილისის ამბავი...

– მაშინ დავხატოთ აჭარულიც, მეგრულიც, იმერულიც, თიანურიც, კახურიც...

– ხაჭაპურის დიდი თანავარსკვლავედი?.. ჰმ!.. თან ხაჭაპური ყველგან უყვართ, აი, აზერბაიჯანშიც, სომხეთშიც, ჩრდილო კავკასიაშიც... ყველა გიჟდება ხაჭაპურზე, კავკასიის გამაერთიანებელია! მაგარია ხაჭაპური! ხაჭაპური – კონფლიქტოლოგი! თან როგორ ჟღერს? ხა-ჭა-პუ-რი... სამიტინგო ჟღერადობაც აქვს! აუცილებლად გამოვსახოთ გერბზე, აუცილებლად...

– სანიჩ, აბა, ახლა შენ ჩამოასხი...

– ოღონდ განსხვავებული... ფიალები მაიტა... არ გვაქვს?.. აბა, რა გვაქვს?.. აგერ, კუთხეში, მაწვნის ნახევარლიტრიან ქილებს ვხედავ... მაიტა... აბა, ჩამაასხი, სანიჩ... მაშ ასე, ჩვენი დღევანდელი დღის იდეების პრაქტიკული განხორციელებისა დავლიოთ... წამოვუდგეთ მის უდიდებულესობა შავი ზღვის რესპუბლიკას!..

– შავ ზღვას შავი ზღვის ოკეანე უნდა შევარქვათ!.. უფრო გლობალური და შთამბეჭდავი იქნება... პარლამენტის პირველივე სხდომაზე გადავწყვიტოთ ეს საქმე!..

– მომწონს, მაგარია! შენც მოგწონს?!.

– რას ქვია, არ მომწონს!..

– მაშ ასე, შავი ზღვის ოკეანეს გაუმარ-ჯოს!.. ჯოს!.. ჯოს!.. ჯოს!..

ცრიდა, ღამდებოდა, თუმცა აივნიდან ჯერ კიდევ ჩანდა, როგორ ლაპლაპებდა შავი ზღვის ოკეანე, რომელიც სანამ მიქელაძეებთან ამოვიდოდით, ერთი ჩვეულებრივი ზღვა იყო...

და ჩვენ, სამნი, ღვინით სავსე მაწვნის ქილებით ხელში ვიდექით, შავი ზღვის ოკეანის რესპუბლიკის შექმნისა და შავი ზღვის ოკეანის საგალაქტიკათაშორისო დემოკრატიის იდეების მამები, და თან ოდნავ ვირწეოდით, ოღონდ ღირსეულად და ამაყად, როგორც მეფურად მოდრეიფე საოკეანო ლაინერები შუა ზღვაში.

ნატო ინგოროყვა

სამშობლო და სხვა

ასე იყო.

მოვიდა მამაჩემი და მითხრა:
– ნუ ელი, რომ სამშობლო შეგიყვარებს.

მოვიდა და მითხრა:
– ნუ აედევნები თვითმფრინავებს,
რომლებზეც ყველა ბილეთი გაყიდულია.

მითხრა:
– თვითმფრინავი, რომლის მგზავრიც ხარ,
უშენოდ არ აფრინდება.

რადგან

ყოველ საღამოს
მიდის მასთან სტუმრად ღმერთი და
ხმამაღლა უკითხავს ჩემს ლექსებს.

თევზების არჩივი

ბებიაჩემი
არ ჭამდა თევზს,
რადგან ეგონა –
ბაბუა, რომელიც სიკვდილს და

მდინარე ოდერის დინებას დანებდა –
თევზების ვახშამი გახდა.

მას,
აღარ ჩაუცვამს შუმი აბრეშუმი –
რადგან მზითვად მოყოლილი საკაბეები
პურზე გადაცვალა
ობოლი შვილიშვილების დასაპურებლად.

მე,
მემკვიდრეობით მიღებული შიშების გამო,
მხოლოდ სიზმარში ვისმენ ძვირფასი კაბების შრიალს

და ცხადში,

მაგიდასთან, რომელსაც
დგომისა და ლოდინისაგან ფეხები დაუწვრილდა,
ფრთხილად შევექცევი თევზს,
რომ შემთხვევით ფხამ ყელი არ გამიკაწროს.

სირცხვილი. გამხელა.

სიკვდილი ნამყოფია ჩემს სახლში
თვალებში შემოუხედავს,
სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში
კიდურებმომძვრალ სათამაშოს ჩავხედავდი.

ამდევნებია გზაშიც.

ნაბიჯს აუჩქარებ და
სახლში რომ დაიგულებ თავს,
თვალს არიდებ ფეხსაცმელებს,
რომლებმაც იციან შენი გულისცემის საიდუმლო
და არ გაგცემენ.

დაუფრთხია ძილიც.

მაგრამ ასეთ დროს
მოდის ჩემთან ბებია,
რომელიც, აქ ასზე მეტი წლისა,
იქ შესაძლოა ბავშვი იყოს.

მოდის და შეშინებულისას შემილოცავს.
მის საფლავზე კი ჭკნება
მარად მოყვავილე ხელოვნური ყვავილები,
დიდი ხნის წინათ რომ დავუტოვე
და პირი დავიბანე სირცხვილთან.

ოხრა

ქალაქი

ლიმონისფერი და პურისფერი სახლებით,
პოეზიისთვის უხერხული სიტყვებით რომ მოვიხსენიო –
თვითმყოფადი და თვითნაბადი,

არა – თვითნება.

და ოთხას სამოცდასამი საფეხური გუმბათამდე.

მე ვნახე იგი გაზაფხულზე,
ვიდექი თავდაჯერებული სანთელივით,
ვიდრე მხურვალება არ მოერევა
და შევძახე ფერდაკარგულმა:

ფილიპო,

უცბად ფეხი რომ დაგცდენოდა,
წონასწორობა რომ დაგეკარგა...

ღაწვზე ღიმილმა გადაურბინა –

დაცემამდე ანგელოზები
მომახატავდნენ ფრთებს.

სადგურებს შორის

არის ამბავი,
რომელიც დიდი ხანია თან დაგაქვს.
გრძნობ, სულ მცირე რამ სჭირდება,
რომ დაიწეროს.

არის მოგონება,
რომელიც უკვე აღარაფერს უშლის ხელს,
რომ სხვებსაც მოუყვე.

არის ადამიანი,
რომელმაც შენი გაცინება შეძლო,
ფიქრში შემოგეხიდა და არ გინდა სხვებს გააცნო.

არის მარად გამოსაყენებელი წინადადებები
რომლებსაც მაშინ ვამბობთ,
როცა გულგრილობას ვმალავთ.

არის ცხოვრება,
სიცოცხლის შემდეგ რომ გეფიქრება –

რას დაიმახსოვრებენ შენგან,
როგორ გაგიხსენებენ,
როცა ოჯახიც დაადასტურებს, რომ ცნობა
შენი გარდაცვალების შესახებ – ნამდვილია.

რუკა. საათები.

ეს ლექსი,
უფრო მკვეთრი კონტურებით
შემოსაზღვრულ ამბავზე უნდა დამეწერა –
თუნდაც – სამშობლოზე.

ეს ლექსი,
თავდაყირა ამბავზე უნდა დამეწერა.
როცა პირველად აღმოვაჩინე,
რომ სიტყვები წაღმა-უკუღმა
ერთნაირად იკითხება.

ეს ლექსი,
ფეხის წამოკვრაზე უნდა დამეწერა,
შეცდომების მელოდიით და რიტმით.
დაემსგავსებოდა გადახაზულ სიტყვას,
გადაგდებულ ფაილს,
დაჭმუჭნულ ფურცელს

მაგრამ

სიფხიზლე ძილში გავცვალე,
მხოლოდ საათის ხმა მახსოვს,
რომელიც არ დაიღალა წრეზე სიარულით.

სარეცხის და ბედისწერის

ჩემს ქალაქში სარეცხს
დღესაც თოკებზე ფენენ და
ქალაქის ბინადრებს
გვაქვს დღეები და ამინდები,
როცა სახლის კარს
ნებით ვაღებთ და გამოგვაქვს კაბები და პერანგები,
რომ მზემ თავისი წილი ამბავი ამოაშროს,
ზოგიც – გაახუნოს.
ჩემს ქალაქში
არის უიღბლო ამინდებიც სარეცხისათვის,
როცა უცაბედი ქარი
ტანსაცმლის სახელოებს ამოავსებს,
ჯერ ერთ სამაგრს გამოაცლის, მერე – მეორეს
და სხვის ეზოში გადააფენს.
ჩემი ქალაქის ბინადრებს
გვაქვს სარეცხიც,
რომელსაც არასდროს გამოვფენთ გარეთ
თუ შემთხვევით
ქარიან ამინდში ღიად დარჩენილი ფანჯრიდან
მუცელგამობერილმა ფარდამ
არ გამოიტანა ამბავი და
არ გაგვცა.

სიმღერის და მეხსიერების

რაც არ მახსოვს –
მარტივია წარმოსახვისთვის.
იტირებდა დედაჩემი.
ძნელია მშობიარობის ტკივილის მოთმენა,
თუმცა მაინც იმღერებდა იავნანას.

9 აპრილი, 1965 წელი,

რაც მახსოვს –
ვლოცულობდით და გვჯეროდა,
აგვჩეხეს და გვტკიოდა.
მაინც ვმღეროდით:
„ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ“.
9 აპრილი,1989 წელი

რაც მახსენდება –
გამოვაცხადეთ, რომ თავად გვინდა
გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი და მომავალი.
ვიმღერეთ და მოვნიშნეთ
კიდევ ერთი უქმე კალენდარზე.
9 აპრილი, 1991 წელი

რასაც ვიმახსოვრებ –
ჩვენ ისევ ვმღერით
ჩრდილოელის გავლებულ მავთულხლართთან
და სიმღერით ვეძებთ საყვარლის საფლავს.
9 აპრილი, 2018 წელი

ომის საუზმე

მე ვნახე კაცი,
რომელმაც ნახა ომი.

ნახა და თქვა:

სიკვდილს გამოვასწარი და
ოჯახი შევატოვე.

ისინი საუზმობდნენ.

საუზმობდნენ და
დღის საქმეს ინაწილებდნენ.

სწორედ ამ დროს
ჩამოინგრა ცა,
ჩაიტანა სახლი და
ჭურვმა მწირი საუზმე
მათი სისხლით და ხორცით გაამდიდრა.

დავრჩი პირგამშრალი.

სიტყვები, რომლებსაც ვამბობ –
მე არ ვარ.
სიტყვები გაოცებული მისმენენ.

ნუ მოხვალ ჩემთან,
ნუ მკითხავ მათზე,
არ მინდა იცოდე –
როგორ გადავყლაპე
და მოვინელე.
არ მინდა იცოდე,
მიწა რომ ვკორტნე,
დავმარხე და
მარტოობას დავტირი.

ნუ შემახსენებ! –

თქვა ყველაზე გრძელი,
თითქმის უსასრულო წინადადება –

სიჩუმე.

სიფხიზლისა და ძილის

ერთი პირი წყალსაც დაეძინებაო,
ამბობდა ბებიაჩემი და მაძლევდა ნიშანს –
სიფხიზლისა და ძილისათვის.

მაძლევდა ნიშანს,

რომ
სირცხვილს არ გასდის ვადა
და დროდადრო თავს გვახსენებს,
როგორც დამალული შიში.

რომ
შესაძლოა, ერთი ამბავი
მეორე ამბის საყრდენი იყოს,
დაიწყო მოყოლა და დაინახო,
როგორ ხდება შენი მოგონება სხვისი.

რომ
წარსული არსად მიდის,
ვერც უკან მოიტოვებ –
ეს ის დროა,
რომელიც თან დაგაქვს.

რომ
სხეული არასდროს ტყუის
და გამოცდილებაც მეხსიერებას ჰგავს –
სავსეა მოულოდნელობით.

რომ
სიჩუმესა და მარტოობაში
ყველაზე ხშირად ითქმება
რაღაც მნიშვნელოვანი.

ამიტომაც –

ხშირად ვმღერი გულში,

ხშირად ვეცეკვები საკუთარ თავს.

გურანდა ნიქარაძე

გალაკტიონი

(წიგნიდან „აუტ-საიდერის სოციალური ქსელი“)

მიშელ პეტრუჩიანი – კანტაბილე

ბურგუნდიამ თვალები ოდნავ გაახილა, ფანჯარაში სიბნელის მზვერავ ხუან-კარლოსს გახედა და ისევ ფიქრებში წავიდა. მიშელ პეტრუჩიანის „კანტაბილე“ – „სიკვდილის გზა არრა არის, ვარ-დისფერ გზის გარდა“. მართლაც, როცა სულის სიდიადე ფიზიკაზე მაღლა დგას. ცამეტი წლისას – პირველი კონცერტი, მამისა და ძმის ხელში ატატებული! სცენაზე გაყვანილი! როიალამდე მი-ყვანილი! მარცხენა ხელით ერთი რიტმის დაჭერის, მარჯვენათი კი აბსოლუტურად სხვა რიტმისა და აკორდების აღების უნიკუმი, მელოდიურობის, იმპროვიზაციის, რიტმის დაჭერის დიდოსტატი, ფრანგებისა და მთელი ქვეყნიერების ბუმბერაზი პიანისტი, ჯაზმენი... „რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე“. ემოციებს აყოლილი პაულ ვიტგენშტეინის მარცხენა ხელისთვის დაწერილ ბახი-ბრამსის „ჩაკონა“-ზე გადავიდა. თვალები გაახილა – ანრი-ტულუზ ლოტრეკი! გრაფი ალფო-ნსის ვაჟი, რომელმაც შვილის ტალანტი მხოლოდ სიკვდილის წინ აღიარა... გრაფი ალფონსი, რომ-ლის გვარიც არა მისმა კეთილშობილურმა წარმომავლობამ უკვდავყო, არამედ შვილმა, რომლისაც რცხვენოდა! ბეთჰოვენი... მისი მარტოსული დიდებული უსინათლო ლენი... ლენი ტრისტანო... მა-რტო ძილის გუნებაზე არ არის, ალე მაინც არ ბრძანდება, წავა და მანიას მიეხუტება. პლედმოხვეუ-ლმა, მძინარე „გრძელი“ ხელში ფრთხილად აიყვანა, კარი გამოიხურა. ცისფერთვალა „bright star“[1]-ს სძინავს. ჯეიმზის ოთახში, სკამზე ტანსაცმელი რაღაც საწყლად ელაგა, ხელის შევლება მოუნდა, ქართველური „სუპერმენიული“, ჰიპერ არანორმალური დედობრივი ინსტინქტის ბრალია, თავისი გენეტიკური დედა-კაცობის მოხდენის გამო საშკოს ბოლო მოუღო! ერთი წინდა ჭაღზე ეკონწია-ლება, მეორე უგზო-უკვლოდ დაკარგულია სამუდამოდ! ვაჟბატონი თავის ერთ ოთახში საკუთარ ტრუსებსაც ვერ აგნებს! – წაიკისკისა. – დაფიცებული აქვს, მანდილოსნად ვერა (ჰაეროვანი ხატ-კეთილობით მოხდენილი ვერაა, კოპწიობის მაგიერ სპორტულ-გაპრანჭულ-მოჩაჩულია, ფეხაკრე-ფითაც ვერ დაიარება), ქალ-ბატონად დარჩება, თვალების ყლიპვა და ბრიალი კარგად გამოსდის. საშკოს მოსაცოდავებული თვალები წარმოუდგა, ყოველ შემთხევაში, შეეცდება... კართან შეჩერდა, ვარსკვლავების თრთოლვით მოოჭვილ ცას გასჩურჩულა: – „რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე?!“... კარი შეაღო და შუილ-შტვენიანი ღამე მარტო დატოვა...

---

[1] (ინგ.) კაშკაშა ვარსკვლავი.

444

ოთახში შემოპარული გარიჟრაჟის სუსხისგან გააჟრჟოლა. ხმამაღალი A-e-e მთქნარება-ზმორებით წინდა-ქუდი თავზე წამოიცვა, ყურსაცვამები „Dr. Dre“ გაიკეთა და დილის გამამხნევებელი კვლევა-სირბილისთვის მოემზადა. ტერასიან სახლს თვალიერებით ჩაურბინა. შესასვლელი ხის დეკორირებული, ჭრელი ვიტრაჟიანი კარის თავზე ნალი ემაგრა. გვერდით, ხეებს შორის გაბმული, ნაქსოვი ჰამაკი ნავივით ირწეოდა; მოშორებით აკვირტულ-აყვავილებული ხეების სიღრმიდან პატარა თეთრი თიხის სახლი ხან გამოიჭყიტებოდა, ხან ქრებოდა. შორიახლოს ხის გვირგვინიანი ჭა შენიშნა... ჭაში ჩაიხედა. თავისი მქრქალი სილუეტი და ალისფერგაკრული გამჭირვალე ფერმკთალი ცა მდუმარე სიცივეში კამ-კამ-კამ-კამებდა... მაღლობზე პატარა ხის ეკლესიასთან შეჩერდა. ეკლესიის შემოგარენში, მინდვრის ფერადი ყვავილებით მოფენილი, ჯვრებაღმართული ოთხი საფლავი შენიშნა...

...სირბილით მოთენთილი, ნამიან ყვავილებში გაიშხლართა. მაღლა, ჰაერში ფრინველები დაცურავდნენ... თავისი დროებითი „ნავსაყუდელის“ ხმას მოუსმინა... ხის წვეროები ირწეოდნენ... შრიალ-ზუზუნმა იმატა. ცამ ფერი გაიღო. თვალები დახუჭა. ატრიალებული თბილი ბალახის სუნი სახეზე დაეცვარა. თვალები მძიმედ შეახილა... გათენდა... „დამცავის წათითხვნა დაავიწყდა“, წამოხტა, „ჭორფლი ამოენთება.“ ...სახლისკენ სწრაფად მოკურცხლა...

&

აბაზანიდან ლასტების ჭყაპუნით, ბონოს იმპროვიზირებული მღერით, მკვეთრი მოძრაობით გამოსრიალდა. კარადა ხელის ტალღოვანი მოძრაობით გამოაღო. ბგერები საყლაპავში გაეჩხირა. სასწრაფოდ მაგიდისკენ ისკუპა; პასპორტი, ბარათები და სხვა ყველაფერი ადგილზეა. „არა! არ ეშლება, ზუტად ახსოვს, თავისი ხელით შეაწყო“. თაროს გახედა: წამლების ფირფიტებთან, საცოდავად მარტო „ანტიპერსპერანტი“ იდგა. ბრაზისგან თავის ქალა სიმივით დაეჭიმა – Fuck! Fuck! Fuck![1] უეცარი გრუხუნისგან – ჯ-ე-ი-მ-ს-ს! შემცბარი რეალობას დაბრუნებულმა, – What the[2]... ფანჯრიდან ფარდა გადაწია. საყვირმომარჯვებულმა ბურგუნდიამ ჯეიმზის დანახვისთანავე ხელი სიხარულით დააქნია, ისევ გუგუნი გაისმა: – გ-ა-მ-ა-რ-ჯ-ო-ბ-ა! How are you?![3] ბრაზმორეულმა ჯეიმზმა სიცილის იმიტაციით კბილები გამოაჩინა. ბურგუნდიამ, საჩვენებელი თითის იქეთ გაშვერით, ისევ დაიგუგუნა: – Breakfast time.[4]

87321

კოხტა, ქერა, ზურმუხტისფერთვალა, ფერმკრთალ მანიას კეთილზნეობა ზედ დასტყობოდა. მოხდენილ, ტილოს ყავისფერ სარაფანაზე, თეთრი ფითქინა წითელი ნაქარგებიანი წინსაფარი ბაბთით შეეკრა. სტუმარს ბრწყინვალე ინგლისურით წინ გაუძღვა, მოწიწებით ტახტზე დააბრძანა. ბრიტანული ეტიკეტის ნორმებით გათვალისწინებული, მზრუნველობითი გამოკითხვა მოუწყო. ჯეიმზი ნა-

[1] (ინგ.) ამის დედაც.
[2] (ინგ.) ეს კიდე რა ჯანდაბაა.
[3] (ინგ.) როგორ ხარ?
[4] (ინგ.) საუზმის დროა.

თელი, ფართო, ნაციონალური ჭრით ყვავილებმოხატული დეკორირებული ავეჯით, გარსმოვლილი დიდებული ბიბლიოთეკით, უკრაინული სულით სავსე გაწყობილი ოთახის სისადავით მოიხიბლა. ხანმოკლე მუსაიფის შემდეგ მანია, ბოდიშის მოხდით, საუზმის გასაწყობად გავიდა. ჯეიმზი „ბაზივით“ შეჩენილ ცდუნებას დანებდა და თვალის კუთხიდან ბურგუნდიას, რომელიც გრამოფონის გვერდით გულდასმით არჩევდა ფირფიტებს, მზერა შეაპარა. პროფილს, ლამაზ მხრებს ფანჯრიდან შემომავალი მზის სხივები უსხივოსნებდა. ფერადი ყვავილებით აჭრელებული, გულზე ოდნავ შეხსნილი მარგალიტის ღილებიანი, ჩითის კომბინიზონი, ყვითელი „ბალეტკები“ ეცვა. მძიმე ნაწნავის ბოლოები მოფუშვოდა. ყოველგვარი მაკიაჟების, პომადების, ბოტოქსების გარეშე, უბრალოდ ჩაცმული, კეთილშობილური გარეგნობით, ისეთი ლამაზი, ისეთი სხვანაირია... თვალები მაგნიტებივით ზედ ეწებებოდნენ. მოულოდნელად, უცბად, მკაცრად წარბაწეულმა ქალმა თვალი თვალში გაუყარა. ჯეიმზმა აღმავალი შეხურება იგრძნო. ისევ უცბად მოეშვა და ცელქი სიმკაცრით თავისკენ იხმო. ბურგუნდიას დაწესებული „საზღვრების“ გათვალისწინებით დისტანციურად დადაგა.

– ეს – ფირფიტას ნაზად შეეხო, გაუწოდა, – ალექსანდრეს ერთ-ერთი საამაყო ეგზემპლიარია, „Beatles and Frank Ifield on Stage“.

ჯეიმზმა თარიღს დახედა – ათას ცხრაას სამოცდაოთხი.

– მეტად სახალისო იცი რა არის? ამ გამოცემის სერიაში, კონვერტი გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ფირფიტა. ეგრეთ წოდებული, „Beatles’s Portrait“. ეს „ფინქ ფლოიდების“ „The Dark side of the Moo!“-ს ბუტლეგია. წაღმა-უკუღმა ფრთხილი ტრიალით მიაწოდა. ჯეიმზმა ინტერესით შეათვალიერა. – Wow! wow! wow! wow! – სხვადასხვა ტონალობით მიაყარა. ბურგუნდიამ გუგებგაფართოებულ ჯეიმზს მიმართა: – ყველას უყვარს ვარდისფერი, – გაიღიმა და განაგრძო – ადრე ერთადერთი, კონცერტების უნიკალური მასალების მატარებელი, მკაცრად გასაიდუმლოებულად გამოდიოდა. ახლა ინტერნეტი გვაქვს! მშვენიერი თითებით, პეპლის ფარფალივით ჰაეროვნად, მომდევნო კონვერტი გამოაცურა. ეს აცეტატია, ალუმინის და აცეტატის ლაქით დამტვერილი. ჯეიმზმა მარაოსავით გადაშლილი ფირფიტები შეათვალიერა: „ნირვანა“ „მაილს დევისი“ „მარია კალასი“ – შეხედე! რა გაჩვენო! თვალაღგზნებული, ბაგეგაპობილი ქალი ჯეიმზს ასცქეროდა. – წარმოგიდგენია, ამ კონვერტის გაფორმებაში ენდი უორჰოლი მონაწილეობდა! – თვალები გააბრწყინა, – ხელოვნების ნიმუშია! აი, ეს კი! – ამაყად, ნიშნისმოგებით წარმოთქვა, – განსაკუთრებული „პირველი პრესი“, „First press“! ჯეიმზმა ამორტყმულ ბეჭდურ ციფრებს თითი ისე გადაატარ-გადმოატარა, თითქოს ბრაილის შრიფტით[1] ფარული არსის ამოკითხვას შეეცადა. ბურგუნდიამ გრამოფონი მომართა, ბითლების „Please, please me“ ვინილის ხარისხის საშუალო ხმამ, ახლადდაყენებული ჩაის ტალღებად შემოსრიალებულმა არომატმა, უკრაინულ კოლორიტს ბრიტანული შტრიხი შეჰმატა. ჯეიმზს ფაქიზი ნაღველი მოაწვა, თავისდა გასაკვირად, ყოველი ნათქვამი უცნაური ბგერებით გამოთქმული ქართული ფრაზები გაიგო! არ არსებობს! რა შიში? ჯერ ტკივილი არ იყო? მძლავრად მოაწვა. საკუთარ აზრებზე განრისხებულმა, უცნაურად ამაძრწოლებელი ლტოლვა ჩააჩუმა და ინტერესით მომზირალ ბურგუნდიას უშუალოდ, ვითომც არაფერი, სხვათა შორის გაუღიმა.

90

ვაშლის ხის სურნელოვან ჩრდილში, მაგიდასთან უხმოდ სხედან. ბურგუნდია თურქულ ყავას განცხრომით სვამს და სიგარეტს ნაზად აბოლებს. სახეზე ჩამოშლილ თმას სიო ეთამაშება. უეცრად

[1] ბრაილის შრიფტი – წერტილოვანი შრიფტი უსინათლოთათვის.

წამომდგარმა მთასავით საშკომ ნათელი დაჩრდილა: – „ხელო“, ჯეიმზს მხარზე ხელი გაჰკრა, სკამი ბურგუნდიასთან მიახოხიალა, ზედ მძიმედ დაებერტყა, მხარზე თავი ჩამოსდო. გვერდზე გადმოსრიალებული ჩუბი სიომ ოდნავ აუფრიალა, ახალგამოღვიძებული, დასიებული ეჭვიანი თვალებით, ჯეიმზს შეხედა. ჯეიმზმა მარჯვენა ხელის თითები ტუჩებზე მიიჭირა და გამომცდელი მზერით უპასუხა. მანიამ ხილით სავსე ლანგარი მაგიდაზე დადო: – ჩემ შვილს, საშკოს, იცნობთ არა?

ჯეიმზმა მზის დასაჩრდილად ხელი შუბლზე აიფარა: – O, yeah! – მჟავედ, ცალყბად გაიღიმა. საშკომ ნიკაპი მანიასკენ გაიშვირა – Mother![1] – მერე ბურგუნდას ახედა – Mother too[2]. ცხვირი მხარზე გაუხახუნა და გულიანად გადაიხარხარა. წარბაწეული ჯეიმზი განმარტებისთვის მოემზადა. მაგრამ ძირს ერთ წერტილს მიჩერებული თავის თავში ღრმად წასული საშკო, როგორც ეტყობოდა, არაფრის ახსნას არ აპირებდა.

„თავად რამდენი წლისაა, ზუსტად დღემდე არ იცის... ბურგუნდია თავს დაახლოებით ხუთი წლის ასაკში, ჭრელი ნიაღვარივით დაატყდა. შუაზე გადაყოფილი თმა, ყურებთან ბლითებივით წითელი ზონრებით ჰქონდა შეკრული. თეთრი მაისური, წითელი დაზოლილი შორტები, გაჩხინკულ ფეხებზე ჩაჩაჩული გრძელი წინდები და სანდლები ეცვა. ხანმოკლე თვალიერების შემდეგ, საშკოსკენ თხასავით ისკუპა, სულისხუთვამდე ჩაჭიდებულმა ლოყაზე კოცნა დაატკინა, ტანსაცმელი სრული სერიოზულობით, მზრუნველად, საქმიანად ჩამოუფერთხა, ჯიუტი ხელი მძლავრად ჩასჭიდა და იქვე მდგარ „ფუნთუშა“, მტრულად განწყობილ ლუკასთან ქაჩვაჯიკავით მიაჩოჩა. ორივეს ხელები მოსჭიდა, წრე შეაკრევინა, საშკოს შუბლი შუბლზე ტკივილამდე მიაბჯინა, თვალებით გაამაგრა, მთელი სერიოზულობით, მაშინ საშკოსთვის გაუგებარ ენაზე უთხრა: „ნუ გეშინია, მე შენი დედიკო ვიქნები, ბავშვო!“ ახალგაცნობილებს ვანილის ორცხობილების სუნები სდიოდათ. შიმშილისგან ორივეს ჩაკბეჩა მოუნდა, განსაკუთრებით, იმ მსუქანა ლუკასი. გაშეშებულ ცხვირ-პირზე ღიმილმა გადაურბინა. პირველი თამაშიც ახსოვს: „ანათითი, ბანათითი, რომელია შუანათითი?! ისიც, „შავი ხელი“, რომელიც კედელზე დაცოცავდა, ვინიცობაა, ბურგუნდიას თუ არ დაუჯერებდა, მოქაჩავდა ან კიდევ უარესი, – მოიპარავდა! და ისიც, სამ კოლგოტს თავზე რომ ჩამოიფხატავდა, გრძელ ნაწნავებს დაიწნავდა და ქართული სიარული – ნარნარით მოხდენილს, როგორი ლამაზი ეგონა თავი!“ ჩაფიქრებულმა, ბურგუნდიას საბოლოოდ მოფუშულ თმაში სახე ჩარგო, ცხვირში ღიტინისგან თავი სასწრაფოდ, სიცილით – ფცხეეე! – წამოყო.

ჯეიმზს ამ გულისამაჩუყებელი სინაზეებისგან მთელი თავისი ჩაჩუმებები უმართავ-უსაქციელო ბრაზით ვულკანის ადუღებული ლავასავით ამოეფრქვა. მანიასკენ ცივი, მკაცრი გამომეტყველებით გაიხედა: – ე, ე, ე, ე – სათქმელად მოემზადა, ამოისუნთქა, – „აჯობებს, პოლიციის განყოფილება თავისით მოძებნოს და მასპინძელი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენოს“. – გადაიფიქრა, კრატერი დაცხრა.

– დიახ, მე თქვენ გისმენთ! – მანიამ ინტერესით იკითხა.

– არა, არაფერია?! – საჩვენებელი თითით ცხვირი მოიფხანა.

– ჯეიმზ! გეთაყვა! – მანიამ შემპარავად, ამბის დასატყუებლად დამტკბარი სახით შეხედა.

– არა, ისეთი არაფერია.

ბურგუნდიამ მეორე ღერს გადაუკიდა, საუბარში ჩაერთო: – Hollywood Magazine[3] – სპეციალურად გაწელილად, გარკვევით გამოთქვა და ქართულად დააყოლა – სავით გიპრიალებთ სახე! გუ-

[1] (ინგ.) დედა.
[2] (ინგ.) აგრეთვე დედა.
[3] (ინგ.) ჟურნალი „ჰოლივუდი“.

ლუბრყვილოდ, ნაზად გაიღიმა. ჯეიმზს თემის შეცვლა გაუხარდა, – O! My interview[1]... მანიამ, რომელმაც შინაგანი ალღოთი იგრძნო, რომ რაღაც რიგზე ვერ არის, საუბარი გააწყვეტინა.

– ჯეიმზ, ნუ გერიდებათ! – თავაზიანი დაჟინებით ჩააცივდა. ბურგუნდიამ სიგარეტის ბოლის რგოლები ჰაერში ვირტუოზულად გაუშვა, მიამიტი თვალების ფაფხუნით საშკოს სასხვათაშორისოდ ჩაულაპარაკა: – დაიფიცე, რომ არ გაგეცინება... საშკომ თავი არადამაჯერებლად გააქნია.

– დაიფიცე-მეთქი!..

– უჰუ!

ყურთან გასჩურჩულა: – დაგვერხა! საშკომ მოძალებულ ხა!ხა!ხა!-ს ცივი ფრეშლიმონათი მძიმე ყლუპებად მიაყოლა. მოსვენებადაკარგულმა მანიამ ჯეიმზს მხარზე ხელი ფაქიზად შეახო, ხვეწნით გაღიმებულმა შეხედა, რითაც მიანიშნა, რომ არ შეეშვებოდა.

– ა, ა, ა, – თითებით ყურის ბიბილო მოისინჯა, ჩაახველა – გამ... გამქურდეს. მოსაუბრეს თვალები აარიდა. განაგონისგან გაოგნებულ მანიას ნათქვამის გასააზრებლად დრო დასჭირდა. თავი ხელში აიყვანა, ჯეიმზისკენ ელეგანტურად გადაიხარა: – რა ბრძანეთ?

– ე, ე, ე... – კეფაზე თმა გაისწორა. საშკომ ხუთვადაწყებულ ბურგუნდიას მაგიდის ქვეშ ფეხი წაჰკრა. ბურგუნდიამ მანიას განრისხებული, მძვინვარე სახის დანახვაზე, რომელიც თავისი „მის მარპლივით“ განუმეორებელი დეტექტიური დედუქციით სადაცაა დამნაშავეებს ამხელს, მდგომარეობის განსამუხტად საშკოს გარუჯულ მხარზე ხელი სტკლიცა. საშკომ უკმაყოფილოდ გაიძახა: – Відчепис![2] ტყლაშუნზე შემცბარმა ჯეიმზმა მანიას ჰკითხა: – რატომ ცემს? ახალი ამბებით გულმოსულმა მანიამ მომხდარს მნიშვნელობა არ მიანიჭა და წაიბუტბუტა: – ااا, ესენი? არა, არ ცემს, ეფერება. ჯეიმზის აღშფოთებულ – „ეს სად მოვხდი? რა მინდოდა წვენებში?“ – გამომეტყველებაზე ბურგუნდიას ფლობის ბოლო წვეთი ამოეწურა. წამომდგარმა, ჭიქებს ხელი მოჰკიდა. გამართული, აუჩქარებელი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა: „ღრმად ისუნთქე. არ გაბედო! აუჩქარებლად! საშკოს არ შეხედო! ღმერთო, გევედრები, აკანკალებული ხელებიდან ჭიქები არ გამცვივდეს!“

57

აბაზანაში ზურგით კარსმიყრდნობილ ბურგუნდიას, ვითომ „მორზეს“ კოდირებული ტაქტით, ჩუმი კაკუნი მოესმა: – Це я![3] საშკო შემოვარდა, ბურგუნდიამ პირზე მაგრად მიჭერილი თითები წამოწია – ფხუკ! საშკოს მხრები აუცახცახდა. ჩურჩულ-კისკის-ხითხითი წასკდათ: – დედა! – ბურგუნდიამ ძვლივს წაიკვნესა. ისევ ერთმანეთს შეასკდნენ. საშკომ ონკანიდად მჩქეფარე წყლის ცივ ნაკადს სახე, დაბჩენილი პირი შეუშვირა: – მანია მოგვკვლავს!

– ალეს სანადირო თოფით!

საშკომ დასამშვიდებლად სახეზე წყალი აპკურა.

– უუუ! ჭორფლი დაინახეეე! ღმერთო შეგვარგეეე! ცნობილი მსახიობი, მისტერ „თავმომწონე, ნაზი ია“ გაქურდეს! პატრული! პატრულიიი! წარმოიდგინე ხელბორკილებში ჩვენ!.. ვااა!.. სარკეში ერთმანეთის გაწუწული სახეების დანახვისთანავე (ორივეს ორთქლის ბუღი სდიოდათ), შეუკავებელი ხმამაღალი ვა! ხა! ხა! ხა! ატეხეს.

---

[1] (ინგ.) ოუ! ჩემი ინტერვიუ.
[2] (უკრ.) მომშორდი.
[3] (უკრ.) მე ვარ.

7

ბედნიერად მომღიმარი, პირდაბჩენილი, მაგიდის გარშემო მორბენალი საშკო, მანიას გაურბის. აღელვებული, აქოშინებული მანია შეჩერდა: – ეს რა გაბედეთ! ალექსანდრეს გასცემთ პასუხს! იმისი ბრალია ყველაფერი, გათამამებულებო! რომელიმეს აზრი ხომ უნდა გეკითხებოდეთ?! – მკვეთრად ხელაშვერილმა საშკოსკენ ისკუპა: – თქვენ ასაკში ხალხს შვილები ჰყავს!

კუთხეში მიყუჟულმა ბურგუნდიამ, თითქოს მას არ ეხებოდა, თანაგრძნობითა და დამრიგებლობით წარმოთქვა: – მეტსაც გეტყვი, შე ბოთე! ჩვენ ასაკში საქართველოში შვილიშვილებიც ჰყავთ! – მანიამ ბრაზით სავსე თვალებით ბურგუნდიას დადუმება უბრძანა: – შენი დროც მოვა! მაქედან ფეხი არ მოიცვალო!

– კარგი რა, მანიუშკა! – საშკომ თავი მოისაწყლა. ბოლო ძალებმოკრებილმა მანიამ ისევ საშკოსკენ უშედეგოდ ისკუპა: – Щоб тебе підняло, та гепнуло![1] გაჩერდი მაინც, თავი კაცურად მაცემინე! მაგიდის იქედან მოკრივესავით აქეთ-იქეთ მოხტუნავე საშკომ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია. მანიამ სულის მოსათქმელად ცივი წყალი ჭიქაში ჩამოისხა, გემრიელად დაეწაფა, ტახტიდან ბალიში აიღო და მოულოდნელად ბურგუნდიას გაუქანა. ბალიშმოგერიებულმა ბურგუნდიამ შესძახა: – М-і-л-і-ц-і-я[2], გვკვლავენ! გულშეღონებული მანია ტახტზე ელეგანტურად წამოჯდა, ხელები მუხლებზე დაილაგა და დემონსტრაციულად „თქვენი დანახვა არ მსურს“ ტაქტიკურ-სტრატეგიული პოზიციით, ამაყად თავი იქეთ გააბრუნა. ბურგუნდიამ საშკოს მანიაზე იერიშის მისატანი ნიშანი მისცა.

– ხო იცი! წასვლის წინ ყველაფერს დავუბრუნებთ! – შემპარავად დააყოლა: – რო არ გვეშველა, საცხს ეპიდერმისის ბოლო შრეს მიაყოლებდა! მადამ ტიუსოს ცვილის საფრთხობელასავით ლაპლაპებს, – ცელქად წაიკისკისა: – თან რა საყვარელი ჭორფლი აქვს! – საშკოს წარბაწეულმა, მეომარივით გახედა, საჩვენებელი თითი კისერთან მკვეთრად გაიტარა. საშკო მანიასთან ჩაიმუხლა, ხელები ხელებში ჩაუდო. – Не зеймай мене![3] – მანიამ წინააღმდეგობა გაუწია. საშკომ ტუჩები დაამრგვალა და ხელები ხმით დაუკოცნა. ბურგუნდიამ თავი ძალით მკერდში ჩაურგო, მძლავრად მოეხვია. ოკუპირებული მანია, მტერს ნელ-ნელა, ჭირვეულად დანებდა. სახე მოაბრუნა, ბურგუნდიას თავზე ხელი გადაუსვა, მეორე ხელი საშკოს წაუჭირა და ორივეს ბრძანებით მიმართა: – როდის მაღირსებთ შვილიშვილებს?! განაგონისგან გაშტერებულებმა მანიას შეწყობილად გახედეს, საშკო ფრთხილად წამოდგა: – მალე! მალე! იცი, რას ვაპირებ? პირველ გოგოს მარიას დავარქმევ! მანია ნეტარი ბედნიერებით მიეცა საშკოს სამომავლო ზეშელამაზებული ამბების მოსმენას, რომელშიც დროდადრო ბურგუნდიას კორექტივები შეჰქონდა. ღია ფანჯრებიდან გამოვარდნილმა მღელვარე გადალაპარაკება-გადმოლაპარაკებამ, სიცილ-კისკისმა ბუნებას შრიალა სიმშვიდე დააფრთხობინა.

8

საათს დახედა. ჯერ ადრეა, ზოე კავშირზე არ იქნება, მშობლები მოენატრა. მობილური ფანჯარასთან მიიტანა. კავშირი არ არის, ის უფრო გააკვირვებს, კავშირი რომ იყოს. ხელში ლეპტოპი აიღო, მექანიკურად არომატისთვის წაწეულმა უზომო აღშფოთება დააპირა, როცა კარზე მონოტონური

[1] (უკრ.) სიტყვა სიტყვით – რომ აგიყვანოს და დაგაგდოს (დედის წყევლის ვარიანტია) :)
[2] (უკრ.) მილიცია...
[3] (უკრ.) არ წამეკარო.

კაკუნის ხმები გაიგონა, რასაც ხუან-კარლოსის წკმუილი მოჰყვა. სასწრაფოდ აბაზანისკენ ისკუპა, სარკეში თმა გაისწორა, გვერდზე ოდნავ ჩამოიშალა, წამში კარი გააღო. ბურგუნდიას დანახვისთანავე განწყობა ხალისით აუთამაშდა. გაღიმებულმა ქალმა იკითხა: – რას შვრები? ჯეიმზმა წარბი ასწია. ყოველგვარი განმარტებების გარეშე გააგრძელა – არ შემომიპატიჟებ? ხელით მიანიშნა.

– Oh! Okey, all'raight okey! Okey!.. – გაჭედა, – Yes of course[1]... დაბნეულობისგან დაეთანხმა.

ოთახის შუაგულში მდგარმა ბურგუნდიამ, შემეცნებითი ინტერესით, აუჩქარებლად, „მარტო კაცის" უწესრიგო წესრიგს თვალი შეავლო, ერთ ადგილას სარივით დარჭობილ, სიმივით დაჭიმულ სერიოზულ ჯეიმზს რამდენჯერაც შეხედა, იმდენჯერვე ამყოლი ღიმილი მიიღო. ლოგინზე დაჭმუჭნულ საფარზე პირაღმა გადაშლილი პოემების კრებული ვითომ პირველად დაინახა, ხელში აიღო: – რა მაგარია! – თვალები გაიბრწყინა, ინტერესით შეათვალიერა! მომღიმარ ჯეიმზს მიმართა: – რა ვქნათ?.. ჰა? როგორ გადავაგოროთ კიდევ ერთი ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად? – ნიშნისმოგებით გაიძახა: – მოვიფიქრე! თავისი სახლისკენ მიანიშნა. ჯეიმზმა სტუმარი გარეთ გამოაცილა, ზღუდესთან წინ – უკან მოძრავ, რკალად კუდაბზეკილ ხუან-კარლოსს გამოსვლა აცალა; თითქოს სახლში რაღაც დარჩა, შებრუნდა, ბურგუნდიას მჩატე გემრიელი სურნელი, შეუმჩნევლად, ნესტოების მოძრაობის გარეშე ჩაისუნთქა. ვანილის კომფორტული სიმშვიდით გაგრილებულ ოთახში სურნელს მახე დაუგო, კარი საგულდაგულოდ გამოიხურა.

უილიამ შექსპირის ხელრთვა[2]

მაგიდასთან მოკალათებული ცდილობს, ფარდის იქედან ბნელ ოთახს თვალი შეავლოს, შუქი არ ანთია, მხოლოდ სილუეტის მოძრაობას არჩევს. ბურგუნდია წიგნით ხელში დაბრუნდა. ჯეიმზმა წიგნის პრიალა სუპერს სერიოზულად დახედა: „უილიამ შექსპირი სონეტები – Sonnets, William Shakespeare". ინტელექტუალური თითებით წიგნი მოფრთხილებით გადაშალა, ფურცელს საჩვენებელი თითი სათუთად დაადო, ოქტავას – სექტეტამდე ჩააყოლა, წასაკითხის სიამოვნების „წინაცდუნება" დაეტყო. (აი, ეს თამარის მოსწონს, პირდაპირ წერტილში!..) ბურგუნდიას ახედა, „სწორედ გავიგე? უნდა წავიკითხოთ?" დასტურად ბურგუნდიას თვალების ცეცება მიიღო. მხრები გაშალა, წიგნი დახურა, შემთხვევას მინდობილმა ისევ გადაშალა, მეორე ხელით მაისურის საყელო მოისინჯა... ხავერდოვანი ბარიტონით, იმპროვიზაციას დახელოვნებული, „ორიგინალში" ლამაზი სონეტები გაისმა:

57
„Being your slave, what should I do but tend
Upon the hours and times of your desire?"

გვერდზე მჯდარმა ბურგუნდიამ ქართულად წაკითხული სტროფები მიაწია:

„თვალნი დამივსო სიყვარულით, ალბათ, გამჩენმა,
სიავე შენი მე სიკეთედ რომ მომაჩვენა".

[1] (ინგ.) დიახ, რა თქმა უნდა.
[2] იცოდი რომ შექსპირმა წერა არ იცოდა, ფურცელზე საკუთარი სახელის და გვარის გამოყვანას ძვლივს უმკლავდებოდა. თუ იცი რატომ?

84
„შენმა მგოსანმა თავის ნათქვამს რა დაუმატოს,
თუკი იტყვის, რომ „შენი მსგავსი მხოლოდ შენა ხარ!“
.....
და მე მაკვირვებს ქებისადმი შენი განწყობა.
შენი ქება ხომ არის შენივე შეურაცხყოფა!“

2
როცა ორმოცჯერ დაიზამთრებს შუბლი მწყაზარი,
მაშინ ღაწვებიც დროის ხნულით ნაოჭდებიან,
.....
მემკვიდრე შეჰქმენ, რომ დაგიცხროს ეს იარები
და სიბერეში სიჭაბუკეს ეზიარები!“

– 60 – 18 – 102 – 80 – 59 – 1 – 5... ორივე „დუეტში“, ემოციებს აყოლილები, შთაგონებულები, მგზნებარე ემოციების ტრიალით გაჟღენთილები, ერთნაირად მოაზროვნე ტკბილი, ერთსულოვანი, თანაზიარების ფერმრკთალი ბინდით შეფუთულები, ღრმად სუნთქავდნენ. ერთ ადგილას მჯდარი ხუან-კარლოსიც კი ნესტოების სწრაფი მოძრაობით ემოციებს იჭერდა. ფეხზემდგარი, სიამით მოსილი, თვალმიბნედილი, ხელებჩამოყრილი ჯეიმზი სკამზე დაესვენა. თავი უკან გადაწია, თითოეული ჩაღვენთილი გამონათქვამი ფილტვებს მოეფინა და ხსნადი ეფექტით დაეშხურა. თითებზე ნოტიო პირსახოცისმაგვარი ხახუნისგან შემცბარმა, ხელი სწრაფად წამოწია, ხუანკარლოსი ელაქუცებოდა. ბურგუნდიას გახედა, თვალებით ერთმანეთს შეხვდნენ, წარბები აათამაშა, რასაც ქალის კისკისი მოჰყვა: – „გრძელი“ შექსპირის ფანია! – ინტერესით განაგრძო – ჯეიმზ ჯენტელმენი „შუბით შემარყეველი“ ერთი იყო თუ სამი? თითებით რიცხვები მიაშველა – სამნი! კრეატიული ჯგუფი, ურყევი ერთობა?! მე, საშკო და ლუკა! მისი დანგრეული ინგლისურით რაც გაარკვია... – როცა ნასვამი არ ბრძანდებოდა, ნამდვილად ერთი იყო. დამაჯერებლად „ეჭვსგარეშეა“ წარმოთქვა და ინტერესით იკითხა, – Who is Luka?[1] მსჯელობით გართულმა ბურგუნდიამ პასუხი არ გასცა, სიგარეტს მოუკიდა, განაგრძო: – ხო!.. ისე, როდესაც „გენიალურ ნიჭიერებასთან“ გაქვს საქმე, – თვალები აუბრწყინდა – ვერც ვერაფერს გაარკვევ! ნიშნისმოგებით წარმოთქვა: – დარწმუნებული ხარ, ქალი რო არ იყო?! როგორ უყვარდა გადაცმეობანა!.. ზედა ტუჩი ააშვირა, თითებით თმის წვერი გადაიდო, ბოლო ულვაშივით დაიპეწა, კოპებშეკრულმა, ჯეიმზს ვაჟკაცურად გახედა. ცხვირშეჭმუხნულმა ჯეიმზმა სიცილი მაინც ვერ შეიკავა. ხმამაღალ Ha, ha, ha, ha-ს, თავის ქნევით მიაყოლა: – რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ! – ბურგუნდიამ მომხიბვლელად გაიცინა, – სერ უილიამი, სამი ერთშიც იყო და მთელი ავტონომიაც! მეხელთათმანის შვილი, გერბიანი გენია, თანაც წარმატებული! ჯეიმზი თანხმობით ჩაერთო: – დიდი დრამატურგი! ბურგუნდია აჰყვა: – პირველ რიგში, დრამატურგი, ...თენგიზ აბულაძის „მონანიება“-ში სამოცდამეექვსე სონეტი სასწაულ კონტექსტში ზის! ისე, მითხარი, იცი, საიდან წარმოიქმნა პირველი ხატოვანი სიტყვა, ლექსი, ნახატი, სიმღერა? პირველი ადამიანის თანდაყოლილი განჭვრეტის უნარისგან, ბუნებისა და არსების აღწერის სურვილისგან, აქამდე შრომამ კი არ მოგვიყვანა, არამედ რიტუალმა და ნაფიქრალმა!.. შემოქმედების უფლებით!..

[1] (ინგ.) ლუკა ვინ არის?

მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სცენოგრაფი ვინ იყო, შენი აზრით?! სპეციალურად ჯეიმზისთვის გასაგებად წარმოთქვა... ფიქრი არ დააცადა, არც პასუხი; აღელვებულმა, დემონსტრაციულად გამოაცხადა: – ჩემი ნიკალა ფიროსმანი და... – სპეციალურად პაუზა გააკეთა, – სანციო... რაფაელი... სანტი! – გამარჯვებული ხმით გაიცინა. ჯეიმზი გასწორდა, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილმა, სიგარეტს მოუკიდა და დაინტერესებულმა იკითხა: – What?...

– ხომ გაქვს ნანახი ფრესკა „ფილოსოფია“? ჯეიმზმა დაუდასტურა, – პლატონი – და ვინჩი! ანცად გაიღიმა: – არქიმედე, დიოგენე, ალექსანდრე მაკედონელი, სოკრატე, თავად თვითონ, ჰერაკლიტე-მიქელანჯელო და

ასე შემდეგ!.. ფრესკაზე... სული გადაიყვანა – რანაირად არის ორგანიზებული წყობა! თაღები, სცენა, მოქმედება? დაკვირვებულხარ როდესმე?... ჯეიმზი სიამოვნებით უგდებდა ყურს, თან თვალს აყოლებდა მინიშნებით ჟესტიკულაციას. ნიკოს რომელიმე რეპროდუქციას ხვალ გაჩუქებ! – ნაზი, სათუთი გრძნობით დაამატა: – პატარა რო ვიყავი, მისი ნახატები ჩემთვის მონაყოლი ზღაპრებივით იყო, ბაბუკოს თუ არ ეცალა, ძილის წინ ნიკო მითხრობდა „ტიფლისურ“ ნოველებს. შემიძლია დავიფიცო, ზურნისა და დუდუკების ხმები ჩამესმოდა! არ უხდება არც ერთ დიდებას ისე ეს ფრაზა – „ყოველივე გენიალური უბრალოა!“ – როგორც ფიროსმანს!.. იცი, ყოველივე მარტივი, რთული შესასრულებელია! პირველი ჭიკჭიკი მოესმათ, სუსხისგან შეციებულებმა, ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, „როდის დაგვათენდა?“ – მოიცა, რაღაც უნდა გთხოვო! ბურგუნდიამ ხვეწნით შეხედა... ცოტა ხანში რეზინის ყვითელი ხელთათმანებით, პატარა ორი წყლით სავსე ქოთნით დაბრუნდა: – ეს შენი გასაკეთებელია! ჰორტენზიებთან მივიდა, ჯეიმზს თავისკენ უხმო: – ეს ასე, პროპორციები დაიმახსოვრე... დაახლოებით, ეს ასე, ყოველდღე უნდა დაუმატო მიწას, აი, აქ! იმედიანად ახედა. – კარგი! გაკვირვებული ჯეიმზი მორჩილად დაეთანხმა. ბურგუნდიამ მხრები ხალისით შეარხია: – ძალიანაც კარგი „სანტიაგო“[1]! რეჟიმდარღვეულმა, თავის თავზე განცვიფრებულმა ჯეიმზმა, ხმამაღლა – A-e-o-h-ooo! დაამთქნარა, მთქნარება ბურგუნდიას გადასდო, პირზე ხელაფარებულებს, სიცილ-კისკისი წასკდათ. შემდეგ, გაყუჩებულებმა, გარიჟრაჟს ყური დაუგდეს. ჯეიმზს გაშინაურებული, გადმომისებული შექსპირით გასჩურჩულა: – ღამე დღეს ხვდება, სახლი იღვიძებს და!.. ახლა მთავარი – აუზთან მუხლმოდრეკილმა, წყალი ხელით აამღვრია, დააცადა... ალუბლისფერი ზეცა ისევ ალიცლიცდა, საოცრებისმომგვრელი მოლოდინით ამოხედა:

...ქვეყანა გახდა ახალი!..

[1] სანტიაგო – პ. კოელიოს ალქიმიკოსიდან.



სანდრო ბერიძე

ჯვარიქედი... Allahu Akbar!

რასაც ახლა ვწერ,
რასაც ვამბობ, ერთობ რთულია,
ვიტყვი? – ცუდი ვარ, არ ვიტყვი და... ცხრამაგად ცუდი.
ჯანდაბას იქით, ჩემი თავი,
ვიტყვი სრულიად,
მიჯობს ვთქვა, ვიდრე შევუბრუნო წინაპრებს ქუდი.

ვიყავ ჯვარიქედს...
მოკვდა კაცი. გათავდა. მორჩა.
დასრულდა ერთად
გზა – გავლილი და გზა – უვალი.
Allahu Akbar! გაჰკიოდა კუბოსთან ხოჯა,
Allahu Akbar! კვერს უკრავდა ჭირისუფალი.

ეზანის სურა ასხივებდა ფესებს და ჩალმებს,
თვლემდა ადრეულ ქრისტიანთა
რწმენის ნამცვრევი.
მე მომეჩვენა,
ჰიჯაბიან ხანუმთა თვალებს,
ანეს კი არა, ღვთისმშობელის წყდებოდა ცრემლი.

პერანგას მთიდან
მოცოცავდა ბინდ-ბუნდი ნელა,
კვნესოდა ქარი, ჭოროხს გაღმა, სანაპიროთი.
ტიროდა ყველა,
კაცის სიკვდილს, ტიროდა ყველა,
მე, კაცთან ერთად, თავსმოხვეულ ადათს ვტიროდი.

SERVA ME... SERVABO TE

Serva me, (ერატო), Servabo te,
ის არ მოდიოდა, რასაც ვთესდი.
ლექსები და წერა მივატოვე,
ვიყავ პოეტი და გავმეთევზდი.

მტვრიან თაროზე დევს „PRO AND KONTRA“,
როგორც დუმილი და ჩამი-ჩუმი.
რკინის ტექნობუმმა გააკოტრა,
პოეტისეული ლექსობუმი.

სოფლად გაჩენილს და სოფლად მოსულს,
დიდ და ცივ ქალაქში ვინ მიცნობდა.
ალბათ, ამიტომაც, სერიოზულს,
მძულდა სიფარსე და ტინგიცობა.

ღვთისგან ტირილი რომ მეწყალობა,
სიცილს იმიტომ ვერ მოვაგენი.
ახლა არსებული რეალობა,
გახდა რუტინულად მოსაწყენი.

ბედმა უგზო გზებზე სიარულში,
ჩემთვის ერთხელაც ვერ მოიცალა.
ხელი, არმიწიერ სიყვარულში,
მიწიონელობამ მომიცარა.

წლებმა ისე მძიმედ მამარხულეს,
ჩემი თავის გავხდი მე ვერ მჯერი.
კარზე შავი ცელით მიკაკუნებს,
მოუსავლეთელი მენეჯერი.

დღემდე რაიც იყო მტკივნეული,
უკვე ძველებურად აღარ მტკივა,
ჭრელი ზაფხულივით მილეული,
ვიყავ ბუერა და გავხდი თივა.

ჟამმა უმწეობას მიმამატა,
თვალებს უმარილო ცრემლი ცვივა.
ახლა ოქროს თევზი კი არა და
წყლიდან სიკვდილი თუ ამომივა.

მახსოვს

დასრულდა შიში, გაზავდა ელდა...
მე მახსოვს, როგორ კვდებოდა დედა.

მახსოვს, წვეთივით დამცრობილ იმედს,
სრესდა არყოფნა – მიწაზე მძიმე.

იფოთლებოდა ლოცვათა ტევრი
და შავი ფიქრი – სივრცეზე ბევრი.

მე მახსოვს, მუნჯი ტირილის ჩრდილში,
მშრალი ცრემლი და გამქრალი შიში.

მარადიული და ერთადერთი,
მე ისიც მახსოვს, არ იყო ღმერთი.

არ იყო ვინმე, არ იყო რამე,
არ იყო დღე და არ იყო ღამე.

მკვლელი სიკვდილის ვერ გამრიყავი,
მე ვიყავი და...
მე ქვა ვიყავი.

მე მახსოვს და მე მემახსოვრება,
სიცარიელით სავსე ცხოვრება.

და დამრჩა სულში ორი ჭრილობა:
ტკივილობა და უტკივილობა.

მე მახსოვს, როგორ კვდებოდა დედა...

დეკემბერი. 1991

ძმათაგან მშვიდთა, ანდა გოროზთა,
მარცხი ორივეს მარცხია მხოლოდ,
მე წყევლად მახსოვს ცხრაას ოთხმოცდა
თერთმეტი წელის დეკემბრის ბოლო.

ქუჩა სკა იყო, ხალხი – ფუტკარი,
დღეები – ქვეყნის წარღვნად ქცეული,

თბილისი დუღდა, როგორც ვულკანი,
როგორც აფთარი ცოფმორეული.

სიმართლეს ცალფა თეფშით წონიდა
თემიდა, მთვრალი დროის თრიაქით.
სამშობლოს ხვრეტდა „მხედრიონი“ და
ფსევდოელიტა და... პატრიარქი.

ვინ იყო ჭირი, ვინ იყო ჭორი,
რა საჭიროა ახლა მისნობა.
„ძირს ჩაუშესკუ“! „ძირს დიქტატორი“!
ეძახდა სინდისს უსინდისობა.

ბორგავდა ბოღმა აშვებულ ჯინის,
მიჩუხჩუხებდა სისხლი მზარავი,
ვინ ვის უტევდა, ებრძოდა ვინ ვის,
უწყოდა ერთის გარდა არავინ.

იყო ჯირითი ბლუსი და ყრუსი
და ცრემლი გულში ჩაპარებული.
ტკბებოდა რუსი, ტკბებოდა რუსი,
ღრუზინულ ზურგებს აფარებული.

სიკვდილ-სიცოცხლისა

მიყვარს სიცოცხლე... თავი ვანდე მას,
გულიც ამ ტკბილ შხამს მიტომ ეწამა,
რომ ქრონიკული ლექსის ანთებას,
გული და ფილტვი გამოეჭამა.

მიყვარს სიკვდილი... ცხადი და მითი,
არის არსად და ყველგან ის არი.
თან ნაცადი და თან მიამიტი,
თან მშიშარა და თან უშიშარი.

მიყვარს სიცოცხლე... (არ ვამბობ მკრეხელს),
ასე ცხოვრების ბალზე თუ ხდება,
სოცოცხლის ღიმილს და მაღალ ფეხებს,
სიკვდილის მინი-კაბა უხდება.

მიყვარს სიკვდილი... ვაი და უი...
თეთრი რვეულის შავი ფურცელი.

მიყვარს სიკვდილი... ტყუის თუ ვტყუი,
ერთმანეთისთვის ვრჩებით უცვლელი.

მიყვარს სიცოცხლე... ჯვარცმა და ჯვარი,
მისი ტირილის სიმღერა მიყვარს.
რეპრესირებულ სურვილთა ჯარი,
საბელწაბმული ცხვრებივით მიმყავს.

მიყვარს სიკვდილი... ღმერთის შედევრი,
მიყვარს სიცოცხლე... ღმერთის დიდება.
დღე-ღამეების ხშირი ტყე-ტევრი,
კვლავ იჩეხება და ითიბება.

მიყვარს სიკვდილი... რაც ჟამი გადის,
ჩრდილს მისას ვხედავ მხარდამხარ მავალს.
მიყვარს სიკვდილი... მე ამ გიგანტის,
ისევ CONTRA და ისევ PRO ძმა ვარ.

არყოფნა ყოფნის ზიარ ზარს რეკავს,
სიხარულს მაყრად სდევს დარდუბალი.
ცეკვავს სიცოცხლე, სიკვდილთან ცეკვავს,
როიალთან ზის თავად უფალი!

რა უნდა გითხრა...

ნ. გ.

რა უნდა გითხრა...
რახანია ლექსებს აღარ ვწერ,
ფა, სო, ლა, სი-მდე ოქტავაში მოკვდა დო, რე, მი.
დაღამებამდე
ნაადრევად რომ არ დაღამდეს,
შენი მაღალი ქუსლის კაკუნს უსმენს ბათუმი.

რა უნდა გითხრა...
ქარიტების გაცვდა გრაცია,
ასე მგონია, შენ თუ მოკლავ სიკვდილს პუანტით.
დრომ სურვილების მოახდინა კონსერვაცია,
ჩამარხა ჩემში
მკვდრადშობილი ნეგოციანტი.

რა უნდა გითხრა...
ახლა წესრიგს ჰქვია ქაოსი,
მე არქაული, შევეჩვიე ახალ ანტურაჟს.
დავხეტიალობ
ინტერნეტის სასაფლაოზე,
სადაც მარხია ყველა დროის ლიტერატურა.

რა უნდა გითხრა...
გუგუნია ყალბი ოდების,
თავზე დამყურებს მოთმინება
ჯვარცმის ძელივით.
მიდის პროცესი მეგობართა გამეკობრების,
ამდენი ფარსი ისევ მამხობს კართაგენივით.

რა უნდა გითხრა...
ძველი ჩუსტით ცეკვავს მოდერნი,
სახვალიეთოდ მიღმიეთი ვერ მოვისარკე.
რის მაქნისია
ცალფა გზა ან გზაჯვარედინი,
როცა ყველა გზას აწერია: არყოფნისაკენ!

რა უნდა გითხრა...
მარტოობის გავხდი კელია,
ჩემს სიქათქათეს რახანია ჰქვია შავეთი.
სიკვდილ-სიცოცხლის
კარნავალზე არ მიმელიან,
მე სამოთხიდან ჯოჯოხეთში თვითონ წავედი.

რა უნდა გითხრა...
უკვდავებაც სიკვდილით მოკვდა,
სიხარულების
გაიჩეხა ხშირი ტყე-ტევრი.
აქ, რახანია, ბედნიერი ღმერთი გაკოტრდა,
უბედურება – ერთადერთი დამრჩა შედევრი.

რა უნდა გითხრა...
ღმერთი დამრჩა დასადაფნავი,
დრომ ხელში
ქაცვი მომაჩეჩა, პალმის ტოტივით.
გადაუგზავნელ
მეილებში დავასაფლავე
ჩემი ყველაზე საყვარელი ლაიტმოტივი.

რა უნდა გითხრა...
ნაყარია გამჩენთან წილი,
ბედმა სასჯელად ეს ცხოვრება მომიჯანდაბა.
ისე, როგორც სხვებს,
მეც ამ ბორკილს ამხსნის სიკვდილი,
რა უნდა გითხრა...
გეტყვი...
თუმცა...
რა გითხრა, აბა?!...

პოემის თავფურცელი

და ადამს ისევ ის აბადია:
ცოტა – კეთილი და ბევრი – ცუდი.
ორი ათასი წელიწადია,
უბოროტებო სამყაროს ვუცდი.

ასტრალებს მოაქვთ მღვრიე აურა,
ზეცაში ყველა მღილი აცოცდა.
რა უსაშველოდ, რა უცნაურად,
რა უიმედოდ გაგრძელდა მოცდა.

თერმობირთვული მოგორავს ვაშლი
და ხვალიეთის მზეზე ირწევა, –
ადამის ნაცვლად – ადამის ასლი,
ევას მაგიერ – უსქესო ევა.

მორალი გაცვდა და გადაფასდა,
ფიქრს ისევ ცა აქვს დასაბამბავი.
გამომიძახე, ღმერთო, დაფასთან,
უნდა მოგიყვე მიწის ამბავი...

ადრე თუ გვიან

წარმავალია რადგანაც მნათი,
სინათლეც მიტომ ბნელს ეუბრება.
სიკვდილი, როგორც ზღაპრული დათვი,
ფეხდაფეხ მომდევს და მეუბნება:

გახსოვდეს, სანდრო, შენც ჩემთან მოხვალ,
შენს ყველა იმედს ტყუილი ჰქვია.

„ადრე მომშივა – ადრე გამოგხრავ,
გვიან მომშივა – გამოგხრავ გვიან“.

ჰოი, სიცოცხლევ, ჩემო გადია,
შენც ჩემნაირად ხარ ფერმიხდილი.
უკვე სამოცი წელიწადია,
კრიჭაში ერთად გვიდგას სიკვდილი.

ქალბატონო...

შენ ალბათ გახსოვს...
მაშინ რაღაც მინდოდა მეთქვა,
სათქმელს შეშლილი ადონისის ეცხო მარილი.
მე რა ვიცოდი,
გაქცეული უსიტყვო სიტყვა,
დაბრუნდებოდა ელდანაცემ სამძიმარივით.

შენ ალბათ გახსოვს...
და ამ ხსოვნას არ აქვს სახელი,
ორმოცი წელი მიილია უკვე მას აქეთ.
გუშინ ქუჩაში
შემეფეთა დოდო ჯაყელი
და შენს უცნაურ
სამყაროზე ვილაპარაკეთ.

შენ ალბათ გახსოვს...
თუმცა ხსოვნაც მოკვდა დაღლილი...
ცხრაას ოთხმოცში ნაჩუქარი ვნახე „ულისე“.
პროფკავშირების
სახლთან ახლა ყვავის აპრილი
და თავს იფეთქებს „ტერორისტკა“ – ბრონეულის ხე.

შენ ალბათ გახსოვს...
ხსოვნა სკივრში ვეღარ ეტევა,
დაუწერელ ლექსს თეთრ ფურცელზე ვინღა მიგიტანს.
რვა მარტის ღამე,
ზღვის ნაპირზე, ვით გამეთევა,
როცა დრომ თვითონ ამოშალა მის წესრიგიდან.

შენ ალბათ გახსოვს...
ვიდრე ხსოვნა მოიკრებს ძალას,
ჩემთვის ადგილი დაიბევე ქარონის ნავში.
საამდღისთვიოს

შეეჯახა ჭლექიან ქალაქს,
ბებუთით ვენებგადაჭრილი პოეტი – ბავშვი.

შენ ალბათ გახსოვს...
შეჩენილი ხსოვნაა მახრა,
ოხერი ხსოვნა ვინ მოთოკოს და ვინ განაგოს.
ეს მოგონება,
თითქოს,
რას არ მოყვება, მაგრამ,
სიყვარულივით მუნჯია და არ ლაპარაკობს.

შენ ალბათ გახსოვს...
მაგრამ რაღა გემახსოვრება,
მიწით და ვარდით შეიზვინა ციცქნა სამარე.
ორ თარიღს შორის
ჩაიჭედა შენი ცხოვრება,
გაქვავებული დროისა და სივრცის ამარა.

შენ ალბათ გახსოვს...
და ეს ხსოვნაც მოჰგავს მოძახილს,
თუმცა, მოძახილს მოსაძახიც არა დარჩა რა...
დაკეტილია, ქალბატონო, თეთრი ოთახი,
დახურულია ზღვისპირისკენ ღია ფანჯარა.

ბათუმი

ბათუმს დროის ქარმა ზეწარი აახია,
გამოჩნდა, ვინ რაის ყოფილა მდომელი.
აქ რინგზე, უმსაჯოდ, ქრისტე და ალაჰია
და ვნახოთ, რომელს აჯობებს რომელი.

ზღვასავით ბობოქრობს დოლარის რეფლექსი,
უცხო მაკაგონმა შეცვალა ძელქვა.
სცენაზე გამოდის ევროპული სექსი,
ჩვენში, ჩუმ-ჩუმად, ბოზობა რომ ერქვა.

ბათუმში დარია, არაა ავდარი,
სვამეხთა ჯლიგინმა პიკს მიუკაკუნა.
ჯაყო გსურს? აგერა, სტამბულის თათარი,
მარგო გსურს? აგერა, კიკუ და მაკუნა.

დღისითაც დღეა და ღამითაც დღე არი,
არ არის საჭირო ილიჩის ნათურა.

ჩაზნექილ მერხებზე ღამენათევარი,
ანათებს ტიფლისელი მეძავის ნატურა.

ბათუმში, ხო, ხო, ხო, მეჩეთი და თეატრია,
ბათუმს ტიფლისელი მოასკდა სახრავად.
თურანმა გურჯის ქალი ბუნგალოში შეათრია,
ცოტა უხეშად ვთქვი? ვაიმე, უკაცრავად.

ბათუმში ღიაა კარი და ფანჯარა,
ბათუმი ბაჯაღლოა წყალ-ქვიშის ნაწრეტი.
ვიდრე სახრავია, ბურჯია აჭარა,
გამოიხრება და... მერეა... ს ა თ ა თ რ ე თ ი.

ტრიოლეტი-1980

ოთხმოცი წელი...
სტუდენტობა... ევქსინის პონტი...
ქერა ქალების ლაშქარი და კაფე „რვაფეხა“.
აცვია ბულვარს
მაგნოლიის და პალმის ბლონდი,
ოთხმოცი წელი...
სტუდენტობა... ევქსინის პონტი...

მისდევენ ქარებს
გორგილაძე და ვახო ღლონტი.
წვიმს ბათუმურად, თითქოსდა ღმერთს ზეცა გაეხა,
ოთხმოცი წელი...
სტუდენტობა... ევქსინის პონტი...
ქერა ქალების ლაშქარი და კაფე „რვაფეხა“.

ტრიოლეტი-1987

ბიბლიოთეკა...
ნამლისევი... ოქროსთმიანა,
ქალაქის ტყეში ჩაკარგული სოფლელი რემბო,
დაუწერელი
ცას შეასკდა ლექსი-ფრთიანა.
ბიბლიოთეკა...
ნიამორი... ოქროსთმიანა.

მაჟორთა ბალზე ცალფა სევდამ დაიგვიანა,
თქვენ ხომ არ იცით,

ის გოგონა რა იქნა, მთებო?
ბიბლიოთეკა...
ნიამორი... ოქროსთმიანა,
ქალაქის ტყეში ჩაკარგული სოფლელი რემბო.

ტრიოლეტი-1991

მიდის მიტინგი...
რუსის ბუკზე ბუქნავს აჭარა,
ჩია ემირი სუკის ხელით გვებრძვის პრეფექტებს.
ჩოლოქთან კარი იგმანება,
ქაქუთს – ფანჯარა.
მიდის მიტინგი...რუსის ბუკზე ბუქნავს აჭარა.

ულაყთა რემა
პოლიტფარსმა გააკანჯარა,
ავტონომია იჭვით უმზერს ეროვნულ ტესტებს.
მიდის მიტინგი...
რუსის ბუკზე ბუქნავს აჭარა,
ჩია ემირი სუკის ხელით გვებრძვის პრეფექტებს.

ტრიოლეტი-2002

მელიქიშვილის 21. მწერალთა სახლი,
„ჭოროხი“,
ნატო,
გენრიეტა,
ანა, ანზორი,
მარინა, ირმა, ხათუნა და... რილკე და თრაქლი.
მელიქიშვილის 21. მწერალთა სახლი.

ბათუმის წვიმა,
ჩამოშლილი „დრანკა და შპაკლი“,
სეიდიშვილის სტუმრობები... ლექსი სენსორი...
მელიქიშვილის 21. მწერალთა სახლი,
„ჭოროხი“,
ნატო,
გენრიეტა,
ანა, ანზორი...

ტრიოლეტი-2003

არ გიცეკვია
სასახლეში, დედი, მაზურკა,
არც შენი ხიბლით მონუსხულა თეთრი კაბარე.
ცხოვრება შენი,
ბედმა ცრემლის ნოტზე დაუკრა,
არ გიცეკვია სასახლეში, დედი, მაზურკა.

რაც შენ წახველი,
შენს საფლავთან ვდგავარ მას უკან,
რად არ გამიხმა ხელი, მიწა რომ დაგაყარე.
არ გიცეკვია
სასახლეში, დედი მაზურკა,
არც შენი ხიბლით მონუსხულა თეთრი კაბარე.

ტრიოლეტი-2005

მე კარგად ვიცი,
შენს დუმილში რაც იმალება,
გაუმხელელ ფიქრს ვკითხულობ და
არ გეუბნები.
ეშმაკობაში გაგამხილეს თავად თვალებმა.
მე კარგად ვიცი,
შენს დუმილში რაც იმალება.

სურვილს ამძაფრებს ცეცხლოვანი წვა და წვალება,
დუმილის ენით
მეტყველნი ვართ, სიტყვით – უბრები.
მე კარგად ვიცი,
შენს დუმილში რაც იმალება,
გაუმხელელ ფიქრს ვკითხულობ და არ გეუბნები.

ტრიოლეტი-2019

რჩეულებს
ჟამი ახელწერებს ხსოვნის დაფაზე,
ჟამისვე ხელით
იძერწება თიხის აკვნები.

დღეს უკვდავებამ ჩაიბარა ზურაბ ხაბაძე.
რჩეულებს ჟამი ახელწერებს ხსოვნის დაფაზე.

დუეტი სიკვდილ-სიცოცხლისა მღერის არფაზე,
იქ – ერთით მეტი,
აქ კი – ერთით დავრჩით ნაკლები.
რჩეულებს
ჟამი ახელწერებს ხსოვნის დაფაზე,
ჟამისვე ხელით იძერწება თიხის აკვნები.

* * *

ჩემი ქვის ფრთები,
გაშვილებული ბავშვობიდან წამოყოლილი,
ყრუ სოფლის
ვიწრო გზა-ბაწარადან,
ოკრო და ბოკრო სივრცეების გადმომსერავი,
გულგრილობაში
დიდობას რომ არ გავუცვალე,
ცათამბჯენების
თეფშებიან სახურავებზე,
ელექტრონულ დროს შეეჯახა და შეელეწა.

* * *

რაც თავი მახსოვს,
რაც გული და გონება მახლავს,
ამ ნაოფლარ და
უაბზაცო ქაპანწყვეტაში,
ამ თეთრ-ცელოფან-კაბა-ჩაცმულ დედამიწაზე,
სადაც დღე-ღამის
უფინიშო ჯირითს ვესწრები,
მეძავი დროის უდროობით
დამტკბარ სიძულვილს,
ხმაურიანი მდუმარების რუხ ხეივანში,
დაჰყავს ხელკავით,
სიყვარულის უხმო სიმღერა.

მარინა ბოლქვაძეს

ხულადან ბათომს
ამ საღამოს ჩამოვა თოვლი
და გაიხსნება ქალაქური ყოფის გალია.
არ დაგიმალავ,
მომენატრა ბეშუმი „ზოვლი“,
და ჭინჭაოს ტბა,
აგვისტომ რომ პეშვით დალია.

პირველყოფილი
გაუხუნდა მწვანე ტბას ნოხი,
ცას ის ღილები შეწყვეტია, ადრე რომ ება.
ურბანულ ბორკილს
გაქცევია თითქოს კორტოხი,
მაგრამ ბუნებით ოკუპანტობს მაინც დროება.

სამყარო დიდი სოფელია, ჩვილი და ძველი,
ჩვენ ადათები
მოვიგონეთ მხოლოდ, მარინა.
ერთადერთია,
ედემური და შეუცვლელი,
სევდა, რომელიც ღმერთმა პოეტს მოაპარინა.

ამ ცივ სიცხეში,
ამ ცხელ თოშში,
ამ შეშლილ დროში,
მივჩერებივარ გატეხილ ცას ჩვეული ელდით.
ვითარცა მუხა,გადარგული ასფალტის ორთქლში,
ვერა და ვეღარ,
ვეღარ და ვერ
გავქალაქელდი.

წაეკიდები ალავივით ალ-ქალა პალმებს,
მთაში
დღეები აერევა მოცდით ადონისს.
დიდი ქალაქის
შურ-ბორიოს,
ფარსს და
სიყალბეს,
შენი ღიმილი თუ დაამცრობს და გადაწონის.

მაია მახარაძე

გვიანი სინანული*

(პიესა)

რამდენიმე წლის შემდეგ:

/ზურას ბინა. ქეთი ტყუპ ვაჟებს ნაზად უმღერის. ზურა სამსახურში წასასვლელად ემზადება. წასვლის წინ ბიჭებს შუბლზე ეამბორება. ცოლს, მხარზე ხელს მოხვევს, მკერდზე მიიკრავს და ეუბნება/:

ზურა – ამათ რომ ვუმზერ, ასე მგონია, ბაჩი და ლადო ისევ ჩემს გვერდით არიან. ხომ არ გწყინს ბიჭებს მათი სახელები რომ დავარქვი?

ქეთი – შენს გადაწყვეტილებას პატივს ვცემ. მითუმეტეს, ლადოს მივუტევე. ნეტავი ბაჩი არ დაღუპულიყო და ყველაფერს ეშველებოდა. ლადო რომელ ციხეში ზის?

ზურა – ისევე იქ, გორაზე. რომ იცოდე, როგორ მქენჯნის სინდისი. ყველამ ზურგი ვაქციეთ, მიმკითხველი არავინ ჰყავს. მხოლოდ ის გოგო აკითხავს თურმე, ლელა, შენი ბიძაშვილი...

ქეთი – ყველაფერი ჩვენდაუნებურად მოხდა და ერთმანეთს ჩაეხლართა. ქაოსში აღმოვჩნდით. ლელა მეუბნებოდა შეყვარებული უნდა გაგაცნოო, მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი ლადო თუ აღმოჩნდებოდა.

ზურა – როგორც ჩანს ძლიერი გოგოა. ამას წინათ დავით ბიძიამ დამირეკა და მკითხა ვინმე ლელას ხომ არ იცნობო. მისთვის დაურეკავს და უთქვამს, შვილის მიტოვებისა და უარყოფისთვის ღმერთი არ გაპატიებთ, ლადო გარემოების მსხვერპლია, მას მიტოვება კი არა, მშობლების თანადგომა სჭირდებაო. არ მინდოდა გენერვიულა და ამიტომაც არაფერი გითხარი.

ქეთი – ბატონმა დავითმა რა უპასუხა?

ზურა – დავითს არ შეუძლია ბაჩის საფლავთან დადებული ფიცის დარღვევა. რაკი დამირეკა, ესე იგი სურს ლადო მოვინახულო. გამოგიტყდები და ამაზე დიდი ხანია ვფიქრობ. მოდი დავივიწყოთ წარსული. ისე ვიმოქმედოთ, როგორც ამას ბაჩი გააკეთებდა. დავუბრუნოთ ლადო მშობლებს, რომლებიც ლანდს დაემსგავსნენ. მან ხომ ყველაფერი ინანა რაც ჩაიდინა. ესეც ლალიმ უთხრა დავითს და კიდევ სხვაც, საშინლად გულდასაწყვეტი რამ, რაც დღემდდე შენთვის არ მითქვამს. **/ზურამ**

---

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, № 2, 2019 წ.

ქეთის მხრებზე ხელები მოხვია, თვალებში ჩახედა და უთხრა:/ დადგა დრო, ყველაფერი იცოდე, მაგრამ შეგიძლია მაპატიო აქამდე დუმილი?

ქეთი – შენ ყოველთვის ისე იქცევი, რასაც საჭიროება მოითხოვს. გკითხო თუ თავად მეტყვი?**/ თვალები დახარა, მერე სარკმელს მიღმა გადაიტანა მზერა, თუმცა ვერაფერს ხედავდა გარდა ერთი ამოუხსნელი წერტილისა, რასაც მისი ბედისწერა ერქვა./**

ზურა – შემომხედე, ლადოს თუ ვინმე ვერ უნდა იტანდეს, ეს მე უნდა ვიყო, მაგრამ არსებობს დაუწერელი კანონებიც. მე მისი მშობლები მეცოდება. მას ბაჩი მართლა მაგრად უყვარდა, ჩვენ ორივეს გვიყვარდა იგი, რადგან კეთილშობილებისა და მშვიდობის სიმბოლო იყო. ლადოს ჩვენი მოკვლა არ სურდა, ის იარაღს ხშირად ატარებდა, ჩვენც გვათხოვებდა ხოლმე ხანდახან. ჩვენ ყველაფერი საერთო, განუყოფელი გვქონდა. ახლა კი მისმინე, ლადოს უთქვამს, ლალი რომ არ მყვარებოდა, ქეთის არასოდეს მივატოვებდი, იმავ წამს დანას გამოვართმევდი, ფეხებში ჩავუვარდებოდი, ჩემს მდგომარეობას ავუსხნიდი, თუნდაც ძალით, გულში ჩავიკრავდი და ცოლობას ვთხოვდიო. მას იმდენი ვაჟკაცობა ეყო, რომ ლალის სიმართლე არ დაუმალა. ჩვენც ხომ მწარე სიმართლეს თვალი გავუსწორეთ და იმ მხრიდან შევხედეთ ერთმანეთის გრძნობებს, რომელ მხარესაც სიყვარულით სავსე გული ეხატა და არა იმ კუთხით, სადაც სხვის ტკივილებზე საჭორაოდ ჩასაფრებული ბრბოა მიყურადებული.

ქეთი – /თვალებში ცრემლები ჩაუდგება/ – შენისთანა დიდსულოვანი და კეთილშობილი არავინ მინახავს ძვირფასო. ჰო, გეთანხმები, ის სიყვარული რა სიყვარულია, რომელიც განსაცდელს ვერ გადალახავს, რომელიც თავისთავს სხვისი აზრების გამო უარყოფს და უმეტეს სატანჯველს მიეცემა უსიყვარულოდ. მე ეს ზღვარი შენი სიყვარულით გადავლახე და ამისთვის მთელი ცხოვრება სიცოცხლით ვარ დავალებული. იმ სიცოცხლით, რომელშიც მხოლოდ შენ და ჩვენი შვილები არსებობენ... **/ცოტა ხანს იყუჩებს თვალებში ცრემლმორეული, მერე სევდიანად გაუღიმებს მეუღლეს და ეკითხება:/** გასაგებია, დავითმა მიგანიშნა, რომ ლადო მოინახულო, მაგრამ ზაზა რას იტყვის?

ზურა – მაპატიე ჩემო ანგელოზო, ამ საკითხზე ჯერ ზაზას ვესაუბრე. ასე თქვა, ჩემს ბაჩის ვეღარავინ დამიბრუნებს და ლადოც ჩვენი უსამართლო პრინციპის გამო დაიღუპებაო.

ქეთი – იშვიათია შენისთანა ვაჟკაცები ჩემო სიცოცხლევ. **/მოეხვევა/** ვინც სასიკვდილოდ გიმეტებდა, შენ მას ღვთიური დიდსულოვნებით პატიობ დანაშაულს და გსურს დაეხმარო.

ზურა – ესე იგი ვიბრძოლო ლადოს გასანთავისუფლებლად?

ქეთი – ღმერთმა ერთმანეთს შეგვახვედრა და მიუხედავად ყველაფრისა, უსაზღვრო სიყვარულით დაგვაჯილდოვა. ორი ანგელოზი გვაჩუქა. ღვთის ნება გარდუვალია. წადი და როგორც საჭიროდ მიგაჩნია ისე იმოქმედე.

ზურა – გმადლობთ ქეთი. ჯერ ბაჩის სასაფლაოზე წავალ...

ქეთი – ყვავილები წაიღე...

ზურა – წავედი... **/კარებს გაიხურავს. ქეთი ბავშვებს დააძინებს. თვალები ცრმლებით ევსება. ხატებთან დგება. წარსული ახსენდება. ნანას სახლი. ნანა გათხოვდა და ისიც ორი შვილის დედა გახდა. გაახსენდა თუ როგორ დაჰკრა ხელი ხატების თაროს და როგორ დაეცა ძირს ღვთისმშობლის ხატი. წმინდა მარიამს შეხედა და პატიება სთხოვა. თუმცა დრომ ვერ მოუშუშა სულის იარა. არა, არ სურდა ლადოს ცხოვრების დანგრევა და ზურას კეთილშობილების უარყოფა. ფიქრობდა, მე თუ ასეთი მიმიღო ზურამ, თავადაც ისეთი უნდა მივიღო ლადო, როგორი ბედიც არგო განგებამო. მერე იესოს ხატს მიაჩერდა. სახე ახლოს მიუტანა და აჩურჩულდა: /**

ქეთი – უფალო, ჯერ უნდა გავნადგურებულიყავი, რომ ბედნიერება გებოძებინა? ამით ზურას დიდსულოვნება დამანახე? ლადო რომ გაწირე და ბაჩი დაასამარე, ამაზე რას მეტყვი? დეიდა რუსუ-

დანი და დავით ბიძია რომ ცოცხალ ჩონჩხს დაემსგავსნენ, წლობით პატიოსნად ნაშრომს ცრემლებით რომ ჭამენ, როგორ ავხსნა? ნუთუ არ შეგიძლია თანაბრად გაანაწილო ადამიანებზე ბედნიერება? არა! გონიერი ადამიანი არასოდეს არაა უფლის უმადური, როცა მსგავს შეკითხვებს სვამს. მას ჰყოფნის ცნობიერება, რომ უკეთ ამოხსნას შენი ქვეცნობიერი. მე არა ვარ ბედნიერი უფალო, რამეთუ მსურდა, უმწიკვლო და ნამუსშეულახავი მეუღლე ვყოფილიყავი. რატომ?! რატომ უშვებ ადამიანებზე განსაცდელს და მერე რას ნიშნავს შენი უზადო წყალობა სულგანადგურებულებზე? ნუთუ შენს წინაშე დავრდომილი და დაჩოქებული ადამიანები გხიბლავს? ბოროტება ზეციდან მოდის და გონიერი ადამიანები დედამიწისა, დღენიადაგ ებრძვიან მას. რა ვქნა, მადლობა გითხრა? რისთვის? არა! მე მინდოდა სიყვარული, მე მინდოდა საყვარელი მამაკაცისგან შვილები, მე მინდოდა დედის წმინდა სახელი, ეს ყველაფერი ახლა მაქვს, მაგრამ რა ვუყო წარსულს? ამბობენ წარსული მკვდარიაო, მე კი ვიტყვი, რომ ჩვენ, ადამიანები ვართ მკვდარი მწარე წარსულით. ვერ ამიხსნია რატომ უნდა იყოს ადამიანი ტანისამოსივით „საგარეო“ და „საშინაო?“, ვინ მოიგონა სიხარულისა და ტკივილის ნიღბები? რატომ არ შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთს უთხრან: „მე მესმის შენი“, – რატომ,?!.

/ქეთის ღვარად ჩამოსდიოდა ცხელი ცრემლები და სახეს უწვავდა. ხატებს მოშორდა, სარკმელი გამოაღო, შორს, ჰორიზონტს მიაპყრო მზერა.../

სურათი მეოთხე:

ბაჩის სასაფლაო

/ზურა ბაჩის საფლავის ქვასთან ჩაიმუხლებს და აჩურჩულდება:/

ზურა – ჩემო ბაჩი, როგორ მომენატრე. როგორ მაკლიხარ ბიჭო?! **/ხმა ებზარება/** შენთან ნებართვის ასაღებად მოვედი. მინდა ჩვენი მეგობარი გადავარჩინო. ამას შენც ხომ გააკეთებდი? შენ ხომ იცი, რომ ის ტყვია ჩემთვის იყო გამიზნული, თუმცა არა, არავისთვის არ უნდოდა ესროლა... მე ვაპატიე, ქეთიმაც აპატია ჩემი დიდი სიყვარულის გამო, ბიჭო!.. ჩვენი ზიარი მშობლები, დავით ბიძია, დეიდა რუსუდანი, დედაჩემი და ჩვენი ძმა, ზაზა, ლამის ლანდად იქცნენ... სინდისი მქენჯნის ბაჩი, ცოცხლად ვიწვი და ვერაფერს ვუხერხებ ჩვენს სულელურ შეცდომას. ეს რა ჩავიდინეთ, რატომ არ მოვუსმინეთ ერთმანეთს. უფრო შენ რატომ არ დაგიჯერე, რატომ? ჩამჩიჩინებდი ნუ აყვებიო... არ ვიცი რა შემიჩნდა, რომ ლადოს ანკესზე წამოვეგე. ჯიუტი თხებივით ვიწრო ხიდზე შევდექით და არც ერთმა უკან არ დავიხიეთ... **/ხმამაღლა ტირის, მხრები უთრთის./** – მე ვარ ყველაზე დიდი დამნაშავე, მე... მაგრამ ჩემს შვილებს გეფიცები, რაც მოხდა, იმას ვერასოდეს წარმოვიდგენდი... **/ცრემლებს იმშრალებს/** ჰო, მართლა, ჩემს ტყუპებს თქვენი სახელი დავარქვი... კარგი, ახლა მითხარი ვინახულო თუ არა ლადო... დუმხარ?.. ჰო, ვიცი, შენ ყოველთვის დუმილით მეთანხმებოდი... იმედი მაქვს ისე ვიქცევი, როგორც შენ მოიქცეოდი. **/ზურა ქვაზე დახატულ ბაჩის სურათს ხელს გადაუსვამს, თითქოს ეფერებაო, მერე დაემშვიდობება და იქაურობას ტოვებს. ტაქსს აჩერებს, ჯდება და ციხის მისამართს ეუბნება./**

ციხე

/ზურა ციხის უფროსის კაბინეტის კარებზე აკაკუნებს./

ციხის უფროსი – მობრძანდით... **/ზურა შედის/**

ზურა – გამარჯობა, ბატონო უფროსო, მე ლადო არველაძის ნახვა მინდა...

ციხის უფროსი – ლადო არველაძის? განა ყავს მას ვინმე ამქვეყნად? მობრძანდით... **/ზურა შედის, მაგიდათან ჯდება. ციხის უფროსი თითქოს ლადოს ახლობლის გამოჩენას სულმოუთქმელად ელოდაო, შეკითხვა არ აცალა, იქით მიაყარა კითხვები:/** ასე როგორ მოიძულეთ ყველამ, რა გულის მშობლები ჰყავს, რომ სამი წელია შვილის ამბავი არ მოიკითხეს, ციხეში დავბერდი და მსგავსი შემთხვევა ჯერ არ მქონია. შეცდომა ვის არ მოსვლია ასეთ ასაკში, მით უმეტეს, უნებლიე. ის კარგი ბიჭი იყო. არასოდეს არავისთან კონფლიქტი არ ჰქონია. იყო თავისთვის და მხოლოდ შეყვარებულის მოტანილ ბიბლიას კითხულობდა. ხშირად შემინიშნავს მის თვალებში ცრემლი. იმდენად თბილი იყო, დავმეგობრდით კიდეც, შვილივით მყავდა. ლადომ ყველაფერი მიამბო. ორი წელი ნორმალურად იყო, მერე რაღაც მოხდა მასში, საკუთარ თავს დაუწყო ბრძოლა. სამჯერ თავის ჩამოხრჩობა სცადა, მაგრამ აქ მკაცრი ზედამხედველობა გვაქვს და სიკვდილს გადავარჩინეთ. სამწუხაროდ ვერაფრით გაგახარებთ, ის ახლა სრულ ჭკუაზე აღარაა. რამდენიმე თვეა რაც სულით დაავადებულთა, ანუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადავგზავნეთ. ის მხოლოდ თავის მოკვლით იყო დაინტერესებული, სხვებს არაფერს უშავებდა...

ზურა – /სკამიდან წამოვარდება/ რა თქვით?! ლადო გაგიჟდა?

ციხის უფროსი – არ ვიცი იქ რა მოუვიდა, აქ კი, როგორც გითხარით, მხოლოდ საკუთარ თავს ებრძოდა. ხმამაღლა ღრიალებდა და გამუდმებით ერთსა და იმავეს იმეორებდა: „არავისი მოკვლა არ მინდოდაო“. რაც არ უნდა ცუდ მდგომარეობაში ყოფილიყო, ბიბლიას ხელს არ უშვებდა. მისი შეყვარებულის საცოდაობამ დამტანჯა კაცი, ხშირად აკითხავდა და მთელი არსებით ცდილობდა მდგომარეობა შეემსუბუქებინა.

ზურა /ხმაგაბზარული/ – კარგით, გმადლობთ ლადოსადმი მზრუნველობისთვის. რაკი მან ყველაფერი გიამბოთ, ჩემგან თავიდან ახსნას რაღა აზრი აქვს. სჯობს ახლავე საავადმყოფოში წავიდე. **/მიდის/**

ფსიქიატრიული საავადმყოფო

/თეთრ ხალათში გადაცმული ზურა, მთავარი ექიმის კაბინეტში ზის. ბატონი შავლეგო ზურას ლადოს შესახებ ესაუბრება. ამ დროს კი, ლადოსთან ლალია, რომელიც მთელი არსებით იტანჯება საყვარელი ადამიანის გამოუვალი მდგომარეობით, რომელიც ცდილობს, რეალობას დაუბრუნოს თვითგვემით განადგურებული ბიჭი. ლადო წევს. ლალი საწოლის კიდეზე ზის და მისი აკანკალებული ხელები ხელებში უჭირავს, ეფერება, თითქოს რბილ, დამამშვიდებელ მასაჟს უკეთებსო, თვალებში კი, ცრემლები უკიაფებს, რადგან ოდეს ხალისიანი, იუმორის მოყვარული, მუდამ სიყვარულზე მოჟღურტულე ლადო, გამოცლილ ტომარასავითაა ჭერზე თვალებმიშტერებული. ლალი დაიხარა, სახეზე ეამბორა. ლადოს უპეებს კურცხალი მოსწყდა და ღაწვზე წვიმის წვეთებივით დაგორდა. არ განძრეულა, არანაირი რეაგირება გოგონასადმი, რამაც უფრო შეაკრთო ლალი. სცადა გამოლაპარაკებოდა:/

ლალი – ლადო, ძვირფასო, თუ საკუთარი თავი არ გეცოდება, თუ მე არ გებრალები, ჩვენი ულამაზესი სიყვარული მაინც შეიბრალე. სამი წელი მოდის, რაც შენს აჩრდილად ვიქეცი. ჩვენ, შეუღლებისას, საკურთხეველთან ფიცი ხომ უნდა დაგვედო, რომ ერთად გავიზიარებდით ერთმანეთის ჭირსაც და ლხინსაც. ახლა რატომ არ მიზიარებ შენს ტკივილებს, რატომ?! არა! მე არ დავღლილვარ შენზე ზრუნვით, მე შენმა ტანჯვამ გამანადგურა, დავიჯერო ამას ვერ ხედავ?! **/მერე მკერდზე მიეკვრება და მუშტებს დაუშენს, გონს მოდის ძახილით. ლადო ერთს გადახედავს, თითქოს უთანაგრძნოო, ხელზე ხელს მოუჭერს, ცრემლი ერევა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეუბნება:/**

ლადო – წა...დი... დამტო...ვე... ყველაფე...რი მოკვ...დაა... მოკვ...დაა...მოკვ...დაა... **/ტირის/**

ლალი – არა! არაფერი არ მომკვდარა! შეიგნე, რომ ამქვეყნად არვინ არაფრისგან არაა დაზღვეული, არავინ იცის ვის როდის რა მოელის!

ლადო – ლადო მოკვ... დაა... მოკვ...დაა... მოკვ...დაა... მე მარ... ტოო ვარ... მარ...ტო... მე და ბიბ... ლიაა... **/საწოლის თავთან, ცისფრად შეღებილი, ხის ტუმბოზე დადებულ ბიბლიას აიღებს და გულში იკრავს, ხელებს ისე მაგრად ხვევს, თითქოს წართმევას უპირებენო. ამის შემყურე ლალი თავს მაღლა ასწევს, თითქოს ღია ცის ქვეშ დგას, უფალს მიმართავს:/**

ლალი – ღმერთო! როცა ადამიანი დარწმუნებულია თავის უძლურებაში, ხოლო ძლიერი მას თანაგრძნობით „სამოთხეს“ ჰპირდება, ამგვარი თანაგრძნობა თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი, მაგრამ მე განა ახლა თვალთმაქცი ვარ? არსებობდე, იგივე ტანჯვაა და თუ მას ემატება სულიერ-ფიზიკურ-მორალური ტკივილი, თუ ემატება ყველაზე საშინელი რამ, – უსიყვარულობა, ან ლამაზი სიყვარულის დასამარება, სჯობს სულაც არ გაჩნდე. ადამიანის ალფაცა და ომეგაც იმედშია, იმედი კი, შენ ხარ უფალო, რწმენაც შენ ხარ, მაგრამ სად ხარ?**!** სად?!! ღმერთო, როგორ მოვიქცე? მე ხომ ვცდილობდი მესწავლა მოსმენით გაგება, გაგებით დათმობა, დათმობით მიტევება, მიტევებით, კეთილშობილება, დუმილით პასუხის გაცემა და მე ეს ყველაფერი შევძელი, ყოველი ღონე ვიხმარე, მაგრამ უკეთესობის ნაცვლად იმედგაცრუება? **/გულამოსკვნილი ქვითინებს. /**

ლადო – წაა... დი... წა... დი... დამტო... ვე... ყველაფე... რი მოკვ... დაა... მოკვ... დაა... მოკვ... დაა... **/უცებ წამოვარდება, პალატის კარებს მივარდება და საშინლად აბრახუნებს. მორიგე ექთანი კარებს აღებს, ლალი უსიტყვოდ გადის პალატიდან. კარები გარედან იკეტება. ლადო აცახცახებული, ხელში ბიბლიით, იატაკზე ჯდება, ზურგით კედელს ეყრდნობა და თვალებს ისე მაგრად ხუჭავს, მის ახალგაზრდა ღაწვებზე, უამრავი ნაოჭი ჩნდება. ამ დროს კი, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, თავის კაბინეტში იძახებს ლადოს მკურნალ ექიმს და სთხოვს ზურა ლადოსთან შეიყვანოს./**

მკურნალი ექიმი – /დერეფანში გამოვიდნენ. დანიშნულების ადგილზე მისვლამდე ზურამ ლადოს მდგომარეობა მკურნალ ექიმსაც ჰკითხა, რომელმაც უპასუხა:/ ბატონო ზურა, როგორც ციხეში, ლადომ აქაც სცადა თავის მოკვლა. ამიტომაც გვყავს იზოლირებული. უცნაური ბიჭია, საკუთარ თავს გმობს, უჯანყდება. ახალგაზრდა ქალი აკითხავს ყოველდღე, საოცრად ზრუნავს მასზე, შეყვარებული უნდა იყოს... სწორედ მან მთხოვა სხვებისგან იზოლირებული გყავდეთო. ცდილობს ცხოვრებას დაუბრუნოს, მაგრამ ლადო ხმას არავის სცემს...

ზურა – ექიმო, როგორ გგონიათ, ლადო გიჟია თუ დეპრესიაში იმყოფება?

ექიმი – საქმე ისაა, რომ არც სრულ ჭკუაზე იმყოფება და არც მთლად თავის გონზეა. **/ექიმი პალატის კარებს აღებს /**ნახავთ და თავად დარწმუნდებით. **/კარების გაღებაზე ლადოს არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. არც შესულებისთვის შეუხედავს. იგი იჯდა ქვის ცივ იატაკზე და კედელზე ზურგმიყრდნობილს, თვალებიდან ცრემლი სდიოდა, ბაგეებით რაღაცას ჩურჩულებდა. თვალები ჭერისთვის მიეპყრო. ზურა უხმოდ უმზერს. ლადო არ იძვროდა. მერე უცებ ხმამაღლა ალაპარაკდა:/**

ლადო: – წამიყვანე, მოდი და წამიყვანე აქედან. მე შენთან უნდა ვიყო, გესმის?! შენთან. წამიყვანე მეთქი! **/წამოხტება. ქვის კედელს გამეტებით ურტყამს მუშტებს. ხელები უსისხლიანდება. სისხლის დანახვაზე თვალებში შიში ჩაუდგება, განწირულის ხმით დაიყვირებს/** სისხლი!!! არა! სისხლი არ მინდა, ეს ხომ მისი სისხლია, სისხლი მომაშორეთ სახიდან, თვალები დამბანეთ, თვალები სისხლით მაქვს სავსე, ველარაფერს ვხედავ, ხალხი არა ხართ? მომაშორეთ სისხლიიი!!!

ზურა – /მიდის ახლოს/ ლადო, შემომხედე, გესმის ჩემი? **/ლადოს სახეზე სიგიჟე, წამში ქრება და საოცარი სიმშვიდე ეუფლება. ღიმილი გადაეკრება წამის წინ მოცახცახე ბაგეებზე. ზურას**

მიაპყრობს მზერას. უცებ ცრემლები ჩამოეღვრება უპეებზე./ ლადო, მცნობ? **/დუმილი/** გთხოვ მიპასუხო, მცნობ თუ ვერა. მე ზურა ვარ, შენი მეზობელი და თანაკლასელი, შენი მეგობარი... შენ გიჟი არა ხარ, მე ამას შენს თვალებში ვკითხულობ, ნათლად ვგრძნობ. გევედრები ხმა გამეცი, მითხარი რამე! **/ზურა ჩაიმუხლებს და დაჟინებით თვალებში უმზერს ლადოს./**

ლადო – /თავს ხრის. აცახცახებული ხელებით ხალათის ღილებს აწვალებს/ მე მოვკალი... მე მოვკალი... ჩემი გული მოვკალი... სისხლი... სისხლის მეშინია, დამმალეთ, სისხლი მომაშორეთ...

ზურა – დამშვიდდი, დაივიწყე რაც მოხდა, გთხოვ. გემუდარები გონს მოეგე, შენ გიჟი არა ხარ. გინდა მართლა შეიშალო? რას მოგცემს თვითგვემა, თავისმოკვლა. წარსულს ვეღარ დავიბრუნებთ სამწუხაროდ. მეც დამნაშავე ვარ იმაში, რის გამოც შენ იტანჯები. თვალი გავუსწოროთ რეალობას, ამაში მე დაგეხმარები. იცი რა უნდა გითხრა? მე სახლში ბაჩი და ლადო მყავს, ჩემი შვილები, ტყუპები, ლადო!...

/ლადო თითქოს უსმენსო, სანამ ზურა ლაპარაკობდა, ხმას არ იღებდა. ზურა დარწმუნდა, რომ ლადო თვითგვემას განიცდის და სურს თავისთავს განაჩენი გამოუტანოს. ამიტომ უფრო შთაგონებით ეუბნება/ ლადო, თუ ჩემი გესმის თავი დამიქნიე, თვალებით მანიშნე, მცნობ? **/ლადო თვალებს გაუსწორებს და ხმამაღლა დაიღრიალებს/:**

ლადო – /გულზე ხელს დაიდებს/ აქა მტკივა... მე ის მოვკალი... არ მინდა სისხლი, ლადო არ მინდა... ლადო მძულს, **/მავედრებელ თვალებს მიაპყრობს ზურას/** – შენ კარგი კაცი ხარ, დამეხმარე, ლადო მოვკლათ, ლადო ბოროტია, მე ის უნდა გავანადგურო... მე გული მომიკლეს, მე ვინ ვარ?.. ეს კაცი, **/ექიმზე მიუთითებს/** ცუდი კაცია, ლადოს მიმალავს, რომ არ მოვკლა, **/ტირის.../**

ექიმი – აი ასეთ ყოფაშია ეს ბიჭი. გამუდმებით ამ სიტყვებს იმეორებს, თანაც მთელი სიზუსტით, სხვებს არაფერს უშავებს, თავისთავს ებრძვის მხოლოდ. როცა ვინმეს სცემენ, მას ეშინია...

ზურა – როგორ თუ სცემენ, ექიმო?!

ექიმი– გიჟები, როცა ერთმანეთს დაერევიან...

ზურა – ჰო, გასაგებია. **/ლადოს მიუბრუნდა/** ვგრძნობ, რომ მიცანი. გემუდარები, მითხარი, რომ გიჟი არა ხარ. გპირდები, ამ მდგომარეობიდან გიხსნი...

ლადო – /მოულოდნელად/ მე აღარაფერს არ ვგრძნობ. მე და ბაჩი მოვკვდით. მე უფრო უბედური ვარ, მე ბოროტი ვარ, ბაჩი ანგელოზია, ის ზეცაშია, მე ჭაობში ვარ, ვიძირები, ვიღაცეები სულზე მექაჩებიან, სული უნდათ წამართვან... წუხელიც ასე იყო, სულს მართმევდნენ, ბაჩი რომ არა, ჭაობი ჩამითრევდა, იმან ამომიყვანა და ასე მითხრა სახლში წადიო. ჰო კიდევ ის მითხრა, რომ შენთან კეთილი კაცი მოვა და ის გაგათავისუფლებს ამ ტანჯვისგანო... **/ცრემლები ღვარად ჩამოსდის უპეებზე/** მე სახლი არ მინდა, არ მინდა კეთილი კაცი, მე სიკვდილი მინდა, ბაჩისთან მინდა... **/საზარლად დაიღრიალა:/** წამიყვანე, ბაჩიიი!... სიკვდილი, გესმით, სიკვდილიიი!... **/ზურას მიაშტერდა/** შენ თუ კეთილი კაცი ხარ, რატომ მიმწარებ სიცოცლეს, რატომ არ მაძლევთ იმის უფლებას, რომ მოვკვდე. არა, შენც ჩემსავით ბოროტი ხარ, შენ ცუდი ხარ, მე შენ სიზმარში არ მინახიხარ, ვინ ხარ შენ?!

ზურა – ლადო, ზურა ვარ, შენი მეგობარი. ბაჩიმ ყველაფერი გაპატია. შენ ის არ მოგიკლავს, ეს უბედური შემთხვევა იყო... **/ჩაილაპარაკებს:/** თუმცა ეს არავინ იცის რა იყო, ეს ალბათ ბოროტი დაცინვა იყო ბედისგან. სწორედ იმ ჩვენი ბაჩის სახელს გეფიცები, მეც დავივიწყე ყველაფერი. ახლა ჩვენ, მე და შენ, უნდა გავუგოთ ერთმანეთს. ნება მომეცი დაგეხმარო...

ლადო – /თვალებს ერთ წერტილს გაუშტერებს, მერე ზურას მიაშტერდება/ შენ ჩემი ზურა ხარ? ბაჩი არ მომიყვანე? აბა გაპატიაო? არა, არ მაპატია ხომ? ვიცი, ვიცი არ მაპატიებს. რომ ეპატიებია აქ მოვიდოდა, ჰო, ჩემს სანახავად მოვიდოდა... **/ხმამაღლა გადაიხარხარებს, წამოვარდება და ანგარიშმიუცემლად კედელს მუშტებს დაუშენს. ისევ გაუსისხლიანდება ხელები. ექიმი ექთანს**

უხმობს, ნემსი გაუკეთეო, ეუბნება. ნემსის გაგონებაზე ლადო თითქოს გონს მოდის/ არა, ის ქალი არ მომიახლოვდეს, ნემსი არ მინდა, არ მინდა დაძინება, იქ ბაჩი მოვა, არ მინდა ბაჩი, არ მინდა რომ მაპატიოს, არ მინდა მითხრას სახლში წადიო. მე სახლი არ მაქვს, მე არავინ არ მყავს, სახლში არავინ არ მელოდება. მინდა მოვკვდე, ბაჩისთან მინდა, იქ, სადაც ის არის და არა სიზმარში...

ზურა – შენ იცი სად არის ბაჩი?

ლადო – ჰო, ვიცი, ბაჩი ზეცაშია. შენ ვინ ხარ, რა გინდა ჩემგან?! **/შეშინებული სახით საწოლის კუთხეში მიიყუჟება/**

ექიმი – საკმარისია ბატონო ზურაბ, ამისგან მეტს ვერაფერს გაიგონებ. აკი გითხარით, არც გიჟია, არც სრულ ჭკუაზე იმყოფება. ის საბრალო გოგო, რომ აკითხავს, ამ სცენებს ისმენს. უარესიც, მას საერთოდ არ ესაუბრება, გარდა იმისა, რომ წადიო, უყვირის. არ ვიცი რა გული აქვს, რა ნებისყოფა და რა სიყვარული. გთხოვთ გამომყვეთ, ამას კი ექთანი მიხედავს...

ზურა – მაპატიეთ, მაგრამ დღეიდან, ნემსს აღარ გაუკეთებთ. მას გათიშვა კი არა, გონზე მოყვანა სჭირდება. ნაცვლად მკურნალობისა, საზიზღარი ნემსებით აბრუებთ, რომ არ შეგაწუხოთ. ასეთებს ფსიქიატრი კი არა, ფსიქოლოგი სჭირდება. თუ მისი მკურნალობის კურსს არ შეცვლით, შემიძლია გიჩივლოთ.

ექიმი – მიჩივლოთ? თქვენი ნებაა. ჩვენ კანონებს არ ვარღვევთ, პირიქით, აქამდე ჩვენი წყალობითაა ცოცხალი. გინდათ, რომ თავი ქამრით ჩამოიკიდოს?!, სხეული დაიკაწროს?! ფანჯრიდან გადახტეს?!

ზურა – თქვენ ბრძანეთ, რომ მხოლოდ საკუთარ თავს ერჩისო. ასეთი ადამიანი სულით დაავადებული არ არის. გიჟები სხვებს ებრძვიან... ასეთები საკუთარ თავს იმიტომ ერჩიან, რომ ახსოვთ რაც შეემთხვათ, დანაშაულის გრძნობას განიცდიან... ხომ ხედავთ როგორ ერევა სინამდვილე და მის მიერ განცდილი ტკივილი ერთმანეთში?

ექიმი – თუკი ასე განაღვლებდათ მისი ბედი, აქამდე სად იყავით? ყველამ მიატოვეთ, გარდა იმ ერთი ქალისა. ის დიდხანს რჩება მასთან, ორთავენი საცოდავად ტირიან. ზღაპრულმა სიყვარულმა ვერ იხსნა ლადო და ფსიქოლოგი იხსნის?

ზურა – ამას თქვენ მეკითხებით? სწორედ რომ სიყვარულმა იხსნა და იმდენად, რომ მართლა არ გადავიდა ჭკუიდან. თქვენ იცით რაა სიყვარული?! სიყვარული ნიშნავს იმ ადამიანის გვერდით მთელი ცხოვრების გატარების დაუოკებელ სურვილს, რომლის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოგიდგენია, რომლის ყველა დადებით თუ უარყოფით თვისებას, საკუთარივით ითავისებ და იბრძვი მისი ბედნიერებისთვის. აი ესაა სიყვარული, ექიმო. ფსიქოლოგი ლადოს მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარებოდა, ერთხელ მაინც უჩვენეთ?!

ექიმი – რა თქმა უნდა, ვუჩვენეთ. დამიჯერე, ლადო სრულ ჭკუაზე არ არის. თქვენი იმედი ამაო ცდაა. საგიჟეში, იმედისა და მოლოდინის დასასრული სიკვდილია. იშვიათად თუ ვინმეს გაუკვალავს გზა ამ ორი ლაბირინთისა.

ზურა – ბატონო ექიმო, სიცოცხლე ულამაზესია, თვით უდიდესი ტკივილის გავლის შემდეგ და ეს თქვენ ჩემზე უკეთ უნდა იცოდეთ. ლადოს მდგომარეობა გაუთვალისწინებელი მოულოდნელობაა. იცით, მოულოდნელობა საშინელი სიზმრიდან გამოღვიძებას ჰგავს, ხოლო საშინელი რეალობის დასასრული, ლამაზ სიზმარს. მე დავასრულებ ლადოს საშინელ რეალობას და ლამაზ სიზმრად ვუქცევ მომავალს. ბედნიერება ის სალი კლდეა, რომლის მწვერვალი ოცნებით თავისკენ გიზიდავს. უდიდესი ნებისყოფა და უნარი უნდა გქონდეს, რომ მასზე მყარი საფეხურები ამოკვეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოცნება, იმედი, რეალობად ვერ იქცევა.

ექიმი – ღმერთი იყოს შენი შემწე მეგობარო, მაგრამ თუ ასეთი სასწაულის მოხდენა შეგეძლო, რატომ გაართულე მდგომარეობა? არ ჯობდა გაუხეშებამდე ამოგეგლიჯა ძირმწარას ფესვი?

ზურა – თუ სიმართლის გაგება გსურთ, მთავარ ექიმს ყველაფერი მოვუყევი რა როგორ მოხდა და ჰკითხეთ. ნამდვილად არ შემიძლია თავიდან გიამბოთ. იმაში კი, რომ ლადოს განკურნება უიმედოა, რომ მას აქედან მხოლოდ მკვდარს გავიყვანთ, ვერ დაგეთანხმებით. როგორც ჩანს, თქვენ ყველა პაციენტს, საგიჟის პოზიციიდან მკურნალობთ, ანუ გაწყობთ პაციენტთა სიმრავლე. აქ შემოსულთ მხოლოდ გიჟის სტატუსს ანიჭებთ და მათ სულში არ იხედებით. ხვალ მოვალ და ლადოს თბილისში წავიყვან სამკურნალოდ. დაგიმტკიცებთ, რომ ლადო სრულ დეპრესიაშია.

ექიმი – მშობლებისგან გარიყული, შენ რისთვის გაიხსენე? ის განწირულია და ამაზე პასუხს ვაგებ. სხვა რომ არაფერი, მან ადამიანი მოკლა...

ზურა – /გაბრაზებით/ აკი გითხარი, მთავარ ექიმს ჰკითხეთ თუ რა მოხდა. ერთეულებისთვის ბოდიში მომიხდია, მაგრამ იმ სიტყვებისთვის რაც ახლა თქვენ, ექიმმა ბრძანეთ, ასე მგონია სისხლის ნაცვლად, წყალი გაქვთ ძარღვებში, გულის ნაცვლად კი, ჯიბე და იმედია მიმიხვდით, რაც ვიგულისხმე... **/დასძენს /**ლადომ შემთხვევით გასროლილი ტყვიით ერთი ადამიანი მოკლა, მაგრამ თქვენ, ასეთ უმწეო და უპატრონო პაციენტებს, მილიონობით კლავთ ალბათ... **/ზურა უსულგულო ექმის ზურგს აქცევს, კიდევ ერთხელ შეხედავს ლადოს და გაიფიქრებს: ღმერთო როგორ მტკივა გული ასეთს რომ ვხედავ. რატომ, რატომ გაგვწირე უფალო ამ დღისთვის, რატომ დააბრუნე ჩვენი ლამაზი მეგობრობის ბორბალი საბედისწეროდ, რატომ?!.. მიდის. ექიმი პალატის კარებს კეტავს... ეზოში გამოსული ზურა ტაქსს აჩერებს და სახლის მისამართს ეუბნება. ტაქსი ნახევარ სათში სადარბზოსთან ჩერდება. ზურა სწაფი ნაბიჯებით აირბენს საფეხურებს. ზურას მომლოდინე ქეთის, წამი საუკუნედ ეჩვენება. ის ბავშვებს ეჩურჩულება:/**

ქეთი – ჩემო ლომებო, ღმერთმა რამხელა ბედნიერება მაჩუქა ქმარ-შვილებისა და ქალბატონი ლენას სახით, მაგრამ ჩემს სულში დრომ ვერ წაშალა ის ზიზღი, რაც განვიცადე. როგორ მინდოდა, რომ ზურა პირველი შემხვედროდა ცხოვრების გზაზე. მართალია მისთვის არაფერი დამიმალავს, მაგრამ... იქნებ ამით დაგვიმტკიცე ღმერთო, რომ სიყვარული ყველაფერზე ძლიერია და თუ იგი სუფთაა, მართალია, წრფელია, დაბრკოლებაც არ არსებობს... **/იღება კარი. შემოდის ზურა. მოცელილივით ჯდება სავარძელში. სახეს ხელისგულებში რგავს./**

ქეთი – /წამოდგება, გაოცებული/ რა მოხდა ძვირფასო, რა სახე გაქვს, ლადო იპოვე?

ზურა – საშინელება ვნახე ქეთი, ნამდვილი საშინელება. ღმერთო! ეს რა მოგვივიდა, ბაბილონის გოდოლივით დავიშალეთ. **/ზურას ცრემლით აევსო თვალები/** მეტი აღარ შემიძლია, ბაჩის დაღუპვა ვერ ვაპატიე ჩემს თავს, ახლა ლადო იღუპება და ისიც ჩემს გამო...

ქეთი – რას ამბობ, როგორ თუ შენს გამო?

ზურა – ჰო, ჩემს თავს ვადანაშაულებ. გონივრულად რომ მივდგომოდი, ეს არ მოხდებოდა. დავიჩემე მესროლე მეთქი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ამას არ იზამდა. არც უსვრია, რაც მოხდა ვიცით... ნეტავი ჯიბრში არ ჩავდგომოდი. ადამიანები სხვის შეცდომებს არ ვითავისებთ, გულსგარეშე ვასამართლებთ, დამნაშავის სულში ღრმად არ ვიხედებით, არ ვფიქრობთ, რომ არიან ძლიერი და სუსტი ნებისყოფის ადამიანები და სუსტთ გარიყვა კი არა, დახმარება სჭირდებათ. ლადომ იგრძნო, რომ ვერ გავუგებდი, არ ვაპატიებდი რაც ჩაიდინა და ამიტომ დამიმალა ყველაფერი. ამიტომაც გაბოროტდა ჩემს მიმართ. აი რაში ვარ დამნაშავე...

ქეთი – არა, ეს ასე არ არის და შენც კარგად იცი. ლადო თქვენს ნერვებზე თამაშობდა. მიუხედავად ბაჩის თავგამოდებული ცდისა, დანაშაულის აღიარებას არ აპირებდა. შენ ხომ შესთავაზე, ქეთიზე უარს ვამბობ თუკი გიყვარსო, მან მასხრად აგიგდოთ ორივე და ეს შენგან ვიცი. ახლა მიპასუხე რაში ხარ დამნაშავე? შენ ალბათ ღვთის გული გიდევს მკერდში, თორემ სხვა შენს ადგილას თავს დამნაშავედ არ იგრძნობდა... იქნებ ჩემზე დაქორწინება მიგაჩნია დანაშაულად ზურა, თუ ეს ასეა...

ზურა – /სიტყვას აწყვეტინებს/ ეგ მეორედ აღარ გაიმეორო, ქეთი! ცეცხლზე ნავთი აღარ დამისხა რადგან, ლამისაა მეც ამერიოს გონება. ლამისაა გამაგიჟოს ბაჩის ასე სულელურად დაღუპვამ. რაც დრო გადის, მით უფრო თავი მეზიზღება იმის გამო, რომ ჩემსა და ლადოს უგუნურებას, ბაჩის სიცოცხლე შეეწირა...

ქეთი – მაპატიე... დამშვიდდი... ცუდად ეპყრობიან ციხეში?

ზურა – ლადო ციხეში კი არა, საგიჟეშია ქეთი.

ქეთი – საგიჟეში? დავით ბიძიამ და რუსუდან დეიდამ ეს იცის?

ზურა – არა. მხოლოდ შენი ბიძაშვილი აკითხავს, ლელა. ერთი წამითაც არ მიუტოვებია არც ციხეში და არც საგიჟეში.

ქეთი – მართლა ძლიერ ჰყვარებიათ ერთმანეთი. ეს ზღაპრული თავგანწირვაა. ახლა მჯერა, რომ ლადო თავის ჭკუაზე არ იყო მაშინ. იცი, იყო ქალი, არსებობაა, იყო დედა, სიცოცხლე, რომ უკვდავყო სიცოცხლე, ქალობისა და დედობის სინთეზირებული ბადაგით უნდა იხელმძღვანელო და მე, შენი სიყვარულით სავსე, სწორედ ამ ბადაგით ვიხელმძღვანელებ. გპირდები, კიდევ ერთხელ, რომ ყველაფერს დავივიწყებ... **/აცრემლდა. სავსე მტევნის დაწურვას ჰგავდა მის ღაწვებზე ჩამოგორებული კურცხალი.../**

ზურა – ჰო, ასე ჯობია, ბოროტებაზე ჯვარს ნუ დავიწერთ. ლადოს შეცდომას ნუ გავიმეორებთ. თუ დამნაშავეს მივბაძავთ, ერთი ლადოდან, ათასი ლადო აღმოცენდება...

ქეთი – მესმის რასაც ფიქრობ. ადამიანის ფიქრები ღრუბლებივითაა. ხან შექუჩდებიან, ხან გაიშლებიან. ხან მზისებრ გამოანათებენ, ხან მიიმალებიან. ფიქრი არაფერში ეტევა. უსამნოა, უჩინარი... რაშია ჩვენი ძალა? რისი ამოცნობა შეგვიძლია ერთმანეთში? არაფრის, რადგან იმ დაფას არასოდეს ვუმზერთ, რომელსაც თვალები ჰქვია... ზოგჯერ უწერია ეს დაფა? არა, მასზე ყოველთვის დიდი ასოებით წერია სული, რომელშიც ზოგჯერ ავდარია, ზოგჯერ დარი... სული უნდა დავინახოთ ერთმანეთის, ჰო, ჩავწვდეთ მის ქვეცნობიერს და არა ფასადური სხეული განვსაჯოთ...

ზურა – შენი პასუხიდან ვგრძნობ, რომ კარგად გამიგე. სიყვარული ხომ ტკივილიანი სულის მალამოა? ნუთუ ვერ შევძელი მისი მოცემა საკმარისად? გარემოებისგან განწირულ, სუფთა სულს, უარყოფა კი არა, თანადგომა და გაგება სჭირდება. არავინაა დაზღვეული ბედისწერისგან. ამიტომ, თავს ვალდებულად უნდა გრძნობდეს ყოველი ერთმანეთის მიმართ და ყოველმა ჩვენთაგანმა, ბედისაგან უარყოფილში, საკუთარი თავი უნდა წარმოიდგინოს. გადაწყდა, ლადო ხვალ თბილისში მიმყავს...

ქეთი – ლელამ იცის?

ზურა – არა. თუ მის მისამართს მეტყვი, ვნახავ და დაველაპარაკები.

ქეთი – რა თქმა უნდა, გეტყვი. ჩვენ თითქმის ერთად გავიზარდეთ. თუმცა დავურეკავ და ყველაფერს ავუხსნი. ვეტყვი ხვალ საავადმყოფოში შეგხვდეს...

ზურა – გმადლობ, რომ ჩემი გესმის. ყავა მოადუღე, დავლიოთ, იქნებ მიშველოს...

ქეთი – მესმის ზურა, მესმის... **/თვალები უწყლიანდება. სავარძელში მჯდომ, ხელისგულებში თავჩარგულ მეუღლეს სიყვარულით გადახედავს და სამზარეულოში ყავის მოსადუღებლად გადის./**

სამი წლის შემდეგ

/ზურას ბინა. ბიჭები სახლს იკლებენ. ქეთი და ზურა ლადოსა და ლელაზე საუბრობენ:/

ქეთი – შენმა რწმენამ ლადო გადაარჩინა ზურა. მართალი აღმოჩნდი. ის საკუთარ თავს ებრძოდა, სინდისი ქენჯნიდა. ლამის გონება დავკარგე როცა ჩვენს წინაშე მუხლებზე დაეცა და შენდობა

გვთხოვა. რატომ არ მომკალიო, გითხრა... **/ამოიოხრებს/** ღმერთო ჩემო, რატომ იწამლავენ თავს ადამიანები ნარკოტიკით, რატომ?! რატომ არ სურთ ნათელი თვალებით შეხედონ სამყაროს. რატომ ამსხვრევენ ჯერ თავისას და შემდეგ სხვა, უდანაშაულო ადამიანების ცხოვრებას. განა ყველას შეხვდება შენისთანა მეგობარი?

ზურა – მთავარი ექიმის კაბინეტში რომ ვიჯექი, ნარკომანთა ნარკოტიკისადმი დამოკიდებულების შესახებ დავუსვი კითხვები და იცი რა მიამბო? თურმე ნარკოტიკის სისტემატური მიღება, ჯანმრთელ ადამიანის ორგანიზმში, კონკრეტულ დისფუნქციებს იწვევს. ნარკომანს უნარჩუნდება ფსიქიკური და ფიზიკური კომფორტი, ხოლო დროთა განმავლობაში, ვითარდება ნარკოტიკისადმი მიჩვევა და მისი სისტემატური მიღება უკვე იძულებით ხდება, რადგან იგი უკვე განპირობებულია ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების სინდრომების ფორმირებით, აბსტინენტური სინდრომით, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტებს უვითარდებათ უეცარი სომატური, ვეგეტატიური და ფსიქიკური დარღვევები. დამახასიათებელია გუნება-განწყობის უეცარი ცვლილებები, დეპრესია, გაღიზიანებადობა, ეჭვიანობა, მრისხანება, ღვარძლიანობა. ლადოს ბოლო დროს ეს ყველაფერი ახასითებდა, ჩვენ კი, ამის დანახვა არ გვიდოდა, რადგან ამას უბრალო კაპრიზში ვუთვლიდით. ვერასოდეს წარმოვიდგენდით მე და ბაჩი, რომ ის ჩვენ რაიმეს დაგვიმალავდა.

ქეთი – ხომ იცი, ნდობას ნდობითვე თუ არ პასუხობენ, იქ მეგობრობა ყალბია. შენ გტკივა ლადო, ტკივილი კი არ არსებობს მეტი და ნაკლები, ის უბრალოდ ტკივილია და მას, ერთი ენა აქვს, ცრემლი. ცრემლები რომ სიხარულად ვაქციოთ, უკან აღარ უნდა მოვიხედოთ და მაშინ უფრო, თუ ის სულისშემძვრელად მტკივნეული იყო. ცხოვრება წინ მიდის უკან მოხედილი გამოცდილებით. თუმცა ზოგჯერ ძალზედ მწარეა უკან მოხედვა...

ზურა – ბაჩიმ სიცოცხლე გამინახევრა, ხოლო ლადოს შემობრუნებამ დამარწმუნა, რომ ვიდრე ძალიან გვიანი არაა, სიკეთესა და თანადგომას, ბოროტების ძლევა შეუძლია. სიკეთისა და კეთილშობილების მომრევი არ დაბადებულა, მას ერთადერთი რამ ებრძვის, შური. მე და შენ კი, ყველა უარყოფით თვისებას, სიკეთე დავუპირისპირეთ და გავიმარჯვეთ, თუმცა ბაჩის შემდეგ ისე ვარ, როგორც ჩაჟანგული ხმალი ქარქაშში.

ქეთი – რატომაა, რომ ეს უსახური ცხოვრება, სულს გვიკლავს და ტყავს გვაცლის?

ზურა – ქეთი, იმიტომ ვიტანჯებით ადამიანები წუთიერ სიცოცხლეში მარადიული ტკივილებით, რომ მოსმენისა და გაგება-თანაგრძნობის უნარი არ გაგვაჩნია. ადამიანები ვერასოდეს ვერ ავხსნით რა ხდება თითოეული ჩვენთაგანის გულში. ადამიანურობის შესაძლებლობების მარაგი ამოუწურავი და გაუთვალისწინებელია. ზოგნი ყველაფერს იკადრებენ, ოღონდაც მოგატყუონ. ლადოს ტყუილმა და ჩემმა მოუსმენლობა-გაუგებრობამ, ჯიბრში ჩადგომამ, ბაჩი იმსხვერპლა. აი ვინ ვართ ჩვენ, გვიან მომნანიებლები და ზოგჯერ არც ამისი შეგნების მქონენი. **/ზურა სიგარეტს მოუკიდებს, ფანჯარას გამოაღებს, ღრმა ნაფაზს დაარტყამს, თვალები ენამება. ქეთი მასთან მიდის, გვერდით დგება. ზურა მხარზე ხელს მოხვევს. ამას ისე თბილად აკეთებს, ქეთი მთელი არსებით გრძნობს მის თანაგრძნობასა და თანამოაზროვნეობას. ულამაზეს ხედს გასცქერიან./**

ქეთი – ზურა, ამქვეყნად ორი რამის მეშინია მხოლოდ, ღმერთის და სიცოცხლის. ღმერთის იმიტომ, რომ ცოდვა არ ჩავიდინო. სიცოცხლის იმიტომ, რომ, სიკვდილმა არ დამცინოს. არადა სიკვდილი, ჩვენს თავზე ხარხარებს, ხოლო ცოდვები, მისი შიშით არ შემცირებულა დედამიწაზე. უფალმა რაღაც სხვა უნდა მოიგონოს ადამიანთა სულ-ხორცისგან ცოდვების განსაწმენდად. ჰო, რაღაც მესამე, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, რომ დედამიწამ შვებით ამოისუნთქოს, რომ არ არსებობდეს ის უბედურებანი, რასაც ადამიანი გვერდს ვერ უვლის. თუმცა, თუკი ვინმეს არ ეშინია სიკვდილის ცოცხალთაგან, – ეს ადამინია...

ზურა – ღმერთი მაშინ ახსოვთ ადამიანებს, როცა სჭირდებათ. ნურავის ნურაფერს დავაბრალებთ, ღმერთმა შესაქმნელი შექმნა და არავითარი მესამე არაა საძებარი. ის ჩვენშია, ადამიანებში, რასაც დრო ჰქვია, ხოლო დრო, თავისით ვერ შეიცვლება, მას ადამინები ამახინჯებენ და ამ სიმახინჯეს, ისევ ადამიანი ჰქვია. ადამიანები იერარქიულ საფეხურებად არიან დაყოფილნი. იყო დრო, როცა ღმერთის ხსენება იკრძალებოდა. ეკლესიაში შესვლასა და ჯვრის ტარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ჩვენ ამ დროს გავუმკვლავდით, უფალს მივეახლეთ, უკუღმა გადაწეული, ცხოვრების წარმართი ისარი, წაღმა გადმოვწიეთ და როცა, ბიბლია გადავშალეთ, სწორედ მაშინ დავიწყეთ ბაბილობის გოდლის შენება, ანუ ისე აირია ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, როგორც სოდომსა და გომორში ზნე და მორალი. „პირველყოფილთა“ ცივილიზაციას საუკუნეები დასჭრიდა, რომ ჩაეცვა. მეორეყოფილთა ცივილიზაციასაც ასევე, რომ გაეხადათ. კვლავ საუკუნეები დასჭირდებათ „მესამეყოფილთ“, რომ გახდილი „ჩაიცვან“... ვის ვაბრალებთ ამ ყველაფერს? უფალს?!... **/ზურამ საათს დახედა. შემობრუნდა. მოკისკისე ბიჭებს ბედნიერად გუღიმა. დივანზე ჩამოჯდა. ქეთი ზურგით მიეყრდნო რაფას და უთხრა:/**

ქეთი – თუკი მართლა სწამთ ადამიანებს სულთა სასუფეველი, უფლის ჭეშმარიტი არსებობა, ჯვარცმა, აღდგომა და მისი შემდგომი წმინდა რიტუალები, რომელსაც ასე რუდუნებით ვიცავთ, მაშინ რა ხდება მათ სულში?! ეშმაკი არ არსებოს, არც გველი, რომ აცდუნოთ. ერთსაც და მეორესაც, სულმდაბლური სიხარბე ჰქვია. თუ უტოპიურ სიგიჟედ არ მიიჩნევ ჩემს სიტყვებს, ადამთა მოდგმა ან სრულიად უნდა განადგურდეს, რომ ახალი, უცოდველი ერა შეიქმნას, ან წინაპრის სისხლისმღვრელი სისხლი უნდა გამოიცვალოს. **/დასძენს:/** თუმცა როგორ უნდა გამოიცვალოს? ვის სთხოვოს ადამიანმა სუფთა სისხლი? თავის გენსა და ჯიშს? რომ არ გააჩნიათ მათ ასეთი სისხლი? **/ზურასგან მოულოდნელად ხმამაღლა წამოიძახებს/** არა, არა, არა! არ გააჩნიათ და კაცობრიობამაც ამიტომ თავისთავი მოსპო... გაანადგურა... სიკეთე და კეთილშობილება მცირე კუნძულია, ხოლო ბოროტება და ბოროტმოქმედნი, უკიდეგანო ზღვებია...

ზურა – მოდი მოვრჩეთ ამ უაზრო ფილოსოფია-უტოპიას. ხვალ ბაჩის დაბადების დღეა. სასაფლაოზე ვიკრიბებით, ხომ წამოხვალ? ლელაც იქ იქნება. ის მალე დედა გახდება. ამიერიდან ჩვენ ისევ ერთ ოჯახად უნდა ვიქცეთ ბაჩის პატივსაცემად. მწარე წარსულის წაშლას თუ ვერ შევძლებთ, ბედნიერ მომავალზე ფიქრი გაგვიჭირდება. აბა რას მიპასუხებ?

ქეთი – არაფერს, მხოლოდ გკითხავ, ლადომ მართლა გადაწყვიტა ეკლესიის მსახური გახდეს?

ზურა – როცა განიკურნა, მისი პირველი სიტყვა ის იყო, ლელას გააბედნიერებდა, ეკლესიის მსახური გახდებოდა და მთელი ცხოვრება ბაჩის სულისთვის ილოცებდა. მან მთელი ის ორი წელი, რაც ციხეში იჯდა, ბიბლია თითქმის დაიზეპირა. ისე მესაუბრა ბიბლიიდან მოტანილი ციტატებით, გაოცებასა ვარ. ჩემს მოძღვართან მივიყვანე. აღსარება ჩააბარა და ზიარებაც მიიღო. ჰო, ხვალ ბაჩის სასაფლაოზე ვიკრიბებით ყველა. დილით სამსახურში წავალ. თორმეტისთვის თავს გავითავისუფლებ და პირდაპირ სასაფლაოზე ამოვალ. შენ შეგიძლია მარტო წახვიდე? ტაქსი გამოიძახე...

ქეთი – კი, წავალ. ისედაც მინდოდა ჩემს უბედურ ბედთან, უბედურად დაკავშირებულ ბაჩის სასაფლაოზე მარტო მივსულიყავი და ორიოდ სიტყვა მეთქვა. მე ხომ მისი სიკვდილი ვარ. **/ცრემლი ერევა./**

ზურა – იცი, მინდოდა რაღაც დამამშვიდებელი მეთქვა, მაგრამ ისეთი რამ თქვი, სული გამეყინა. ჰო, ჩვენ, ყველა, ერთმანეთის ან ბედნიერება ვართ, ან უბედურება, ან საერთოდ არაფერი, რადგან არ არსებობს შუალედი ადამიანის ცხოვრებაში. არსებობს მხოლოდ ალფა და ომეგა, რომელშიც ისე ვმოძრაობთ, ვით თევზი აქვარიუმში...

ქეთი – მეც მეჩვენება, რომ ჩვენი ცხოვრება არარეალურია. თითქოს ცუდ სიზმარში ვიმყოფებით, თუკი რაიმე კარგი მოხდება, ეს გამოღვიძებაა, რასაც წამიერად რეალობაში მოხვედრა ჰქვია, მერე კი, ისევ ვიძინებთ და ტკივილებში ვხცოვრობთ.

ზურა – და ახლა სად ვიმყოფებით? სიზმრად თუ რეალობაში?

ქეთი – ახლა რეალობაში და აღარასოდეს დავიძინოთ ისე ღრმად, რომ კოშმარებმა დაგვტანჯოს.

ზურა – იცი, „მითი, ღმერთების ისტორიაა. ის გვიხსნის რატომაა ცხოვრება ისეთი, როგორსაც ჩვენ ვხედავთ“, მაგრამ იმას ვერ გვიხსნის, ჩვენ როგორები უნდა ვიყოთ ამ ცხოვრებაში. გეთანხმები, ზოგჯერ ისეთ საოცარ სიზმრებს ვნახულობ, ღმერთს საყვედურს ვეუბნები, ძილი მაინც მოგვეცი მშვიდი მეთქი.

ქეთი – ეფემერაა ცხოვრება. ვჩნდებით, ვქრებით, ვუჩინარდებით. საოცრებებს ვქმნით ყველა დარგსა თუ ჟანრში, მაგრამ ჩვენვე ვანადგურებთ ყოველივე საუკეთესოს რაც შეგვიქმნია. ყველაზე გონიერი „ცხოველი“ გვიწოდა ბუნებამ. ზღვარდაუდებელი გონიერება იგივე უტოპიური ფანატიზმია, რაც სამყაროს დაღუპავს. ნათქვამია: ადამიანი მოსპობს საკუთარ თავსო და დღეს, სწორედ ეს ხანა გვიდგას. რკინისხელება, რობოტული. ადამიანები ერთობიან საკუთარი გამოგონებებით. ისინი ისე თამაშობენ უმეცარ ადამიანთა არსებობაზე, როგორც ბავშვი თოჯინით, რომელსაც ხან ხელს მოაგლეჯს, ხან ფეხს და საბოლოოდ გაანადგურებს, რადგან მას არ ესმის თოჯინას ტკივილი. ჩვენ ყველა მარიონეტები ვართ ძლიერთა ხელში, რომლებსაც ხელეწიფებათ ჩვენი მართვა.

ზურა – ჰო, არავინ იცის რაა ამ სამყაროს სუბსტანცია, ანუ მისი საფუძველი. ადამიანთაგან დღემდე ვერავინ ამოხსნა სიცოცხლის არსი. არავინ იცის არც ეს ქვეყანა და არც ის ქვეყანა, რომლიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა. ზოგისთვის სამყარო გამოცანაა, მისტიკაა, საოცრებაა, ზოგისთვის კი, უბრალოდ ბუნება და მასში შემავალი ყოველი ხილვადი საგანი თუ მოვლენა. იცი, ფილოსოფოსი და რომანტიკოსი მუდამ ბავშვებად რჩებიან, რადგან ისინი არასოდს კარგავენ გაოცების უნარს. ყველაზე საბრალოა ის, ვისაც გაოცების უნარი არ გააჩნია...

ქეთი – ადამიანი თავისი ბუნებით რაციონალისტია. ის ცდილობს შეიცნოს არა მხოლოდ საკუთარი თავი, სრულიად სამყარო, რაც ვერავინ ვერ შეძლო. ერთხელ ვთქვი, რომ სამყარო ცოდვილთა თეატრონია. ცოდვილნი კი, ჩვენ ვართ, ადამთა მოდგმა. ხშირად ვფიქრობ, არის თუ არა ისეთი პლანეტა, სადაც არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც არ იციან რაა სიკვდილი, ტკივილი, ცრემლი, ტანჯვა, შეურაცხყოფა, ღალატი, სადაც არ არსებობენ მდიდარნი და ღარიბნი, სადაც ყველა თანასწორუფლებიანი და ბედნიერია? როგორ მინდა წამით ასეთ პლანეტაზე მოვხვდე და დავინახო მათი ურთიერთობა, მათი გრძნობები, ერთმანეთისადმი ურთიერთდამოკიდებულება. ერთხელ მითხრეს, სრული სიკეთე და სრუყოფილი ბედნიერება რომ არსებობდეს სამყაროში, სამყარო დამყაყდებოდაო. ნუთუ არსებობის არსს, დრამატულ, ტრაგიკულ და კომედიურ სახეცვლილებაში ხედავენ? დავიჯერო ბედნიერს არ შეუძლია უფრო საინტერესო რამ მოიგონოს არსებობისთვის, ვიდრე ბოროტება, ვიდრე ღალატი, დამცირება და სხვა უბედურებანი? დავიჯერო ბაჩის სიკვდილი უფლის გეგმა იყო?

ზურა – არ მინდა უფლის კანონებში ჩავერიო, მაგრამ გეთანხმები, ჩემო გენიოსო. დიახ, ჩვენ ერთმანეთის ტკივილის საზიდი ურემი ვართ, რომელშიც ჩვენივ სულ-ხორცია შებმული. რატომ უნდა ეზიდა ლალის ლადოს სიყვარული ტვირთად? ლადოს, – ბაჩის სიკვდილი? შენ ორთავე, – ლალი და ბაჩი, ხოლო მე, – ყველა თქვენთაგანი? ლადო არ იყო ცუდი მეგობარი მანამ, ვიდრე მასზე დაწერილი ბედის ბორბალი უკუღმა არ დატრიალდა. ამის დაჯერება სიგიჟეა? ცრურწმენაა? ჰო, ეს სიბეცეა, მაგრამ მეორეს მხვრივ ასე რომ არ ირწმუნო, მართლა შეიშლები. შვებას გგვრის როცა დარწმუნებული ხარ, ღმერთის ხელი ურევია შენს მიერ ჩადენილ ცოდვებში, როცა გწამს, ასე გეწერა, მაგრამ ვერავინ ვერ გვცემს პასუხს, რატომ გვიწერს ღმერთი ამ განსაცდელს. არსებობენ ცოდვილნი და შესაძლოა ვიფიქროთ უფალმა მიუზღო ცოდვების სანაცვლოდ, მაგრამ მე ცოდვილი ვიყავი? ან შენ, ლადო, ლალი? ნუთუ ყველა ასე საშინლად ცოდვილები ვართ? ბაჩი კიდევ იმდენად ცოდვილი იყო, რომ სიცოცხლე წაართვა? ვინ წერს ქეთი ჩვენი არსებობის სცენარს, ვინ?!

ქეთი – ჭეშმარიტების პოვნა ყელას შეუძლია, ვისაც მთელი გულით სურს. ამისთვის უნდა გააჩნდეს ის უდიდესი იარაღი, რასაც სამართლიანობა და რწმენა ჰქვია.დღეს ჩვენ ძალიან ცუდ დროში ვცხოვრობთ. არც ერთი საუკუნე არ იყო ისე მაღალგანვითარებული ტექნიუკური თვალსაზრისით, როგორიც ოცდამეერთეა. მეცნიერებამ ბევრი რამის გაშიფრვა შეძლო სამყაროში, მაგრამ ვერ ჩასწვდა სიცოცხლის უკვდავების არსს, ვერ შეძლო ვერანაირი მეცნიერებებით, გარდაცვლილს სასიცოცხლო სული შთაბეროს იესოსავით. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ბაჩი ახლა ჩვენს გვერდით იქნებოდა. რატომ? რატომ არ შეგვიძლია ადამიანებს ამის გაკეთება?!

ზურა – მგონი ღრმა ფილოსოფიაში გადავიჭერით, რაც უძირო ოკეანეა. შენი კითხვის პასუხი კი, მხოლოდ უფალმა იცის. ფილოსოფია ცხოვრების ნათელი მხარეა, მაგრამ აქ, შუქი შენ ხარ, ადამიანი. მას ხედავ, რისი დანახვაც გსურს. მატერიალიზმი კი პირიქითაა, მასში არის ისეთი რამ, რისი დანახვაც არ გვინდა. ახლა მე და შენ, უფრო კი შენ, **/ხუმრობა სცადა ზურამ,/** ხვალ არ გსურს ბაჩის სასაფლაოზე წამოსვლა, რადგან არ გინდა დაინახო ლადო.

ქეთი – არც მთლად მასეა ზურა. სამწუხაროდ გულს ისე ფართოდ ვერ გააღებ, რომ იქ ყველას ადგილი აღმოჩნდეს. რაკი ზეციდან მოთმინება გვიბრძანეს, უნდა მოვითმინოთ. კარგი, შევთანხმდით, ხვალ ადრე წავალ სასაფლაოზე. მინდა მარტო ვესაუბრო ბაჩის.

ზურა – ბავშვებს და დედას რუსუდან დეიდა და დავით ბიძია მანქანით ამოიყვანს...

სურათი მეხუთე:

სასაფლაოზე...
/ბაჩის დაბადების დღე/

/უზარმაზარი მუხის ჩრდილქვეშ თეთრი ნივა გაჩედა, საიდანაც ლადო გადმოვიდა ხელში წითელი მიხაკებით და ბაჩის სასაფლაოსკენ წელმოწყვეტით დაუყვა. ჭიშკარი შეაღო და იმ ადგილისკენ წავიდა, დედამ რომ აუხსნა. ულამაზეს მინდვირის ყვავილებში იყო ჩაფლული მარადისობის სავანე. აქ ისე ყვაოდა ყველა ხე, სამოთხის ბაღი გეგონებოდა. ასიოდე მეტრი გაიარა. შავი მარმარილოთი მოპირკეთებულ საფლავთან შედგა. დედისგან მინიშნებულ საფლავს დაუწყო თვალებით ძებნა და უცებ თვალთ დაუბნელდა, ბაჩის მომღიმარი სურათის წინ იდგა. ზაზას ნახატი იცნო. მუხლი მოეკვეთა. გული გამალებით უცემდა. თავს სძლია, ნაბიჯი გადადგა, შიგ გადავიდა, – საფლაზე. მუხლებით მიწაზე დაიჩოქა და ყვავილები მკერედზე დააწყო. ცრემლები ჩამოეღვარა თვალთაგან. აჩურჩულდა:/

ლადო – ჩემო ბაჩი, გავბედე ბიჭო! ხედავ? შენს წმინდა „სასახლეში“ ჩემი უწმინდური ფეხი შემოვდგი. რა გითხრა? თავი ვიმართლო? არა! ეს იმაზე დიდი ნაძირლობა იქნება, რაც ქეთის, შენსა და ზურას წინაშე ჩამიდენია. ვიცი ღირსი არა ვარ აქ ყოფნის, მაგრამ ყველაფერი ზურას ბრალია. ჰო, მისი ბრალია აქ რომ ვარ და ცოცხალი რომ ვარ. მითხარი, რა გითხრა. შენ ხომ მუდამ ჩემი ჭკუის დამრიგებელი იყავი, ხომ გამაფრთხილე, რომ სინანული გვიანი არ დაგირჩესო... დამირჩა და ეგაა ბიჭო! მართლა არ ვიცი რა მომივიდა. განა გაგიმეტებდით? განა მართლა გესვროდით? მაგრამ სატანა შემიძვრა სულში და იმ დღეს ისევ მოვწიე. ჰო, უნდა ვაღიარო, თქვენ გიმალავდით, რომ თავი დავანებე, მაგრამ ასე არ იყო. უცებ ვერ გადავეჩვიე. ვერც პატიებას გთხოვ და ვერც შენდობას, თუმცა ეს უკვე გააკეთეთ. მე, ვინაც ახლობლები, მშობლები, საუკეთესო მეგობრები ფეხებზე დავიკიდე, ყველა იმათგანმა არ მიმატოვა, არ დამივიწყა. როგორ მინდოდა შენთან წამოსვლა, მაგრამ არც ციხის და არც საავადმყოფოს პერსონალი მარტო არ მტოვებდნენ. ზურა შენი სახელით გამომეცხადა ბიჭო და ამქვეყნისკენ შემომაბრუნა, თუმცა არ ვიცი ღირს თუ არა ჩემი

სიცოცხლე აწი. არ ვიცი უშენოდ როგორ ვიარსებო სრულ გონებაზე მყოფმა და თანაც დანაშაულის გრძნობით. დღეიდან მხოლოდ ღმერთის სამსახურში ვიქნები და შენი სულის მოსახსენიებლად ვილოცებ. **/ლადო ისე ეფერება მიწას, თითქოს მეგობრის ქოჩორს ეხებაო თითებით/** ჩემი სიცოცხლე სიკვდილის ნატვრის ტოლფასია, ეს წარუშლელი დაღია უსინდისობის. ერთს გულით გთხოვ, წამიყვანე შენთან, რამეთუ მაინც შენთან ვარ ჩემი ფიქრებითა და არსებით. ვიცი ახლა ზეციდან მიმზერ და გეცოდები. ვიცი გინდა მითხრა, რომ მე შენი სიკვდილი არ მინდოდა, მაგრამ რაც მოხდა იმას რა ვუყო?! ვისაც ვემუქრებოდი მოგკლავ მეთქი, იმან სიკვდილს გადამარჩინა ბიჭო!... **/ტირის, მხრები უცახცახებს/** ჩემო ბაჩი, მე შემინდეს, აღსარება ვთქვი, მაგრამ ღმერთმაც რომ მაპატიოს, საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებ რაც ჩავიდინე. ამოშანთულ დაღად დამრჩება სისხლი ადამიანისა, – ცოდვა შეუნდობელი... **/ცრემლად იღვრება. სწორედ იმ დროს, როცა ლადო ბაჩის სასაფლაოში გადავიდა და მიწაზე დაიჩოქა, ქეთიმ სასაფლაოსკენ გადაუხვია. მანქანა რომ დაინახა, მიხვდა ვინც იქნებოდა. ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა სასაფლაოს. იქვე, წითელი ვარდებით გადაპენტილ ბუჩქთან დადგმულ მარმარილოს ლოდზე ჩამოჯდა და ყური მიუგდო ლადოს აღსარებას. ბედისაგან დაჩაგრული მამაკაცის წრფელმა ცრემლებმა და აღიარებამ გული მოულბო. დაარწმუნა, რომ ის ზნედაცემული არაკაცი კი არ იყო, არამედ გარემოებისა და გაუფრთხილებლობის, უგუნურების, გამოუცდელობის მსხვერპლი. კურცხალი დაუგორდა ღაწვეზე. ისევ გაისმა ლადოს ხმა:/** ბიჭო, ბაჩი, შეცდომაცაა და შეცდომაც, მაგრამ შენსა და ქეთის წინაშე ჩადენილს რა სახელი ვუწოდო? იცი, ცოდვა ისაა, ვინც შეგნებულად სცოდავს, მაგრამ უბედურია ის, ვინც არ იცის რას სჩადის. **/უცებ დაიყვირებს:/** რატომ?! რატომ?! რატომ?! **/და გულამოსკვნილი, მკერდით ემხობა მიწაზე. ქეთის ღაპაღუპით ეღვრება ცრემლები. მეტის მოცდა აღარ შეეძლო, წამოდგა, თეთრი, მინდვრის ნაირფერი ყვავილების თაიგული საფლავთან მიიტანა და ლადოს მიხაკების გვერდით დადო. ლადო მოულოდნელობისგან შეკრთა, წამოიწია, მუხლებზე ხელები შემოიხვია და თავზე წამომდგარ ქალს თვალი ააყოლა, მერე მზერას აჰყვა, წელში გასწორდა და გაოცებულმა წამაოიძახა:/** ქეთი?! შენ?! **/არ იცის რა ქნას. სიტყვებს ვერ პოულობს/**

ქეთი – ჰო, მე ვარ. დამასწარი მოსვლა. არადა მინდოდა ხმამაღლა მეტირა, მებღავლა მარტოს. გადმოდი სასაფლაოდან, ტანსაცმლიდან მიწა ჩამოიფერთხე. **/ლადო გადმოდის, ქეთი აგრძელებს:/** იცი რა დასკვნამდე მივედი? შენი უბედურების და ბაჩის სიკვდილის მიზეზად, მე შემქმნა უფალმა, მაგრამ ის ვერ გავიგე, ზურას ბედნიერებად როგორ მაქცია. არა ლადო, უკვე დავრწმუნდი, რომ შენ დამნაშავე კი არა, ცოდვა ხარ, მარიონეტი ყოვლისშემძლის ხელში, რომელიც ჩვენით ისე თამაშობს, როგორც აკვანში ყრმა, აკვნის სახელურზე ჩამოკიდებული სათამაშოებით.

ლადო – დამცინი? ეს ყველაზე დიდი სასჯელი იქნება ჩემთვის. მე ხომ მუხლებზე დავეცი შენს წინაშე, როცა ერთმანეთს შეგვახვედრეს და ყველას თანდასწრებით გთხოვე მოგეკალი, მაგრამ...

ქეთი – მაგრამ არ დაგცინი ლადო. ჩვენ, ყველას, ჩვენგან დამოუკიდებლად ისეთი ძალა გვმართავს, თავს ვერ ვართმევთ, უნებლიედ ვემორჩილებით. განა იუდას სურდა მისი სახელი მოღალატის სიმბოლოდ ქცეულიყო? ის ხომ თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი ჩვეულებრივთაგანი იყო?

ლადო – მას ეყო ვაჟკაცობა და თავი ჩამოიხრჩო, მე კი, ესეც არ გამომივიდა. არ ვიყავი თქვენგან პატიების ღირსი, არა!

ქეთი – რაც მოხდა, წარსულში დარჩა, წარსული კი მკვდარია, ნუღარ გავაცოცხლებთ, მით უმეტეს, თუ იგი დრამატული ან ტრაგიკულია. რაკი გვწამს უფალი, ბედისწერა, ყველაფერი უფალს და ბედისწერას დავაბრალოთ და გული დავიმშვიდოთ. **/ჩაეღიმება/**

ლადო – ამით იმის თქმა გინდა, რომ უფლის გეგმაში შედიოდა ყველაფერი რაც გამოვიარეთ თითოეულმა ჩვენთაგანმა? **/ადგილზე მიმოდის. ხან სახე შეეჭმუხნება, ხან მრავლისმეტყველად ჩაეღიმება, ხანაც ცრემლებით აევსება თვალები. უცებ შედგება და წამოიძახებს:/** არაა! არ

მწამს მე ასეთი ბედისწერის! არ მიმაჩნია ღვთიურად ადამიანის სულსა და სხეულზე უფლისგან დანასობანას თამაში. განა მარიონეტები ვართ, რომ ხელ-ფეხზე ძაფებმობმული გვმართოს ყოვლისშემძლემ?!

ქეთი – ლადო, მორწმუნენიც და ურწმუნონიც, საკუთარ დანაშაულსა თუ მიღწევაში, უფალს ან ადანაშაულებენ, ან მადლიერებას გამოხატავენ მის მიმართ. ბიბლია ხომ წაიკითხე? მასში წერია, რომ უფალი ბრძანებს: „გეშინოდეთ ჩემი“. დიახ! ეშინიათ ღმერთის ბრმა ადამიანებს და რაც მათ თავზე ხდება, ღვთის განაჩენად მიიჩნევენ. შენ რისი გეშინია?!

ლადო – იცი, როცა გავათვითცნობიერე რა ჩავიდინე, სიცოცხლის შემეშინდა, დარჩენილი სიცოცხლის, რადგან თავი ვერ მოვიკალი. ერთი რამ, რამაც თვითმკვლელობაზე ხელი ამაღებინა, ეს ლალის მიერ ციხეში მოტანილი ბიბლია იყო. დაჟინებით მთხოვა წამეკითხა და მხოლოდ მასზე მეფიქრა. თუ ამას არ გააკეთებ, ჩათვალე აღარც მე ვარსებობ შენთვისო. მიუხედავად, მაინც ვცადე ბაჩისთან წასვლა, მაგრამ უფალმა ჩემი დანაშაულის მოსანანიებლად, სიცოცხლითვე დამსაჯა. ჰო, ვეცნობოდი ბიბლიას და ვფიქრობდი თუ რა არარაობანი ვართ ადამიანები. როგორ გვიძნელდება სიკეთის ქმნა, უფლის მცნებების ასრულება და როგორ გვიადვილდება წუმპეში თავდაყირა ჩაყურყუმალავება. იმასაც მივხვდი თუ როგორ ურთიერთგამომრიცხავ აზრებს ვექვემდებარებით ადამიანები. ახლა ისეთ რამეს გაგიმხელ, რაც არასოდეს არავისთვის მითქვამს. კარგი ცხოვრება და საუკეთესო მშობლების ამაგი, ცუდად გამოვიყენე. მეგონა ფულს ყველაფრის გაკეთება შეეძლო.

ქეთი – ფული რა შუაშია?

ლადო – არის! არის და მერე როგორ! ზურას და ბაჩის ძმებად მივიჩნევდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათზე მეტი ვიყავი. უფრო თავისუფალი, უფრო მდიდარი, გავლენიანი მშობლები... მე მათსავით ცხოვრება ფრჩხილებით არ მომიბოჭავს. როცა საზაფხულო არდადეგებზე ზურა და ბაჩი მიმტანებად მუშაობდნენ, მე სწორედ იმ დროს დასასვენებლად მგზავნიდნენ მშობლები სხვადასხვა ბანაკებში. აი ის, შენი მეგობარი ნანა, ბანაკში გავიცანი. იქ დამიძმაკაცდნენ გზასაცდენილი ბიჭები, რომლებმაც დამიყოლიეს ჯერ პლანი მომეწია, მერე მარიხუანა და ასე მონაცვლეობით. მშობლებს უხაროდათ, რომ მათი შვილი ბედნიერი იყო, მაგრამ მე არ ვიყავი ბედნიერი, მე მაშინ სწორედ ბაჩისთან და ზურასთან ერთად მინდოდა მუშაობა. მამაჩემმა, მაგისი გასაჭირი არ გვაქვს შვილო, ანუ არ იკადრა ბიზნესმენმა მის შვილს მიმტანად ემუშავა, ამას არასოდეს ამბობდა, მაგრამ ვგრძნობდი. აი სად დავშორდი ზურას და ბაჩის და სად ჩამივარდა კოვზი ნაცარში. **/ჩაიმუხლა. მუხლებზე ხელები შემოიხვია, შუბლით მუხლისთავებს დაეყრდნო. მხრები აუცახცახდა. ქეთის რაღაც ჩაწყდა მკერდში, ახლა ნამდვილად შეებრალა, რადგან ნამდვილი სახე გამოაჩინა ლადომ. მხარზე ხელი დაადო, წამოდექიო, თხოვა. ლადო წამოდგა, ქეთის გვერდით ჩამოჯდა. ქეთიმ მზერა მიაპყრო და უთხრა:/**

ქეთი – რამდენადაც ზურასგან ვიცი, დავით ბიძიას ყველაფერი პატიოსანი შრომით აქვს შეძენილი. სოფელი გაქვთ, ვენახი... ფიზიკურ შრომას არ თაკილობენ შენი მშობლები...

ლადო – შეცდომა სწორედ ამაშია ქეთი. ისინი არ თაკილობდნენ და მე, ჩხირი რომ გადამეადგილებინა, იმის ნებას არ მაძლევდნენ. ჩემთვის ყველაფერი ზეციდან ცვიოდა. მე ფულში ჩაფლულს, ზოგჯერ მშურდა კიდეც, როცა ბაჩი და ზურა ბედნიერი ღიმილით იტყოდნენ, რომ „ჩაევიე“ მოგვცესო. ზურა მარტოხელა დედას გვერდში ედგა, დედ-მამით ობოლო ბაჩი კი, უფროს ძმას. მე? ვინ ვიყავი მე სხვის თვალში? ერთი გაზულუქებული, დედიკოს ბიჭი? არა! არ მინდოდა ასეთი ვყოფილიყავი და სწორედ ამიტომ დავუმეგობრდი ჩემი ეზოს ყველაზე ხელმოკლე ბიჭებს. არამზადა არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ რატომღაც ყოველთვის რაღაც მაკლდა და ეს რაღაც, შინაგანი თავისუფლების, დამოუკიდებლობის წყურვილი იყო. ბაჩის და ზურას დამოუკიდებელმა ცხოვრებამ

სიფრთხილე ასწავლა, მე კი ფუფუნებამ, თვალები ამიხვია, საკუთარი გარემო შემიქმნა, – ცივი, უსისხლხორცო, ამაყი და ამპარტავნული, თუმცა გონიერება მყოფნიდა ეს არ გამემჟღავნებინა.

ქეთი – და თუკი ამას ასე გრძნობდი, განიცდიდი, ბაჩის და ზურას კვალს რატომ არ დაადექი დამოუკიდებლად და რატომ აირჩიე წუმპე? ან ფული, სიმდიდრე, მშობლების მდგომარეობა, დავიჯერო მართლა ხელს გიშლიდა იმად ჩამოყალიბებულიყავი, რასაც ოცნებობდი?

ლადო – მამა სულ დაკავებული იყო, ჩემთვის არ ეცალა. ის ჩემს ბედნიერ და უზრუნველყოფილ მომავლს გეგმავდა, უფრო, აგებდა. დედა კიდევ დილიდან საღამომდე სამსახურში იყო. საღამოს კი, ყველა ჩვენს-ჩვენს კომფორტულად მოწყობილ ოთახებში ჩავიკეტებოდით და საჭიროების შემთხვევაში გამოველაპარაკებოდით ერთმანეთს. მე მდიდარი მამა კი არა, მამისგან მოფერება, სიყვარული, მეგობრობა, გაგება და კაცობის ჩაგონება მინდოდა, როგორც ლენა დეიდა ასწავლიდა ხოლმე ზურას ყველაფერს და როგორც ზაზა შთააგონებდა ბაჩის კაცურ კაცობას. მდიდრები კარჩაკეტილი იდოტები არიან, მშიშრები, კარზე და სეიფზე ბოქლომდადებულები და კარის სათვალთვალო მინაში შიშით მოჭვრიტინენი, რომ ვინმენ ტყვია არ ესროლოს. მდიდრები ბედნიერები არ არიან, ისინი ბინძური ფულის გროვის ხუხულა არიან, ბუტაფორიები და მეტი არაფერი. შენი ბიძაშვილი ლალი იცი რატომ შემიყვარდა? მე ღარიბი ვარ და შენი მშობლები არ მიმიღებენო, მითხრა. თუმცა ჩემი მშობლები ამას არ გააკეთებდნენ, ეს ვიცოდი. ქეთი, ყველაზე მაღალ, ღირებულ კუპიურას, წყალი ნაფლეთებად აქცევს. ასე ემართებათ ფულისგან გაზულუქებულ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ცხვირის იქით, ვერავის ხედავენ. იცი ერთხელ რატომ არ ასესხა მამაჩემმა დიდი „კუში," – მაპატიე, – თანხა, მის თანამშრომელს? მაგას ხელფასი თვიდან-თვემდე საჭმელში არ ყოფნის და როგორ გადამიხდისო. აი რატომ მწყდება გული სხვის თვალში ჩემს საუკეთესო მამაზე. მდიდრებს და ბიზნესმენებს კი, ოჯახში დაპატიჟებდა, დაპაჭკულ მწვანეებს გამოუტანდა, რაც ზიზღს იწვევდა ჩემში ბინძური ფულისადმი. ეს არც ზურამ იცის და არც ბაჩისთვის მითქვამს. მათთვის ჩემი დედ-მამა მეორე მშობლები იყვნენ და ასეც დარჩებიან, რადგან ისინი მართლა ჩემსავით უყვარდათ. იმედია...

ქეთი – იმედია არა, დარწმუნებული იყავი, რაც მიამბე, ჩვენში მოკვდება. სამწუხაროდ წლებს უკან ვერ დავაბრუნებთ, რომ მერე ისე მოვიქცეთ, როგორც გვსურდა წარსულში მოვქცეულიყავით. სამყარო ცრუ გრძნობებითა და ხედვებითაა სავსე. არ ვიცი ჩვენ ვართ მისი ილუზია თუ ის, ჩვენი. ადამიანები, ჰორიზონტალურ მავთულზე გაკიდული წვიმის წვეთები ვართ. წინაც და უკანაც, მხოლოდ უსასრულობაა. მანამ ვარსებობთ, ვიდრე მზე ამოვა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბედნიერება სწორედ მზის ამოსვლამდე არსებობაა. ამ არსებობისთვის სადღაც მიცოცავ, იბრძვი, თავი ბუმბერაზი გგონია და საკმარისია მზის ერთი სხივი, რომ გაქრე. მზე სამყაროსთვის სიცოცხლის სიმბოლოა, წვეთისთვის კი, სიკვდილი. ყოველი ბრძოლისა და ბედნიერების ბოლოში არა მარადიულობა, სიკვდილია...

ლადო – რა ლამაზად მსჯელობ ქეთი. თავი მავთულზე გაკიდულ წვეთად წარმოვიდგინე. ნეტავი მზედ იქცე და იმ წვეთივით გამაქრო. ახლა იმ ადამიანებთან შეხვედრა მიჭირს, ვინც არ მიმატოვა. ასე მგონია, სატანა ვარ...

ქეთი – შენ, რომელმაც ბიბლია ალილუიასავით შეისწავლე, სატანა ვერ იქნები...

ლადო – თუ რაიმე იცის ამქვეყნისა, სწორედ სატანამ იცის. ის თვით უფალს ებრძვის. თვით ბიბლიაში არის ბრძოლა კეთილ და ბოროტ ანგელოზებს შორის. ეს კი არ მესმის. ჰო, ვერ გავიგე არ სურს, თუ მართლა არ შეუძლია ყოვლისშემძლე უფალს ბოროტების განადგურება და სიკეთის დამკვიდრება სრულიად სამყაროში? ნუთუ ბოროტებაც მის მიერ შექმნილი მრავალფეროვნების ნაწილია, რომელიც ართობს, ახალისებს და ახარებს?

ქეთი – ლადო, მე ფილოსოფოსი ვარ. რაც უფრო მეტს ჩავუღრმავდი ადამიანის გაჩენის, სამყაროს შექმნის, მასში არსებული ყოველი ცოცხალი ორგანიზმის კვლევას, მით უფრო ლაბირინთში

ამოვყავი თავი. ჩვენ ის ძალა არ გაგავაჩნია, რითაც ირგვლივ არსებულ დაბრკოლებებს გადავლახავთ, ან სამყაროში არსებულ ბუნებრივ ცვლილებებს, შიშველი ხელებით შევცვლით. თურქი მწერალი ქალი, ელიფ შაფაქი, თავის რომანში, სიყვარულის ორმოცი წესი, წერს: „ღმერთი შენს სრულყოფას ცდილობს. გარეგანი სრულყოფაც იგულისხმე და შინაგანიც. ის მთლიანად შენითაა დაკავებული. ყოველი ადამიანი მიმდინარე სამუშაოა, რომელიც ნელა, მაგრამ განუხრელად მიიწევს სრულყოფილებისკენ, ყველა ჩვენთაგანი ჯერაც დაუსრულებელი ხელოვნების ნიმუშია, რომელიც ელის და მიელტვის სრულქმნას. ღმერთი თითოეულ ჩვენგანზე ცალკ-ცალკე „მუშაობს“, რადგან კაცობრიობა არის ნატიფი ნახელავი, ოსტატური ხელნაწერი, სადაც თითოეული წერტილი თანაბრად მნიშვნელოვანია ერთიანი სურათის მისაღებად“-ო.

ლადო – მაპატიე, მაგრამ ვერც ელიფ შაფაქს დავეთანხმები და ვერც ღმერთს. რა ვიფიქრო? მე ჯერ კიდევ დაუსრულებელი სამუშაო ვარ მისი? როდის უნდა დამამუშაოს? როდის ვიქნები სრულყოფილი? მე ხომ აღარასოდეს არ ვიქნები ჭეშმარიტი და სრულყოფილი პიროვნება? რომელ ნატიფზეა საუბარი, როცა მთლიან სამყაროში ერთი კაცი არ მოიძებნება ათი მცნების დოგმატურად დამცავი?!! რა გამანატიფებს აწი მე? სულში ჩაკირული სირცხვილი თუ მკერდზე ლოდად დაწოლილი ტკივილი?

ქეთი – შენი აზროვნება ახლა სწორედ რომ ტკივილიდან, განცდილი სირცხვილიდან მოდის და არა ჭეშმარიტი გონებიდან. შენ ახლა ჰერმენტულ მდგომარეობაში ხარ, – შენ და მორჩა, – შენს შიგნით ჩამწყვდეული ტკივილი გხრავს. ადამიანები რაკი ბედს ვერ ვებრძვით, უბრალოდ ვეგუებით, მაგრამ შენ ვერც ეს შეძელი, ვერ შეეგუე. არსებობენ ძლიერნი, შეუპოვარნი, ბედს დაუმორჩილებელნი, მაგრამ ეს მითია, რადგან ყველა თვისება, რაც ჩამოვთვალე, თუკი კოდირებული არ არის ჩვენში უფლისგან, ქარისგან ჩამოყრილ ფოთლებსაც კი ვერ ავკრეფთ ჰერბარიუმისთვის. ძლიერნი იბადებიან უფლისგან ქუდბედით. ჩვენ ერთდროულად მითსა და რეალობაში ვცხოვრობთ, რადგან ხან ერთი ამართლებს, ხან მეორე. შენ გინდა თოკზე გაკიდული წვეთივით მოწყდე და მიწას დაენარცხო, განადგურდე, მაგრამ ჩვენ, შენი მეგობრები, უკიდეგანო ზღვად გადავიქცევით და მიწაზე დაცემის უფლებას არ მოგცემთ. საკმარისია რაც თითოეულმა ჩვენთაგანმა გადავიტანეთ. ბედს უნდა შევეგუოთ თუ უფალი გვწამს...

ლადო – ვინც გავწირე, ყველამ სიყვარული მაჩუქეთ, ნუთუ ესაა თქვენგან ჩემი უკიდურესი სასჯელი?! ეს ხომ სიცოცხლის მანძილზე სიკვდილია? არაკაცობაში, კაცობის ყოველწამიერი დასამარება?! **/უცებ წამოდგება, მუხლებზე დაეცემა, თვალები ცრემლებით ევსება, პირველად შეხედავს ქეთის თვალებში და ეუბნება:/** არ მინდოდა, გესმის? ის მე არ ვიყავი, არა! მე შენ არასოდეს გაგწირავდი. შენ ღვთის ანგელოზი ხარ, სულით-ხორცამდე... შენ... შენ... შენ საოცრება ხარ და ზურა არც შემცდარა შენში. როგორც მიმტკიცებ, ბედმა გამიმეტა და რადგან მინდა ასეც იყოს, ბედს დაბრალდეს ყველაფერი, მწარედ გიჯერებ. „ღმერთი არასოდეს აგვკიდებს ისეთ ტვირთს, რომელსაც ვერ მოვერევითო“, მაგრამ მე ვერ ვერევი ქეთი და იცი რატომ? იმიტომ, რომ შენ, ჩემი ზურას ცოლი ხარ. ამას ვერ ვპატიობ თავს, ეს იყო მიზეზი, რომ წინააღმდეგი ვიყავი თქვენი შეუღლების, გესმის რას გეუბნები?!! ცუდად ვარ, ძალიან ცუდად... ძალიან... **/ქეთის სიბრალულისგან თვალები ენამება. მხარზე ხელი დაადგა და უთხრა:/**

ქეთი – წამოდექი, საკმარისია. მესმის შენი და პასუხიც ნათქვამი მაქვს. **/ლადო წამოდგება, ძელსკამზე ჩამოჯდება. /**ახლა მისმინე, შენ არა მხოლოდ გაპატიეთ, ისევ იმ ლადოდ მიგიღეთ, როცა ერთ ოჯახს წარმოადგენდით. მე და ზურამ კი, ახალი, დაუწერელი კანონი შევქმენით, რომლის თანახმად, უფლისგან წინასწარდაწერილი ბედისწერით განწირულ ადამიანებს, თავად ადამიანები დავედებით სულის სალბუნად და სხეულის მკურნალად. ჩვენ შევიყვარებთ ყოველ უარყოფილ, განდევნილ თუ მოკვეთილ ადამიანს და უფალს დავუმტკიცებთ, რომ არსებობენ ისეთი ადამიანები,

რომლებსაც საკუთარი, ზეადამიანური ღირსებები გააჩნიათ. თუკი ბოროტება ზეციდან მოდის, დედამიწაზე დავახვედროთ აუწყავი სიკეთე, რომ ბოროტებას შერცხვეს და საკუთარი დანაშაულის მსაჯულად იქცეს.

ლადო – /გაოცებული/ ნამდვილად დაუწერელი კანონია. იცი, გისმენდი და ამ წამს მივხვდი, თუ რატომ ინდობს, პატიობს, უტევებს ეკლესია ცოდვებს გზააბნეულებს და უპოვართ. ბოროტება ზეციდან მოდისო, თქვი შენ, მაგრამ რატომ? ჩვენ ხომ ზეცა სიკეთის, სიწმინდის, წმინდა სამების სავანედ მიგვაჩნია?

ქეთი – ამის პასუხი თვით წმინდა მამებს არ გააჩნიათ, სწორედ ესაა სხვაობა ცასა და დედამიწას შორის, იდუმალება. თუმცა ნუ ვიქნებით უმადურნი, ხომ ვხედავთ, რომ ბედნიერებასაც გვჩუქნის ზეცა.

ლადო – ბედნიერებას? სად არის იგი?

ქეთი – აქ, ჩვენს გვერდით, ჩვენში. ადრე მეც მასე ვფიქრობდი, მაგრამ დრომ და ფილოსოფიამ ბევრი რამ ამიხსნა. ბედნიერებაა, რომ ბოროტებად არ ვიქეცით და სიკეთემ გაიმარჯვა. ბედნიერებაა, რომ ცხოვრება ისწავალე და სიმართლეს თვალებში ჩახედე, ბედნიერებაა, რომ ... **/ლადომ სიტყვა არ დაასრულებინა:/**

ლადო – და ეს ბედნიერება როდის მოვიდა? ჩემი გზიდან აცდენის, შენი გაუბედურების, ბაჩის სიკვდილის, ზურასთან კონფლიქტის, ოჯახის გამწარების შემდეგ?! ესაა ბედნიერება? საყვარელი პროფესია რომ დავთმე და მღვდლის სამოსით რომ უნდა შევიმოსო, ისაა ბედნიერება?! ბედნიერება თვითმყოფადი უნდა იყოს და არა ტკივილისგან წარმოებული...

ქეთი – ეს ცხოვრებაა მომავალო მოძღვარო. გადაწყვეტილებას ნანობ?

ლადო – მე მომხდარს ვნანობ და რომ არა ეს ყველაფერი, ჩემგან საუკეთესო ეკონომისტი გამოვიდოდა.

ქეთი – რწმენა და ეკლესიის მსახურება პროფესიონალიზმს არ კრძალავს. შენ შეგიძლია სწავლა გააგრძელო და საყვარელ პროფესიასაც დაეუფლო.

ლადო – არ ვიცი, მე ერობაში საკუთარ მომავალს ვეღარ ვხედავ...

ქეთი – ადამიანის ყველაზე საუკეთესო თვისება მოთმინებაა. ნათქვამია: „მოთმინება შორსმჭვრეტელობაა, რომელიც საბოლოო შედეგის გარდაუვალობაში გარწმუნებს. ღვთის მოყვარულთ მოთმინება არასოდეს ელევათ, რადგან იციან, რომ ნამგალა მთვარის სავსე მთვარედ გადაქცევას, დრო სჭირდება“.

ლადო – ყველაფრისთვის მადლობა ქეთი, რომ უფლება მომეცი გული გადამეშალა, მესაუბრა. აწი გამიადვილდება შენთან შეხვედრა, რაც დღემდე სიკვდილის ტოლფასად მიმაჩნდა.

ქეთი – ბარიერი გადავლახეთ, ეს ხომ არის ბედნიერება?

ლადო – /სევდიანად ჩაეღიმება/ არის, ალბათ, არის ქეთი... **/დასძენს:/** მაპატიე, უნდა წავიდე და ლელა მოვიყვანო. აქ მარტო მინდოდა მოსვლა. მალე მოვალთ... **/მიდის/**

/ლადოს წასვლიდან რამდენიმე წუთში ტაქსი გაჩერდა. ზურა გადმოვიდა. ქეთის გული სიხარულითა და სიყვარულით აძგერდა. ზურამ მეუღლის აცრემლებულ თვალებს შეხედა და ჰკითხა:/

ზურა – ჯერ არავინ მოსულა?

ქეთი – ლადო დამხვდა. ლალის მოსაყვანად წავიდა. ჩვენ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. დღეს დავრწმუნდი, რომ ...

ზურა – არ გინდა, ისედაც ვიცი რაში დარწმუნდი. ბაჩის დაველაპარაკები, **/თქვა და სასაფლაოზე გადავიდა. ჩაიმუხლა. ისე გადაუსვა ხელისგული მიწას, თითქოს ბაჩის თმებს ეფერებაო.**

მერე ჩასჩურჩულა:/იმედია საქციელს არ მიწუნებ ბიჭო. ისიც მჯერა, რომ შენც იგივეს გააკეთებდი. შენ ხომ შურისძიებისა და ბოროტების წინააღმდეგი იყავი. შენ ათი მცნებით იცხოვრე ამქვეყნად და ღმერთმაც ამიტომ შენ ამოგარჩია ჩვენგან, მაგრამ ეს ძალიან ნაადრევად მოხდა. რატომ! რატომ აგვერია გზები. რატომ დასრულდა ჩვენი დიდი ბედნიერება უბედურებით, რატომ?! **/ცრემლებით ევსება თვალები. ქეთიც ტირის. გზისკენ გაიხედავს. ზაზას შენიშნავს./**

ქეთი – ზურა, ზაზა მოვიდა.

/ზაზას თეთრი თაიგული უჭირავს. ისევ შავებშია. სრულიად გაჭაღარავებული და წვერმოშვებული, ნამდვილ მესიას ჰგავდა. ზურასა და ქეთის მიესალმა, ყვავილები ვაზაში ჩააწყო./

ზაზა – გმადლობთ რომ არასოდეს ივიწყებთ ჩემს ბაჩის. პატარები არ წამოიყვანეთ?

ზურა– დედასთან დავტოვეთ, დავით ბიძიას გამოყვებიან, მალე მოვლენ**...**

ქეთი – ზაზა, ხომ არ გწყინს ბიჭს ლადო რომ დავარქვით? ეს ზურას იდეა იყო, რაკი ღმერთმა ტყუპები მაჩუქა და ისიც ბიჭები, ამით ის მიმანიშნა, რომ ჩემს გვერდით ისევ ბაჩი და ლადო უნდა იყვნენო...

ზაზა – რას ამბობ ქეთი, ბოდიშს აქეთ უნდა გიხდიდე და მადლობას გეუბნებოდე, რომ შენ შეგიძლია შვილს იმის სახელი დაუძახო, ვინც სიცოცხლე მოგიწამლა... **/ზურას მიუბრუნდა/** – მართლა დიდი გული გქონია ძმაო. რუსუდანი მოვიდა ჩემთან და მიამბო რაც გააკეთე. დავითმა მითხრა, აქაურობას გავყიდი და სხვაგან გადავალ საცხოვრებლად თუ ლადოს დაბრუნების წინააღმდეგი ხარო. ვუთხარი, რომ მე და ზურამ შავ წარსულს ვარდისფერი ფარდა გადავაფარეთ მეთქი.

ზურა – ცოდონი არიან, მათ ლადო უარყვეს და რომ არა ჩვენ, ლადო ახლა ან გიჟი, ან მკვდარი იქნებოდა. ჩემო ზაზა, მე და შენს, ასევე ჩემი ქეთის ტკივილს, ვერავითარი დრო ვერ წაშლის, მაგრამ ვერც სიმართლეს გავექცევით, ლადოს ბაჩის მოკვლა არც კი უფიქრია...

ზაზა – ვიცი ზურა, ვიცი... **/დუმილი ჩამოვარდა. რამდენიმე წამში დავითის მანქანის ხმა შემოესმათ. სასაფლაოდან ასიოდე მეტრის დაშორებით გაჩერდა, საიდანაც პატარა ბაჩი და ლადო გადმოხტნენ და დედისკენ გაიქცნენ. ქეთი მათკენ წავიდა, შეეგება, ორთავე ხელში აიყვანა. დავითი, რუსუდანი და ლენაც მივიდნენ. ათიოდ წუთში ლადო და ლელაც გამოჩნდნენ. დამხვდურთ მიესალმნენ. ყველამ წითელი ვარდები მოუტანა ბაჩის დაბადების დღის საჩუქრად. უსიტყვოდ, ცრემლად იღვრებიან. ლელა ქეთისთან მივიდა, გადაეხვია, ბავშვებს მოეფერა./**

ლელა – საოცარი ბავშვებია, ლადო რომელია?

ქეთი – ცისფერ მაისურიანი ბაჩია, ნაცრისფერით ლადო... **/ჩამოსვამს. ბავშვები თამაშობენ, სასაფლაოებს შორის გაჭრილ, ყვავილებში ჩარგულ ბილიკზე დარბიან. ქეთი თვალს ადევნებს მათ. ლადო ზაზას წინაშე თავს განადგურებულად გრძნობდა. სიკვდილზე უარესად მიაჩნდა ახლა სიცოცხლე. ის იდგა იმ კაცის წინაშე, რომლის ძმაც მოკლა. იდგა მისგანვე შენდობილი და კვლავ ძმად მიღებული. წაბარბაცდა. ზურამ შენიშნა თუ როგორ წაერთვა ფერი ლადოს, რომელიც უხმოდ შევიდა ბაჩის სასაფლაოზე და ჩაიმუხლა. ლამის თავი მიწამდე დახარა. გაისმის დავითის ბოხი, ცრემლიანი ხმა:/**

დავითი – შვილებო, აქ ვართ მე და ჩემი ცოლ-შვილი თქვენგან შენდობილი და მიტევებული. ნაცვლად ოჯახისა, შენთან სტუმრობა სასაფლაოზე მომიხდა ჩემო ბაჩი... **/შვილს გადახედავს დავითი. ლადოს ცრემლებით აქვს ავსებული თვალები. საფლავთან ჩამუხლული, დაჭრილი ვეფხვივით ტორავს მიწას./**

ზურა – /მიდის ლადოსთან და ეუბნება:/ ლადო, ისევ ბაჩის სახელით გთხოვ დამშვიდდე. დღეს ხომ მისი დაბადების დღეა. სჯობს ვილოცოთ მისი სულისთვის. შენ ხომ ღვთის წინაშე ფიცი დადე, ვიდრე იცოცხლებ ბაჩის სულისთვის ილოცებდი... **/ლადო მოეშვა. წამოდგა. თავდახრილი იდგა ყველას წინაშე. არ იცოდა ვისთვის გაესწორებინა თვალები. ამ დროს ესმის ხმა/:**

ქეთი – /ეძახის ბავშვებს/ ბაჩი! ლადო! აქ მოდით, მამა გეძახით. ბიჭები გამორბიან, დედას ეხუტებიან, იცინიან. **/ლადო ბაჩისა და თავისი სახელის გაგონებამ შეაკრთო. ქეთის შეხედა, რომელიც ხელში აყვანილ შვილს აწვდიდა/** აჰა, გამომართვი, ეს ლადოა, **/ლადო ბავშვს ართმევს, ქეთის ახლა ბაჩი აჰყავს/** ეს კი ბაჩია. იცი, ლადოს ნათლია ზაზაა, ბაჩი კი, შენ უნდა მონათლო...

ზურა – ჰო, ლადო, ესეც ბაჩის ხსოვნისადმი გავაკეთოთ, რადგან არ ეგების ჩვენი სამაგალითო მეზობლობისა და მეგობრობის წაშლა...

ლადო – ვინც სიკეთეს, წმინდა მეგობრობას, ზურგს აქცევს, ღმერთიც არ პატიობსო. მე რატომ მომივლინა ღმერთმა თქვენისთანა უკეთილშობილესი ადამიანები, რატომ?! ჰო, მივხვდი რატომაც, შენ დამიმტკიცე ზურა, რომ ძლიერი ხარ, რომ შეცდომის გამო არ შეიძლება ადამიანის გაწირვა, რომ ბოროტება მართლაც უძლურია სიკეთის წინაშე.

ქეთი – /თბილად/ არა ლადო, ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარი ბედისწერის განრიგი გამოვიარეთ სწორედ ისე, როგორც იუდამ და მაცხოვარმა ერთად ყოფნის ბედნიერება და ტკივილი. ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ ჭეშმარიტება მსხვერპლს მოითხოვს და მსხვერპლი ტკივილიანი რომ არ იყოს, გონებით უნდა განვსაჯ-განვსაზღვროთ ყველაფერი, რასაც ვიტყვით და რასაც გავაკეთებთ. ლადო, შენთან პირადი სათხოვარი მაქვს, ჩემს ლელას ბედნიერება მიანიჭე და არა იმიტომ, რომ განსაცდელში გვერდით გედგა, არამედ იმიტიმ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, შენდამი გრძნობა არ გაცივებია. მას ისეთი უყვარდი, როგორიც იყავი...

ლელა – იცით, სულ ვფიქრობ, რატომაა სიცოცხლე ასე მშვენიერი და თანაც უდაბნოს ცხელ ქვიშაში ოქროთი დატვირთული აქლემივით ზოზინა, წვიმის წვეთივით სავსე და წამიერი? როგორ შეიძლებოდა სიკვდილ-სიცოცხლის, სიცილ-ტირილის, სიყვარულ-სიძულვილის, შეცოდება-შენდობის, მეგობრობა? მათი გვერდი-გვერდ დგომა? ამ ქვეყნად ადამიანზე საშიში და დაუნდობელი არა შეუქმნია რა გამჩენს და არც მასზე ჰუმანური. ეს იგივეა, მოძღვარს ერთ ხელში ჯვარი ეჭიროს და ჭეშმარიტებას ქადაგებდეს, ხოლო მეორეში მახვილი და სისხლს ღვრიდეს.

ზაზა – დღეს ისეა დაკარგული ნდობა, ადამიანებს სარკეში ჩახედვისაც ეშინიათ. არის მომენტი, როცა საკუთარი თავი გეზიზღება, რადგან შენ იცი ნდობა, სხვამ კი, საკუთარი თავის ფასი და იცით რა დევს ასეთის თავში? ცბიერება, ჰო, ცბიერება...

ქეთი – არ გაინტერესებთ გარდა უფლისა, რატომ ეძებენ ადამიანები, ქვეყნად ყველაფერს? იმიტომ ხომ არა, რომ გარდა უფლისა, ამქვეყნად ყველაფერია? აი სადაა ხიდი ჩატეხილი მეგობრებო! რწმენაში, ჰო, ჩვენ ნაკლებ მორწმუნენი ვართ მაშინ, როცა ცოდვას ჩავდივართ და რწმენით აღსავსე, როცა გვსურს შეგვინდონ. ქაოსია ირგვლივ, სრული აბსურდი, რომლის ამხსნელიც არ არსებობს.

ლადო – ქეთი, მე ყველაფერი გავისიგრძეგანე და მერწმუნე, რომ მკვდარი ვარ. ვფიცავ ბაჩის წმინდა საფლავს, რომ ამ განადგურებული სულითა და სხეულით, ამიერიდან, ყველა თქვენთაგანის ბედნიერებისთვის ვიცოცხლებ. ჩემი ქვეყნის, ერის სამსახურში ვიქნები სიკვდილამდე. ახლა კი, ჩემი წასვლის დროა. დღეიდან წმინდა გიორგის ეკლესიაში მნახავთ. იმედია მირონით შევიკვრებით და დავნათესავდებით. **/ლადო ყველას ემშვიდობება, ბაჩის საფლავიდან მიწას იღებს, ცხვირსახოცში ხვევს და უკანმოუხედავად ტოვებს იქაურობას. ცოტახანს დუმილი გამეფდება. მერე დავითი ამბობს:/**

დავითი – შვილებო, ახლა ჩემთან წავალთ ყველა. რუსუდანმა ბაჩის სულის მოსახსენიებლად მოკრძალებული სუფრა გაშალა, მარადიული სასუფეველი დავულოცოთ ჩვენს ბიჭს...

რუსუდანი – /ამოიკვნესებს/ მოგიკვდეს შვილო რუსუდან დეიდა. აბა სხვა რისი გაკეთება შეუძლია შენს დამკარგავს და გზააბნეული შვილის უბედურ დედას. რატომ დამინთე ჩაუქრობელი ცეცხლი შვილო ბედნიერებით ავსილ გულში, რატომ?! **/მიმავალ შვილს თვალს გააყოლებს, ცრემლად იღვრება. მის გვერდით მდგარ ლალის ხელს ხვევს და მკერდზე იკრავს./** რისთვის წამამწა-

რე ლამაზი დედობა, რაღაში მჭირდება ყველაფერი ის, რაც მე და მამაშენმა პატიოსანი შრომით შენთვის ვაკეთეთ. ჩვენი სიცოცხლე, ახალგაზრდობა, შრომასა და გარჯაში ჩავლიეთ შენ რომ ბედნიერი მომავალი გქონოდა. როგორ მახარებდა ის, რომ ზურა და ბაჩი ძმებივით გყავდა და ხშირად მათ მიფიცებდი, მათით ამაყობდი, სამი შვილი გვყავს, ვამბობდით მე და ლენა, – **/ლენას მიაპყრობს ცრემლებით სავსე თვალებს. ლენა ხელკავს უკეთებს და ცდილობს დაამშვიდოს.../**

ლენა – ჰო, ასეა, მაგრამ მოსახდენი მოხდა ჩემო რუსუდან და სამწუხაროდ ვეღარაფრით შევცვლით. ისღა დაგვრჩენია ბაჩისთვის ვილოცოთ...

დავითი – სათქმელი და ცრემლები არ დაგველევა, წავიდეთ შვილებო, წავიდეთ... **/მიდიან./**

/ლადოს მღვდლად კურთხევიდან ერთი წლის შემდეგ/

წმინდა გიორგის ეკლესია

/ეკლესიის ეზო. უზარმაზარი კაკლის ჩრდილქვეშ ხის მაგიდა და სკამები. მაგიდასთან ღრმად ჩაფიქრებული ლადო ზის თმაწვერმოშვებული. თვალებში ცრემლი უკიაფებს. მიწას ჩაშტერებული თავისთვის ჩურჩულებს/:

ლადო – ჩემო ბაჩი, მიუხედავად იმისა, დარჩენილი სიცოცხლე უფალს მივუძღვენი, ჯერაც ერისკაცის ცხოვრებითა და ტკივილებით ვცხოვრობ. მე მოვკვდი ჩემში და აღვსდექ შენში, რათა შენი სულით ვიცხოვრო. არ ვიცი რა დამემართა, რატომ არაფერი გითხარით შენ და ზურას, რა ეშმაკი ჩამისახლდა სულში. პირველად რომ პლანი მომაწევინეს, თავი გმირი მეგონა. ამ „გმირობამ“ კი, რაც ჩამადენინა, მისი გამოსწორება შეუძლებელია. ესეც დავმალე და უნებლიე მატყუარად ვიქეცი. ვიდრე სამუდამოდ არ წავართვი ჩემს საყვარელ ადამიანებს ბედნიერება, გონს ვერ მოვეგე. ვიდრე შიში არ ჩამისახლდა გულში, უფალი ვერ ვირწმუნე. ვინ ვარ ღმერთო? რატომ, რატომ შემემთხვა მაინცდამაინც ეს ყველაფერი მე? ნუთუ იმიტომ, აქ მოვსულიყავი? ხომ შეიძლებოდა, რომ აქ მოსვლა, ჩემი შენდამი სიყვარულით მოწოდება ყოფილიყო? „ადამიანთა ფიქრის ერთი საქებური თვისება მოვლენათა ძიებაა“-ო. მე მოვლენებმა დაფიქრებისთვის წამიც არ მაჩუქეს. სწორედ ერთმა დაუფიქრებელმა წამმა გაუსწრო მოვლენებს და არსებობა, საუკუნო სინდისის ქენჯნად მიქცია... **/მისკენ მომავალი დეკანოზი ანდრია შენიშნა, რომელმაც მის შესახებ ყველაფერი იცოდა, რომელსაც აღსარება ჩააბარა. მამა ანდრია გვერდით ჩამოჯდა. მიწაზე თვალჩაშტერებულ ლადოს მზერა მიაპყრო და უთხრა:/**

მამა ანდრია – ლადო, სიკვდილის შვილებს მხოლოდ სიკვდილი ავიწყდებათ. იმაზე თუ დაფიქრებულხარ, რომ ძაღლი ჯერ ადამიანი იყო და შემდეგ, ცხოვრებამ უწოდა სახელი? როცა ადამიანი თვალებში გიმზერს, თუ წმინდა ხარ, მზერა არ უნდა დახარო. ახლა თავი აიღე და შემომხედე. **/ლადო უმზერს. მამა ანდრია განაგრძნობს/** რწმენა არსებობის ღერძია, როცა ის კვდება, ადამიანს გაორება ემართება. დიახ, ყალბია ამქვეყნად ყველაფერი, რასაც იმიტომ ვეგუებით, რომ სხვა გზას ვერ ვხედავთ, თუმცა სხვა გზა არსებობს და ეს უფლისკენ მიმავალი გზაა. შენ ხშირად გხედავ ცრემლიანს. მხოლოდ თვალთაგან გადმოდიან წმინდა რუები, მხოლოდ სინანულისა და ბედნიერების ცრემლებია წმინდა. იცი რას მოაქვს ეს სიწმინდე? სიკეთეს, ლადო, ჭეშმარიტ კაცობას. შენ ახლა ჭეშმარიტ გზას ადგიხარ და შენი ყოყმანი იმაზე, აქეთ თუ იქით, ანუ ერობაში თუ ბერობაში, უფლის შეურაცხყოფაა. იმედია არ უარყოფ ჩემს სიტყვებს, თუ ვცდები?!

ლადო – წასვლას არ ვფიქრობ მოძღვარო, უბრალოდ ჯერაც ვერ გავრკვეულვარ რა მომივიდა, რატომ ავყევი ქუჩის არამზადებს და რატომ შევაქციე ზურგი კეთილშობილ მეგობრებს. ხორცმეტად მიმაჩნია თავი და ეკლესიის მრცხვენია, ჩემგან წაკითხული ლოცვების მრცხვენია მოძღვარო.

მამა ანდრია – ლადო, სიყვარულია არსებობის აზრი, თუმცა მას, ერთი უზენაესი კანონი არ გააჩნია. მისი ფერისცვალება ადამიანის გულში ხდება, ხოლო ადამიანი სიყვარულისთვის ის ხეა, რომელსაც დროის ყველა მონაკვეთში, შესაძლოა ფოთლები გაუყვითლდეს, ყვავილობა კვირტშივე ჩაუხმეს, ფესვი მოეჭრას, მაგრამ, თუკი მას საზრდოდ სიყვარულსავე მისცემენ, ჩამხმარ ფესვს აანაშხლებს, ნაყოფს გამოიღებს. შენ დიდი სიყვარული გაჩუქეს მეგობრებმა, ახლობლებმა, ყველამ შენს გარშემო და ახლა შენზეა დამოკიდებული გამოიღებ თუ არა სიყვარულისვე ფესვებს.

და მე, ლადო – სიყვარული სიცოცხლის უხმობი ფესვია და მე, მისთვის წყლად უნდა ვიქცე, ვალი უნდა გადავიხადო მამაო...

მამა ანდრია – ლადო, წარსული ყველაზე დიდი მომავალია. თუ დავივიწყებთ წარსულს, მოკვდება მომავალი, რადგან უფესვოდ არაფერი ხარობს. აწმყოს წარსულის გარეშე არ უარსებია და ყველა ჩვენთაგანს ჩვენი მძიმე ჯვარი გვაწევს მხრებზე. შენ ეს ჯვარი გოლგოთამდე აიტანე, გაეკარი მასზე და მკვდრეთით აღსდექი. ამიერიდან ის რწმენა არ მოუკლა შენს მეგობრებს, მეუღლეს, რაც შენს მიმართ გაუჩნდათ...

ლადო – მოძღვარო, დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ადამიანები ვირტუალურ სამყაროში ეძებენ თავიანთ ბედნიერებას. იმას, რაც რეალობაში ვერ იპოვეს. არსად არ არის ჩვენი ბედის ბორბალი ჩაკირული ისე, როგორც საკუთარ არსებაში. ჩვენ არა საკუთარი თავის, საზოგადოების, გვეშინია. მე ხომ ვიცოდი რა ჩავიდინე, მაგრამ ვერ შევძელი საკუთარ საქციელზე პასუხი მეგო, რატომ? სწორედ საზოგადოების შემეშინდა, ვფიქრობდი,- რას იტყვიან ჩემზე? ადამიანები, არასოდეს არ ვიქნებით თავისუფალი იმისგან, რასაც "სხვისი აზრი" ჰქვია, არადა მე ხომ სხვისმა აზრმა გადამარჩინა...

მამა ანდრია – სამყარო ერთი დიდი ჭაღია და იგი ისე იცვლის ადამიანებს, როგორც ჭაღი ნათურებს. ზოგი ცხოვრობს გამრავლების მიზნით, ზოგი კი ცდილობს, არსებობა სიბრძნით გაიხანგრძლივოს. შენ ბიბლია ზეპირად იცი ლადო და ისიც გეცოდინება, რომ ყველასა და ყველაფრის გადამრჩეველი დრო და უფალია...

ლადო – მოძღვარო, ზოგჯერ ვფიქრობ რაა მთავარი ამ ცხოვრებაში ადამიანებისთვის, სული თუ ხორცი? რეალობა თუ ირეალობა? თავდაჭერილობა თუ თავაშვებულობა? თავისუფლება თუ თავის უფლება? რწმენა თუ ურწმუნობა? სახელოვანი სიკვდილი თუ ნაძრახი სიხოხცლე?... არჩევანი მრავალფეროვანია და რასაც პიროვნება პირადად ირჩევს, ამას უფლისგან ბოძებულ ბედისწერად მიიჩნევს, გამართლებისა თუ გაუმართლებლობის შემთხვევაში... **/მამა ანდრია გაოცებული უსმენს. ლადო განაგრძნობს:/** ნუთუ მართლა უფალს უნდა დავაბრალოთ ჩვენი ყოველი ნაბიჯი? უფლის ნების გარეშე თმის ღერიც კი არ ჩამოვარდებაო. გამოდის, რასაც ვაკეთებთ, ეს ის გეგმაა, რომლის განსახორციელებლად უფალმავე მოგვავლინა? მაშ რატომ განვიკითხავთ ერთმანეთს? ვინ ვართ, რომ უფლისგან დაწერილ ბედისწერას გვერდი ავუაროთ? თუ მოსახდენი უნდა მოხდეს, (როგორც წმინდა წერილის აღსრულება,) რა საჭიროა ლოცვა – მუდარა – შენდობანი? ეს ხომ ცინიზმი და უმწეოებაზე ბატონობაა... **/ლადო მამა ანდრიას გადახედავს. ის კვლავ დუმს. აოცებს ახალბედა მოძღვარის განსწავლულობა. ლადო ჩაფიქრებულ მოძღვარს ეკითხება:/** მისმენთ მამაო?/

მამა ანდრია – განაგრძნე ლადო, **/უპასუხა მძიმედ და იყუჩა. ლადო აგრძელებს:/**

ლადო – დავუშვათ დავაშავე, შევცოდე, ვინ უნდა მომიტევოს? ჩემნაირმა ადამიანმა? რომელიც ჩემზე უკეთ, გაზულუქებულად ცხოვრობს? მამა ანდრია, დათა თუთაშხიაში რას ამბობს დედა სიდონია, გახსოვთ ალბათ. „ვალი მოვიხადე"-ო, კარგად იცოდა, რომ დათა ბერად არ აღიკვეცებოდა, მაგრამ მან, სწორედ რომ ვალი მოიხადა უფლის და კაცის წინაშე. მხოლოდ ვალს, რომ იხდიან მავანი „წმინდანნი", ამიტომაც არ ეღირსება სამყაროს სიმშვიდე და ადამიანებს მშვიდობა. მაპატიეთ, ჩემში ერისკაცის ფიქრები ავახმიანე, ჰო, ჯერ კიდევ გაორებული აზროვნება მაქვს... მაპატიე...

მამა ანდრია – იაპონელი მწერალი – როუნოსკე აკუტაგავა ამბობს: „პიროვნების თავისუფლების ღერძი არის სინდისი. სინდისი არის ჭეშმარიტების სიყვარული და მისი განცდა, სიცრუეზე აღშფოთება. სინდისი წვერებივით არ ამოსდის ადამიანს. სინდისი არის მარად გათლადი, გასაფაქიზებელი, ბევრი უნდა იფიქრო, ბევრი იაზროვნო. აქედანაა თავისუფლება. თავისუფლება არის სწორი არჩევანის გაკეთება, სწორ არჩევანს მაშინ გააკეთებ, როცა სწორ ფასეულობებს დაადგენ. უკეთესს უარესისგან განასხვავებ“. ეს გენიაური აზრია ლადო. შენი სინდისიც გაითალა და ტაძარში მოგიყვანა.

ლადო – /ამოიოხრებს. მამა ანდრიას აცრემლებულ თვალებს მიაპყრობს და ამბობს: /რა გრძელია გზა, რეალობაში წარსულიდან აწმყომდე და რა მოკლეა იგი, წარმოსახვით ეკრანზე. **/ზეცას აჰხედავს/** ღმერთო, რამხელა ნებისყოფას აძლევ ადამიანს და რა უღმერთოდ დასცინი... **/მამა ანდრია ლადოს თვალებში ჩახედავს და შთამაგონებლად ეუბნება:/**

მამა ანდრია – ლადო, შენ ახლა სრულიად მარტო გრძნობ თავს და ეს მოცემულ ვითარებაში, სავსებით გასაგებია. შენ ხელახლა უნდა დაიბადო შენს მარტოობაში და შეიცნო საკუთარი „მე“. უნდა ჩამოყალიბდეს შენი აზროვნება. შენ გაქვს თავისუფალი არჩევანი, ტაძარი ციხე როდია ხელბორკილით გამოგამწყვდიონ დანაშაულის გამო. ტაძარი რწმენის ქვაკუთხედია, სადაც სული იწრთობა და ხორცი იწმინდება, სადაც გონება შეიმეცნებს სამყაროს მოვლენებს და ადამიანთა დადებით და უარყოფით თვისებებს.

ლადო – მამა ანდრია, თავისუფალი ვეღარასოდეს ვერ ვიქნები. რაც დრო გადის, ჩადენილის გამო, სინანულის გრძნობა, სიკვდილისკენ მიბიძგებს. ამის აქ აღიარება მეშინია, არც დამალვა ეგების ჩემი მოძღვრის წინაშე. არჩევანს რაც შეეხება, გავაკეთე, ჩემი სახლი ტაძარია და ის მრევლი, რომლებსაც ჩემსავით გზა აერიათ, რომლებიც სულ-ხორცის გადარჩენას, ტაძარში ცდილობენ. იცით მამაო, რატომღაც მგონია, რომ ტაძარში მხოლოდ ღმერთისგან მიტოვებულები მოვდივართ და მასვე ვეძებთ. ბედნიერებს არც ღმერთი ახსოვთ და არც ტაძარი. ისინი ზოგჯერ დაჩოქილ მლოცველებსაც ცინიკურად შეჰყურებენ. მას, რასაც თავისუფლები ვერ ვხედავთ, ჯვარცმულნი ვცდილობთ დავინახოთ. ეს განა ბედის ირონია არა არის?

მამა ანდრია – „თავისუფლება ყოველთვის და ყველა სიტუაციაშია. მას ძალიან ღრმა გაგება აქვს, დაკავშირებულია ზნეობრივ სრულყოფასთან. არისტოტელე თავისუფლად არ ჩათვლიდა იმ პიროვნებას, ვისაც სიკვდილის უფრო ეშინოდა ვიდრე ღირსების დაკარგვის. ასეთი ადამიანი თავისუფალი არ იყო. ქრისტიანობაშიც ასეა, ადამიანი ჯერ კიდევ არაა თავისუფალი, თუ სინდისის ქენჯნაზე უფრო სიკვდილის ეშინია. რთულია თავისუფლება – როცა ფასეულობებში სინდისს უფრო მაღლა აყენებ, ვიდრე კეთილდღეობას, ან ნებისმიერ სხვა რაიმეს. ამას სჭირდება ხანგრძლივი კულტივირება, ბევრი კითხვა, ბევრი ფიქრი, მარტოობა, ურთიერთობა და ეს გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში“. შენ გუშინ მღვდლად გაკურთხეს და დღესვე გინდა ფილოსოფიაში გადატრიალება მოახდინო?

ლადო – მაპატიეთ მამა ანდრია. ყველაზე საშინელება ადამიანში, აზროვნების გაორება ყოფილა. ვეცდები უფალს არ ვაწყენინო...

მამა ანდრია – კარგი ლადო, დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი და თავს მიუტევე. თუ საკუთარ თავს ვერ შეუნდობ, ვერავის შენდობასა და მიტევებას ვერ შეძლებ გულით და შენი ნათქვამი, „მოგეტევოს“, მხოლოდ ბაგიდან გადმოსროლილი სიყალბე იქნება... **/მამა ანდრია დგება, ტაძარში შედის. აღმართში ამომავალი მანქანის ხმა, ლადოს ფიქრებს უფანტავს. ნაცრისფერი ჟიგული მის ახლოს ჩერდება. მანქანიდან ჯერ ზურას ბიჭები გადმოხტებიან, შემდეგ ზურა, ქეთი და ზაზა. ლადო მოულოდნელობისგან ზეზე წამოიჭრება/**

ლადო – თქვენ? თქვენ ჩემთან მოხვედით? **/ბავშვებს აქეთ – იქით ხელში აიყვანს, ეალერსება/**

ზაზა – ჰო ლადო, მოვედით, რადგან ჩვენი ღრმა რწმენითა და განგების ნებით, ასე ვამჯობინეთ. უაზრო შურისძიებამ, ბოროტებამ, ბოღმამ, ვერ უნდა აჯობოს ჭეშმარიტ აზროვნებას. ადამიანს ყველაზე ტრაგიკულ მომენტშიც საღი აზროვნება უნდა შეეძლოს, სიმართლეს თვალებში უნდა ჩახედოს თორემ, ჩემი ბაჩისა არ იყოს, გვიანი სინანული აღარაფერს შველის...

ზურა – ლადო, იქნებ გეგონა ჩვენი შეთანხმება ლიტონი სიტყვები იყო, მაგრამ არა, აი მოგიყვანეთ ვაჟკაცები, დღეს ხომ გიორგობაა, მინდა წმინდა გიორგის ეკლესიაში მოვნათლო ისინი და ნათლიებიც აქა ხართ...

ქეთი – ჰო ლადო, ამიერიდან უწინდებურად ერთ, განუყრელ ოჯახად იქცევა შენი, ჩვენი და ზაზას ოჯახები, რომლებსაც უკვდავი ბაჩის სული დაიფარავს ყოველგვარი განსაცდელისაგან.

ლადო – **/თვალები აუცრემლდა, ხელები აუკანკალდა. ჩაილაპარაკებს:/** ღმერთო, რატომ მყავი ამ დიდი ბედნიერების ღირსი? **/ქეთის მიუბრუნდება/** ვერასოდეს გამოვისყიდი შენს წინაშე დაშვებულ შეცდომას. რომ გამიგე და შემინდე, ამან უფრო გამიმძაფრა სულის ტკივილი და ხორცის გვემა. იცი, რაც აქ ვარ, სულ მომხდარზე ვფიქრობ და ერთ რამეს მივხვდი, მე და შენ, სწორედ რომ განგებამ გვარგუნა მწარე და ულამაზესი ხვედრი – ბედისწერა, რომელსაც ვერ დავემალეთ. შენ შენი განსაცდელის შემდეგ უძვირფასესი ადამიანის გვერდით უნდა გაატარო მთელი ცხოვრება. მე კი, მიუხედავად უდიდესი შეცდომისა, წილად მხვდა იმ ადამიანების სიყვარული, რომლებიც გავწირე, ალბათ მართლა ბედისწერაა, რომ ღმერთმა მაინც მათთან მომიყვანა სამოყვროდ და სამეგობროდ. **/ზეცას აჰხედავს/** ჰო, რატომ, რატომ ღმერთო ასე გვინ ეს ბედნიერება და რატომ უდიდესი ტკივილის, განადგურების შემდეგ?!

ზურა – შენ სწორედ ქეთისავით ლაპარაკობ ლადო. დავივიწყოთ წარსული და ერთმანეთის ბედნიერებით ვიცხოვროთ ამიერიდან.

ზაზა – შენი კარგად მესმის ლადო, წარსულს ვეღარ დავიბრუნებთ და არც ის შეგვიძლია ღმერთის განაჩენი შევცვალოთ. შენ ახლა ღვთის სამსახურში დგეხარ, უფალს მთელი გულით უნდა მიენდო და ემსახურო, ღმერთი ჩვენს გულში იხედება და თვალთმაქცობას არ გვაპატიებს, მით უფრო ტაძარში, მოძღვარს, არ ეპატიება ღმერთის მიმართ საყვედური, წმინდანის სამოსელში...

ლადო – სიცოცხლის ასი წელი ტაძარში რომ გავატარო, ჩემს თავს ვერასოდეს ვუწოდებ წმინდანს. მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ცოდვილი ვარ. უცოდველი რომ ვყოფილიყავი, ერობაში დავრჩებოდი და სხვა ცხოვრებით ვიცხოვრებდი, ისეთით, როგორსაც ახლა ვხედავ და ახლა ვგრძნობ. აქ იმიტომ მოვედი, რომ მოწამეობრივი ცხოვრებით ბაჩის შევწირო სიცოცხლის დარჩენილი დრო... **/ ლადოს უპეებიდან ცხელი ცრემლები იღვრებოდა და მთელ სახეს უწვავდა.../**

ქეთი – არა ლადო, ასე ნუ ფიქრობ, შენ სხვას თუ არა, გარეთ ლალის და შენს შვილს სჭირდები...

ლადო – /ეგონა მომესმაო, გაოცებით/ ვის ვჭირდები? რა თქვი ქეთი, ვის ჭირდებიო?

ქეთი – გუშინ დამირეკა ლალიმ და მითხრა, რამდენიმე თვეში დედა გავხდები, ბიჭი მეყოლებაო... აქამდე შენთვის იმიტომ არ უთქვამს, რომ სქესის დადგენას ელოდა...

ლადო – ღმერთო ჩემო, ღმერთო მაღალო, მეც მაჩუქე ბაჩი ხომ? მეც მეყოლება ჩემი ბაჩი სახლში არა?.. **/ლადო ჩაიმუხლა, მიწა მოტორა ფრჩხილებით, ისე ტიროდა მხრები უთრთოდა. ზაზა ცდილობს დაამშვიდოს/**

ზაზა – ლადო, ხომ ხედავ ყველაფერი ბედისწერის წიგნში ყოფილა ჩაწერილი. ჩვენ მას ვერ შევცვლიდით, ამიტომ დავემორჩილოთ განგების ხვედრს და საქმეს შევუდგეთ, მოვნათლოთ ჩვენი ვაჟკაცები, ადექი, გთხოვ... ბავშვებს მოვნათლავთ და ყველანი ერთად შენთან მივდივართ, იქ დედაშენისა და ლალის გაწყობილი სუფრა გველოდება, ასე თქვა დედაშენმა, ბაჩისა და ლადოს ნათლობა მე უნდა აღვნიშნოო...

ზურა – ჰო, დავით ბიძია და რუსუდან დეიდა მუდამ მშობლებივით გვედგა თავზე და ახლაც ასეა. არ ვიცი რით გადავუხადო პატივისცემა...

ლადო – თქვენ უფრო მეტი გააკეთეთ ჩემი მშობლებისთვის, ვიდრე ისინი თქვენთვის აკეთებენ... მე კი, თქვენი სიკეთე, ჩემი სიკვდილით მინდოდა გადამეხადა, მაგრამ...

ზურა – მეგონა მოძღვართან მოვიყვანე ჩემი ლადო და ბაჩი მირონის მისაღებად, შენ კი...

ლადო – მე თქვენთან მოძღვრის პოზიციით ვერ ვილაპარაკებ ზურა. მე ზაზას წინაშე დგომას, მისგან შენდობასა და თანაგრძნობას, მიჯობს მომკლას... ჰო, თქვენს წინაშე ჩემი სიცოცხლე, სიკვდილზე უარესია... არასოდეს დადგება ჩემთვის ის დრო, როცა ყველაფერს ბედისწერას მივაწერ...

ზაზა – ლადო, პატივი ეცი წმინდანის სამოსელს, რომლითაც შემოსილხარ. დაფიქრდი სად იმყოფები და იმაზე მეტად ნუ გვტანჯავ, რაც დავიტანჯეთ...

ლადო – მართალი ხართ, მაპატიეთ, მაგრამ „კაბა“ და „წვერი“ ვერ გადაფარავს ჩემს სულში ჩაკირულ სირცხვილს, ტკივილს, განცდას, გვემას, რომელიც მკერდში ჩამტვრეული ისარივით მაქვს ჩარჭობილი...

ქეთი – ლადო, ადამიანებს არ შეგვიძლია გავიგოთ რატომ გვიზღავს უფალი იმას, რის ღირსადაც არ მიგვაჩნია თავი. არც ის შეგვიძლია ვკითხოთ, „რატომ უფალო?“. ვერავინ გაავლო ზღვარი ბედისწერასთან. ჩვენ იმით ვაჯობეთ მას, რომ ჩვენს შორის სატანის ხელით აგებული ბაბილონის გოდოლი დავანგრიეთ...

ლადო – /ზეცას ახედავს/ უფალო, მომიტევე არსებობა და ქმედება ჩემი ამ წუთამდე, ამიერიდან შენ ჩემში და მე შენში ვიარსებებ, ოღონდაც შენ უნდა დამარწმუნო, რომ აქ, ტაძარში, რომელსაც წმინდას ეძახიან, სრული სიწმინდე სუფევს. თუ აქაც ისეთ გარემოს ვიხილავ, როგორიც ერობაშია, მაშინ დაუყოვნებლივ წავალ ბაჩისთან და ვეტყვი, რომ სიცოცხლე არ ღირს, მაშინ შენ იქნები უფალო ჩემს საქციელზე პასუხისმგებელი...

ქეთი – ლადო, გვიანდება, შინ გველოდებიან ...

ზურა – ქეთი მართალია, საქმეს შევუდგეთ.

ზაზა – /თამაშში გართულ ბიჭებს გასძახებს/:– ბაჩი, ლადო, აქ მოდით... **/ბიჭები გამორბიან, ლადოს ორთავე ხელში აჰყავს.../**

ლადო – ჰო, დროა, შევიდეთ ტაძარში, მე ხომ ვიცი როგორი სუფთა სულით მოვინანიე ყველაფერი...

ზურა – შენ ხალხს სუფთა სული დაანახე და მაშინვე ირწმუნებენ, რომ შეცდომა მონანიებითა და ადამიანების სიყვარულით გამოისყიდე. ჩემო ლადო, ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ ადამიანებს ავიწყდებათ უფლის წინაშე თავიანთი უსუსურობა. ავიწყდებათ, რომ ბროლისანი არიან, გამჭვირვალენი, მსხვრევადი. ჩვენ მხოლოდ სილუეტები ვართ, თეთრი ან შავი ფონისა. ვიდრე ჭიანჭველას ფეხს დავადგამთ, გულში გავივლოთ, რომ იგი თავის დედასთან მიდის, ან დედაა და მშიერ შვილთან საჭმელი მიაქვს. ჰო, ჩვენ ყველანი ვიღაცის შვილები, მშობლები თუ ახლობლები ვართ, რომლებიც გვიყვარს და რომლებსაც ვუყვარვართ. ამიტომ, ვიდრე ერთმანეთს გავწირავდეთ, დავფიქრდეთ იმ ვიღაცაზე, რომელიც გველოდება, რომ შემდგომ თავად არ აღმოვჩნდეთ ის ვიღაც, რომელმაც შვილი დაკარგა... სულმდაბლობა დანაშაულისკენ უბიძგებს ადამიანს. ჩვენ ერთმანეთის სისხლი უაზროდ არ უნდა დავღვაროთ, იგი მხოლოდ სამშობლოს შევუნახოთ და თუ საჭირო დარჩეს, მისთვის გავიღოთ.

ზაზა – რატომღაც მჯერა, რომ უფალი ჩვენგან სისხლს არ ითხოვს, უფალს არ უთხოვია ადამიანთათვის ზვარაკი, ეს თავად მოიგონეს ადამიანებმა, მათ დაღვარეს პირველად ერთმანეთის სისხლი, რომელშიც იხრჩობიან...

ქეთი – ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ბედისწერის განაჩენი, სულიერი და ფიზიკური ტკივილი, ცრემლების ზღვა. ამიერიდან მივენდოთ უფალს და ერთმანეთის ბედნიერებისთვის ვილოცოთ.

/საუბარში ტაძარს მიუახლოვდნენ. ლადო შედგა, ზეცას მიაპყრო მზერა/:

ლადო – უფალო, თურმე სიკვდილზე უარესიც არსებობს ამქვეყნად, ეს ზნეობის დაცემა და სულის გახრწნაა, რასაც ვერ ავცდი სამწუხაროდ. არ მინდა სხვებს გადავაბრალო ჩემი შეცდომა და დანაშაული. ღმერთო, როცა კაცთაგანს ბედისწერის განრიგით წვეთი თაფლისა დაეცემა, რატომაა მასში ბალღამი გარეული? როგორც ჩანს, ჩემი ლამაზი წარსულის „წვეთ თაფლშიც“ ბალღამი გაურიე, მე კი, იმდენი გამოცდილება არ მქონდა თაფლი ბალღამიდან განმეცალკევებინა. სამწუხაროდ გვიან შევიგნე, რომ ადამიანში ყველაზე ძლიერი ძალა გონიერებაა. გონიერი ადამიანი სრულყოფილია, სრულყოფილების ნიშანი ბედნიერებაა, ბედნიერია ის, ვინც უცოდველია, ხოლო უცოდველია ის, ვისაც ადამიანის სისხლში ხელი არ გაუსვრია. ჩემო ბაჩი და ლადო, **/გადახედა ბიჭებს,/** ამიერიდან მე ვიქნები თქვენი სულიერი მოძღვარი, მთელი არსებით ვიზრუნებ თქვენზე. ახლა კი ნამდვილად შევიდეთ ღვთის სახლში და ვეზიაროთ წმინდა მირონს.

/ყველანი ტაძარში შედიან/

ფ ა რ დ ა

ავანსცენაზე

მთქმელი:

...ბოროტებას ბოროტებით ვერ დაამარცხებ...

შურისძიება წყვდიადის მბრძანებელია და ბნელით მოსავს ნათელს.

ბოროტებას გული არ გააჩნია, არ იცის ენა კეთილშობილთა.

არ ესმის არსი სიყვარულისა.

არ გააჩნია სამშობლო და უცხოა მისთვის პატრიოტიზმი.

იგი ებრძვის ყველასა და ყველაფერს საკუთარი მიზნის მისაღწევად.

...ამიტომ, ჩვენი უფალი უნდა იყოს არა მიწიერი სამყარო, არა ზეციური მისწრაფებანი, არამედ ერთმანეთის სიყვარული...

ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ო!

ერთმანეთი რომ შევიცნოთ, ამისათვის ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ. ერთმანეთი რომ გავითავისოთ, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი და რომ გვიყვარდეს, უნდა ვიცავდეთ უფლის მცნებებს. თუ ერთმანეთს მოვუსმენთ, გავითავისებთ, გვეყვარება, მაშინ ბოროტებას დავამარცხებთ და დედამიწაზეც მშვიდობა დაისადგურებს...

ჰო, ადამიანებო! შევიცნოთ, გავუგოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს, თორემ გვიანი სინანული, ძალზედ გვიან დაგვირჩება...

2009 წ. 8. მაისი.

ჯედა ჩეკურიშვილი

ლურსმანი

როცა ერთ თვეში მესამედ ჩავალაგე ჩემოდანი
და მატარებლის ბილეთი შევუკვეთე,
შიშით აღმომხდა:
„ღმერთო, სად არის ჩემი სახლი!“

„მაინც სად არის ჩემი სახლი?“ –
ვეკითხები ყველას ხმამაღლა,
გაბნეული ქვეყნებსა და ქალაქებს შორის,
კარიდან კარზე მოხეტიალე,
პილიგრიმივით უქონელი და
გზის შემყურე.

„სადაც შენი სამუშაო მაგიდა გიდგას,
სახლიც იქ არის“ – მწერს მეგობარი,
და ვხედავ, როგორ სწორდება წელში მაგიდის გასწვრივ.
„იქ, სადაც შენი საწოლია“ – ამბობს ჩემი შეყვარებული,
სადაც ერთმანეთს გულებით ვათბობთ,
და გაღვიძება გვიხარია.
„სადაც მუდამ გელოდებიან, სახლიც იქ არის“ –
იცინის ჩემი სტუდენტი შვილი
და გეგმებს აწყობს შორს, შორს წასვლაზე.

დედაჩემი ჩამომჯდარა ტელევიზორთან
და სუნთქვის რიტმს კიბეზე ამომავალ ნაბიჯს აყოლებს.
სახლი, ერთ დროს მის შვილებს რომ ვეღარ იტევდა,
ისე ივსება სიცარიელის უძრავი ქვებით,
თაგვიც აღარ დარჩენილა კარადის უკან.

მე კი დავდივარ, მთებს და ზღვებს შორის
და ვეძებ ჩემს სახლს,
ადგილს, სადაც პალტოს დასაკიდ ლურსმანს მივაჭედებ,
და იქიდან არც არავინ ამოაძრობს,
და ვერც ვერავინ გამიბედავს, რომ: „ამის ადგილი აქ არ არის“...
რომ „მეტად აღარ“...

ბუდის ამბავი

თებერვალს არ მოჰყვა გაზაფხული,
რაც ნიშნავს, რომ არაფერი შეცვლილა
და არც შეიცვლება,
მასწავლიან, რომ დავემორჩილო მოვლენებს
და დაველოდო.
იქნებ ჩემი გადარჩენა მართლაც მორჩილებაშია?
მასწავლიან, რომ ეს მათი თვისებაა, გაზაფხულების,
ვერაფერს გავაწყობ,
როცა დრო დგება, მაშინ მოდიან,
ქარებსაც მაშინ ერეკებიან და კაბებსაც მაშინ კერავენ.
მე კი ვფიქრობდი: ჩიტი-ჩიორა ვარ,
ამიტომ ბუდე უნდა ავაშენო,
ხავსი და ფოთლები მოვძებნო შიგ ჩასაფენად.
ახლა კი რა ვქნა?
აღარ მიყვარდეს?
და დავიწყე გაქცევა ბუდიდან,
მერე საკუთარი თავიდან, ტყავიდან, ფრთებიდან, ბუმბულიდან,
არ დავიტოვე არაფერი,
რაც კი ძველ ზამთრებს გამახსენებდა.
დრო კი იყო უცვლელი,
უწყლოდ,
უხეებოდ,
თებერვლის და მარტის გარეშე.
მეგობარი ამბობს:
უნდა ვიპოვოთ, რაც გვჭირდება,
ჩვენით უნდა ვიპოვოთ.
მე კი მეგონა, მთავარი მისი მოსვლა იყო,
და იმას ვეძებდი, რაც სჭირდებოდა:
ბუდეს ვაგებდი და ბარტყებს ვუფრენდი.
მეგობარი მირჩევს:
მას რაც სჭირდება, ვერ გადაგვარჩენს,

მოვიფიქროთ რამე ახალი.
და მე დავიწყე გაყინვა,
თვალები გამიხდა ელვარე,
ნისკარტი – ალესილი,
ფრთებით კი ცის თაღის გაფატვრაც შემეძლო.
მეგობარი მთხოვს:
წავიდეთ, საკუთარ თავს მაინც შემოვუაროთ,
თუ გზას ვერ ვიპოვით, წრე მაინც შევკრათ,
აქამდე ხომ მხოლოდ მის გარშემო დავდიოდით,
მოდი, ახლა ჩვენი თავი აღმოვაჩინოთ.
წავედით,
მაგრამ წრის შეკვრა მაინც ვერ მოვახერხეთ,
გზაჯვარედინი შემოგვეყარა.
ახლა ელექტრონის მავთულებზე ვსხედვართ
და ვჟივჟივებთ.

ის წლები, ის დღეები

ეძღვნება ნუსას

იმ წლებზე ვამბობ, იმ დღეებზე,
დაუნანებლად რომ ვართმევდით ერთმანეთს,
განა ჩანთაში ჩაწყობილ-ჩაკეცილებს
ან პარკში ჩატენილ-ჩაკუჭულებს,
ქაღალდში გახვეულებს,
პირდაპირ რომ ვიცვამდით ტანზე,
ყელზე ვიხვევდით,
ვიწებებდით მკლავებზე, მხრებზე.
იმ წლებზე ვამბობ, იმ დღეებზე
სახლიდან რომ გავრბოდით
და არ ვკითხულობდით
სად ვიყავით, რომელ მხარეში,
რომელ მდინარის შესართავთან
რომელი ციხის კარიბჭესთან,
და ყველა ბილიკს საკუთრად ვთვლიდით,
თუკი ერთხელ ფეხი დაგვედგა,
და ერთმანეთის კვალს მივდევდით,
წრეში ვაქცევდით,
ჯაჭვად ვედექით;
იმ წლებზე ვამბობ, იმ დღეებზე,
სიტყვები რომ მუდამ გვქონდა

ჭრილობებზე დასაფენად
და ჭრილობებიც რომ მუდამ გვქონდა
გულგასახეთქად საიდუმლო
და საიდუმლოც რომ მუდამ გვქონდა
გაუმხელელად საფიცარი.
იმ წლებზე ვამბობ, იმ დღეებზე,
ვიღაცეებს რომ ეგონათ,
ჰაერში ვფანტავთ,
ქარს ვატანთ მინდვრად,
რომ ეგონათ, ვანიავებთ, ყადრი არ ვიცით,
ჩვენ კი ჰაერს საკუთარი ხმებით ვავსებდით
და გრამი რაა, მისხალიც არ გვეკარგებოდა,
იმ წლების, ზუსტად, იმ დღეების,
ერთმანეთით მოგუგუნე,
ერთმანეთით აჭრელებული,
ბოლოს რომ აღარ ვუპატრონეთ
და გავასხვისეთ...

როცა ქარია

როცა ქარია,
პოეტები თმას იშლიან და სახლიდან გარეთ გარბიან,
რომ ააფრიალონ კაბები და მოსასხამები,
გაედევნონ ქუდებს და შარფებს,
ანდა სულაც წიგნების ფურცლებს,
როგორც ოდესღაც, ბავშვობაში,
სასწაულის როცა სჯეროდათ...
როცა ქარია,
მე თმას ორ წვრილ ნაწნავად ვიწნავ
და მკლავებგაშლილი ფანჯრის წინ ვდგები.
ვიღაც იფიქრებს,
ალბათ ველი იმ წიგნების ფერად ფურცლებს
და ქუდის ბაფთებს,
ქარში ატალღულ ჭრელ-ჭრელ შარფებს,
ანდა სულაც მიწასმოწყვეტილ რომელიმე პოეტ არსებას,
დახუჭული თვალებით რომ ჩამოიქროლებს.
ქარისგან კი
ამ დროს სახლი ისე ყანყალებს,
თითქოს მარჯვე დიასახლისი ხელებშუა ჭადის ფქვილს ცრიდეს,
და მე ვცდილობ, ჩემი ორი წვრილი ნაწნავით
ერთმანეთზე გადავკვანძო კედლები და იატაკის თხელი ფიცრები,

მივამაგრო ჭერსა და კარზე,
ვცდილობ, კიბე არსად გამექცეს, გადავაბა ზედვე სარდაფიც.
ქარია და ამიტომაც ხმამაღლა ვყვირი,
ჩემი სიტყვები ალვის დამსკდარ ტოტებად ეხეთქება
ტროტუარის დაბრეცილ კიდეს,
მაგრამ მშველელს კი არ ვეძახი,
ანდა მიწასმოწყვეტილ, მქროლავ პოეტებს კი არ მოვუხმობ,
დახუჭული თვალებით რომ მიფარფატებენ სადღაც, გადაღმა,
ვყვირი, რადგან მინდა, განიშნო,
რომ მოვახერხე,
შევკარი და მტკიცედ მიჭირავს, სახურავის წვერიცა და საბუხრე მილიც,
რომ დაბზარული, ძველი სახლისგან
აგურიც კი არ დამიკარგავს.

ONE WAY TICKET

გიორგი ლობჟანიძეს

ერთი გზის ბილეთით წავედი,
ამბოხის, ხმაურის, ქადილის გარეშე,
არც წყარო წამიბილწავს, არც ხიდი დამიწვავს,
უსიტყვოდ წავედი,
ისევე უბრალოდ, როგორც წიგნებიდან მიდიან გმირები
ქვე – ანდა ზე სკნელში,
და მუდამ იციან, ეს მათი ხვედრია და კითხვებს არ სვამენ.
ვიცოდი, დაბრუნებას ვერასდროს შევძლებდი,
და გადანახული მოგონებებიდან
ჯერ საკუთარი სახელი წავშალე,
ახლა იქ ლაქად ჩანს საპირველმაისო თეთრი გეტრები
და ბებოს სათონე, ახალგამომცხვარი შოთების სურნელით
და იქვე ბებიაც, ფქვილით და წლებით გადათეთრებული.
ლაქად ჩანს მამაჩემის საზამთროს ბაღები და პაპის ვენახი.
ცალმხრივი ბილეთით წავედი.
ვინმემ ეს იქნება გაქცევად ჩათვალოს,
იფიქრონ: მარტოქალის ცხოვრება ვერ ვზიდე,
ეჭვებმა შემიპყრო,
ვეღარ გავუმკლავდი ჭირსა და სიავეს,
ან სიყვარულში ხელი მომეცარა,
ან ბოლო მომიღო თავგადასავლებმა.
ჭორებს ხომ წასულებს ზურგში ადევნებენ,
მაგრამ ხმამაღლა კი არავინ გაბედავს,
თქვას,

რომ ყველა რაღაცას ფრთხილად ვაყურადებთ,
თითქოსდა ნიშანს ჩავსაფრებივართ,
და რომ ეს ზოგჯერ გზაც არის ხოლმე,
გზა შორს მიმავალი და გაურკვეველი,
გზა საკუთარი თავიდან გამსვლელი,
როცა პასუხებს აღარც ითხოვ, აღარც იძლევი,
როცა არაფერს არ ეყრდნობი, მხოლოდ მიდიხარ
და სულ ერთია, როდემდე ან სადამდე ივლი.

შენი სახელი

I.
მაინც რამდენს ჰქვია შენი სახელი?
მე ხომ უკვე დამავიწყდი, აღარ მახსოვხარ,
როგორ წავშალე, გადავრეცხე,
როგორ წმინდად გავრანდე და გავაპრიალე მეხსიერების ყველა კუნჭული,
სადაც შემთხვევით შეიძლებოდა შერჩენილიყო თუნდაც მცირე მოგონება,
სწორედ ასე ჭკნება ფოთოლი,
ვარდება და არასდროს აღარ ცოცხლდება.

მაგრამ სახელი,
რამდენს ჰქვია ეს სახელი?
დროდადრო მაინც როგორ მკვეთრად გაისმის,
თითქოს კედლებს ჩაქუჩს ურტყამდნენ,
თითქოს სახურავს აჭედებდნენ,
ან მაშხალებს აფეთქებდნენ საახალწლოდ
ქუჩის ბავშვები.

მე წავედი და ქალაქი გამოვიცვალე,
წავედი და ქვეყანა გამოვიცვალე,
სხვა ენაზე ავლაპარაკდი
სხვა ცა მხურავს ქუთუთოებზე
და ბგერებიც სულ სხვაგვარად ლაგდებიან, როცა მოუხმობ.
მეგონა, აი, გავთავისუფლდი,
აი, შორს ვარ, წარსულისგან საიმედოდ გადამალული
და შენი ხსოვნა ვეღარ მომწვდება,
მაგრამ სახელმა,
სადღაც, შემთხვევით გაგონილმა სახელმა,
ჩემი სიმშვიდე მეტყევის ნაჯახივით მოსხიპა
და საზამთრო ფიჩხის გროვად აქცია,
დღეს-ხვალ ისევ მწველ ცეცხლად რომ აბრიალდება.

II.
გახსენებ,
ვიცი, გიკვირს რომ გახსენებ,
როგორც იღვრება წყალი,
აღარ გვეძებენ ცეცხლის ენები
და აღარც ნაკვერჩხალი
შემორჩენია გრძნობების კერას
და ფერებია მკრთალი.
გახსენებ,
მაინც ვდგავარ და გახსენებ,
ნესტი ძვლებამდე ჩადის,
ხან ხმას მოვყვები ქვემოთ, შენამდე,
ხან ბოღმასა და წადილს.
ნეტავი, მაინც რა მაქვს სათქმელი
ამდენი წელიწადი.
წყალს მოაქვს ძველი დღეების წყება
და თითო წვეთად ამხელს,
როცა მეგონა, უკვე დასრულდა,
ხელსაც არასდროს ვახლებ,
ხსოვნის სკივრებში თვალს მიფარებულ
ბგერებგამოცლილ სახელს,
როცა მეგონა მიწად ვიქეცით,
გავიფიტეთ და გავშრით,
ზედ შეუმჩნევლად დაგვაბიჯებენ
არ დაძებნიან კავშირს
ის რაც იყო და რაც ლექსად იქცა,
ან დაემსგავსა ნახშირს.
უგროვებია ოქროს თევზები
მოგონებების ფაცერს,
თუმცა საშენო ჯადოსნურ სიტყვებს
ვერც ამ წერილში დავწერ.
ისე გახსენებ,
თითქოს ერთად ვართ,
მეძინება და მარწევ.

დაღი თედორაძე

სიყვარულის ვარსკვლავი

(ზღაპარი)

ერთი ლამაზი სოფლის განაპირას, ფერდობზე, კოხტა, პატარა სახლში შუა ასაკს მიღწეული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. სახლს ერთ მხარეს ნაკადული ჩამოუდიოდა, მეორე მხარეს კი ხშირი, დაბურული ტყე ერტყა. ეზოში, მწვანე მინდორზე, კოხტად გავლებულ კვლებში, უამრავი ყვავილი ხარობდა.

ცოლ-ქმარი მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდა. ჰყავდათ უამრავი ფრინველი, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელი. კაცს წისქვილი ჰქონდა გამართული და მეზობლებს სიმინდს უფქვავდა. ისეთი კეთილი იყო, არასოდეს მინდს არ ღებულობდა, პირიქით, ხელმოკლე ოჯახებს თავისი მოსავლიდან უმატებდა. ყოველ კვირა დღეს, ქალი კალათაში ჩაალაგებდა მისი ხელით მოწეულ სურსათსანოვაგეს, ტილოს გადააფარებდა და სოფელში ხელმოკლე ოჯახებს სტუმრობდა. კაცი წალდს აიღებდა და ღიღინით აუყვებოდა აღმართს ტყისაკენ. ამ გამრჯე და კეთილ ხალხს ბედნიერებისათვის ერთი რამ აკლდათ – შვილი არ უჩნდებოდათ.

ერთ მშვენიერ დღესაც, ქალი სოფელში წავიდა, კაცმა წალდი აიღო და ტყეს მიაშურა. გზადაგზა ქარისა და მეხისგან დაზიანებულ ხის ტოტებს ჭრიდა, ასუფთავებდა, ხმელ ფიჩხს აგროვებდა და კონებად კრავდა. ბაჭიები ხტუნვა-ხტუნვით დაყვებოდნენ, ციყვები ხან გირჩებს ესროდნენ, ხან ხიდან ხეზე გადახტომის დროს მხარზე დაახტებოდნენ, მელიები ჩირგვებიდან იჭვრიტინებოდნენ, თავისებურად ესალმებოდნენ კეთილ კაცს. ტყეში მას ყველა ცნობდა, იცოდნენ – არავის არაფერს დაუშავებდა და არც ერიდებოდნენ. დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ძილი მოერია. ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა, ფიჩხის კონა თავქვე ამოიდო და ღრმად ჩაეძინა. რამდენი ხანი ეძინა ვერ მიხვდა, მაგრამ რომ გაეღვიძა, უკუნი სიბნელე იდგა. მისი ყურადღება უცნაურმა შარიშურმა მიიპყრო, თვალები მოიფშვნიტა და ჰოი, საოცრებავ! ტრიალ მინდორზე დანთებულ პატარა კოცონთან ულამაზესი, ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი, თმებგაშლილი, ფეხშიშველა ტყის ფერიები ულამაზესი, მომაჯადოებელი რხევით ცეკვავდნენ. ტყის სურნელს შერეული, შორიდან მომავალი მუსიკის ჰანგები საოცარ ჰარმონიას ქმნიდა. კაცმა გამოფხიზლებაც ვერ მოაწრო, რომ ფერიები სადღაც გაქრნენ, მაგრამ გარკვევით ისმოდა მათი ხმა: – დღეს გაზაფხულის ბუნიობის დღეა. ჯადოსნური ღამე. შეხედეთ, ყველა ვარსკვლავი გამოეფინა ცაზე და იცით რატომ? დღეს მზე თავის მცხუნვარე, ოქროსფერ კაბას მოიზომავს, ცა ერთი წუთით გაიხსნება, მზე დედამიწის სარკეში ჩაიხედავს და თუ მოკვდავი მოასწრებს, თავის აუხდენელ სურვილს ჩაუთქვამს, აუცილებლად აუსრულდება.

კაცი გონს ვერ მოსულიყო, თავი ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა, მაგრამ ცისა და მიწის გასაყართან პატარა წერტილის დანახვაზე გამოფხიზლდა. ფეხზე წამოიჭრა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, მუხლი მოეკვეთა. წერტილი თანდათან იზრდებოდა, ბოლოს ცას ოქროსფერ სიმად გადაეკრა და გაიხსნა ცა. გამოჩნდა მზე, დიდებული, ოქროსფერი კაბა ემოსა, ოქროსფერი დალალები მხრებზე ბურბუშელებივით ეფინა. ყელმოღერებულმა, თავისი სიდიადით განებივრებულმა, ამაყად, მაგრამ თბილად გადმოხედა მიწიერ სამყაროს. კაცი გაოგნებული, ენაჩავარდნილი მუხლებზე იდგა, მოეჩვენა, თითქოს მზემ მას გაუღიმა, თითქოს რაღაცა ანიშნა... ის-ის იყო, ცამ დახურვა დაიწყო, რომ საბოლოოდ მოიკრიბა ძალა და შესძახა – შვილი მაჩუქე, მზეოო...

ცა დაიხურა. უკუნი სიბნელე და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. გაოგნებულმა სადღაც შორს სინათლეს მოკრა თვალი. სინათლე მოახლოვდა და – კიდევ ერთი საოცრება: მის წინ ულამაზესი ირემი იდგა, რომელსაც ბეწვი ისე უბზინავდა, თითქოს ათასობით ციცინათელა ერთდროულად ანათებდა. დიდი, წყლიანი თვალები კი სიკეთეს და სინათლეს აფრქვევდა.

ირემმა გაოგნებული, მღელვარებისგან ფერდაკარგული კაცი ტყიდან გაიყვანა.

გზადაგზა თბილად გადახედავდა მღელვარებისგან დამუნჯებულ კაცს.

უკვე გათენებული იყო, როცა სახლს მიუახლოვდნენ. ირემი ისე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. კაცი კი, ცოლთან ერთად, საოცარ სამყაროში აღმოჩნდა: ეზო ულამაზეს ყვავილთა თაიგულს ჰგავდა, რომელზეც ფერად-ფერადი პეპლები დაფარფატებდნენ. ყვავილების შუაგულში ტყის ფერიები იდგნენ და ცას შესცქეროდნენ. ირგვლივ ხეებზე, მდელოზე უამრავ ლამაზ ფრინველს მოეყარა თავი. მზე ის იყო ცოლ-ქმრის სახლს მიუახლოვდა, რომ აკაპელასავით გაისმა ჩიტების ჭიკჭიკი. მას დაერთო ნაკადულის ჩუხჩუხი, ფოთლების შრიალი, შორიდან მომავალი საოცარი მელოდიები, თითქოს ათასი მუსიკალური ინსტრუმენტი შემოჯაროდა ცოლ-ქმრის სახლს, თითქოს ტყე მღეროდა.

მზე სახლის ეზოს გაუსწორდა, თბილი სხივები მოფინა ირგვლივ, შემდეგ ორი ოქროსფერი სხივი, ლიანდაგის რელსებივით, მიწაზე დაუშვა. საიდანღაც ორი უცხო ფრინველი მოფრინდა, შურდულივით აიჭრნენ ცაში და ჰოი, საოცრებავ! მზის სხივებზე ოქროსფერი აკვანი ოქროსფერი ნისკარტით ჩამოასრიალეს და ცოლ-ქმარს მკლავებში ჩაუდეს. აკვანში ულამაზესი, ოქროსთმიანი, ცისფერთვალება გოგო იწვა და იღიმოდა. სამყარომ კეთილ ხალხს შვილი აჩუქა – ნანატრი შვილი.

პატარას მშობლებმა გალატეა დაარქვეს. მშვენიერ გალატეას ზნე და ხასიათიც ლამაზი ჰქონდა, მშობლებივით კეთილი და გამრჯე გაიზარდა. ახლა, როცა უკვე დიდი გახდა, დედის ნაცვლად თვითონ მიდიოდა სოფელში სურსათ-სანოვაგით დატვირთული, ჩამოივლიდა მეზობლებს, დაუტოვებდა მოსაკითხს, თანატოლებთან ერთობოდა და სახლში დროულად ბრუნდებოდა.

სოფელში ხმა გავარდა, მდინარესთან ახლოს, ერთი უცხო ბიჭი ცხოვრობს ულამაზეს მფრინავ რაშთან ერთადო. არავინ იცის, საიდან მოვიდაო, ზოგი იმასაც ამბობდა, კლდის შვილიაო, ჭექა-ქუხილის დროს მეხი დაეცა კლდეს, გახეთქა და იქიდან ამოიზარდაო. ასე იყო თუ ისე, კლდესთან მართლა ცხოვრობდა ტანადი და თვალადი აკიდი, მფრინავ რაშთან ერთად. გალატეას მეზობლებისგან გაგონილი ჰქონდა ბიჭის შესახებ, მაგრამ არასოდეს შეხვედროდა მას.

ერთ დღეს, როცა შემოიარა მეზობლები, გაერთო ტოლ-მეგობრებთან, მდინარეზე ჩავიდა, იბანავა და მწვანედ აბიბინებულ მოლზე წამოწვა. უცებ ცხენის ფრუტუნი მოესმა, შეშინებული წამოვარდა და დაინახა გრძელ ფეხებზე შემდგარი ნაცრისფერი ცხენი, გრძელი შავი ფაფარი ლამაზ ყელზე ეყარა, შავი კუდი მიწამდე დაშვებოდა. იდგა ამაყი, ბუნების ულამაზესი ქმნილება და გალატეას შესცქეროდა. გაისმა სტვენის ხმა. ცხენი ოდნავ შეტოკდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, თითქოს პატრონს ანიშნა: ერთი აქ მოდი რა საოცრება განახოო. გამოჩნდა აკიდი. აპირებდა ცხენს ურჩობისთვის გაჯავრებოდა, მაგრამ გალატეას დანახვაზე გაოგნებული ერთ ადგილას გახევდა. არავინ იცის, რამდენ ხანს იქნებოდნენ ასე გარინდულ-გახევებული, ისევ ნიბილას (ცხენს ნიბილა ერქვა) რომ არ

გამოეყვანა მდგომარეობიდან ფლოქვების ცემით და ჭიხვინით, მაგრამ ოქროსფერ ობობას მოესწრო და კაცთაგან უხილავი, ოქროსფერი სიმებით დაეკავშირებინა გალატეას და აკიდის გრძნობები.

იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს გალატეა და აკიდი. ჩამოსხდებოდნენ კლდის თავზე გაშლილ, ლამაზ მინდორზე, რომელსაც ირგვლივ ტყე ერტყა და საუბარში გართულებს, სანამ ბინდი ფეხაკრებით არ მოეპარებოდა, დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდათ.

იმ დილით გალატეა აფორიაქებული იყო. სახლში ვერ გაჩერდა. ვერც მეგობრებთან გაერთო. დათქმულ დროზე ადრე მივიდა კლდესთან. ჩამოჯდა და მზეზე მიფიცხებულმა ოცნებებში გასეირნება გადაწყვიტა, მაგრამ ამაოდ. უცებ უცნაური ხმები შემოესმა. ხმაური ტყიდან მოდიოდა. ფეხზე წამომდგარს აქოშინებული ცხენების რემამ ქარივით ჩაუქროლა, ფლოქვების თქარუნისგან ავარდნილი მტვერი ნისლივით მოედო არემარეს. „გაიქეცი, გალატეა!“ „დაიმალე, გალატეა!“ – ისმოდა საიდანღაც. ხმაური მიწყდა, მტვერი დაიწრიტა და გალატეამ შეჰკივლა – წინ ედგა უზომოდ დიდი, ბანჯგვლიანი, აქოშინებული ციკლოპი. ერთადერთ, უშველებელ, სისხლივით წითელ თვალს ბოროტად აელვებდა, უფერო ენიდან დორბლი წვეთავდა. ოთხკუთხა შუბლზე თმა უხეში პარიკივით მიწეპებოდა, უშველებელი ფაშვი უთახთახებდა და ისეთი სიმყრალის სუნი იდგა, გალატეამ ელდისგან გონება დაკარგა. ციკლოპი ცოტა ხანს ზემოდან დასცქეროდა გულწასულ გალატეას, მერე ზურგზე მოიგდო და ტყისკენ ბანცალით წავიდა. სანამ ტყეში შევიდოდა, შეჩერდა, უცნაურად გაიღიმა, გალატეა მკლავებზე გადაიწვინა და გზა ტაატით გააგრძელა.

აკიდი დათქმულ დროს მივიდა შეხვედრის ადგილზე. ჩამოჯდა კლდის პირას და გალატეას ლოდინში ფიქრებში წასული ნაბიჯების ხმამ გამოაფხიზლა. სიხარულით წამოიჭრა ფეხზე, მობრუნდა და გალატეას ნაცვლად ირემი რომ დაინახა ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა. გახევებული, ენაჩავარდნილი იდგა. სევდიან თვალებში ჩასცქეროდა ირემს და იმედს ეძებდა. გული ლამის ამოუვარდა საგულედან, ენა ისე გაუშრა, ხმა ვერ ამოიღო. ირემმა ბოლოს გაბედა და უამბო, თუ როგორ გაიტაცა გალატეა ციკლოპმა. უამბო ისიც, რომ ციკლოპი ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით, მიუვალ ადგილას ბინადრობს, ბნელ ტყეში. ირგვლივ ცოცხალი არსება არ ცხოვრობს. გამოქვაბულს კი, სადაც გალატეა გამოკეტა, ორი მუდამ დამშეული, დაგეშილი ძაღლი დარაჯობს, ჯერ იმ გამოქვაბულში არც ერთ სულდგმულს არ შეუღწევია. აი, ეს ბოთლი აიღე, ძირტკბილას ნაყენია. ამით მთელი სხეული უნდა შეიზილო, რომ ძაღლებმა შენი სუნი შორიდან არ იყნოსონ, ეს კი ძილის წამალი და ხმიადია. ერთმანეთში აურიე, როგორმე მოახერხე და ძაღლებს გადაუგდე. დაიძინებენ და ამის შემდეგ შედი გამოქვაბულში. დაიმახსოვრე! ციკლოპს სამი სიცოცხლე აქვს. ეცადე, სამივე დაახარჯვინო, თორემ მიწაში რომ ჩაძვრე, მაინც გიპოვისო.

აღელვებული აკიდი სასწრაფოდ შემოევლო ცხენს, მადლობა გადაუხადა ირემს და გაეშურა გალატეას საძებნელად. მიუხედავად იმისა, რომ ფრთამალი რაში ჰყავდა, მაინც ძალიან დიდი დრო დასჭირდა ბნელი ტყის მისაგნებად. და აი, გამოჩნდა შავი, უსიცოცხლო, უსულო ტყე. ტყის ერთ მხარეს უზარმაზარი კლდე იდგა, ხავსმოდებული, უსახური, სულისშემძვრელი. სამარისებული სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. კლდის ძირას ორი უშველებელი, შავი, წითელენაგადმოგდებული ძაღლი იწვა. აკიდი ისე მოიქცა, როგორც ირემმა დაარიგა: ტანზე ძირტკბილას ნაყენი შეიზილა, ხმიადი ძილის წამალში აურია და ძაღლებს გადაუგდო. მშიერმა ძაღლებმა თვალის დახამხამებაში გადასანსლეს ხმიადი და წამში ხვრინვა ამოუშვეს.

აკიდმა ნიბილა იქვე დატოვა. სირბილით დაეშვა თავქვე, გამოქვაბულის კარები შეამტვრია და ჩაიკეცა. გამოქვაბულში უკუნ სიბნელეს საშინელი სიმყრალის და სინესტის სუნი ერთვოდა. გონს მოსულმა დაიწყო კარების შემტვრევა. ოთახებში ზოგან ტყავის გროვები ეყარა, ზოგან ძვლების, ხორცის, ქვაბების, თოკების. ბოლოს, ყველაზე მაღლა, მეცხრე ოთახის კარი შეამტვრია და ხის

ნარზე მოკუნტული, სიცივისა და შიშისაგან აკანკალებული გალატეა დაინახა. გულში ჩაიკრა, გათოშილი ხელები დაუკოცნა.

– ნუ გეშინია, ნუ კანკალებ. ამიერიდან ციკლოპი ვერაფერს დაგიშავებს. ძალა მოიკრიბე, სასწრაფოდ აქაურობა უნდა დავტოვოთ, – უთხრა აკიდმა, ხელში აიყვანა და და კიბეებზე დაეშვა. ეზოში გასულმა დაინახა, რომ ძაღლები უკვე ფხიზლდებოდნენ. დაუსტვინა, ნიბილა წამში გაჩნდა გამოქვაბულთან.

– გაფრინდი, ჩემო ნიბილა, წინ დიდი გზა და ბრძოლა გველოდება, – უთხრა აკიდმა. გალატეა ის-ის იყო ცხენზე შესვა, რომ ძაღლებმა საშინელი ყეფა ატეხეს. ჯაჭვების ჟღარუნმა და ძაღლების გნიასმა უსიცოცხლო, ბნელი ტყე შეძრა. ექო ეხეთქებოდა კლდეებს, დაბზარული ლოდები იშლებოდა და ზრიალით ცვიოდა ძირს. ძაღლებმა ჯაჭვი გაწყვიტეს და გაქცეულებს დაედევნენ. ერთი ზურგზე შეახტა აკიდს, მეორე წინიდან გადაუდგა და ნიბილას კისერში სწვდა. აკიდმა ხმალი მოუქნია. ჯერ ერთი განგმირა, მერე მეორე. ძაღლს მოესწრო და ნიბილასთვის ცალი თვალი გამოეგდო. ცხენი არ შეჩერებულა. კლდიდან კლდეზე, მთიდან მთაზე დაფრინავდა. გალატეას ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა, ნიბილას თვალის ფოსოში გროვდებოდა და საოცრება მოხდა – ცხენს თვალი ამოევსო და მხედველობა დაუბრუნდა. მან ალერსით ახედა გალატეას. გალატეამ მშვენიერ, ჭკვიან თავზე ნაზად გადაუსვა ხელი, შუბლზე ეამბორა.

ცოტა იფრინეს თუ ბევრი იფრინეს, მოხდა ის, რასაც ელოდნენ. შორიდან თვალი მოკრეს ციკლოპს, რომელიც ისე სწრაფად მორბოდა, მიწა ზანზარებდა, ხეები იხლიჩებოდა, უშველებელი ლოდები რეზინის ბურთებივით ხტუნავდნენ ცაში.

უცებ ცა მოიქუფრა, ქარიშხალი ამოვარდა, შავი ღრუბლები გაქცეულების თავზე შეჯარდა, ჭექა-ქუხილს ისეთი კოკისპირული წვიმა მოყვა, გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. გაჩერდნენ უშველებელი კლდის თავზე. კლდის ძირს კი აქაფებული, აბობოქრებული ზღვის ტალღები ეხეთქებოდა. აკიდმა ხმალი იშიშვლა და ციკლოპიც დაესხა თავს. გაიმართა ბრძოლა. გავეშებული ციკლოპის ღრიალს და ჭექა-ქუხილს აკანკალებული გალატეას შეკივლება ერთვოდა. უცებ, კლდეს მეხი დაეცა, ორად გაიყო, აკიდმა მოასწრო და ხელი კრა ციკლოპს. ციკლოპი შეტორტმანდა, თავი ვეღარ შეიკავა და კლდის ნაპრალში ღრიალით ჩავარდა.

აკიდმა კარგად იცოდა, ციკლოპს კიდევ ორი სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი და წუთი-წუთზე ისევ გამოჩნდებოდა. ამიტომ, სასწრაფოდ მიირბინა გალატეასთან და ნიბილასთან და უთხრა: – უნდა ვიჩქაროთ. ციკლოპი მალე გამოჩნდება და დაგვედევნება, ამიტომ, ნიბილა, რაც არ უნდა მოხდეს, არ შეჩერდე. შესვა ცხენზე გალატეა, თვითონაც შემოახტა, ნიბილა აფრინდა და ამ დროს კლდიდან ღრიალით ამომძვრალი ციკლოპი უკანა ფეხზე ჩაეჭიდა ცხენს. ნიბილას ძალა აღარ ყოფნიდა, რომ ეფრინა. გრძნობდა, სადაცაა კლდეზე გადაიჩეხებოდნენ. ბოლოს მოახერხა – კლდეს თავი აარიდა, ზღვას გაუსწორდა და შეყვარებულებს მიმართა: – გადახტით, როგორმე გადახტით და თავს უშველეთ. ამას მე მოვუვლი.

გალატეას და აკიდს არ უნდოდათ მეგობრის მიტოვება, არც ის იცოდნენ, ზღვაში გადახტომით თუ გადარჩებოდნენ, მაგრამ მიხვდნენ, რომ სხვა გამოსავალი არ იყო.

ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს, თვალები დახუჭეს და აქაფებული ზღვის ტალღებში გადაეშვნენ. ნიბილა მობრუნდა, უშველებელი, წვეტიანი კლდის ქიმს გაუსწორდა და მთელი სისწრაფით დაეშვა...

შეწყდა ჭექა-ქუხილი, წვიმამ გადაიღო. ზღვის ტალღებიდან თოლიების გუნდი წამოიზარდა, ფრთებით გადაეჭდნენ ერთმანეთს, მონაცრისფრო-მოლურჯო, ფუმფულა ხალიჩად გადაიქცნენ და შეყვარებულებს, რომლებიც წუთი-წუთზე შეიძლება მღვრიე ტალღებს ჩაენთქა, ფეხებთან დაეფინენ. თოლიების ხალიჩა ნელ-ნელა დაეშვა მღვრიე ტალღებზე, იქ რძისფერი, ულამაზესი დელფინი ელოდებოდა, რათა ზღვის მეფესთან გადაემალა გალატეა და აკიდი.

დიდი ხნის ცურვის შემდეგ მიაღწიეს ზღვის მეფის სასახლეს. შესასვლელში პირანიები სცემდნენ ბოლთას. სასახლიდან ულამაზესი მუსიკის ჰანგები ისმოდა. იქ შესულებს ზღაპრული სილამაზე დახვდათ. მეფე და დედოფალი ტახტრევანზე ისხდნენ, ავანსცენაზე მუსიკოსები უკრავდნენ, ხოლო სცენაზე ფერად-ფერადი მედუზები ცეკვავდნენ.

გალატეას და აკიდის დანახვაზე მეფემ მარჯვენა ხელი აიქნია. მუსიკოსებმა და მოცეკვავეებმა არენა დატოვეს.

ზღვის მეფემ ძალიან კარგად იცოდა, თუ რა გადახდათ თავს შეყვარებულებს. ისიც იცოდა, რომ უნდა დახმარებოდა, მაგრამ პირობა მაინც წამოუყენა: დაეხმარებოდა იმ შემთხვევაში, თუ აკიდი იპოვიდა ბეჭედს, რომელიც დედოფალს დაეკარგა ან მოპარეს, ბეჭედს, რომელიც ქორწინების დღეს აჩუქა და ძალიან ძვირფასი იყო ორივესთვის. თან დასძინა: – შენ, მართალია, კლდის შვილი ხარ, მაგრამ ადამიანის გონება და გამჭრიახობა გაქვს. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ბეჭედს ადვილად იპოვი. გალატეაზე არ იდარდო, სანამ შენ დაბრუნდები, დედოფალთან იქნება სხვა სეფექალებთან ერთად.

აკიდი, გულდამძიმებული, მაგრამ იმედით სავსე, რომ ბოლოს და ბოლოს დასრულდებოდა ეს ტანჯვა, გაეშურა ბეჭდის საძებნელად. ძალიან დიდხანს ეძება, არ დატოვა არც ერთი წყალმცენარე, არც ერთი ქვა. გადაქექა მარჯნები, მაგრამ ამაოდ, ვერა და ვერ იპოვა. ბოლოს გადაწყვიტა ცოტა დაესვენა და იქვე ქვაზე ჩამოჯდა. უცებ ქვა ამოძრავდა და აკვნესდა. გაოცებული აკიდი კარგად დააკვირდა და მიხვდა – ქვა კი არა, უშველებელი შავი ლოქო გაშხლართულიყო ზღვის ფსკერზე. თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა, თან შიგადაშიგ საცოდავად კვნესოდა.

ლოქო მოუყვა, თუ როგორ ძლია სიხარბემ და მოიპარა მარგალიტისთვლიანი ბეჭედი, მერე როგორ ინანა და დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მეფემ საყოველთაო ძებნა გამოაცხადა. ვერ მოახერხა, დროებით ენის ქვეშ დამალა და მოულოდნელად გადაეყლაპა. ახლა ნაწლავებში გაჩხეროდა და კვდებოდა. თუმცა იცოდა, თუნდაც გადარჩენილიყო, მეფე მაინც არ აცოცხლებდა.

აკიდმა დაამშვიდა. მერე მოძებნა მავთული, კაუჭი გაუკეთა, მაგნიტი დაამაგრა, ფრთხილად ჩაუყო პირში და ლოქოს ოხვრას ბეჭედიც თან ამოყვა.

ლოქომ მადლობა გადაუხადა. მერე ისეთი დარცხვენილი და მავედრებელი თვალებით შეხედა, აკიდი მიხვდა, გაიცინა და უთხრა: ნუ ნერვიულობ, ჩემო მეგობარო, ეს ჩვენი საიდუმლო იქნება, მეფე ვერასოდეს გაიგებს. მადლობა მე უნდა გადაგიხადო, ეს ბეჭედი რომ არ მენახა, დავიღუპებოდი.

ბედნიერი აკიდი დაემშვიდობა ლოქოს და ბეჭდით ხელში მეფეს გამოეცხადა. გახარებულმა მეფემ საზეიმო ვითარებაში გაუკეთა დედოფალს ბეჭედი და სამდღიანი ნადიმი გამოაცხადა. აკიდმა მოკრძალებით შეახსენა მეფეს პირობა. მთვრალ მეფეს სულაც არ ახსოვდა გალატეას და აკიდის არსებობა. მერე, თითქოს გაიხსენა მიცემული პირობა და ამოილუღლუღა: მე რა შემიძლია, ერთადერთი, თევზებად გადაგაქცევთ და აქ, ჩემ სამფლობელოში იცხოვრებთ. არც უკითხავს თანახმა იყვნენ თუ არა, თვალის დახამხამებაში თევზებად გადააქცია.

– აი, ასე, – ლუღლუღებდა მთვრალი მეფე, – მე ჩემი ვალი მოვიხადე. თუმცა, მოიცათ. ერთმანეთი რომ არ დაკარგოთ, სარტყელით დაგაკავშირებთ. ხელი აიქნია და გალატეას და აკიდს შორის სარტყელი გაჩნდა, მაგრამ ისეთ დროს, როცა საპირისპირო მიმართულებით მიცურავდნენ.

– ოჰ, ეს რა დამემართა, მაგრამ არაუშავს, მთავარია ერთად ხართ, – თქვა მეფემ და ყანწების დაცლა განაგრძო.

გალატეა და აკიდი ერთმანეთს სევდიანი, მაგრამ სიყვარულით სავსე თვალებით შესცქეროდნენ და ფიქრობდნენ: მეფე მართალია, მთავარია, ერთად ვართ.

უცებ ზღვა აღელდა, აბობოქრდა. პირანიებმა მეფის სასახლე ცოცხალი ჯაჭვით გადაკეტეს. გალატეა და აკიდი სასახლის გარეთ დარჩნენ. ციკლოპი მოდის, ციკლოპი მოცურავს! – ისმოდა შეძა-

ხილები. გალატეა და აკიდი ცდილობდნენ გაეცურათ და სადმე დამალულიყვნენ, მაგრამ სარტყელი ხელს უშლიდათ და ერთ ადგილას ფართხალებდნენ. საიდანღაც დელფინი გაჩნდა, ზურგზე შეისვა თევზები და გაცურა თუ არა, ციკლოპი გამოჩნდა. შეასკდა პირანიების ცოცხალ ჯაჭვს, სასახლეში შესვლას ცდილობდა. გაიმართა ბრძოლა. მეფემ დამხმარე რაზმი გამოიძახა, რომელთა მეთაური შავი, თეთრკოპლებიანი, დიდი აისბერგის ზომის ვეშაპი იყო. ეძინა, როცა განგაშის ზარი ჩამოკრეს და ახლა გაბრაზებული მოცურავდა, რათა პასუხი ეგებინებინა თავხედისთვის. მოახლოებულმა დაინახა, როგორ ფანტავდა პირანიებს გადარეული ციკლოპი.

ვეშაპს თვალები გაუბრწყინდა ციკლოპის დანახვაზე.

– აჰა, ხომ ჩაგიგდე ხელში, ახლა ვერსად გამექცევი. პასუხს აგებ იმ ყველაფრისთვის, რაც უდანაშაულო არსებებისთვის დაგიშავებია, – ჩაილაპარაკა და ციკლოპს თავს დაესხა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ციკლოპი ძალიან ძლიერი იყო და მისი დამარცხება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მაგრამ ვეშაპმა მაინც მოახერხა დაეჭრა. დაჭრილი და დაუძლურებული ციკლოპი პირანიებს დაუთმო და ამაყად მიაშურა თავის სამფლობელოს.

ამ დროს დელფინმა ზღვის ზედაპის მიაღწია. მზის სხივებისგან გაბრწყინებული ზღვა ულამაზეს ფერებში ლივლივებდა. ქროდა თბილი სიო და ყვავილების სურნელთან ერთად, საოცარი მუსიკის ჰანგები მოჰქონდა ბნელი ტყიდან, სადაც ციკლოპის ბოროტების დასასრულს ზეიმობდნენ.

ვარდისფერი ღრუბლის ფთილა ზღვის ზედაპირზე დაეშვა. დელფინმა თევზები ღრუბელზე შემოსვა. დაუბერა ნიავმა და ღრუბლის ფთილა ძალიან მაღლა, უჩვეულო სიმაღლეზე აიყვანა. მერე თეთრი, ნატიფი ხელის მტევანი გამოჩნდა, ისეთი გამჭვირვალე კანი ჰქონდა, თითები ბროლის გეგონებოდა. გალატეა და აკიდი მუჭში მოიქცია და კიდევ უფრო მაღლა აიყვანა. ისე მაღლა, რომ იქიდან დედამიწა წერტილივით მოჩანდა.

სიყვარულის ღმერთმა ისინი, მარადიული სიყვარულის ნიშნად, ვარსკვლავებად გააბრწყინა ცის კაბადონზე.

გალატეა დიდხანს ეძება დედ-მამამ. ვის არ ჰკითხეს. გადაქექეს ტყე, არ დატოვეს კუთხე-კუნჭული, მაგრამ ამაოდ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, არავინ არაფერი იცოდა. სოფელში შეამჩნიეს, რომ აკიდი და ნიბილა აღარ ცხოვრობდნენ დიდი კლდის პირას, მაგრამ ამ ამბავს ერთმანეთს ვერ უკავშირებდნენ.

იმ დღიდან მოყოლებული, მთელი დღის ძებნის შემდეგ, დაღლილი და განადგურებული, აივანზე დასხდებოდნენ უბრად და მეორე დღის გათენებას მოუთმენლად ელოდნენ, რათა საყვარელი შვილის ძებნა ალიონზე დაეწყოთ.

შუაღამე გადასულიყო. ის დრო იყო, როგორც წინაპრები ამბობდნენ: ერთ პირ ძილს წყალიც იძინებსო, ჰოდა, ეძინა ყველას. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, არ ეძინა მხოლოდ გალატეას დედ-მამას. მოულოდნელად ნაბიჯების ხმა მოესმათ. ეზოში გაცვივდნენ, გალატეას ელოდნენ და ოქროსფერი ირემი შერჩათ ხელში.

ირემი დაწვრილებით მოუყვა, თუ რა გადახდა თავს გალატეას, როგორ იხსნა აკიდმა ტყვეობიდან და როგორ გააბრწყინა სიყვარულის ღმერთმა ვარსკვლავებად მარადიული სიყვარულის ნიშნად. შემდეგ ირემმა ისინი მაღალ ბორცვთან მიიყვანა, საიდანაც ყველა ვარსკვლავი კარგად ჩანდა. აუხსნა, სად იყვნენ განლაგებული გალატეას და აკიდის ვარსკვლავები, დაანახა, როგორ უქნევდნენ ხელს და ესალმებოდნენ მშობლებს. გახარებულებმა ცრემლი შეიმშრალეს და იმ დღიდან მოყოლებული, იდგნენ ხელი-ხელჩაკიდებული, ცას შესცქეროდნენ და ხელის ქნევით ესალმებოდნენ შვილებს.

ფეხმოუცვლელად, იმდენ ხანს იდგნენ, რომ ალვის ხეებად გადაიქცნენ.

დღესაც, იმ სოფელში თუ მოხვდებით, დაინახავთ სოფლის განაპირას, ფერდობზე, ერთმანეთის გვერდით მდგარ ორ ალვის ხეს, რომლებსაც ტოტები ცისკენ აქვს აწვდილი.

თამარ ჯაფარიძე

* * *

სნეულო ღამევ... ნისლიანი და სველი დილა
შემოგერევა, როგორც ყავას რძე და ნაღები,
...და ისე ნელა, მორჩილებით... და ისე მშვიდად
გაფითრდები და... გაკრთები და... არ მენაღვლები!

ცვრიანო დილავ, გალუმპულო... დაგლევს და შეგსვამს,
ნისლს გაგითხელებს მწყურვალი მზის ცხელი ძარღვები,
ისეთი გზნებით გაგთანგავენ, ტკბილად და... შენც მათ
დამორჩილდები, გაქრები და... არ მენაღვლები!

მზიანო დღეო... მიუყვები ბილიკებს მტვრიანს
და უდარდელად გიმწიფს გზებზე ლურჯი მაყვლები...
მაინც ღამდები! დედამიწის, ვერ უძლებ ტრიალს...
წუთისოფელო, მოკლე ხარ და... არ მენაღვლები!

ძალა არაა თავზევით

დარჩენილ სიცოცხლეს ვჯერდებით,
(სხვა ძალა არაა თავზევით)
ერთიღა შემომრჩი ჩემ გვერდით,
მეც არსად მივლია სხვა გზებით...
და გულის სიღრმეში ვბრაზდები,
ვბერდებით, რომ ჰაი-ჰარადა,
არადა, გავთელეთ რა გზები,
რა გზებით ვიარეთ, არადა.
ვწუხვარ და... გზადაგზა ვჩერდები –
სუყველა დავტოვე წარსულთან,
მხოლოდ შენ მეგონე ჩემ გვერდით,

მაგრამ შენც სხვა მხარეს წასულხარ...
და სუსტად მინათებთ შენ და მზე,
ბილიკებს შემორჩათ ბინდიღა,
მე მარტო მივდივარ ჩემ გზაზე,
შენც მარტო, შენი გზით, მიდიხარ.

კაფე „თეთრი ქვები“

ჩემთან ხიდი და თეთრი ქვებია...
შენთან – მტკვარია და ნარიყალა,
ჩვენზე ამბობენ: – ვერ შეხვდებიან,
რომ ჩვენი გზები, კვლავ გაიყარა.

მაგრამ, ხომ გახსოვს, სუნთქვა დიორი,
სიო ნაზი და საღამოს „7“,
გასაგიჟებლად მშვიდი რიონი...
მშვიდი კლავიში... და კაფე მშვიდი, –

მეც კარგად მახსოვს! დღეს კი, ამ ქარის,
არ ღირს ატანა, თუკი არ გინდა.
შენ არ ხარ, თორემ კაფეც აქ არის,
პიანინოც და კუთხის მაგიდა...

ჩვენზე ამბობენ: – ვერ შეხვდებიან,
რომ ჩვენი გზები, კვლავ, გაიყარა!
ჩემთან ხიდი და „თეთრი ქვებია“...
შენთან – მეტეხი და ნარიყალა!

დედამ დამიტოვა ბაღი

დედამ დამიტოვა
თეთრი ზამბახით... და ლურჯით,
ვაშლის ხეები და ვარდი,
დარდი – დახატული ფუნჯით.
ველარ მოვუარე, მერე,
როცა მიმატოვა დედამ,
თითქოს სასაფლაო ვთელე,
თითქოს საფლავებმა მთელა.
დიდხანს ავარიდე თვალი,
ის თვალს მაყოლებდა ქარში,

თითქოს მისი იყო ბრალი,
დედა რომ არ იყო ბაღში.

როცა ველარ ვუძლებ ტკივილს
დარდით აღარა ვარ, როცა,
ჩუმად დავჯდები და ვტირი –
ტკივილს არ სცოდნია მოცდა.
ბაღის სიცოცხლე და ყოფნა
გახდა მწუხარე და მწირი...
როცა ამტკივდება ყოფა,
ბაღში შევდივარ და... ვტირი.
ბედის საყვედურსაც ვბედავ,
როცა ველარა ვარ ლაღი.
ფიქრებს ვერ ველევით მე და
ჩემი მოსავლელი ბაღი.

ბაღი დამიტოვა დედამ
დედამ დამიტოვა ბაღი.

ციური მესხიშვილი

მე და ჩემი ჩიტბატონა

ნ. გვარიშვილს

გაზაფხულის მოსვლას ველი,
ვიცი გავიხალისებ,
აყვავდება მთა და ველი, –
გაუთბება მხარი მზეს!...

მზე მაჩუქებს სიყვარულებს,
მთვარე, სიდარბაისლეს,
საქართველოს სიხარულით
და სიკეთით ამივსებს.

მყინვარწვერზეც მზე ამოვა,
ღრუბლებმა რომ დანისლეს!..
ჩიტბატონა ჩამომიტანს,
მთიდან, ედელვაისებს.

გაზფხულდა და პეპლებმა,
მხრებზე ფრთები აისხეს,
ნატვრისჩიტად დაეკიდნენ
ბეღურები ალვის ხეს!...

მზემ მაჩუქა სიყვარული,
მთვარემ სიდარბაისლე,
მე და ჩემი ჩიტბატონა,
ვკოცნით ედელვაისებს!!!...

გამოაღეთ ფანჯარა

გული ამიმზევე და
სული დამიყადაღე,
ქარმა, ისე შემბოჭა,
ველარ ვიხსნი არტახებს...

ვინა თქვა რომ სიყვარულს
ყავლი გასდის ოდესღაც?!
გამოაღეთ ფანჯარა,
თუ შაშვის ხმა მოგესმათ!

გახსოვს თესეუს ბაღი
და ბებერი კედარი,
გამომხმარი ფუღურო –
შიგ შემძვრალი ქედანი.

რატომ სწყალობს მითხარი;
მთვარე გადარეულებს?!
წუხელ ვნახე სიზმარი,
მისწორებდა რვეულებს...

წითლად ხაზი გაავლო, –
ამოხია ფურცელი,
მე მოვკვდი და შენ დარჩი
ჩემში გარდაუცვლელი...

ვინა თქვა რომ სიყვარულს,
ყავლი გასდის ოდესღაც?!
გამოაღეთ ფანჯარა,
თუ შაშვის ხმა მოგესმათ!

სიყვარულის საელჩო

ციდან მოფრენილ პეპელას,
ჩემს დოქში თავი ჩაეხრჩო,
შოთას წყაროსთან გავხსენი,
დღეს სიყვარულის საელჩო...

საცაა მობრძანდებიან,
თამარ მეფე და სოსლანი,
სეფე ქალებად ხლებიან,
ია-გვირილა, სოსანი...

ციდან მიღიმის ფერია,
კალთანაქარგი შროშანი,
ვარძიის ღვთისმშობელია,
განა, აქედან შორს არი?!

პალესტინიდან გვეახლნენ:
ელჩი, შიკრიკი, უსტარით,
რუსთველის მალემსრბოლია
და გზას კითხულობს, რუსთავის...

„ვეფხისტყაოსნის“ ეტრატი
და მგალობელი ფრთოსანი,
მოგართვით, დიდო მეფეო!
მოკითხვას გითვლით მგოსანი!!!...

ვარძია

მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
შემომცინიან მორცხვად ქაცვები,
ისე დიდია ჩემი ვარძია,
რომ სჩანან, როგორც ქონდრისკაცები...

და უფრო დიდი ყოფილა, ოდეს,
ვიდრე მიწისძვრამ კალთა ურღვია,
მთვარის ნატეხად ჩამოტყდა კბოდეს
და დაგვიტოვა კარი გულღიად.

შირიმისფერი სამოსი მოსავს,
ნადიმს უმზადებს ცაში არწივებს,
და თამარ მეფეს, უფლით ღვთივმოსავს,
მზე აკემსინებს ჩოხის ყაწიმებს.

აქ სალოცავად მოსულა მესხიც,
ავთანდილის ცხენს გასძვრა ნალები,
დოლაბებიდან შავ შაშვებივით,
მოსჩანს შავლეგოს ნატერფალებიც...

მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
ისრებს მართავენ მტრისკენ ქაცვები...
ისე დიდია ჩემი ვარძია,
რომ სჩანან როგორც ქონდრისკაცები.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲑᲣᲚᲒᲐᲙᲝᲕᲘ

ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘ

(პიესა)

თავდაპირველად გეგონებოდა, რომ ვირთხა აფხაჭუნებდა კარზე, თუმცა ძალიან მორიდებული, ადამიანური ხმა:

– შეიძლება, შემოვიდე?

– შეიძლება, გეთაყვა!

ამღერდა კარის ანჯამები.

– მოდი! დივანზე დაჯექი!

(კარებიდან): – და როგორ გავივლი პარკეტზე?

– ფრთხილად გაიარე, არ გასრიალდე!.. აბა, რა არის ახალი?

– ალაფელი!

– ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ვინ ღრიალებდა დღეს კორიდორში?

(ხანგრძლივი პაუზა) – მე ვღლიალებდი.

– რატომ?

– დედამ გამლახა.

– რისთვის?

(დაძაბული პაუზა) – მე შურიკას ყურზე ვუკბინე.

– ეს მეტისმეტია!

– დედა ამბობს, რომ შურიკა არამზადაა. მაბლაზებს. მონეტები წამალთვა!

– ასეთი დეკრეტი ჯერ არ გამოუციათ, ხურდა ფულის წართმევის გამო ადამიანს ყურები დაუკბინო; გამოდის, შენ სულელი ბიჭი ხარ.

(წყენა) – მე აღალ გელაპალაკები.

– კი, ბატონო!

(პაუზა) – აი, მამა ჩამოვა და მას ვეტყვი (პაუზა)... ის დაგცხლილავს!

– ახ, ასე, არა? მაშინ მე ჩაის აღარ დავაყენებ. რისთვის? მე ხომ დამცხრილავენ?

– არა, შენ ცაი დააყენე!

– შენ დალევ ჩემთან ერთად?

– კანფეტებით, ხოო?

– უცილობლივ.

– კი, დავლევ.

ჩაცუცქული ორი ადამიანის სხეული – დიდი და პატარა. მუსიკალური წკრიალი გააქვს ჩაიდანს, დუღს. კონუსის ცხელი ნათელი ადგას ჯერომ ჯერომის გვერდს.

– ლექსები, ალბათ, დაგავიწყდა?

– ალა, ალ დამვიწყებია!

– მაშ, წაიკითხე!

– ვი... ვიყიდი ჩემთვის ფეხსაცმელს...

– ფრაკისთვის.

– ფლაკისთვის და ვიმღელებ ღამღამობით...

– ფსალმუნს...

– ფსალმუნს... და მოვიყვან ჩემთვის ძაღლს.

– არა...

– ალა უშავს...

– როგორმე თავს გავიტანთ!

– თავს გავიტანთ ლოგოლმე!

– სწორედაც, ჩაი რომ ადუღდება, დავლევთ და (ღრმა ჩასუნთქვა) – ვიცოცხლებთ!

წკარუნი. ჯერომი. ორთქლი. კონუსი, ჭრაჭუნობს პარკეტი.

– შენ მარტოხელა ხარ!

ჯერომი ვარდება იატაკზე, ფურცელი ქრება.

(პაუზა) – ეს შენ ვინ გითხრა?

(უშფოთველი პაუზა) – დედამ.

– როდის?

– მაშინ, ღილს რომ გიკელებდა. კელავდა, კელავდა და ლაპალაკობდა მოსაწყენად.

– ესეც ასეე! დამაცადე, დამაცადე, ნუ წრიალებ, თორემ დაგწვავ... ...უჰჰჰ!

– უჰ, ცხელია!

– რომელი კანფეტიც გინდა, ის აიღე!

– აი, მე ეს მინდა, დიდი!

– შეუბერე, შეუბერე და ფეხებს ნუ ახვანცალებ!

(ქალის ხმა სცენის მიღმიდან) – სლავკა!

კარი ჭრიალებს... ანჯამები სასიამოვნოდ მღერიან.

– ისევ თქვენთანაა? ...სლავკა, წამოდი სახლში!

– არა, არა, ჩვენ ჩაის ვსვამთ!

– მან ხომ სულ ცოტა ხნის წინ დალია ჩაი?

(ჩუმი გულახდილობა) – მე ალ დამილევია.

– ვერა ივანოვნა, მოდით, ჩაი დავლიოთ!

– გმადლობთ, ახლახან გეახელით.

– მოდით, მოდით, მე თქვენ არ გაგიშვებთ!

– ხელები სველი მაქვს, თეთრეულს ვფენ.

(უპატიებელი ქომაგი) – ალ გაბედო, დედაჩემის დათლევა!

– კარგი, კარგი, არ დავითრევ... დაბრძანდით, ვერა ივანოვნა...

– მაცალეთ, თეთრეულს გავფენ და მოვალ.

– შესანიშნავია. აღარ ჩავაქრობ ნავთქურას.

– შენ კი, სლავკა, როცა დალევ ჩაის, მიდი სახლში, დაიძინე!.. ...ის თქვენ ხელს გიშლით.

– ალ ვუშლი. მე ალავის ალ ვუშლი!

ანჯამები უსიამოვნოდ მღერიან. ჩაიდანი დადუმებულა.

– შენ უკვე გეძინება?

– ალა, მე ალ მინდა ძილი. ზღაპალი მომიყევი!

– შენ რომ თვალები დაგიწვრილდა?

– ალა, ალ დამიწვლილდა! მომიყევი!

– მაშ, მოდი ჩემთან. თავი დამადე მხარზე. აი, ასე! ზღაპარი? რომელი ზღაპარი მოგიყვე ახლა მე შენ?

– ბიჭზე მიამბე, აი, იმაზე...

– ბიჭზე? ეს, ძმაო, რთული ზღაპარია, ყოველ შემთხვევაში, შენთვის. თუმცა გიამბობ.

„ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ბიჭი, პატარა ბიჭი, დაახლოებით 4 წლისა, მოსკოვში დედასთან ერთად და ამ ბიჭს სახელად ერქვა სლავკა“.

– ოჰო... ლოგოლც მე?

„საკმაოდ ლამაზი, მაგრამ ფრიად სამწუხაროდ, ის იყო მოჩხუბარი და ჩხუბობდა იმითი, რასაც მოიხელთებდა – მუშტებით, ფეხებით და სატუცავებითაც კი. ერთხელაც კიბეზე ერთ ლამაზ, მშვიდ, სანდომიან გოგონას, მე-8 ნომრიდან, სცემა, პირდაპირ სახეში სთხლიშა წიგნი“.

– ის თავად ჩხუბობს.

– მადროვე! შენზე არ მიდის საუბარი.

– სხვა სლავკაა?

– სრულიად სხვა. რაზე გავჩერდი? ჰო... ხოდა...

„ყოველდღე ჩასჩიჩინებდნენ ბიჭს, რომ არ შეიძლება, სულ მუდამ ასე ჩხუბობდეო. მაგრამ სლავკა ყურად არ იღებდა მათ რჩევებს და თავისას არ იშლიდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, სლავკა წაეჩხუბა შურიკას, მასსავით მოჩხუბარ ბიჭს. დიდხანს არ უფიქრია სლავკას, ადგა და კბილებით სწვდა ყურზე და ნახევარი ყური მოაჭამა. აქ ატყდა ალიაქოთიიი? ვერ აღვწერ. შურიკა ღრიალებს; ღრიალებს სლავკაც. როგორც იქნა, მიაწებეს შურიკას ყურზე მოჭმული ნაწილი სპეციალური მალამოთი.

სლავკა, რა თქმა უნდა, კუთხეში დააყენეს.. დააა უცებ – კარებზე ზარია! და გამოჩნდა სრულიად უცნობი ბატონი გრძელი, ჟღალი წვერით, ცისფერი სათვალით დაა... ბარიტონის ხმით კითხულობს: – „ნება მომეცით, გავიგო, ვინ არის აქ სლავკა? სლავკა პასუხობს: – „სლავკა მე ვარ“! – „აი, რა სლავკა, მე გახლავართ ყველა მოჩხუბარის ზედამხედველი და, ჩემო ძვირფასო სლავკა, მომიწევს თქვენი გაშვება მოსკოვიდან თურქმენეთში. ხედავს სლავკა, რომ საქმე ცუდადაა. – ვაღიარებ, – ამბობს ის, – რომ ვიჩხუბე. მე კიბეზე ვთამაშობდი მონეტებით, დედას კი უსინდისოდ მოვატყუე, რომ არ ვთამაშობდი... მაგრამ ეს მეტად აღარ განმეორდება, იმიტომ, რომ მე ვიწყებ ახალ ცხოვრებას.

– აჰა, – ამბობს ზედამხედველი, – ეს უკვე სხვა საქმეა, მაშინ შენ უნდა დაჯილდოვდე შენი გულწრფელი მონანიებისთვის! – თქვა და გააქანა სლავკა ჯილდოების გამანაწილებელი საწყობისკენ... და ხედავს სლავკა ნაირნაირ საგანს, რომელთაგან ბევრი აქამდე არც ენახა. აქვე იყო საჰაერო ბუშტები, ავტომობილები, აეროპლანები, ზოლებიანი ბურთები, ველოსიპედები, დოლები... და ეუბნება ზედამხედველი: – აირჩიე, რასაც შენი გული ითხოვს!...

ის კი უკვე დამავიწყდა, რა აირჩია სლავკამ“.

(ტკბილი, მძინარე ბასი) – ველოსიპედი!

– ხო, ხო, გამახსენდა, – ველოსიპედი! „და დაჯდა სლავკა დაუყოვნებლივ ველოსიპედზე და პირდაპირ კუზნეცკის ხიდზე გავარდა გასასეირნებლად. დაქრის სლავკა და აჭყვიტინებს საყვირს, მაყურებლები კი დგანან ტროტუარზე, შესცქერიან ბიჭს და გაკვირვებით ამბობენ: – შესანიშნავი ადამიანია ეს სლავკა, როგორ არ უვარდება ავტომობილებს ბორბლებში? როგორ მოხერხებულად დაატარებს ველოსიპედს?

სლავკა კი ასიგნალებს და გაჰყვირის მეეტლეების მისამართით: – მარჯვენა დაიჭირე, მარჯვენა! მეეტლეები ფრინავენ. მანქანები ფრინავენ. სლავკა კი ახურებს! მოდიან ჯარისკაცები და უკრავენ მარშს ისე, რომ ყურებში რეკავს“...

– უკვე?

ანჯამები მღერიან. კორიდორი. კარი. თეთრი ხელები იდაყვებამდე მოშიშვლებული.

– ღმერთო ჩემო, მომეცით, ტანსაცმელს გავხდი.

– მოდით რაა, მე გელოდებით.

– გვიანია.

– არა, არა, გაგონებაც კი არ მინდა!

– კარგი, კარგი.

შუქის კონუსები. იწყება ჩაიდნის წკარუნი. პატრუქი მაღლა. ჯერომი არ არის საჭირო – დევს იატაკზე. ნავთქურის დაორთქლილ ფანჯარაში პატარა, სასიხარულო ჯოჯოხეთი მოჩანს.

„ვიგალობებ ღამღამობით ფსალმუნს. როგორღაც ვიცხოვრებთ. დიახ, მე მარტოხელა ვარ, ფსალმუნი – მოწყენილი; მე არ ვიცი, როგორ უნდა ცხოვრება. ცხოვრებაში ყველაზე სატანჯველი ღილებია – ისინი წყდებიან, თითქოსდა, ლპებიან. ააწყდა ჟილეტს და გაფრინდა სადღაც გუშინ, ერთი, დღეს კი ერთი პიჯაკს მოსწყდა, ერთიც – შარვლის უკანა მხარეს.. მე არ შემიძლია, ვითანაცხოვრო ღილებთან ერთად, თუმცა ამ ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის და გამეგება. ის არ ჩამოვა. ის მე ვერ დამცხრილავს. იგი ამბობდა იმ დღეს ნატაშასთან: „მალე ჩამოვა ჩემი ქმარი და ჩვენ, ყველანი, გავემგზავრებით პეტერბურგში“ არაფერსაც არ დაბრუნდება. ის არ დაბრუნდება. დამიჯერეთ! შვიდი თვეა, ის აქ არ არის და სამჯერ, სრულიად შემთხვევით, დავინახე, რომ იგი ტირის. ცრემლებს, იცით, (?) ვერ დამალავთ. მან ძალიან ბევრი დაკარგა იმითი, რომ მიატოვა ეს თეთრი, თბილი ხელები. ეს მისი საქმეა, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეძლო მან სლავკას დავიწყება?“

ო, როგორ მხიარულად ამღერდნენ ანჯამები. კონუსები არ არის. დაორთქლილ ფანჯარაში – შავი წყვდიადი. კარგა ხანია, დადუმდა ჩაიდანი.

– შესანიშნავი თითები გაქვთ, პიანისტი უნდა იყოთ.

– აი, წავალ პეტერბურგში და ისევ დავუკრავ.

– თქვენ არ წახვალთ პეტერბურგში... ...სლავკას კისერში თქვენნაირი კულულები აქვს. თქვენ იცით, მე სევდა მაქვს. მოსაწყენია ასე ცხოვრება, უკიდურესად მოსაწყენი. ირგვლივ ღილები, ღილები, ღი...

– ნუ მკოცნით, ნუ, ნუ! უნდა წავიდე! გვიანია!

– თქვენ არ წახვალთ, თქვენ იქ იტირებთ, ხომ ვიცი, არა? თქვენ ეს ჩვევა გაქვთ.

– ეგ სიმართლე არაა, მე არ ვტირი. ვინ გითხრათ?

– მე ვიცი. მე ვხედავ. თქვენ იტირებთ, მე კი სევდა შემიპყრობს, სევდა...

– რას ვაკეთებ?! რას აკეთებთ?!

კონუსები არ არის; წყვდიადი. ღილებიც არ არის.

„მე ვუყიდი სლავკას ველოსიპედს. არ ვიყიდი ჩემთვის ფეხსაცმელს, არ ვიყიდი ფრაკს, არ ვიმღერებ ღამღამობით ფსალმუნს... არა უშავს, როგორმე გავიტანთ თავს, როგორმე ვიცხოვრებთ“.

1923 წელი.

მთარგმნელი **გუნა სამნიძე**

თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების პაჭრიოჭული ლირიკა

მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი პატრიოტიზმია; გამუდმებულ თავდაცვით ომებში მყოფი ჩვენი ხალხის სულიერი და ფიზიკური სიძლიერის, სამშობლოსადმი თავდადებისა და უანგარო მსახურების უიშვიათესი მაგალითებითა და საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული პატრიოტული სენტენციებით აღსავსე ქართული ხალხური საგმირო პოეზია, როგორც მკვლევარი ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს, „...ერთი უწყვეტი სიმღერაა სამშობლოს სიყვარულზე, მამაცობაზე, მეგობრობასა და კაცთმოყვარეობაზე, წარსულ ბედუკუღმართობაში ქართველი კაცის ჭირში გაუტეხლობასა და ზნეობრივ სიფაქიზეზე“ (ქ. სიხარულიძე, „საგმირო ლექსი“ – კრებულში „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტ. II, თბილისი, 1968, გვ. 82).

პატრიოტული ლექს-სიმღერებით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მამულის უერთგულესი ვაჟკაცების აღზრდის სკოლა იყო, სამშობლოს უანგარო სიყვარულის სულისკვეთებით ზრდიდა თაობებს და, ამავე დროს, ინახავდა და უფრთხილდებოდა საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ კაი ყმათა ნათელ ხსოვნას და მათ უკვდავ საგმირო საქმეებს მაგალითად უსახავდა მომავალ თაობებს.

პატრიოტული ხასიათის ფოლკლორული შემოქმედება გენეტიკურად უკავშირდება საისტორიო ზეპირსიტყვიერებას, რამდენადაც ამა თუ იმ ეპოქაში სამშობლოს ერთგულ დამცველთა სიმამაცითა და თავგანწირულობით საზრდოობს. ამ თვალსაზრისით ძალზე ნიშანდობლივია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების საისტორიო ხალხური შემოქმედების ის ნაწილი, რაც მწირად, მაგრამ მაინც შემოინახეს ლტოლვილობაში.

რუსეთ-თურქეთის ომის ბოლო ეტაპიდან, როცა აშკარა გახდა აჭარის ბედი, იწყება მუჰაჯირული მოძრაობაც. საისტორიო ზეპირსიტყვიერებამ მისთვის დამახასიათებელი უშუალობით შემოგვინახა აჭარელთა უკიდურესი ტრაგედიის ამსახველი ეს მოვლენა, როცა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი დიდი დამპყრობლის კოლონიური ინტერესები. ერთი გადმოცემის მიხედვით, „...ხოჯიებმა დაყარეს ამბავი, ნიკოლას ღმერთი არ სწამსო, გიაურები არიანო და ჩვენც გიაურებად გაგვხდიანო, ჩვენ რჯულში ჩიერევიან და ყველაფერ ჩვენებურ ადათებს გადაგვიგდებენო“ (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, №231, გვ. 2).

იასონ ნათაძის ჩანაწერი ლექსი „...მიგვიყვანეს, გადაგვწერეს“ („აჭარის ხალხური პოეზია“, თბილისი, 1969, გვ. 62) გვაუწყებს, რომ აღა-ბეგებისაგან წაქეზებულ ხალხს თურქთაგან დაპყრობილ ბათუმში რუსის ჯარი ორ თვეს არ შეუშვია:

...რუსებსაც კარგად ვეჩხუბეთ,
გაუწყვიტეთ სალდათები...
ორ თვეს ისე ვაბოგიშეთ,
როგორც მეგრელის ჯოგები.

ლექსი ნიმუშია ხალხის მიერ ჯანსაღი გონებით განსჯილი რთული ვითარებისა: მათ კარგად დაინახეს, რომ „ვერას გახდებოდნენ ამ ორი დიდი სახელმწიფოს ორთაბრძოლაში. წამქეზებლები კრიტიკულ მომენტში განზე რჩებოდნენ და ყველაფერი ხალხს ატყდებოდა თავზე“ (ა. ახვლედიანი, „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ბათუმი, 1970, გვ. 114). აღა-ბეგებმა აჯანყებული ხალხი რუსის ჯარს შეატოვეს, რის გამოც სახალხო მთქმელებმა არაერთგზის ამხილეს მათი უზნეობა და ღალატი („ბეგიებმა გვიღალატეს“); თუმცა, არც მათ დამართიათ სახარბიელო საქმე:

...მათაც კაი არ დამართეს,
ბაწრით ჩაიყვანეს გემში;
მათი ტირილი ისმოდა
სუფსას გაღმა ბაილეთში.
(„აჭარის ხალხური პოეზია“, თბ.,1969, გვ. 63)

ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა სახელები ხალხისა და სამშობლოს მოღალატე დიდგვაროვნებისა, თურქი მოსახლეობისა თუ მათი აგენტებისა, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ სინდის-ნამუსი და მოქმედებდნენ დევიზით – „მე ნიშანი დივიკიდე, რაღათ მინდა მეზობლები“ (იქვე, გვ. 62). მათ, საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით, მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანეს, რუსეთის ჯარისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გააწევინეს, შემდეგ კი დააშინეს და მუჰაჯირობის ძნელ გზას გაუყენეს. ბუნებრივია, ხალხური ლექსები სიძულვილით იხსენიებენ მათ სახელებს:

ალი ეფენდი ხოჯა იყოს,
მუხურს დაჰკრავს ტყუილ საქმეზე;
მან სიცრუე იკადრა და
ხარობს მტერი კიდევ ჩვენზე.
(„აჭარის ხალხური პოეზია“, თბ.,1969, გვ. 60)

ანდა;

ხასან აღას მივენდევით,
მოვეხვიეთ ორნივ ხელზე,
გვიღალატეს და დაგვკარგეს,
გაგვაგზავნეს შუაგულ ზღვაზე.
(იქვე)

ხალხის მოღალატე „ბეგიები“ („ფაშიები“) შემდგომი დროის ფოლკლორულ წყაროებში ერთ პიროვნებაში – ალი-ფაშა თავდგირიძეში დაკონკრეტდა, ყველა ცოდვა მას მიეწერა და რუსეთ-თურქეთის ომის ამსახველი ზოგადი ლექსი „ხონთქარი და რუსი ჩხუბობს“ უკვე „ალი-ფაშას ლექსად“ გაფორმდა. აჭარის საისტორიო ფოლკლორში ალი ფაშა თავდგირიძე ცალსახად წარმოდგენილია როგორც სამშობლოს, თავისი ხალხის გამყიდველი, ბოროტი და ეგოისტი ადამიანი. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებულ ლექსში „ალი ფაშამ გვიღალატა“ აშკარად გამოსჭვივის ხალხის უკიდურესი ზიზღი უზნეო ადამიანის მიმართ, რომელმაც არაფრად ჩააგდო ქვეყნისა და თანამოძმეთა ინტერესები და ფულზე გაყიდა; ამიტომაც თურქეთის ხელისუფალთაგან ალი ფაშას დასჯაც ხალხმა კანონიერ სამართლიანობად აღიქვა. ამის დასტურია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივში დაცული ლექსი:

...მასაც კაი არ დამართია,
ბაწრით ჩაათრიეს გემში;
ფაშას უყვარს ოქროს ფული,
დაადნეს და ჩაასხეს პირში.
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსის გაღმა ბაილეთში.

(საქმე №191, გვ. 59)

რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპი (1877-1878 წწ.), როცა აშკარა გახდა რუსეთის გამარჯვება და ისტორიული ქართული ტერიტორიის საქართველოსათვის შემოერთება, საბედისწერო აღმოჩნდა საქართველოს ძირძველი კუთხის – აჭარის მოსახლეობისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთის მხრივ ოსმალური, მეორეს მხრივ კი რუსული აგიტაციისა და ადგილობრივი აღა-ბეგების ერთი ნაწილის რენეგატობის წყალობით, მუსლიმური აღმსარებლობის მქონე დაბნეული აჭარელი გლეხობა მუჰაჯირობის გზას დაადგა.

1878 წლის იანვარ-ივლისის გაურკვეველი ვითარება, ვიდრე საბოლოოდ გადაწყდებოდა აჭარის ბედი და მისი გადაცემა რუსეთისათვის, მეტად მძიმე აღმოჩნდა აქაური მოსახლეობისათვის. ქვაბისთაველ (მაჭახელი) მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის ბოლო დრომდე შემორჩენილი ლექსი, რომელიც პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ ჩაიწერა (შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993, გვ. 365), ამ გაურკვევლობის თაობაზე მოგვითხრობს:

სად წევდოთ და სად დევკარქოთ,
ოსმანლში თუ რუსეთში?
ესმერ ხანუმ, ჩვენ წამოქვყე,
ჩეგვეხუტე უბეში!

ამ დროიდან იწყება მათი აყრა მშობლიური მიწა-წყლიდან და მუჰაჯირად გამგზავრება, რის ცალკეულ შემთხვევებს რუსეთის არმიის შემოსვლამდეც ჰქონდა ადგილი. ამ მოვლენას ეხმიანება პეტრე უმიკაშვილის არქივში დაცული ლექსი „რუსის ზაკონი“, რომლის მიხედვითაც რუსის ჯარის შესვლა ბათუმში უდიდეს უბედურებად აღიქმება:

ძველებურად არ გეგონოს,
რუსი მოვიდა ბათუმში.
ყველას დერდათ ჩიგვივარდა,
ცეხლი გაგვიჩნდა ჩვენ გულში.

(ა. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 138)

ხალხი ვერ ეგუებოდა ახალი დამპყრობლის კანონებს. მის „ნაკაზანიასა და კატორღას“; ამავე დროს, ლექსში განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა ადგილობრივი მმართველობის ზნეობრივი გახრწნილების მხილებაც; ხალხი არ ინდობს მათ, ვინც ჩინ-მედლების საფასურად ყურები დაიხშეს, თვალები დაიბრმავეს და თანამოძმეთა ინტერესები არაფრად ჩათვალეს. ამ საშინელ ვითარებას შედეგად მოჰყვა ხალხის სურვილი გაქცეოდა მიუღებელ ზნეობრივ აღრეულობას; ამგვარ პროტესტს თან ერთვოდა რენეგატ აღა-ბეგებისა თუ თურქი მოხელეების აგიტაციაც, რასაც შედეგად მოჰყვა ის ტრაგიკული ვითარება, რის გამოც დაბნეული მოსახლეობის ერთმა ნაწილმა თურქეთისაკენ აიღო გეზი.

აჭარელთა მუჰაჯირობის ამსახველი საისტორიო ლექსების უმთავრესი თემაა უსაშველო სევდა-წუხილი, რაც მშობლიური ადგილების მიტოვებითა და ახლობლებთან განშორებით იყო გამოწვეული. მუჰაჯირობის თემის პოეტური ფოლკლორი შეიქმნა როგორც აჭარაში დარჩენილთა თუ

უკანმობრუნებულთა მიერ, ასევე, ბუნებრივია, თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში ჩასახლებულთა შორის.

მუჰაჯირთა ტვირთმძიმე თავგადასავლის სრული ასახვით გამოირჩევა აჭარის პოეტურ ფოლკლორში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ლექსი „ხინო მუხაჯირად მივა“, იგივე „ლექსი მუხაჯირობაზე“ („აჭარის ხალხური პოეზია“, თბილისი, 1969, გვ. 65), რომელიც უარყოფითად არის განწყობილი სამშობლოს მიტოვების და მუჰაჯირობის მიმართ, რადგანაც

...ვინცხა მუხაჯირში წევდა,
შიმშილით წყდება სუნთელი;
ტირილ-ყვირილით მორბიან
ოხტომს ზედაჲ კეჭჲეთლები.

მასში ცალსახად არის გაცხადებული პატრიოტ აჭარელთა დევიზი: „ჩვენ არ გვინდა თათრის პური!“

მუჰაჯირობის ამსახველ ზეპირსიტყვიერებას, განუზომელ სევდასთან ერთად, თან სდევს სამშობლოსადმი განსაკუთრებული სათუთი სიყვარული და ღრმა ოპტიმიზმი დაბრუნებისა; ამავე დროს, დაუნდობლად შეახსენებს მათ, ვინც ეს მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინა, რომ გზა სამშობლოსაკენ მათთვის დახშული იყო, რომ მშობლიური მიწა-წყლის ნაცვლად, სამკვიდრებელი ხალხის მოღალატე ალი ფაშას გვერდით უნდა ეძებნათ:

...ბეგიები ამოვარდენ
დასაწვავად ჩვენს ეზოში,
ჩვენი ცოდვა მათ ეყოფათ
ამ დუნიის ახირეთში!
გამჩენი ღმერთის წყალობით
ჩვენ კი მივალთ ჩვენს ოჯახში;
თქვენ ბათომში ვეღარ მოხვალთ,
ბრძანდებოდეთ მაგ სტამბოლში,
ალი-ფაშა თავდგირიძეს
ემსახურეთ თავის დღეში!
(ა. ახვლედიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 115)

მუჰაჯირობის ციკლის ზეპირსიტყვიერება, როგორც აღვნიშნეთ, მარტოოდენ სამშობლოში დარჩენილთა რეპერტუარით როდია წარმოდგენილი; თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა ფოლკლორული შემოქმედების უმთავრესი თემაა დედულ-მამულის მიტოვებით გამოწვეული წუხილი, მარადიულ ტკივილად რომ შერჩენიათ ჩვენებურებს. პატრიოტული სულისკვეთება, ფესვმაგარ ტრადიციად შესისხლხორცებული ქართულ ცნობიერებას, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლობის მარადიული თანმდევია; მათ ზეპირსიტყვიერებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მრავალ ვარიანტად გავრცელებული ე. წ. „მემლექეთური ლექსი“:

ავდგეთ, ძიავ, გემში ჩავჟდეთ,
რა ლამაზი დარიაო!
ყუელას გული ხალვათოფს,
ჩუენი გული კდარიაო.
(შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37)

ლექსის სხვა ვარიანტში დაკონკრეტებულია სევდის მიზეზი:

აჭარას ვემშვიდობებით,
რა ლამაზი დარიაო!

ჩვენ რო გემში ჩავჟდებით,
ჩუენი გული კდარიაო.
(შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98)

არა მარტო პირველი თაობის მუჰაჯირების, არამედ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირსიტყვიერებას კვლავაც დიდ ტკივილად ატყვია, რომ მოტყუებულნი დარჩნენ და სამშობლო დანატრულდათ, ახლობლების დარდი გაჰყვათ. „ჩუენ ძუელების ნათქუამი ლექსებიც ვიცითო“, – უთხრეს პროფესორ შუშანა ფუტკარაძეს ჩვენებურებმა და გაანდეს ყველა თაობის ქართველ მუჰაჯირთა გულისტკივილის დამტევი ლექსი (შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 143-144):

ბათუმი და ქედა,
რომ დიმირჩა დედა, ლალეე,
წეველ, გავხდი ფირალი,
დედა დავტიე ტირალი.
მემლექეთის დერდი –
გოგო დამრჩა ერთი, ლალეე,
ჩიტი გავხდე, გადავფრინდე,
შიმიბრალებს ღმერთი, ლალე...
საყუარელი ვეღარ ვნახე,
დიმიფინეს შავი მახე;
ლოცვით თები გადავლახე,
გამჩენელო, შიმინახე! ლალეე...

ამ სევდიანი ლექსის ვარიანტს ბოლო დრომდე ვხვდებით აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გულებში 80 წლის ნიაზ ზოსიძისაგან 2018 წელს დიანა დიასამიძის მიერ ჩაწერილი ლექსი, რომელიც მთქმელს მამისაგან დაუსწავლია, დაცულია ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორულ არქივში:

ბათუმი და ქედა,
შორს დიმირჩა დედა;
წაველ, გავხდი ფირალი,
ნენეი დავტიე ტირალი.
მემლექეთის დერდი
გოგო დამჩა ერთი,
ჩიტი გავხტე, გადავფრინდე,
შიმიბრალებს ღმერთი!
საყვარელი ვეღარ ვნახე,
დიმიფინეს შავი მახე,
ლოცვით თები გადავლახე,
გამჩენელო, შიმინახე!

მართალია, მთქმელმა აღნიშნა, რომ ეს ლექსი „ნათქვამია ჯარში წასული ბიჭის მიერ“, მაგრამ მუჰაჯირული ვარიანტიც და ამ სევდიანი სტრიქონების საერთო განწყობაც ცხადყოფს, რომ ლექსი ტკივილიანი მუჰაჯირობის ეპოქის პროდუქტია.

ქართველ მუჰაჯირებს საკუთარი თავისთვის „შეფრენილი ფუტკრები“ უწოდებიათ. ამ ეპითეტით სრულყოფილად ხასიათდება მათი ტკივილიანი ბედისწერა. „შეფრენილი ფუტკარი, აჭარიდან გამოქცევლი მართვე ჩვენა ვართ ჯანი. მოვსულვართ და აქ შამოვფრენილვართ, აქ გიგვიკეთებია ბუდიები,

აქ მოვფუფუნებულვართ“ (შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54). ეს მწარე რეალობა უდევს საფუძვლად მუჰაჯირთა პირველი თაობის მიერ შეთხზულ სევდიან სიმღერას „შეფრენილო ფუტკარო“, რომელიც ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია და რომელშიც ჩვენებურთა პატრიოტულ სულისკვეთებას მორგებულად არის შერწყმული ტრადიციული ქართული ხალხური პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკა, მხატვრული სახეები, ზნეობრივ-მორალური კოდექსის შემცველი მოტივები, ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთაგან ნასესხები ცალკეული ფრაზები თუ სალექსო სტრიქონები, ქართველ მუჰაჯირთა სულიერ ქურაში რომ გამოწრთობილა დედასამშობლოს საგალობლად:

შეფრენილო ფუტკარო, წადი, მავანს უთხარო:
– შენ ქართუელი შვილი ხარ, შვილო, მოდი ჩემთანა!
– ვოსა, ვორერა, ვოსა, შვილო, მოდი ჩემთანა!
ოზრუქეთო, მერიაო, თქვენში ბევრი მტერიაო,
ერთიც ამდონი ხანია, ჯერაც არ გამიხარია,
ვოსა, ვოდელი, ვოსა, ჯერაც არ გამიხარია...
ჩემი დერდების მგონე, სიმღერები მევგონე...
ვოსა, ვოდელა, ვოსა, სიმღერები მევგონე.
შავი ზღვის პირზე თოვლი მოსულა,
შენი ფუტკარი სხუასთან წასულა;
შავი ზღვის პირზე მასკვლავი ბრწყინავს,
შენი ფუტკარი დღეს სხუაგან ფრინავს.
ბახმაროს მთებზე დაუთოვლია,
შენი ფუტკარი სხუას უპოვნია.

(შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54)

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ფოლკლორულ რეპერტუარს ამშვენებს სიმღერა „თეთრი მამალი“, რომელიც ალეგორიული ხასიათისაა. თეთრი მამალი, ჩვენებურთა განმარტებით, სამშობლოზე ფიქრისა და ოცნების სიმბოლოა, ლექსში ნახსენები „ლამაზი ქალი“ კი – მუჰაჯირთა შთამომავლობისა. დრო-ჟამის გასვლის შემდეგ ქართველი მუჰაჯირები თანდათან შეგუებიან ახალ სამკვიდროს და, რაკი აღარ ფიქრობენ სამშობლოში დაბრუნებაზე, აღარ ყივის მათი დამცხრალი სული – „თეთრი მამალი“, აღარც თანამედროვე გურჯი ქალები იცრემლებიან; ახალ კერაზე მათ ახალი საზრუნავი გასჩენიათ, თუმცა დროდადრო მაინც წამოაგონდებათ, რომ ღელეს გადაღმა მათი ნაფუძვარი დარჩენილა, სადაც ახალი ბინადარნი სახლობენ. ხალხურ ლექს-სიმღერად ამოხეთქილი ეს შთამბეჭდავი სტრიქონები ქართველ მეცნიერთაგან პირველმა დააფიქსირა პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ ჩვენებურთა შორის – კერძოდ – სოფელ ჰაირიეს (ბურსას პროვინცია, ინეგოლის რაიონი) მკვიდრს – ჰაირი ჰაირიოღლუს (ვახტანგ მალაყმაძე) გადაუცია მისთვის:

ღელე გაღმაში ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები.
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,
შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე!
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი,
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი...

(შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 354)

ამ ლექსის ვარიანტები დაამოწმა, აგრეთვე, ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო ექსპედიციებმაც. ბურსას პროვინციის ინეგოლის რაიონის

სოფელ ჰაირიეში მცხოვრებ სელათდინ როდოღლისაგან 2014 წლის 7 ივლისს პროფესორ მამია ფაღავას მიერ ჩაწერილი ვარიანტის (მ. ფაღავა, „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, ბათუმი, 2016, გვ. 323-324) თანახმად, ჩვენებურ (აჭარელ) მუჰაჯირთა წინაპრების საცხოვრისები „ზღვის გაღმიდან არი“, – ასე ასწავლიდნენ პატარებს, რათა კარგად ხსომებოდათ თავიანთი ისტორიული სამშობლოს მდებარეობა:

ზღვის გაღმიდან არი ჩვენი სახლები,
მოკდენ ბერები, დარჩენ ახლები.
ჯერ პატარაჲ ხარ, გეჲზარდები!
ადემის ვარდი ხარ, ადრე გეჲშალე!
ზღვის გაღმიდან არი ჩვენი სახლები,
მოკდენ ბერები, დარჩენ ახლები...

„თეთრო მამალოს“ ვარიანტი გამოაქვეყნა აბდულ თათაროღლუმ 2007 წელს დაბეჭდილ წიგნში „ბათუმიდან ბურსაში გადასახლების ამბავი და სოფელი ჰამიდიე“ (ბურსა, გვ. 83), თუმცა, სამწუხაროდ, ის თურქული ხალხური პოეზიის ნიმუშად მიიჩნია. ამ ვარიანტის თანახმადაც გურჯ ქალს მშობლიური მიწა-წყლის სევდა-ვარამი ჯერ კიდევ არ განელებია (მთქმელი ოსმან თათაროღლუ):

ღელე გაღმაშია ჩვენი სახლები,
მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები.
თეთრო მამალო, რატომ არ კივი,
ლამაზო ქალო, შენ რატონ ტირი.
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,
შენი ლამაზი თვალ-წარბი მე გიმიცვალე!

სატრფიალო ლექსის სტრიქონებთან „თეთრო მამალოს“ კონტამინირებული ვარიანტი ჩაიწერა ოთარ ფუტკარაძემ ქ. ინეგოლში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლის – 59 წლის ქაზიმ უჩარისაგან (ო. ფუტკარაძე, „ჩვენებურების სიმღერა“, ბათუმი, 1991, გვ.111):

ბათუმ ზღვის პირზე
თოვლი მოსულა,
შეყვარებულის ჭირიმე,
ვისთან წასულა?
ნანინანო, ნანი,
დელიოდელი ოდელა,
შენ გენაცვალე!
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი,
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
ნანინანო, ნანი, ნანინა,
დელიოდელა ოდელა,
შენ გენაცვალე!

„თეთრო მამალოს“ ვარიანტები მრავლად არის გავრცელებული შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. „გადაკარგული სოფლის“ სევდა შავშელ ჩვენებურთა პატრიოტული ლირიკის საწუხარიც არის, რაც ალეგორიულად გამოხატავს ერთიანი, „დიდი მემლექეთის“ მონატრებასა და სიყვარულს (თ. შიოშვილი, „შავშური ფოლკლორი“, ბათუმი, 2016, გვ. 19-21). ამ დიდებული ლექსის ვარიანტები ჩავიწერე თურქეთის რესპუბლიკის შიდა პროვინციებში მცხოვრებ კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორისაც. საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ საფანჯას ერთ-ერთ უბანში – გიულდიბში 2018 წლის 12 ივლისს 48 წლის სონერ ილმაზისაგან ჩაწერილი ვარიანტი მთქმელს გაუგონია დედისაგან – სუზან ილმეზისაგან (გარდაიცვალა 2017 წელს), რომელიც სარფელი ლაზი იყო:

ღელის გაღმაში ძველი სახლები,
მოკდენ ბერები, დარჩენ ახლები.
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,
შენი თვალ-წარბი მე გემიცვალე!
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი?
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე!
შენი თვალ-წარბი მე გემიცვალე!

საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ იენიქოიში კი ზემო მარადიდის (მურათლი) ერთ-ერთი უბნიდან – ხებადან მოსულ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან – 47 წლის იუსუფ შენისაგან ჩავიწერე შემდეგი ვარიანტი:

თეთრო მამალო, რატომ არ ყივი?
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმე, შენ განაცვალე,
შენი თვალები მე შემისთვალე!
ღელე გაღმაში ჩვენი სახლები,
მოკტენ ბერები, დარჩენ ახლები.
შენი ჭირიმე, შენ განაცვალე,
შენი თვალები მე შემისთვალე!

აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე თაობისათვის, რომელთა მეხსიერებასაც შემორჩენია ისტორიული სამშობლოსადმი პატივისცემა, სიყვარული და ინტერესი, ბუნებრივია, დღეს სამშობლო თურქეთის რესპუბლიკაა და ის კონკრეტული რეგიონი, სადაც წინაპრები დასახლდნენ. მათ უყვართ თავიანთი „იერები“ და ყველაზე უკეთესად მიაჩნიათ. ამისი ნათელი დასტურია უნიელ ქართველთა შორის გავრცელებული მინიატურული ლექსები, რომლებიც პროფესორმა მამია ფაღავამ ჩაიწერა კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლისაგან ქოჯაელის პროვინციის იზმითის ცენტრალური რაიონის სოფელ ჩუბუქლუბალაში (მ. ფაღავა, „მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, ბათუმი, 2016, გვ. 199):

დევიარო’ნა დუნჲა, –
ვნახო’და უნია!

ანდა:

მოგივლია დუნჲა, –
გინახია უნია!

ქალაქ უნიეს ნახვის მიჩნევა მსოფლიოს ნახვად უნიაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებს და ზოგადად – თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ მუჰაჯირთა შორის გავრცელებული „რწმენის“ შედეგია (ალბათ იმიტომაც არის, რომ „უნია“ კარგად ერითმება „დუნიას“): „უნია და დუნჲა უუწონიან და უნია 50 გრამით მეტი გამოსულა იმიტომ, რომ უნიაში ბევრი გურჯები არიან“ (ნ. ზოსიძე, „ნეტაი ადრე მოსულიყავით“, თბილისი, 2017, გვ. 61).

სამშობლოს („მემლექეთის“) ხსოვნა და სიყვარული ქართველმა მუჰაჯირებმა ცხოვრების ყველა ეტაპზე გულით ატარეს, შთამომავლებს შემოუნახეს და ძვირფასი ნობათის სახით გადმოსცეს. სოფელ ქუშჩაში (სამსუნის პროვინცია, თერმეს რაიონი) მცხოვრები 70 წლის სახალხო მთქმელის – ფატმა დირილისაგან, რომლის წინაპრებიც აჭარიდან წასული მუჰაჯირები იყვნენ, 2012 წლის 6 ივლისს ჩაწერილი ნადურში სამღერი ლექსი ამისი ნათელი დასტურია (თ. შიოშვილი, გ. მახარაშვილი, „მუჰაჯირების ფოლკლორი (ტექსტები)“. – ბსუ ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, ტ. VIII, ბათუმი, 2013, გვ. 247):

ქედური, ქედური, ქედურია,
შუაზე მემლექეთურია;
მემლექეთში ნადია,
იმის თქმა ძალიან ადვილია!

მთქმელმა სასოებით გაგვანდო: „...ჩემი დედეჲ იქიდან (აჭარიდან – თ. შ.) მოსული იყო. ჩემი ბაბაჲ ხოჯა იყო; ჩაამღერებდა, რაცხა მოაგონდებოდა. ბაბაჲ იტყოდა ამას, ნადში იმღერებდენ“.

ყველაფერი, რაც მემლექეთურია, ეძვირფასებათ ჩვენებურებს, უხარიათ და სათუთად ინახავენ. ამის დასტურია ქართულ ფოლკლორში ძალზე პოპულარული „ჯილველოს“ ერთ-ერთი მუჰაჯირული ვარიანტი, რომელიც ოთარ ფუტკარაძემ დააფიქსირა. ლექს-სიმღერაში სიამაყით არის გაცხადებული, რომ ბურსელი გურჯები თავდგირიძეების ქორწილში ჩასულან, მასპინძლები კარგად დახვედრიან და მადლიერ სტუმრებს სურვილი გასჩენიათ, მექორწილეთათვის ეჩვენებინათ ქართული ცეკვა თამაში; თანაც დამხდურებს მოუწოდებენ, იმღერონ „ჯილველო“ და ჩაებნენ მათ ფერხულში:

ნაჲდანანი, ნაჲდანინა, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
ჩვენ აქაური არ გახლავართ, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
ბურსადან ვართ ჩამოსული, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
რომ მოვედით, კარგად დაგვხვდნენ, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
ძალიან ვართ მადლობელი, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
ნაჲდანანი, ნაჲდანინა, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
ახლა გვინდა დაგანახოთ, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა,
ქართული ცეკვა-თამაში, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.
თქვენც ადექით და იმღერეთ, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა,
ჩაებით ჩვენ ფერხულში, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა,
ნაჲდანინა, ნაჲდანანი, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა.

ამ არქაული საფერხულო ლექსის უმთავრესი პათოსია ქართული ერთობა; ამიტომაც არაერთგზის გაისმის მოწოდება ერთად ცეკვისა თუ სიმღერისა, რათა ერთობლივი ძალისხმევით წარმოაჩინონ ნანატრი მშობლიური ჰანგი და სწორედ მშობლიურ ენაზე მიულოცონ დედოფალს გაბედნიერება (ო. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., ბათუმი, 1991, გვ. 34-35):

ერთად ვიმღეროთ ქართულად, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა,
მივულოცოთ დედოფალსა, ნანაჲდა,
ჯილველოჲ ნანაჲდა...

წინაპართა საუფლოზე, მშობლიურ ქვეყანაზე ფიქრი და ოცნება მუჰაჯირთა ყველა თაობის მუდმივი თანმდევია. ამ სულისკვეთებას კარგად გამოხატავს პატრიოტული ლექსის სტრიქონები, რომელიც ჟურნალ „ჩვენებურებში“ (სტამბოლი, 1978, გვ. 6) დაიბეჭდა:

მაღლა ცაში ავფრინდები,
გადმოვხედავ ქვეყანას,
მარა ვერსად ვერ შევხვდები
ჩემი სამშობლოსთანას!

დანატრებული სამშობლოსადმი მიძღვნილი სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი სტრიქონები ჩვენებურთა ერთგვარი ჰიმნია ისტორიული დედულ-მამულისა, წინაპართა ვაჟკაცობისა და სანაქებო სტუმარმასპინძლობისა ლექსში „ნატრული სამშობლო“, რომელიც, აგრეთვე, ჟურნალ „ჩვენებურებში“ (იქვე) დაიბეჭდა:

ვიყავი სამ წელიწად საქართველოში,
ქალაქ ბათუმში, ლამაზ, ტურფა სოფლებში,
გემო შემრჩა პირში და ვინახავ გულში,
მინდა კიდევ ყოფნა ლამაზ სამშობლოში!
ქართველი არი მოყვარე სტუმრისა,
ვაჟკაცობაში არ შეედრება სხვებსა,
სწავლა უყვარს და აჯობებს ყველა ერსა,
ცნობილი არი მოყვარე მშვიდობისა.
ვიქეიფეთ მაგიდაზე მეგობრულათ,
გვქონდა საუბარი ტკბილათ, მხიარულათ,
იყავი კარგად, მაგრათ და ბედნიერად,
იდედე, ლამაზო, ნატრულო სამშობლოვ!

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების პატრიოტულ სულისკვეთებაზე საუბრისას შეუძლებელია, არ ვისაუბროთ ფაცელ (ორდუს პროვინცია, უნიეს რაიონი) სახალხო მთქმელზე სულეიმან ინოღლუზე (ინაიშვილი). საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გამო, ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალმა სულეიმან ინაიშვილმა ტკივილიანი ლექსი გამოთქვა, რომელიც მაშინათვე აიტაცეს როგორც ჩვენებურებმა, ისე – სარფგამოღმელმა ქართველებმა. „შავი დღე“ უწოდა მთქმელმა რუსების მიერ დაჩეხილ 9 აპრილს. თავისი ისტორიული სამშობლოს ტკივილით სულშეძრული მგოსანი მიმართავს ცხრა აპრილის ჯალათ ქვეყანას:

რუსეთო, სათამაშო ხალხი არ გეგონონ
აგი ჩვენი ქართველები!
ყოველთვის მარჯვე ვერ იქნები,
არ გექნება მიწა ბრტყელი,
ყოველთვის ირემი ტყეში ვერ იარს,
ერთ დღეს ეცემა კისერში გელი...

სულეიმან ინაიშვილი უდიდესი სითბოთი იხსენებს მტრისაგან აკლებულ საქართველოს დედაქალაქს, სამყაროს სამოთხეს უწოდებს, სჯერა, რომ თბილისს მსოფლიოს დედაქალაქობა „შეშვენდება“ და გამოთქვამს იმედს, რომ ღმერთი გადაარჩენს საქართველოს:

მსოფლიოს დედაქალაქობა
შეშვენდა ჩვენს თიფლისს,
სამოთხე არის ამ სამყაროს,
ჰემ ზაფხულის, ჰემ ზამთრის.

. . . . . .
მოგვასწროს უნდა ღმერთმა გამჩენმა
გადარჩენა ჩვენი ქართლის!..
(ო. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 7)

ღირსსახსოვარი სტრიქონები უძღვნა ფაცელმა სახალხო მთქმელმა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს; ლექსში „ილია მეორის საქებისა“ სამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი მელექსე ერთგულების ფიცს აძლევს ყოველთა ქართველთ სათაყვანო ადამიანს, გურჯების საერთო სახალხო სიყვარულს უცხადებს და ასე მიმართავს:

შენ, ჩვენი რწმენის ამშენებელო ქათოლიკოსო,
შენ, ჩვენო განათლებულო ქართლის უმფოსო,
ჩვენ ღმერთს ვეხვეწებით,
წმინდა გიორგის დაგამსგავსოსო,
შენ მიბრძანე სიტყვა და კისრით დავესო.
(ო. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8)

„ღმერთის მოციქულად“ მოიხსენიებს სულეიმან ინაიშვილი ქართველთა სულიერ წინამძღოლს, ებოდიშება, „შენს საქებლად ჩემი ენა ვერ შესწვდებაო“ და, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, კანონიერი სიამაყის გრძნობით ავსილი, მადლობას უგზავნის ამ დიდებულ ადამიანს, რომელსაც უფლისაგან აქვს მინიჭებული მისია, „გადაარჩინოს საქართველო“:

შენ ცხრა აპრილში ხალხის ერთად დაჯექი ქუჩაში,
შენ თურქეთიდან მადლობას გიგზავნით,
თუ მოაწევს სიტყვაში,
გვჯერა შენი დიდობა, ჭკუაავსილი გაქვს შენი თავი,
შენ უნდა გადაარჩინო საქართველო...

პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსი იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მასში განსაკუთრებული ხასგასმით არის გამოკვეთილი ქართველთა ერთობის საჭიროების იდეა:

საქართველოს ახლა ჭირია შეკავშირება და ერთობა,
ჩვენ ძმები ვართ,
არ იქნება აფხაზობა, ოსეთობა, აჭარლობა!
გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება!

ლექსის ავტორ-მთქმელმა კარგად იცის, რომ ქართველობა უძველესი ისტორიის ერი ვართ, თუმცა, ამავე დროს, გულისტკივილით ამბობს, რომ საკუთარი თავის ფასი არ ვიცით და საჭიროა, „ჭკუა მევკრიფოთ თავში“.

ქართველ მუჰაჯირთა შორის პატრიოტული სულისკვეთებით და ქართველური საქმიანობისადმი თავდადებით გამოირჩეოდა აჰმედ მელაშვილი (ოზგანი), რომელსაც თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძედ მოიხსენიებენ. აჰმედი გურჯების თავკაცი, მათი მუდმივი ქომაგი და თანამდგომი იყო; იგი დაუღალავად იღვწოდა ქართული კულტურის, თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მიმოფანტული ქართველობის ეთნიკური თვითშეგნების შენარჩუნებისათვის, რაც არ აპატიეს და ვერაგულად მოკლეს 1980 წლის 5 ივლისს.

აჰმედ მელაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის აღქმა გურჯ მელექსეთათვის ტრადიციული ქართული საგმირო პოეზიისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახით არის აღწერილი: თუ ტრადიციულ ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში გმირის, „კაი ყმის“ სიკვდილი ციხის ჩამოშლას, ციხე-სიმაგრისათვის რკინის კარის ჩამოხსნას ედარება („ვერ გაიგეთა, ქართველნო, შაგეხსნეთ რკინის კარიო...“; „...ციხე ახიელთ დაიშალაო“), ახმედ მელაშვილის სიკვდილი ქობულეთის ხიდის

ჩაშლა-ჩასკდომისა და სახლისა და ქედის ჩამოშვავების ტოლფასად აღიქვეს ჩვენებურებმა. ამის დასტურია აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლის – ავტორ-მთქმელის თახსიმ ბეჟიოღლის (ბეჟანიძე) ლექსი, რომელიც აწ გარდაცვლილმა დრამატურგმა ალექსანდრე (შოშია) ჩხაიძემ ვიდეოფირზე ჩაიწერა სოფელ ჰაირიეში, „ქართულ სახლში“ (გადმოწერა პროფ. მამია ფაღავამ. ლექსის დასაწყისი საერთო-სახალხო განწყობას გამოხატავს:

ჩიგვისკდა ქობლეთის ხიდი,
მოშვავდა დღეს სახლი ქედი!
ჩვენი ყოლიფერი იყო
მელაჲშვილი ახმედი!
(მ. ფაღავა, დასახ. ნაშრ., გვ. 315)

მომდევნო სტრიქონები ეძღვნება აჰმედის ღვაწლის აღწერას, მოძმეთათვის მუდმივ ზრუნვას, მის სანიმუშო ცხოვრების წესს, რის გამოც, ქართული საგმირო-საისტორიო ლექს-სიმღერათა გმირების მსგავსად, ისიც უფლის რჩეულად არის შერაცხილი ხალხის მიერ:

არ ჭამდი და არ ირგებდი კვერს,
მუხეთი შეუნდობს'და ბერს;
წიგიყვანა ღმერთმა მასთან,
დედა ვეღარ იშოვს შენფერს!

აჰმედ მელაშვილის ვერაგულად გამეტება და მოკვდინება უსაზღვრო ტკივილით არის გადმოცემული; მთქმელს სჯერა, რომ მისი მკვლელი მათხოვრად ივლის:

იჯექი ბურსაჲს ქალაქში,
სახლი გქონდა კას ალაგში,
დაგხრიტენ და გიგიმეტენ,
რაფერ ჩაგდვენ შენ ტალახში!

მთქმელი ერთგვარად ამშვიდებს მეზობლებს, მოკეთეებს:

ნუ უყურებთ, მეზობლებო,
ჩქარა-ჩქარა ფიშტო ვარდება,
ახმედ მელაჲშვილის კლელი
იცოდე, თხოვრად ადგება!

ლექსის ბოლო ნაწილი კი გაწყობილია ტრადიციულ ქართულ ხალხურ ეპიტაფიურ ლექსთა ქარგაზე, რომლის თანახმადაც მიცვალებული მიმართავს ახლობლებს:

საწყალო ჩემო ცოლო,
ძალიან მტეხავს გული, ხელი,
მოსარჩენათ მე აღარ ვარ,
ცოცხალს სახში ნუღარ მელი!

შემდეგ კი ისევ საერთო-სახალხო საწუხარია გამოხატული: მისი მოყვარული და პატივისმცემელი, დამწუხრებული თანამოძმენი, რომელთაც თვალები ცრემლის ნაცვლად სისხლით აქვთ სავსე, მზად არიან, სიკვდილში ჩაენაცვლნენ და მის ნაცვლად ჩაწვნენ საფლავში:

აგუევსო სისხლები თვალში,
ტირილით ჭკუა დავკარგეთ თავში;
რა იქნება, ადე ფეხზე,
ჩვენ დავწვებით შენ საფლავში!

აჰმედ მელაშვილის არქივში პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ მიაკვლია ქართული ხალხური პოეზიის მრავალ ნიმუშს, რომლებსაც ბატონი აჰმედი კრებდა ქართულენოვან სოფლებში, რათა

დავიწყებისაგან გადაერჩინა ქართული კულტურის ეს მარგალიტები (შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 347-352). როგორც პროფესორი შ. ფუტკარაძე მიუთითებს, „1968 წლის ივლისში კი ეს ფოლკლორული მასალები (ვრცელი კომენტარების დართვით) ჩაიწერეს ამერიკის შეერთებული შტატების ინდიანას უნივერსიტეტის თანამშრომლებმა – პიტერ გოლდმა და ფრანკ გილისმა (შ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 352).

პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ აჰმედ მელაშვილის არქივში მიაკვლია, აგრეთვე, საფრანგეთში, მონბელიარდში, მცხოვრები ქართველის – შ. ზედგენიძის მიერ 1971 წლის 5 აპრილს აჰმედ მელაშვილისათვის გამოგზავნილ ლექსს – „ბატონ აჰმედ მელაშვილს“, რომლის ადრესატიც თავად ბატონი აჰმედია. ლექსში უცხოეთში მცხოვრები ავტორი უჩივის დროის წარმავლობას, უცხო ქვეყანაში მოწყენილ ცხოვრებას და გამოხატავს უდიდეს სითბოსა და პატივისცემას „ქართველთა მოყვარე“ უცნობი მეგობრის მიმართ და ნატრობს მასთან – ქართულად მოლაპარაკე ლაღსა და ლამაზ კაცთან – შეხვედრას, რადგანაც ორივენი „ერთი ვაზის ტოტები“ არიან, „ერთ ბაღში დათესილნი“, შემდეგ კი შორს გადაკარგულნი; მიუხედავად გარკვეული მინორული განწყობილებისა, ეს მშვენიერი მიძღვნითი ლექსი მთავრდება ოპტიმისტური პათოსით, რასაც ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, სამშობლო ქვეყნისადმი შეუბღალავი სიყვარული ასულდგმულებს:

დრონი გადიან ჩვენთვის...
ჩემს მეგობარს უცნობსა
ვხედავ შორიდგან მის კეთილ გულსა.
უნახავად მე რას ვიცნობ და მის შრომასა,
ახალგაზრდა, ლაღი და ლამაზი,
ქართველთა მოყუარესა.
ნეტავი, მე მას ერთხელ შემყარა,
ქართული ენის მოლაპარაკესა!
ერთი ვაზის ტოტნი ვართ,
ველი მე მის კეთილ ნაყოფსა.
ერთ ბაღში დათესილნი,
შემდეგ შორი-შორს გადაკარგულნი,
რა გინდა შორს იყვეს ადამიანი,
მაინც იცნობს მისი გული.
უცხო ქვეყანაში ვცხოვრობ მოწყენილი,
თავზე თმაც გამთეთრებია და მიწვრილდება სული,
მაგრამ ჩემი ქვეყნის სიყუარულით
თავს მარტოდ არა ვგრძნობ,
კიდევ მყავს შორს ბიძაშვილი.

აჭარელ (სოფელ ქობულეთელ) მუჰაჯირთა შთამომავალმა, ორდუს პროვინციის უნიეს რაიონის სოფელ ჩათალფინარში მცხოვრებმა 87 წლის ხასან ილდირიმმა (ნიჟარაძე) 2012 წლის 4 ივლისს ჩვენთან საუბარში გაგვანდო: „– დიდნენემ ბაღნობაში, ძროხა მომწყემსეო, მითხრა. ვერ მოვმწყემსე კარქა, შევდა ყანაში. „– ქართველო, გასაფაქებელოო!“ – მითხრა. ქართველი გლახა რაცხა მეგონა; თურმე, ქართველი ვყოფილვარ და ხებერი არ მქონია! აქავრი თურქები რას ჩივოდნენ? „ გურჯი გჲავრიო!“ ახლა არ ჩივობენ!“

„– თურმე, ქართველი ვყოფილვარ!..“ – ამ მრავალმნიშვნელოვანი ამოძახილისას სახე უბრწყინავდა მოხუცს, ბედნიერი იყო, თავისი „ქოქი“ რომ იცოდა...

მარინა ბერიძე

ხარაულას ლინგვისტური პორტრეტისათვის

ქართული ენა მდიდარია დიალექტებით. აჭარული კილო, რომელიც სამხრულ-დასავლური ჯგუფის(ბ.ჯორბენაძე) დიალექტს წარმოადგენს, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ქართული ენის ქვეტექსტებს შორის..

აჭარული დიალექტი,საყურადღებო მონაცემებს იძლევა სამხრული მეტყველების ისტორიული პროფილის დასადგენად.

წინამდებარე სტატიაში ყურადრებას მივაქცევთ ზემოაჭარული კილოკავის ზოგიერთ თავისებურებას. ავღნიშნავთ, რომ ზემო აჭარულის თავისებურებების შესწავლას ეძღვნება არაერთი (მ. ხუბუა, შ. ნიჟარაძე, ჯ. ნოღაიდელი...) გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, იგი კვლავაც მოითხოვს გამოწვლილვით კვლევას ხეობებისა და სოფლების მიხედვით. გამომდინარე თქმულიდან, ჩვენ შევისწავლეთ ხარაულას (ქედის მუნიციპალიტეტი) მკვიდრთა მეტყველება. ვფიქრობთ, დაიხატა სოფლის ლინგვისტური პორტრეტი, რაც საინტერესოა აჭარული დიალექტის თავისებურებების გასააზრებლად. უპირველესად, ხარაულას მეტყველების ნიმუშების შეგროვება დავისახე მიზნად. შეგროვდა საკმაოდ მდიდარი მასალა. მუშაობის პროცესში ბევრ რესპოდენტთან გვქონდა კომუნიკაცია, გამოვლინდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელთა ნაწილს მალე დაივიწყებენ. ჩვენს დროში ხომ დიალექტური თავისებურებების გაქრობა ხდება სალიტერატურო ენის ზეწოლის გამო, ამიტომაც სასურველია დიალექტური მასალის ჩაწერა-დაარქივება... შეკრებილი მასალები საინტერესოა ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური თვალსაზრისით.

1. ფონეტიკური თავისებურებანი.

ა) ასიმილაცია. გვხვდება ხმოვანთა რეგრესული, სრული ასიმილაცია: გუუერსდება (გაუბრაზდება), დუუძახა (დაუძახა), დუუყურა (მოუსმინა). აქ „უ“ ხმოვანი გავლენას ახდენს წინამავალ ა-ზე და სრულად იმსგავსებს მას.

1. გვაქვს აე>ეე-ს შემთხვევები: დეეხვეტა (დაეხვეტა), გეევლო (გაევლო), გეეგონა (გაეგონა) (ნიჟარაძე, 1975:7).

ბ) გვაქვს ხმოვანთა დისიმილაციის შემთხვევებიც: დღიები<დღეები, ღამიები<ღამეები, მწვანიები<მწვანეები.

გ) ხარაულას აჭარულში დადასტურდა ბგერის დაკარგვაც, უპირველესად იკარგება სონანტერ-ბგერა: მოზდილები<მოზრდილები, დამჩა<დამრჩა, დამთავდებოდა<დამთავრდებოდა, გძელდებოდა<გრძელდებოდა, ზდის<ზრდის, სიგძე<სიგრძე, ბევხან<ბევრხან.

– „რ“ იკარგება სიტყვის თავში: ძე<რძე, ძალი<რძალი, ქები<რქები. აღვნიშნავთ, რომ რ-ს

დაკარგვა ხელშესახებია სამხრულ მეტყველებაში (დაწვრ. იხ. ფაღავა, 2002:185-194).

– იკარგება „ვ“ თანხმოვანი: ქრივი<ქვრივი, მოკდა<მოკვდა, ითლება<ითვლება)...

– იკარგება „მ“ თანხმოვანი სიტყვის თავში: თლად<მთლად, ჭადი<მჭადი, ჭრელი< მჭრელი...

– იკარგება „ლ“ თანხმოვანი: სახში<სახლში, კდის<კლდის...

– იკარგება „ი“ ხმოვანი: შემოვდა<შემოვიდა, გადმოვდა<გადმოვიდა...

– იკარგება „ე“ ხმოვანი: ნახვარი<ნახევარი...

დ) დასტურდება ხმოვნის გაჩენის შემთხვევაც ინტერკონსონანტურ პოზიციაში თანხმოვანთგასაყარად: ბაღანა რომ **გაჩინდებოდა**, თოფს ისრიდენ. წვიმის შემდეგ ცისარტყელა **გამოჩინდებოდა**. გაბღეზებული მიშპა და **კიბილებით** დაღჯნა. ქორწილში ფილავი გეგეკეთებიანა. ძალვან **ტკიბილის** ჭამა **კიბილებს** მალე დაგიშპუნებს. ხაზგასმული „სრულხმოვნობის“ შემთხვევები ლინგვისტურ ახსნას მოითხოვს.

გვხვდება თანხმოვანთა გაჩენის ნიმუშებიც, ვითარდება „ვ“, და „ნ“ ბგერები: მაშინ<მაშვინ, ჰაცხან<ჰაცხა...

2. გრამატიკული თავისებურებანი.

ხარაულას მეტყველებაში გვხვდება „ეს“, „ის“, „ამას“, ნაცვალსახელთა თანხმოვანმოკვეცილი ფორმით ი<ის: გაქცევლი **ი** ხალხი ხამათ მობრუნებულა და სახლები გუუკეთებიან. იმ დღიდან მიატია **ი** სოფელი და გედეიკარქა. **ი** რაფერი ქეფინსოიჯია (ძუნწი), ყველთვინ სხვის სუფრაზეა პირდაფჩენილი.

ე<ეს: **ე** რამხელა აწოწოლებულხარ, ვეღარც ჩეგეხუტე.

ამა<ამას: **ამა** უყურე ერთი, რაფერ გაქიბრებულა და ზედაც არ მიყურებს.

ი<ის, ე<ეს, ამა<ამას ფორმების გაჩენის საფუძველი ფონეტიკურია, – თანხმოვნის(ს) დაკარგვა.

შევნიშნეთ „სად“ კითხვითი ნაცვალსახელის ნაცვლად „ჰად,“ „ჰა“ ფორმის ხმარებაც: „ძველათ ჰექიმობა **ჰა** იყო და ნახევარი ხალხი უდღეურად კდებოდა; **ჰად** ხარ, გენილო, ათას ხანში წითელ თვარესავით რომ გამოჩინდები; გოზგორაი ამან არ იცის **ჰა** წევდა მისი კაცი, თვარა დუნიას მოთხრიდა. **ჰა** მიხვალ ამ სიცხეში, დილას ამდგარიყავ და მოგერწყა მაი ბოსტანი. ჰა, ჰად<სად ს=ჰ მონაცვლეობის დასტურია, რაც დამახასიათებელია აჭარულისთვის ზოგადად.

გავრცელებულია ასეთი ფორმები: აგზე, იგზე, აქში, იქში, იქვენ. მაგალითები: ამხელა მუხს ვერ ხედავ, **აგზე** ფეხ რა წამომაკრევიებდა. **იგზე** იმხელა გველი იყო გაბარცული, შიშიმგონე იმ ალიგზე ათი დღე აღარ გიმივლია; ასე პაწაი რომ ამოგიჯილავს, **აქში** რანა დეეტიოს, ხუთი კაკალი ვაშლი თუ ჩევდა; **იქში** რათ გინდოდა ჩაყარე, ხომ ხედავ, გატეხილა; ერთი ემედენაი **იგზე** არ გეიარო, თვარამ ჩიგიშპება იმაში ფეხი, მოქტყდება და დაჩოლაღდები; **აგზე** მეიკელ და **იგზე** მიაბი, ნუ გეიქნევ იმ სოლოხში.

გვხვდება „თვის“ თანდებულის ნაცვლად „თვინ“ ფორმის გამოყენება: **ვინმეთვინ** არნა შეწუხდე, ხალხი იმფერია, ეივალას არ გეტყვის; ამ **დღისთვინ** ვინახევდი და მეგერ თლათ არ მუუსლანქავს?!

დასტურდება ისეთი ზმნიზედები, რომლებსაც სხვა დიალექტებში ძნელად მოეპოვებათ პარალელი: **ხამათ** ნიშნავს ხელახლა, **ხანჯელ** – ზოგჯერ. **გულიშამ** – ირგვლივ, **წინწინდულა** – უწინდებურად, **პივლან** – პირველად, **აჰილანვაილან** – დიდი წვალებით: **ხანჯერ** გასუსულდებოდენ და **ხანჯელ** მათი ბრაგა-ბრუგით დუნიას გააბეჩებენ; ოზო **გულიშამ** ისე შამოვყორე, ჩიტიც ვერ შემოფრინდება; ეიკიდი ჰაი, **წინწინდულა** ვეღარ გავბი, ჰალი გამომივდა მუხლებში. **პივლან** შენნა ჩეიდვა ლუკმა და მემრე სხვამ ჭამოსო; ეს იეთიმები ძვილაი დავზარდე **აჰილან-ვაჰილან** და რომ გეეთხვენ, ახლა ერთსაც არ წამოგიხედვენ; ერთს შევკერავ და იმას **ხამათ** ვეღარ დავანგრევ. ახლა კაპიკი რომ გიმივარდება, სანამ არ ვნახავ, ვეძებ, **წინწინდულა** ხომ არ გადამდის ფარა თავზე.

კავშირი განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოიჩევა, თუმცა „მაგრამ“ კავშირის ნაცვლად გვხვდება **„მარა“**, **„თვარამ“**, „რომ“ კავშირის ნაცვლად გვხვდება **„რომე“**: სურიელი

არაა, **მარა** რომ დეყვირებს, წაგაქცევს. ისე წევედი, **რომე** უკან არ მომიხედნია.

გვხვდება წყვეტილის მწკრივის განსხვავებულად წარმოების შემთხვევები. ზოგიერთ ზმნას წყვეტილის მწკრივში მწკრივის ნიშნის „ე“-ს ემატება „ვი“. დევნიშნე – დევნიშნევი, დევნახე – დევნახევი, შევგლისე – შევგლისევი, დევბანე – დევბანევი. მაგ: ორი ქალი **დევნიშნევი**, ზაფხულში მაქ დუგუნი; ბეშუნა ხელები **დევბანევი**, მარა ვინმემ არ მაჭამა საჭმელი; **გევპარევი** და ბაბამ აღარ შიმირიგდა; ბევრი **წევკითხევი**, მარა ამ ყაფაში რამე არ შევდა.

თვალში საცემია „უნდა“ ნაწილაკის ნაცვლად „ნა-ს“ ხმარება. იგი შეზრდილია სიტყვასთან. ახლა **მაგაზე'ნა** დაგაფიშმანო, სხვას აცალე ლაპარაკი. ამელამ **ხაპი'ნა** მოვხარშო და საღამოს მოი. **ვაშლი'ნა** მოვჭუჭკო და ბაზარში გავყიდო. იმფერ **მიწაზე'ნა** დაადგა ფეხი, რომ ტალახი არ იყოს.

მრავლობითი რიცხვის წარმოებისას თავისებურებას იჩენს ე-ზე გათავებული ხმოვანფუძინი სახელები. ფუძისეული „ე“ ხმოვანი განიცდის დისიმილაციას „ებ“ სუფიქსის ხმოვანთან. შესაბამისად„ეე“-ს ნაცვლად გვაქვს „იე.“ კილდიები – ნაცვლად კლდეებისა, ირემაძიები – ნაცვლად ირემაძეების. აქ შიერი ვკვდებით, სიმინდი ჰანდა დათესო, სულ **კილდიებია**. გოგო **ირემაძიებში** რა ბეშუნა გავათხვე, სულ აქედან მე ვუგზანი ყართოფილს, ყველს.

ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან სახელობით ბრუნვაში ნიშნის დართვას იცნობს ბევრი ქართული დიალექტი (კახური, სამცხური, ინგილოური) და მათ შორის აჭარულიც: დურსუნაი, ჯემალაი, ფატყუმაი, იდრისაი, სულთანაი, მეჯიდაი, ევბაი, დურსუნაი. ისკენდერაი.

3. ცალკე გამოვყოფთ სიტყვებს, რომლებიც პროფესორ შ. ნიჟარაძის ლექსიკონისგან (იხ. ნიჟარაძე, 1971) განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება. **დუუბიქსეს** – მაგრად დახურეს: მერმე ციხეში შეაგდეს და კარები **დუუბიქსეს**.

შდრ: ნიჟრაძე – დატკეებნა.

ჟრიჭა – ძლიერი დარტყმა: ქვა **ჟრიჭა** ბუზს და მოკლა. ცეცხლიანი ნაგუზალი აწია და **ჟრიჭა** წელზე.

შდრ: ნიჟარაძე – ნაღრძობის სამკურნალო მცენარე.

წოწოლაი – ძალიან მაღალი: მაღალია და **წოწოლაი** გაბარცულა მიწაზე.

შდრ: ნიჟარაძე – ჭარხლის ფხალი, მსხლის ჯიში.

აჭლიკაი – მაღალფეხებიანი: მაი რამ მოგაყვანია გენილათ, მაი **აჭლიკაი**; ისეც მაღალი **აჭლიკაი** ხარ და გრძელი კაბა რაღათ გინდა, სტოლბას გავხარ.

შდრ: ნიჟარაძე – კაცის მეტსახელი.

დავაფიქსირეთ სხვა ენებიდან შემოსული და დიალექტიზმად ქცეული რამდენიმე სიტყვა:

იტალიური: **ისკელე** – ხის გასახერხი მოწყობილობა. შენობის ახლოს აკეთებდნენ სახერხისათვის: **ისკელე** გავაკეთე და სახლისთინ დავხევ ფიცრებს.

ფურთუნაი – ცვალებადი, ქარიანი ამინდი: იმფერი **ფურთუნაი** ამუარდა, რომ ის დიდვანი ხიები თავზე დაგვემფხო; ამ **ფურთუნაში** ძაღლი კარში არ გეიგდება, დასველდება.

ბერძნული წარმოშობისაა **სინორი** – ა. თხლად დაჭრილი მაგარი ცომი; ბ. საზღვარი: ჩემი **სინორი** და შენი **სინორი** რომ არ აგვრეოდა, ბაბამ შვაში წაბლის დირეგი დაასო.

ყაზიაღი – ნავთი: ახლა **ყაზიაღი** რომ წამლათ დაქჭირდეს ვეღარ ნახავ, ისე გამოწყდა და სინათლე რომ ჩაქრება, მაშინ ბლენეთაში ვართ, ანდა სანთელს ავანთებთ. წინწინ **ყაზიაღით** სობას ვანთებდით და ვთბებოდით.

მივაკვლიეთ ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, რომელიც დაგვეხმარება ფუძე ენის კუთვნილი არქეტიპის აღდგენაში. მოძიებული მასალა შევადარეთ ჯ. ნოღაიდელის მიერ დადასტურებულ სიტყვებს (იხ. ნოღაიდელი, 2015).

გვარდა – ყველის, კარაქის შესანახი ჭურჭელი: წევალ თაში ამ **გვარდაებს** გავტკებნი იაღით და ყველით.

შდრ: ნოღაიდელი – ოვალური ფორმის მოგრძო, გვერდზე გადმოზნექილი ხის ჭურჭლის სახელი.

კინთი – თავსაფარი რომ არ მოძრომოდათ თავზე, გარედან იკეთებდნენ ბადურას, რომელსაც **კინთით** ქსოვდნენ.

შდრ: ნოღაიდელი – მაქმანის საქსოვი ჩხირი, ყაისნაღი.

ნამშალი – ხის ყლორტი: გაზაფხულზე ხეები ათასთულად მეიქარგავს და **ნამშლებს** რომ გამეიღებენ, შეხედნა შეგეჰავისება.

ნაქურჭლი // ქუნჭალი – სიმინდის ნარჩევი გარეკანი, ძროხებს აჭმევენ.

შდრ: ნოღაიდელი – სიმინდის გარეკანი ფუჩეჩი.

ხაშარი – გრძელი, მაღალი ხე: დათესა, დარგა ლობიაი და **ხაშარი** რომ ვერ დუუსო, არ მეისხა.

შდრ: ნოღაიდელი – ბოძი, ხარაჩო.

ხაშარს გურულები ეძახიან ძაფზე ასხმულ ხილს, ბოსტნეულს.

საქართველოს ყველა კუთხის მეტყველებაში ჩანს ხატოვანი სიტყვა-თქმები, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით უკეთესად გამოხატავენ სათქმელს.

წიგნი ხეჭეპო – კითხვის მოყვარული: რაფერ **წიგნი ხეჭეპო**, ჭამს კითხულობს, ბარავს – კითხულობს, გარბის კითხულობს და ამიტომ არის ასე დამღრალი.

წიგნის ჩიჩი – იმავე მნიშვნელობით: მაგას ვინმე არ წეიყვანს, გაყვითლებულს, დამღრალს ყველთვინ წიგნშია ჩაჭყერილი, **წიგნის ჩიჩია**, ჭამს კითხულობს, მივა – კითხულობს, ძინავს – თავთან აქ დადებული.

დერგშია ჩამძრალი – არ ესმის: მაგი **დერგშია** ჩამძრალი, ტყვილაი დრო არ დახარჯო, ჰაიდან გეიგოსნა, ჭამს და ძინავს.

სული ყიაში აქ ამოსული – გაწვალებულია: შენ რა'ნა მეგეხმაროს, ვერ ხედავ, **სული ყიაში** მაქ ამოსული.

ფეხებზე ბიზები აქ – ნელა დადის: ერთი საათი უნდა, რომ აქ მოიდეს, **ფეხზე ბიზები აქ** დარჭმული.

ჩენგე აქ აკრული – არ ჭამს: ამან სულ **ეიკრა ჩენგე**, ესეც არ იყოს და თლათ სულინა გაშპეს.

ჭამის ბუღა – ზომაზე მეტს ჭამს: მაი რათ გინდა, **ჭამის ბუღა**, გამოგამსობს.

თვალებს სირსირაი ახელს – იტვიან, როცა ადამიანი ძილისწინა მდგომარეობაშია: ვერ ხედავ რაფერ **სირსირაი ახილებს თვალებს**, ბეშუნაა შენი ლაპარიკი.

ყუიში ჩავარდა – მახეში გაება: მის ამოთხრილ **ყუიში მან ჩვარდა,** მაგრამ ვინ მიეშველება ახლა.

ყურებში ჩევრე აქ ჩაპეჭილი – არ გისმენს.

ფეხნაქცევაი მოსვლა – გათხოვილი ქალის პირველად მისვლა მამის ოჯახში 40 დღის შემდეგ: **ფეხნაქცევაი** მოიდა ვითამ და 40 კაცი მოყვა, ვეღარ ავათავე ვერაფერი.

ციციელი დუუშვა – მწარე ენით აწყინა: ებედი არ მოსულა ჩემთან და გოგო რომ მესტუმრა გათხვებული, იმფერი **ციციელი დუუშვა**, გოგო მოსლას ფიშმან გახდა.

გამოვლინდა ლექსიკური არქაიზმებიც:

ბეჩი – შტერი: ჭკვიანის მოფიქრებამდი **ბეჩმა** ხიდზე გეირბინა.

ბრუმო – მუწუკი: ბაღნებს გათენებამდი ძილი არ აქვან, სულ იბღოტენ **ბრუმვებს** და სისხლი დიან.

შდრ: საბა – დიდი მუწუკი; შდრ: შ. ნიჟარაძე – ბრუმო.

ტოკვეცი – თამაშისათვის საჭირო დიდი ჯოხი.

შდრ: საბა – მოკლე კეტი; შდრ: შ. ნიჟარაძე – ტაკვეცი.

ჭიმური – ცხელი მჭადი ცხიმში შეზელილი.

შდრ: საბა – ესე არს პური დაფხვნილი, გინა ბრინჯი, ერბოში, ზეთში მოხრაკული; შდრ: შ. ნიჟარაძე – ერბოში ან წვნიან საჭმელში ჩაფშვნილი ჭადის ლუკმა.

ხარაულელთა მეტყველებაში დადასტურდა თურქული ენიდან ან თურქულის გზით შემოსული არაბული და სპარსული ლექსიკური ერთეულები:

ა. საკუთრივ თურქული:

აბლა – ბიცოლა: მეხფულ **აბლავ**, მაგას ჭკვუა ასტავლე.

ალ ლა სენდა რაზიოლსუნ – დიდი მადლობა: მივეცი იმდენი ვაშლი, რომ ვერ აწონებდი და იმდონში არცერთ არ უთქმია **ალლა სენდა რაზიულსუნ**, ერთის გარდა.

ანაი – დედა: ერთ კაცს იმფერი ფისიმწურავი **ანაი** ყავდა, რომ ტყემლის ბურკას არ მიცემდა ვინმეს.

არხატაში – მეგობარი: მამამ უთხრა შვილს: აგერ ფარა და სხვადასხვა ქვეყნებში აგერ ამ ფარით ბევრი **არხატაშები** გაიჩინეო.

ახტარ-ბუხტარ – არეულობა: ოი, ოი, რაა გადაგხვდა თავზე, ხან აქეთ, ხან იქეთ, **ახტარ-ბუხტარ** და ისევ ჩვენ სახლში მოვედით.

ბაბოი – მამა: აბა მაგას ვინ დააჯერებს, რომ ჩემი **ბაბოი** ყადი იყოო.

დათაშკრული – ჩამწკრივებული: მაგას კბილები აქ **დათაშკრული** სიმინდი კაკლებივით, ჩემ ბაღანას კი – დახჩენილი.

სოითარი – მარბენალი: მაი **სოითარი** სახლში ხომ არ დაჯდება, ყველგან ხოხავს ძაღლივით.

ბასხუნი – ბავშვის ერთგვარი დაავადებაა, ფეხზე რომ ვერ შედგება: ბაღანა ძაღლიდან იყო **ბასხუნი** და ფეხზე ვერ დგებოდა.

ბაქლავა – თხილიანი ნამცხვარი.

გორიმსენ – აბა შენ იცი: **გორიმსენ**, მალე ამოი, თვარა სული კბილით მიკავია.

ყაისაფა – ერთგვარი კერძი ჩირისგან დამზადებული.

ბილევი – სალესავი ქვა: უსტური და **ბილევი**, შენთვინ ვიწვი, ვილევი.

გენილი – რძალი: რაც ეს **გენილი** მევყვაი, ძვილაი წელში გავსწორდი.

დათარმინება – დაცდა: ახალ წელზე ქალის მოსლა კარქათ არ მაქ **დათარმინებული**.

უსტურაი – სამართებელი: წინწინ **უსტურაით** რომ მეიპარსავდი, ერთ კვირას ბალანი თავ არ ამოყოფდა.

დირეგი – საბჯენი: დაასეს ოთხი **დირეგი**, წამუუხიზნეს და დეიწყეს ცხოვრება.

შდრ: ნიჟარაძე – დირე, ბოძი, ბარჯი.

კერჩხი – მწვანედ გამხმარი ლობიო: ხან **კერჩხინა** შეჭამო, ხან იალანჩი სარმაო.

შდრ: ნიჟარაძე – ლობიოს გამონაფშვენი, ცარიელი პარკები, ჩენჩი, ნაჩურჩი.

კოკვაი – მჭადის ან პურის კვერი: ჩვენთვინ ერთი დრამი **კოკვაიც** არ გეემეტებოდენო.

შდრ: ნიჟარაძე – მჭადის ან პურის გამოსაყვანი ცომი.

კუტი ლამპა – პატარა ლამპა: ბუხარში ცეცხლი ენთო და ერთ ოდაში **კუტი ლამპას** შუქი იყო.

შდრ: ნიჟარაძე – იგივეა რაც ფეჩატაი.

მეიკაკვა – მოიღუნა: თუ მაღალი არ **მეიკაკვა**, ბძღილი როგორ აწვდებაო.

შდრ: ნიჟარაძე – მოხრა, მოკაკვა.

მეხსუს – განზრახ, სპეციალურად: შვადღისას **მეხსუს** წევდოდენ მეზობლებისკენ.

შდრ: ნიჟარაძე – განზრახ, განგებ.

იაზმა – თავსახურავი ქალისა.

შდრ. ნიჟარაძე – მარლა.

მიმოგვაწარწალე – მიმოგვაჩეჩე: შენ არ **მიმოგვაწარწალე** იქეთ-აქეთ?

შდრ: ნიჟარაძე – უწესრიგოდ დაყრა, მიყრა-მოყრა, მიმოფანტვა, მიმობნევა.

მობღუნკვილი – მოღუნული: დეიბადვის **მობღუნკვილი**, სიბერეში გასტორდება; **მობღუნკვილი** ნუ იარები, სარივით გამწკაპდი, ბერი ეგონები.

შდრ. ნიჟარაძე – მოხრილი, მოკაკული.

მოვბლაყუნდი – მოვტყუვდი: ასე რაფერ **მოვბლაყუნდი**, მატყვილებდა მეგემ ისი.

შდრ. ნიჟარაძე – მოვტყუვდი, აბუჩად ამიგდო.

მოშპა – მოწყდა: იმდონ რაკარუკში კოდალას **მოშპა** ნისკარტი; **მოშპა** და იმფერები მომაყარა, რომ ენა ჩამაკნეტია.

შდრ. ნიჟარაძე – მოვარდა, მოიჭრა.

მოწიწინებს – სწრაფად მოდის: ზეიდან **მოწიწინებს** ძირში და ქუდი ეკარქვის; ისე **მოწიწინებს**, გეგონება 20 წლის არის, ოისაქიდა 80 წლის ბერია.

შდრ. ნიჟარაძე – მოკურცხლავს, მოქუსლავს.

ნაწეკვაი – ნაგლეჯი: ერთმა ძაღლმა ხორცის **ნაწეკვაი** ნახა.

შდრ. ნიჟარაძე – ნაკუწი, ნაწყვეტი, ნაგლეჯი.

დორთიანი – ირგვლივ: **დორთიანი** შამოთაგლე, თვარა დეგენგრევა მაი წინდა.

შდრ. ნიჟარაძე – ყოველი მხრიდან.

დაყაბულდა – დაკმაყოფილდა: პაწაი მიწის ნაკვეთი მომცეს, რაზ არ ვიყავ, მარა შვილის ხათრისთინ **დავყაბულდი**.

დუნია – ქვეყანა. რომ დევნახე ჩემი სახლი, **დუნია** განათდა.

განსაკუთრებულ სახასიათოდ მიგვაჩნია და გამოვყოფთ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებმაც ასახვა ვერ ჰპოვეს შ. ნიჟარაძის ლექსიკონში. ასეთია:

ამობუღვნა – ამოთხარა: ხუთ მეტროზე **ამოვბუღნე** მიწა და წყლის სისველეს ვერ მივაგენი.

ამოზავებულა – ამოცვენილა: **ამოზავაბულა** მიწა და რაც ყართოფაი ყოფილა, ზეზე გაჩიჩებულა და მზეს გუუმწვანებია, აღარც იჭმება.

ამოსორგავს – დაამიწებს: იმ ეტრაფის ყველა სახლი შვავს **ამუუსორგავს** და მიწაში ჩუუტიტავს.

ბადია – ღრმა თეფში: წინწინ ჰად იყო ნეტაი ცალკე ტალიკი, ერთ **ბადიაში** ვჭამდით ყველაი.

ბძღილი – ძალიან პატარა: მაი ვინაა წეიყვანოს, ერთი დრამი **ბძღილი**, წელზე ვერ უცდება რიზალას.

გადავშპები – გადავხტები:ერთ სოლოხში აგერ ჰაჯერასთან **გადავშპები** და მალე მოვალ.

ყურადღებას იმაზეც გავამახვილებთ, რომ ზოგიერთი ზმნა, დღეს რომ დიალექტიზმია, „ვეფხისტყაოსანში“ გვხდება. ეს ლექსიკური ერთეულები აქტიურად გამოიყენება აქაურთა მეტყველებაში.

დაბურვა – დახურვა: ჩვენ წინწინ თავს **ვიბურავდით** თავსაფრით. შდრ: „ვეფხისტყაოსანი“ – „დია ედვა... **დასაბურავ**-ჩასაცმელი“ (1086,6.4.)

დაფრეწილი – დახეული: ახალს ყველთვინ ვერ იყიდი, ხან იარე **დაფრეწილი**. შდრ: ვეფხისტყაოსანი“ – „აბჯარსა **ფრეწდის**, გაცუდდის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა“ (1416.6.2).

ვარგი – ვარგისი, გამოსადეგი. ძაღლი რომ **ვარგი** ვერ გამოდგა, კაცმა წყალში დარჩო.

შდრ: ვეფხისტყაოსანი“ – „...ვინცა ისმენს კაცი **ვარგი**“. (12.6.3).

კაპანი – კლდოვანი, დამრეცი ადგილი: იქ იმფერი **კაპანია**, რომ სიმინდს ლაკატკით თესავენ; ციცავ, ისე შიმიყვარდი, სულით-გული შამევიარე, შენთან შეხვედრების გამო **კაპან-კაპან** ვიარე.

გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში იხმარება: **კაცმა მოკდა** და ქონება შვილებს დარჩა; **ძაღლმა მივდა** და კატას თითები გადაახვია; კილდის ძირში **გველმა გამოსლიპინდა**; **თხუნელმა მივდა** ვაშლთან და გამოხუტნა; **გველმა გადარჩა** დაწვას.

საინტერესოა რიცხვის გამოხატვის თავისებურებაც. მსაზღვრელად, როდესაც რიცხვითი სახელია, მაშინ მასთან დაკავშირებული საზღვრული მხოლობითში უნდა იდგეს. ეს წესი კი აქაურთა მეტყველებაში დარღვეულია. მაგალითები: **სამი ძმები** როის იყო, რომ ერთ სახლში ბერდებოდნენ; **სამი კაცები** გზაში მივდოდენ და დააჟდენ; ერთ ქალ დაპაიჯავ და **ოთხი ქალები** მოვლენ და დეისხმურკლიან; **ორი კაცების** ლუკმა ყველასთვინ გაქ, ათი რომ მოხუხუნდება, რანა უუთავო, ქარხანა ხომ არ გაქ?

ხარაულას მეტყველებაში საინტერესოა, აგრეთვე, ზოგიერთი სინტაქსური თავისებურება. ძირითად მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ურთიერთობა გამარტივებულია, კერძოდ, მსაზღვრელი მოსალოდნელი ბრუნვის ნიშნის გარეშეა და ფუძის სახითაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს ნაწილობრივი შეთანხმება, ნაცვლად სრული შეთანხმებისა: დუუძახა ოსმანას **ლამაზ ქალმა** იმხელაზე, რომ ღარმი გადავარდა; **მშიერ მელამ** საქათმეს ძირი გამუუთხარა; **ჭკვიან გენილმა** ჯორკოები დაალაგა და თათარიკს შეუდგა; **კეთილ მელაღურამ** გადაარჩინა კოდალაი; ამ **გველისთვალიან კაცმა** სოფელი გადაარჩინა; **კეთილ გველმა** ბიჭს სამაგიერო არ გუდუუხადა.

ასეთია ხარაულას ზოგადი ლინგვისტური პორტრეტი.

გამოყენებული ლიტერატურა

ნიჟარაძე,1971 – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი.

ნიჟარაძე,1975 – შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი.

ფაღავა, 2002 – მამია ფაღავა, რ-ს დაკარგვა სამხრულ კილოებში. ბსუ მემედ აბაშიძის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული III, ბათუმი.

ნოღაიდელი, 2015 – ჯემალ ნოღაიდელი, აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა, ბათუმი.

საბა – სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.

ნიაზ ჯოღქვაძე

პასუხი მიხეილ მახარაძის წერილზე „შენიშვნები“ ერთი ფილოსოფიური ნარკვევის თაობაზე

2019 წლის აპრილში ჟურნალ ჭოროხში №2 (გვ. 95) დაიბეჭდა აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, პროფესორ მიხეილ მახარაძის წერილი, რომელიც ეხება ჩემს ნაშრომს აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება. იგი ძირითადად არის ჩემი პიროვნების წინააღმდეგ დისკრედიტაციის მიზნით, ეგოიზმით, გაუტანლობით სავსე წერილი, მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ მტკიცებულებებს. წერილის ავტორის გაღიზიანება გამოწვეულია იმ წარმატებითა და აღიარებით, რომელიც ნაშრომის გამოცემას მოჰყვა, ორი წლის მანძილზე მთლიანად საქართველოში განხილვების შედეგად, სადაც ასევე ჩართული იყვნენ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლები, წარდგენილი იქნა ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში.

მკითხველი წერილის გაცნობისას დარწმუნდება ჩემს მიერ გაკეთებული შეფასების სამართლიანობაში. წერილში მოყვანილია სრულიად უსაფუძვლო არგუმენტები, გასაოცარია რა იმედით. ამ შემთხვევაში ვეთანხმები ციცერონს, რომელიც ამბობს: „ქაღალდი არ წითლდება“ ანუ მასზე შეიძლება ურცხვად ყველაფრის დაწერაო.

სხვა შემთხვევაში ასეთ წერილს არ ვუპასუხებდი, რადგან იგი მეცნიერებისათვის, შეუფერებელ დონეზეა დაწერილი, მაგრამ, ვინაიდან ის წერილში გაბოროტებული თავს ესხმის ყველას ვინც დადებითი შეფასება მისცა ნაშრომს, გზა გაუკვალეს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე, ეს არის მსოფლიო დონის მეცნიერები თუ ფართო საზოგდაოება, მკითხველი, ამიტომ თავი ვალდებულად ჩავთვალე არგუმენტირებულად ვუპასუხო მის არაობიექტურ შეფასებებს, რომელსაც იგი ისტერიკის ფონზე აკეთებს.

მიხეილ მახარაძე გავიცანი 2004 წელს, როდესაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. პირველად გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ იგი ფილოსოფოსი არისო. წარმოვიდგინე ფილოსოფოსი როგორი სამართლიანობით, პრინციპულობით შეუდგებოდა ჩვენი ქვეყნის, კერძოდ აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვას, მაგრამ, მასზე, როგორც პოლიტიკოსზე, ყველა დამეთანხმება მალევე დაგვეკარგა წარმოდგენა. ამ შემთხვევაში, უკვე როგორც „ფილოსოფოსმა“ ვერ დამალა თავი.

საჯარო განხილვების დაწყებამდე 2017 წლის ზაფხულში წიგნი მიხეილ მახარაძეს გადავეცი საჩუქრად, მეგონა წაიკითხავდა და

როგორც მოაზროვნე ადამიანებს, ფილოსოფოსებს შეშვენის ვისაუბრებდით, ვიმსჯელებდით, როგორც ეს გააკეთეს სხვა ქართველმა თუ უცხოელმა მეცნიერებმა აღნიშნულ ნაშრომთან დაკავშირებით. ის კი, კარგი რატომ დაგიწერია, პირდაპირ მტრად მომეკიდა. მიუხედავად ამისა მე, მისი მტერი არასდროს ვიქნები, რადგანაც შურმა და გაუტანლობამ იგი ღრმა შეცდომაში შეიყვანა და არ იცის რას აკეთებს. „აზოვნების ეკოლოგია“ – რომელზე ფიქრსაც მრავალი წელი მოვანდომე, სწორედ ხომ ასეთი ბოროტი ზრახვებისაგან, შურითა და გაუტანლობით, მომხვეჭელობით, ეგოიზმით დაბინდებული გონების გაწმენდასა და ზნეობრივად მოწესრიგებას ემსახურება.

ამიტომ, ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილად ჩავთვალე ვუპასუხო მის არაობიექტურ უსაფუძვლო შეფასებებს. მხოლოდ რამდენიმე საკითხზე გავაკეთებ განმარტებას, სადაც კარგად ჩანს მიხეილ მახარაძის ფილოსოფიური დონე თუ დამოკიდებულება სხვისი ნაშრომებისა და წარმატებების მიმართ.

იგი ნაშრომს არა შინაარსით, არამედ ფურცლების სიმრავლით აფასებს, წიგნს სისქის მიხედვით, აღნიშნულ წიგნს ირონიულად ბროშურას უწოდებს. ითვლის ფურცლების რაოდენობას, რომ იგი 88 გვერდია, ავტორის ნააზრევი 61 გვერდი, დანარჩენი რეცენზიებს უკავია და ა.შ. ამაზე კარგავს დროს და ასე ცდილობს საზოგადოების წინაშე ნაშრომის დაკნინებას.

როგორც ცნობილია, იუნესკოს რეკომენდაციების შესატყვისად, თანამედროვე წიგნი წარმოადგენს ტექსტების და ილუსტრაციების შემცველი ფურცლების შეკვრას გარე დამცავი ყდით, გარეკანით რომელიც არა ნაკლებ 48 გვერდია. 48 გვერდიდან უკვე წიგნად ითვლება. (თუმცა ბროშურაში დამამცირებელი არაფერია. მთავარია როგორი აზრია მასში წარმოდგენილი).

ვნახოთ როგორი მიდგომა აქვთ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მეცნიერებს, მაგ. ქ. ახალციხის, მესხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს – „როდესაც წიგნს პირველად დავხედე, ძალიან პრეტენზიულად მეჩვენა. ვთქვი, ამ პატარა წიგნით შეიძლება ვიხსნათ კაცობრიობა? მაგრამ როდესაც გავეცანი, ეს ჩემთვის სერიოზული დაფიქრების საშუალებად იქცა. ვთქვი: „ათი მცნება, ერთი ფურცელიც არაა, მაგრამ მთელი სამყაროა“... (გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“. ნოემბერი, 2017 წ.). ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით მოაზროვნე მეცნიერებმა გამოთქვეს.

ეს ელემენტარული მაგალითი კარგად მეტყველებს მიხეილ მახარაძის განსწავლულობაზე. ის ვინც მცირედს არასერიოზულად ეკიდება, ვერ შეაფასებს და ვერ შექმნის უფრო დიდს, მნიშვნელოვანს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას მოწმობს შემდეგი მაგალითი, რაზედაც მინდა გავამახვილო ყურადღება: წიგნში, ჩემს მიერ აღწერილ „წარმოსახვას“, როდესაც ვამბობ, რომ ერთკვირიანი განმარტოების დროს საკუთარ თავთან ფიქრებში მთელი სამყარო ლურჯ-ოქროსფერ სხივებით განათდა... უცებ ერთდროულად წარმომესახა კაცობრიობის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე და მივაკვლიე ათასწლეულების ლაბირინთებში ჩაფლულ პასუხს კითხვაზე, სწორედ იმას, რასაც წლების მანძილზე ვეძებდი – (გვ. 35) მიხეილ მახარაძე ამ აზრს, წარმოსახვად ვერ აღიქვამს და დამამცირებლად „ნათელმხილველობას“ უწოდებს. იგი ამბობს: „დავიბენი, არ ვიცი რა კომენტარი გამეკეთებინა ამ უცნაურ პასაჟზე“ და იმის ნაცვლად რომ იფიქროს, მის დაკნინებას და გამასხარავებას ცდილობს.

როდესაც მიხეილ მახარაძის რამდენიმე ნაშრომს, მის აზროვნებისა და მიდგომის სტილს ვეცნობი, ჩემთვის აღარ არის გასაკვირი, რომ მან წარმოსახვის უნარზე ვერაფერი გაიგო. ეს მისთვის უცხოა. უცხოა იმიტომ, რომ როგორც ჩანს იგი არასდროს ყოფილა მუდმივად დაკავებული მნიშვნელოვანი, რაიმე ახლის, ჭეშმარიტების ძიებით, როგორც უნდა იყოს ნამდვილი ფილოსოფოსი. იგი მხოლოდ ქართული ფილო-

სოფიის ისტორიის მკვლევარია და ფილოსოფიის მასწავლებელი, იგი აღწერს და ასწავლის იმას, რაც სხვებისგან თქმულა. ვნახოთ როგორი აზრის არიან მიხეილ მახარაძისაგან განსხვავებით დიდი მეცნიერები წარმოსახვის უნარზე.

ალბერტ აინშტაინი ამბობს, რომ „მეცნიერისათვის, რომელიც ახლის ძიებაშია, მნიშვნელოვანი კვლევის კვალს ადგას, არ არის მისთვის საკმარისი მხოლოდ კარგი განათლება, არამედ ამასთან ერთად საჭიროა წარმოსახვის უნარი“. იგივე აზრს წარმოსახვის უნარზე გამოთქვამს მსოფლიო დონის ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე.

„წარმოსახვა (ფანტაზია) რთული შინაარსების, რთული სიუჟეტების შემოქმედებაში იჩენს თავს. წარმოსახვის პროდუქტი, როგორც მთელი ამბავი, თავისი აღნაგობით უთუოდ ახალს სინამდვილეს ქმნის. ასეთი წარმოსახვა, ფანტაზია, უკვე უდავოდ შემოქმედებითია და პროდუქტიული – აკეთებს დასკვნას დიდი ფსიქოლოგი ბატონი უზნაძე წარმოსახვის ნიჭთან დაკავშირებით (დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია, კარი მეათე. წარმოსახვა. თბილისი, 2006, გვ. 568).

წიგნზე მუშაობისას, მე ნამდვილად არ ვიცოდი დიმიტრი უზნაძის აზრი წარმოსახვის უნარზე. ასევე არ ვიცოდი აინშტაინის მოსაზრება. მე გადმოვეცი მხოლოდ ჩემს მიერ განცდილი, რასაც დიდი მეცნიერები ადასტურებენ.

რაც შეეხება მიხეილ მახარაძეს, ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ მისთვის უცხოა წარმოსახვის უნარი, სიღრმისეული წვდომა საუკუნეთა ლაბირინთებში, ან პირიქით მომავლისაკენ სივრცეში ხედვა.

ამიტომ გულწრფელად ამბობს იგი, რომ დაიბნა, ვერ ჩაწვდა ჩემს მიერ მოკლედ გადმოცემულ წარმოსახვის სურათს და იმის ნაცვლად, რომ იფიქროს, ინტერესი გამოხატოს, როგორც თვითონ ამბობს ამ „უცნაურ პასაჟის“ მიმართ, დავმსხდარიყავით, გვემსჯელა, უკეთესი ნაშრომების შექმნისათვის შეგვეწყო ხელი, პირიქით, დაკნინება მოინდომა და „ნათელმხილველობას“ უწოდებს.

სწორედ ასეთი ადამიანების შესახებ ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი გულისტკივილით ამბობს:

„ყოველთვის არსებობენ ადამიანები, რომელნიც ბედავენ გამოვიდნენ თავისი დროის მტრების როლში. ისინი უძველეს ბერძენ მოაზროვნეთა განდიდებით ამტკიცებენ, რომ მათ უკვე ყველაფერი თქვეს...

ასეთი ადამიანები, თვითონ არაფერი მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის შემოქმედნი, თავის შხამს გადმოანთხევენ, იმ მოაზროვნე ადამიანებზე, რომლებიც ასახელებენ თავის სამშობლოს და თავისი შემოქმედებით ემსახურებიან კაცობრიობას“ (ვოლტერი. მსოფლიო კლასიკის ოქროს ფონდი. მოსკოვი, 2005, გვ. 676). ვფიქრობ, ვოლტერის ეს სიტყვაც კი საკმარისი იქნებოდა იმ მდგომარეობის გამოსახატავად, რომელიც მიხეილ მახარაძის დამოკიდებულებას ასახავდა იმათ მიმართ, ვინც კი ცოდნითა და საქმით, რაიმე ახალი, სასიკეთო შექმნა, რისთვისაც ფართო საზოგადოების ყურადღება და შექება დაიმსახურა, ამ შემთხვევაში ჩემს მიმართ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც მკითხველისათვის საინტერესო იქნება.

ჩემს მიერ წარმოდგენილ აზრზე, რომ დედამიწაზე კაცობრიობის დაყოფა თვით უფლის ნებით მოხდა არა მარტო ენის, ასევე ტრადიციული რელიგიების მიხედვით, რაც სინამდვილეში სიახლეა და არსად არასდროს თქმულა, ამას იგი სიახლედ არ მიიჩნევს და მიუთითებს ყურანზე. ყურანში მოცემული არის მხოლოდ ის აზრი, რომ კაცობრიობა დედამიწაზე ცალკეულ ერებად უფლისნებით დაიყო, ანუ იგივე აზრი, რაც ბიბლიაშია მოცემული, არც ერთ და არც მეორე, არც სხვაგან რელიგიებად დაყოფაზე ლაპარაკიც არ არის. აი ვნახოთ ის ადგილი ყურანში, სადაც მიხეილ მახარაძე მიუთითებს. „ღმერთს, რომ ენებებინა, ყველა ხალხებისაგან მხოლოდ ერთ ერს შეადგენდა“... წერია ყურანში (თავი XI, 120).

ანუ კაცობრიობა დაყოფილია სხვადასხვა ერებად. აქ არსად ჩანს, რომ კაცობრიობა ტრა-

დიციულ, სხვა და სხვა რელიგიებად თვით ღმერთის მიერ არის დაყოფილი...

მე ამ თემაზე მთელი საჯარო ლექციის კურსი მაქვს, უფრო ფართოდ, ვიდრე ეს წიგნში გადმოვეცი სადაც დამარწმუნებლად არის წარმოდგენილი ყველა სიახლე, სხვა შემთხვევაში ასეთ ინტერესს არ გამოიწვევდა და არ შედგებოდა მისი წარდგინება ნობელის პრემიაზე.

არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ მახარაძემ ყურანში და ჩემს წიგნში, „აზროვნების ეკოლოგია – კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“ – აქ მოცემული აზრი უბრალოდ ვერ გაიგო და როგორც უკვე ვთქვით: „ქაღალდი არ წითლდება“ და მასზე შეიძლება ურცხვად დაწერო ყველაფერი სიყალბე, ცილისწამება, ასეთ მეთოდს მიმართა. მე მას ვურჩევდი, იქვე ყურანში, (X თავი, 108) მოცემული რჩევა გაეთვალისწინებინა, რომელიც არიგებს: „ვინც ჭეშმარიტ გზას აირჩევს, თავის სასიკეთოდ აირჩევს, ვინც გადასცდება, თავისი სულის სავნებლად გადასცდება“.

რაც შეეხება აზროვნების ეკოლოგიას, რაც მიხეილ მახარაძეს შეუძლებლად მიაჩნია მოკლედ ავღნიშნავ – დიდი ხნის მუშაობის შედეგად ჩემთვის შესაძლებელი გახდა მცნება ეკოლოგია გამოყენებული იქნას ფართე მნიშვნელობით და მას არა მარტო ბუნების გასუფთავება-მოწესრიგება, არამედ თვით ადამიანის სულიერად, ზნეობრივად გაწმენდა დაეკისროს, რადგანაც წიგნში ჩამოთვლილი ის ყველა 6 (ექვსი) მთავარი საფრთხე, რომლებიც კაცობრიობას ემქურება, თვით ადამიანისგან გამომდინარეობს.

ამიტომ მიმაჩნია, რომ აზროვნების ეკოლოგიამ მომავალში შეისწავლიოს, შეიმუშაოს და ადამიანებს შესთავაზოს ის მეთოდები (დამცავი მექანიზმები) რაც ხელს შეუწყობს მომავალი თაობების სუფთა, ჯანსაღ აზროვნებას. იგი იქნება როგორც ბუნებაში ეკოლოგიური სისუფთავისათვის, ასევე კაცთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარი გარანტი. შეუძლებელია ამ წერილის ფორმატში ამ და სხვა საკითხზე ფართოდ მსჯელობა, წიგნში საკმაოდ გასაგებადაა წარმოდგენილი, სამწუხაროდ მიხეილ მახარაძე ვერ ჩაწვდა იმ სიღრმეებს, რომელიც ამ გლობალური მნიშვნელობის საკითხებს გააჩნია და სიახლეა... ამიტომ იგი ფიქრობს ისე, როგორც მას ათეული წლების წინ ასწავლეს, რომ ეკოლოგია მხოლოდ ბუნებას შეიძლება ეხებოდეს და ეკოლოგიურად სუფთა აზროვნებისათვის ზრუნვა შეუძლებლად მიაჩნია.

იგი ეწინააღმდეგება აზრს, რომელიც სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენელთა შორის მშვიდობას ემსახურება, ხელს უწყობს ადამიანის ზნეობრივ სიმტკიცეს, სხვადასხვა ხალხებს შორის ტოლერანტობის პრინციპების გაფართოება გამტკიცებას და ყოველდღიურად მკვიდრდება ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ. მიხეილ მახარაძე, როგორც ჩანს, თავისი პირადული გაუტანლობის გამო, ხალხთა შორის დაპირისპირებას, ტერორს და უზნეობებს უჭერს მხარს, რასაც წლების მანძილზე მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

ფილოსოფიის მთავარი დანიშნულებაა სიბრძნისეულად უპასუხოს საზოგადოებაში, ხალხში დაგროვილ კითხვებს, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, რისთვისაც იგი მუდმივად ახლის, ჭეშმარიტების ძიებაშია და არ ეგუება არსებულს. ამ ურთულეს გზაზე კი მისი მთავარი საფუძველი არის სამართლიანობა, ზნეობრიობა, კეთილი დამოკიდებულება სხვების, საზოგადოების ინტერესებისადმი.

აქედან გამომდინარე, სად არის მიხეილ მახარაძის ზნეობრივი, კეთილი დამოკიდებულება სხვების მიმართ? ან რა სიახლე წარმოადგინა და რომელ გამოწვევებს უპასუხა? ჩვენი ქვეყნის მაშტაბით, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისოზე. პიქირით, როდესაც 2011-2012 წლებში საქართველო დამპყრობელ სულთან აზიზიეს სახელობის მეჩეთის მშენებლობის გამო რელიგიური დაპირისპირების ზღვარზე დადგა, მაშინ ჩვენ, სწორედ ფილოსოფიური მიდგომით ქართველი მუსლიმი და ქრისტიანი ძმების ერთად გამოსვლით, შევძელით ამ მდგომარეობის განმუხტვა, მიხეილ მახარაძე კი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იმ ანტიეროვნულ პროექტზე ერთ-ერთი ხელშემწყობი იყო.

ადიგენში, ჭელაში, რელიგიური დაპირისპირებების ეპიცენტრში რა იმოქმედა მან იმ მდგომარეობის მოსაგვარებლად, როგორც ფილოსოფოსმა? სწორედ მე შევძელი იქ ჩასვლა, დაპირისპირებული მხარეების მეგობრულად ერთ დარბაზში შეკრება და რელიგიურ ფონზე არსებული გაუგებრობების დაძლევა, როდესაც ნობელის პრემიაზე ჩემი წარდგინება საჯაროდ პირველად გახდა ცნობილი, პირველი ზარი, წარმატებების სურვილით სოფელ ჭელას და ახალციხის მუსლიმი და ქრისტიანი მრევლის წარმომადგენელთაგან მივიღე, რომლებიც ერთ დროს დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენდნენ. ეს შედეგი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე ნობელის პრემიაზე წარდგინება.

რაც შეეხება ნობელის პრემიაზე წარდგინებას, მიხეილ მახარაძე, იმის გამო რომ მას ასეთი შესაძლებლობა არ გააჩნია, ამით გაბოროტებულს საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, რომ მისი აზრით საქართველოს საერთოდ არ აქვს წარდგინების უფლება ნობელის პრემიაზე და ამის იმედსაც არ უტოვებს სამომავლოდ. ეს რომ ასე არ არის ფაქტია, ამას ჩემი მაგალითი კარგად მოწმობს, რომ ვარ ნობელის პრემიის ნომინანტი, ოფიციალურად დარეგისტრირებული ქ. ოსლოში, ნობელის კომიტეტში (ნორვეგია).

მშვიდობის დარგში წარდგინება განსხვავდება სხვა დარგებში წარდგინებისაგან. არის განსაკუთრებული კრიტერიუმები, თუ ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ნაშრომი, მაშინ სხვადასხვა საზოგადოებრივ ინსტიტუტებს თუ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფებს აქვს ნება წარდგინებისა. ასეთი მიდგომით, რომელიც მიხეილ მახარაძემ გამოავლინა, ჩვენ ვღებულობთ ისეთ სავალალო შედეგებს, როგორიც ამ მხრივ გვაქვს. მაგ. ნობელის საერთაშორისო კონკურსის არსებობის 120 წლის მანძილზე ებრაელ ერს 100-ზე მეტი ნობელიანტი ჰყავს, საქართველოს კი არც ერთი.

იგი თავისი წერილის დასასრულს აშკარა შეურაცყოფას აყენებს ყველას, ვინც კი წარდგინებას მოაწერა ხელი, ვინც კი ნაშრომის განხილვებში მიიღო მონაწილეობა, სამარცხვინოს უწოდებს სხვადასხვა რეგიონებში მიწვევებს და განხილვებს. მისი აზრით შეცდომაში არის შესული ყველა ვინც კი ნაშრომი მოიწონა. ბაშკირეთის ფილოსოფოსთა წრეები, რომელთაც პირველებმა მიაქციეს ყურადღება ჩემს მიერ მათ წინაშე წარდგენილ სიახლეს სტატიის სახით. ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ამისათვის დამაჯილდოვეს და ევროპაში, საფრანგეთში დააფინანსეს ჩემი მოგზაურობა, ნაშრომმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქ. ჟენევაში მოღვაწე მეცნიერების ყურადღება დაიმსახურა; ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მომაწოდეს მასალები გაეროში მოქმედ მრჩეველთა საბჭოს მუშაობის შესახებ, რამაც დიდი თანადგომა გამიწია წიგნზე მუშაობის დროს. კერძოდ, იმ საფრთხეების სწორად დანახვაში, რაც კაცობრიობას ემუქრება. უმაღლესი შეფასებები მიიღო ნაშრომმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაგან, ქართველი და უცხოელი მეცნიერებისაგან, მწერლებისაგან, ფართო მკითხველისაგან. ჯერ კიდევ 2003 წელს ნაშრომის წარმატებას მოჰყვა ის, რომ ასპირანტი რუსეთის ფილოსოფოსთა საზოგადოების და შემდეგ ფიხტეს სახელობის საერთაშორისო ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრად ამირჩიეს. მხოლოდ თბილისში მოხდა წიგნის 7-ჯერ განხილვა, მთლიანად საქართველოში 30-ზე მეტჯერ. ამ ყველაფერს მიხეილ მახარაძე გაუტანლობით სამარცხვინოს უწოდებს.

ჩემში გულისტკივილს იწვევს უფრო ის ფაქტი, რომ წარმოიდგინეთ ვინ იცის ასეთმა ადამიანებმა რამდენი ნიჭი ჩაკლეს და გაანადგურეს, რამდენ ნიჭიერ ადამიანს გამოაცალეს ენერგია და ხელი ააღებინეს საუკეთესო იდეების, აზრების წარმოჩენასა და განხორციელებაზე.

ასეთი ადმიანების არსებობამ ჩამაფიქრა „აზროვნების ეკოლოგიის მცნების დამკვიდრებაზე ცხოვრებაში“, როგორც კაცობრიობის გადარჩენის ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე. სხვა შემთხვევაში ხომ ეს საჭირო არ იქნებოდა და მე ჩემს დროს სხვა საკითხების კვლევას მოვანდომებდი. აქვე ერთი მნიშვნელოვანი რამ დავინახე.

უძველეს ბერძენ 7 ბრძენთაგან, ერთ-ერთი ბიანტ პრიენელი გვაფრთხილებს: გახსოვდეთ – „ცუდი მეტია, ვიდრე კარგი“. მე კი, ამ შემთხვევაში მინდა ვთქვა პირიქით. თითქმის ყველა სირთულე გავიარე და წინააღმდეგობებით სავსე გზაზე ხელი არ ჩამიქნევია, რადგან კარგი ადამიანი უფრო მეტი მხვდებოდა, ვიდრე ცუდი. მეტ წილად დიდსულოვნებას, ეროვნული სიამაყის გრძნობას, მიმტევებლობას, საღი, კეთილშობილური აზრის დაფასებას ვხედავდი, რაც ქართველი კაცის ბუნებრივ თვისებად მიმაჩნია და ღირსეული მომავლის იმედს გვიტოვებს.

ფილოსოფია გვასწავლის, როგორ სიბრძნისეულად ვიცხოვროთ და ბოლოს ღირსეულად დავასრულოთ იგი. რაც შეეხება, მიხეილ მახარაძის მიერ განვლილ საკმაოდ ხანგრძლივ პოლიტიკურ გზას, მის დამოკიდებულებას ხალხის ინტერესებისადმი, ვერ ვიტყვით, რომ იგი სიბრძნისეული არის, რადგანაც სიბრძნის შემადგენელი მთავარი თვისებებიდან არ არის უმთავრესი – სამართლიანობა, რასაც თუნდაც მისი წერილი მოწმობს.

მიუხედავად ამისა, ვიდრე ადამიანი ცოცხალია, მას საშუალება ეძლევა უკეთესობისთვის იზრუნოს. მიხეილ მახარაძემ უნდა იფიქროს ამ საკითხებზე, როდესაც თავს ესხმის ჩვენი ქვეყნის თუ უცხოელ ღვაწლმოსილ მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ფართო საზოგადოებას. იგი წერილში ამბობს, რომ რიგითი მკითხველისაგან განსხვავებით მან, ფილოსოფიის პროფესორმა... რომ ასეთმა პიროვნებამ ვერ გაიგო ამ წიგნის აზრი, რიგითმა მკითხველმა როგორ გაიგო? (გვ. 98), მასზე მაღალი ტიტულების ადამიანებმა რომ გაიგეს, მათ მეხოტბეებს უწოდებს. რაც შეეხება რიგით მკითხველს, მიხეილ მახარაძემ უნდა იცოდეს, რომ ორი წლის მანძილზე, განხილვების დროს მეცნიერ სპეციალისტების შეფასებებთან ერთად არა ერთი წერილი, მოსაზრება გამოხმაურება, წიგნის საუკეთესო ანალიზი იქნა გამოქვეყნებული ფართო საზოგადოების წარმომადგენელთაგან სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გაზეთებში, თბილისში, ახალციხეში, ქუთაისში, ოზურგეთში, ხულოში, შუახევში, რაც იმას ნიშნავს, რომ წიგნი თავის მისიას ასრულებს. მიხელ მახარაძის საქციელი კი ასეთი შეფასებით მკითხველის მიმართ სხვა არაფერია, თუ არა ამპარტავნება, მით უმეტეს უსაფუძვლო ამპარტავნება, რაზედაც ბრძენი გურამიშვილი ამბობს: „სიამპარტავნით ხარისხსა, ძირი არ გაებზაროსო“.

მე აღარ ვაპირებ კვლავ თუ მსგავსი წერილი გამოჩნდება, პასუხის გაცემას, რადგანაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, ამისათვის დროისა და ენერგიის ხარჯვა.

თუ მიხეილ მახარაძე არ დაკმაყოფილდება ამ პასუხით, მზად ვარ ტელედებატებისთვის. ვფიქრობ, ამით ნათელი მოეფინება არა ერთ საკითხს, რომელზედაც დღეს შეიძლება საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენა იყოს, ასეთი გადაცემა ხელს შეუწყობს ფილოსოფიური აზრის განვითარებას, ხშირად, რომელსაც მიზანმიმართულად ახშობენ.

14.05.2019 წ.

შუშანა ფუტკარაძე, ჯემალ მიქელაძე,
ალექსანდრე დიასამიძე, ნუგზარ ჩხაიძე,
დუგლას ზამთარაძე, ზაური აბაშიძე,
თამაზ დარჩიძე

გამოხმაურება მიხეილ მახარაძის წერილზე „შენიშვნები ერთი ფილოსოფიური ნარკვევის თაობაზე“

2019 წლის ჟურნალ „ჭოროხში“ (№2, მარტი-აპრილი) დაიბეჭდა მიხეილ მახარაძის წერილი „შენიშვნები ერთი ფილოსოფიური ნარკვევის თაობაზე“. წერილის ავტორი მიხეილ მახარაძე უსაფუძვლოდ აკრიტიკებს ფილოსოფოს ნიაზ ბოლქვაძის მიერ გამოქვეყნებულ შრომას „აზროვნების ეკოლოგია, კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“.

ზემოთ ხსენებულ ნაშრომში მკაფიოდ არის ასახული ის გლობალური პრობლემები, რომელიც XXI საუკუნის მსოფლიო მოსახლეობისათვის მწვავე საფრთხეებს წარმოადგენს, როგორიცაა: ბირთვული საფრთხე, კონფლიქტები, ტერორიზმი, ეკოლოგიური პრობლემები, გლობალური დათბობის პროცესი, სოციალური, რელიგიური დაპირისპირებები და აშ. უნდა აღინიშნოს, რომ აქ მოცემული გლობალური პრობლემები აქტიურ ფაზაში შევიდა ამ ათასწლეულის დასაწყისში და მისი გამომწვევი მთავარი მიზეზი თვით ადამიანია. უნდა აღინიშნოს, რომ როცა საკითხი ადამიანს ეხება, მხედველობაშია მისი აზროვნება, რაც საფრთხისგან თავის დაღწევის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ შეარჩია ნაშრომის სათაურად შრომის ავტორმა ნიაზ ბოლქვაძემ „აზროვნების ეკოლოგია, როგორც კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“. აზროვნების ეკოლოგიაში მოიაზრება გაწონასწორებული აზროვნება, გარემოსადმი გონივრული დამოკიდებულება, აზროვნების გაწმენდა ბოროტი ზრახვებისაგან, რელიგიური ტოლერანტობა, რწმენა და ა.შ. ნაშრომი წარდგენილია ნობელის პრემიაზე, ხოლო წარდგენის წინა პერიოდები მოიცავს ნაშრომის განხილვას საზოგადოების ფართო წრეებში. ძირითადად ბათუმში, თბილისში, ნინოწმინდაში, ხულოში, შუახევში, ოზურგეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სადაც განხილვა ხდებოდა უნივერსიტეტებში, კულტურის ცენტრებში, საჯარო ბიბლიოთეკებში, სკოლებში. შრომის განხილვა ხდებოდა აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ ქალაქ უფაში, მოსკოვში. აღსანიშნავია ქალაქ ჟენევაში ნაშრომის განხილვა გაეროს წარმომადგენელთა მიერ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

საინტერესოდ წარიმართა შრომის შემაჯამებელი განხილვა ნობელის პრემიაზე წარდგენამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც გარდა მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლობისა, განხილვას ესწრებოდნენ დედაქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, აგრეთვე დაინტერესებულნი სხვადასხვა ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები, სხვა უცხოელი სტუმრები, დაინტერესებულ პირთა შორის იყვნენ აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბ-

ლიკიდანაც, რომლებიც არიან თვითმხილველები თუ, როგორი ინტერესი გამოიწვია ნაშრომმა მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლობასა და დამსწრე საზოგადოებაში. ესენია: 1) ალექსანდრე დიასამიძე (ინჟინერ-ტექნოლოგი, აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი); 2) დუგლას ზამთარაძე (საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი); 3) თამაზ დარჩიძე (ეკონომისტი, მცირე მეწარმე).

თვითმხილველები აღნიშნევან, რომ შთამბეჭდავი იყო სხდომაზე გამოთქმული აზრები, მსჯელობა, ინტერესი ნაშრომის თაობაზე. მაგალითად აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა დასაწყისიდანვე აღნიშნა, რომ გლობალური მნიშვნელობის უმაღლესი დონის მეცნიერული ნაშრომია წარმოდგენილი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს. იგი უდაოდ ხელს შეუწყობს ხალხთა შორის, ასევე სხვადასხვა რელიგიებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებას...

აკადემიკოსმა როინ ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ აზროვნების ეკოლოგიის სახით წარმოდგენილი ნაშრომი ახალი სიტყვაა რელიგიურ მსოფლმხედველობასა და მეცნიერებაში, კარგი იქნება მისი წარდგინება ნობელის პრემიაზე...

ასევე სხდომაზე წიგნის განხილვის დროს ცნობილმა მხატვარმა, მწერალმა რეზო ადამიამ აღნიშნა, რომ ნაშრომში მოცემული იდეის პროპაგანდისათვის, რათა ნაშრომმა მისი მისია შეასრულოს აუცილებლად მიაჩნია წარდგენილ იქნეს ნობელის პრემიაზე...

გარდა ამისა სხდომაზე იყო სხვათა გამოსვლები, რომელნიც ასევე ნაშრომის ნობელის პრემიაზე წარდგენას უჭერდნენ მხარს, საბოლოოდ კი დარბაზმა დიდი ოვაციით გამოხატა ნაშრომის ნობელის პრემიაზე წარდგენის მხარდაჭერა.

უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიკოს როინ მეტრეველისა და სხვათა შეფასებები ნაშრომის „აზროვნების ეკოლოგიის შესახებ“ დაიბეჭდა, 2018 წელს – გაზეთ „ჯორჯიან ტაიმს“-ში, გაზეთ ძველ თაობაში და სხვა პრესაში.

თვითმხილველები დუგლას ზამთარაძე, ალექსანდრე დიასამიძე, თამაზ დარჩიძე და სხვები გამოხატავენ თავიანთ განცდებს და აღნიშნავენ, რომ – ჩვენ ორმაგად განვიცდიდით სიამაყეს, როცა მთელი დარბაზი მხარს უჭერდა ნაშრომის წარდგენას ნობელის პრემიაზე, ხოლო ავტორს წარმატებებითა და კეთილი სურვილებით მიმართავდნენ. ჩვენი ორმაგი სიამაყის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ნაშრომის ავტორი ბატონი ნიაზი, ჩვენი კუთხის შვილია.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი წარმატებული გზა გაიარა ნიაზ ბოლქვაძის ნაშრომის განხილვამ, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ და როგორი მოწონება დაიმსახურა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერთა მიერ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გამოჩნდა ადამიანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ მახარაძე, რომელმაც უსაფუძვლოდ გაილაშქრა ნაშრომისა და მისი ავტორის წინააღმდეგ. მ. მახარაძეს არა მარტო ნაშრომისა და მისი ავტორის წინააღმდეგ მოჰყავს უსაფუძვლო არგუმენტები, არამედ იბრძვის იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც მხარი დაუჭირა ნაშრომის წარდგენას მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე, უფრო მეტიც, ცინიკურად მოიხსენიებს მეცნიერებს, რეცენზენტებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებს და მათ მიერ წიგნის განხილვას აბსურდულს უწოდებს. მიხეილ მახარაძის ცუდი ზრახვები მკაფიოდ გამოჩნდა ამა წლის 15 მარტს ქალაქ ბათუმში მწერალთა კავშირში ნაშრომის განხილვის დროს. მან ნაშრომის შესახებ ვერც ერთი კონკრეტული შენიშვნა ვერ დაასახელა, მხოლოდ ამბობდა ზოგადად, თუ რატომ იქნა წარდგენილი ნობელის პრემიაზე და ასახელებდა ტექნიკურ ხარვეზებს (მიზეზებს). მის აზრებში შეინიშნებოდა, რომ მისი ქმედება ძირითადად იყო შრომის ავტორის, (როგორც პიროვნების) ნიაზ ბოლქვაძის წინააღმდეგ, მისმა ასეთმა საქციელმა იქ დამსწრე საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია, რის შედეგადაც მიხეილ მახარაძე იზოლირებული

აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისაგან, ხოლო მისმა თანამოაზრემ, ფსიქოლოგმა ნოდარ ბარამიძემ ბოდიში მოუხადა დამსწრე საზოგადოებას იმ მოტივით, რომ ნაშრომის შეფასების დროს ის არ ფლობდა სრულ ინფორმაციას. რითაც მან საზოგადოების სიმპატიაც დაიმსახურა.

აქედან გამომდინარე მიხეილ მახარაძე შეურაცხყოფას აყენებს იმ საზოგადოებას, სადაც წიგნი („აზროვნების ეკოლოგია“) იქნა განხილული და ამ ყველაფერს აფსურდულს, ხოლო ნაშრომისა და მისი ავტორის თანამოაზრეებს მეხოტბეებს უწოდებს.

დაფიქრდით ბატონო მიხეილ; თქვენს ქმედებას თუ აქვს გამართლება; თქვენი წერილის ბოლოს თქვენ ამბობთ, რომ ყოველი ჩვენგანისათვის საამაყო იქნება ქართველმა ნობელის პრემია, რომ მიიღოს შემდეგ კი წიგნის განხილვებს, ვოიაჟებს აბსურდის თეატრს ამსგავსებთ; მაშინ, როცა განხილვებში ჩართული იყო მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები და საზოგადოების ფართო წრეების წარმომადგენლები, რის შედეგადაც ნაშრომი წარდგენილია ნობელის პრემიაზე. ნობელის პრემიაზე ნაშრომის წარდგენა ქართველი კაცის მიერ, ეს ხომ ჩვენი ერის წარმატებისა და გამარჯვების ტოლფასია, ამით ხომ ერთგვარად ამაღლდება ჩვენი ქვეყნისა და ერის იმიჯი ევროპისა და მსოფლიოს წინაშე (ნაშრომი ითარგმნა: ინგლისურად, რუსულად და მზადდება თარგმანი სხვა ენებზე).

ისმება კითხვა, ბატონო მიხეილ, ნუთუ თქვენ ხართ ის მეცნიერი, რომელიც ჩრდილავს ყველა იმ მეცნიერს, ვინც მხარი დაუჭირა წიგნის წარდგენას ნობელის პრემიაზე, რომლებიც საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ აღიარებულნი არიან (ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, ბიოლოგები, ფილოლოგები და ა.შ.), თუ თქვენ გამოძრავებთ შური და გაუტანლობა? – დაე, ეს მკითხველმა განსაჯოს.



მიხეილ მახარაძე

ჭეშმარიტებისთვის ჩვენებური არ არსებობს!

ჟურნალ „ჭოროხში“ (2019, №2) გამოქვეყნებულ ჩემი წერილის – „შენიშვნები ერთი „ფილოსოფიური“ ნარკვევის თაობაზე“ მთავარი მიზანი იყო – ნიაზ ბოლქვაძის მცირე მოცულობის ნარკვევის – „აზროვნების ეკოლოგია. კაცობრიობის ხსნის საშუალება“ ნობელის პრემიის წარდგენის გამო ატეხილი აჟიოტაჟის უსაფუძვლობის ჩვენება. ამ ნარკვევის ნობელის პრემიაზე წარდგენა, ახლაც ვიმეორებ: სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო პროცედურული თვალსაზრისით, **დიდი გაუგებრობაცაა, თავის მოჭრაც და დიდი სირცხვილიც!**

იმედი მაინც დავიტოვოთ, რომ ნობელის საორგანიზაციო კომიტეტი ამ არასერიოზულ საქმეს სერიოზულად არ მოეკიდება და საქვეყნოდ არ გამოგვაჭენებს.

ჩემს კრიტიკულ წერილს ორი წერილით გამოეხმაურნენ: ერთი კოლექტიურია(!), მეორე ნ. ბოლქვაძის საკმაოდ ვრცელი „პასუხი“. ორივე „პასუხში“ მხოლოდ ზოგადი ფრაზები და საყოველთაოდ ცნობილ ამბებზეა საუბარი. ამასთან, ჩემს ერთ კრიტიკულ შენიშვნაზეც კი არ არის პასუხი გაცემული. სამაგიეროდ, გამოხმაურებები სავსეა ჩემი დისკრედიტაციის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების მცდელობებით, რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება.

დიახ, ჩემი წერილი მკაცრია, მაგრამ სხვანაირად როგორ დამერქვა ყველაფრისთვის თავისი სახელი? მეხოტბეზე ხომ ვერ ვიტყოდი ობიექტური შემფასებელია, დილეტანტზე – კარგ მეცნიერს, ბროშურასა თუ ნარკვევზე – მონოგრაფიას და ა. შ. რა შუაშია აქ შეურაცხყოფა?

გამოხმაურებებზე საპასუხო ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის მაინც საჭიროდ ვთვლი განმარტებების გაკეთებას. განმარტებებამდე მკითხველს შევახსენებ ჩემს რამდენიმე შენიშვნას, დანარჩენებს კი, გზადაგზა შევეხები:

1. აზროვნება და ეკოლოგია ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია. ამ შენიშვნაზე პასუხი არ არის. აქვე დავამატებ: **აზროვნების ეკოლოგია** იგივეა, რაც **ცხელი ყინული.**

2. დემოკრიტეს, კონფუცისა და... ნ. ბოლქვაძის (!) თვალსაზრისებს შორის საერთო არაფერია, რის საწინააღმდეგოს ჩვენებასაც ცდილობს ნ. ბოლქვაძე. არც ამ შენიშვნაზეა პასუხი „პასუხში“.

3. პასუხი ჩემს არც იმ შენიშვნაზეა, სადაც აღნიშნულია, რომ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიას წიგნებში არ იძლევიან.

4. ჩემი ერთი შენიშვნა ეხებოდა ნობელის პრემიის წარდგენის პროცედურას, რის თანახმადაც, ნობელის პრემიაზე წარდგენა შეუძლია მხოლოდ ნობელის პრემიების კომიტეტის უფლებამოსილ ორგანიზაციას ან ნობელიანტს. საქართველოში არც ასეთი ორგანიზაციაა და არც ნობელია-

ნტი გვყავს. თვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას არა აქვს ამის უფლება. ასე რომ, ეს წარდგინება ნონსენსია.

ვერც ამ შენიშვნას გასცა პასუხი ნ. ბოლქვაძემ, სამაგიეროდ აღნიშნა, რომ მე ამგვარი ქმედებით მომავალში საქართველოში გზას ვუღობავ (!) ამ მიმართებით ყოველგვარ პერსპექტივას. ეს „პასუხი“ დავტოვოთ უკომენტაროდ.

გადავიდეთ კოლექტიურ წერილზე. წერილს, რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, პირველი ხელს აწერს პროფესორი შუშანა ფუტკარაძე. მწერალთა სახლში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ **სამჯერ (!!!)** წაიკითხა ნ. ბოლქვაძის ნაშრომი და ვერაფერი გაიგო. ამ ნათქვამში ის გულწრფელი იყო; ამას ამბობს, არა უბრალო პროფესორი, არამედ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორ-ემერიტუსი, ე. ი. დამსახურებული პროფესორი! (ამის შემდეგ სხვას რა უნდა ელაპარაკო!). ქალბატონ შუშანას ამით არ დაუმთავრებია და იქვე დაამატა: „მეოთხე წაკითხვის შემდეგ ყველაფერი გავიგეო“. აქ ის უკვე აღარ იყო გულწრფელი, იქით თავს იტყუებდა და აქეთ დარბაზში მყოფთ აყრიდა თვალებში ნაცარს. საქმე ის არის, რომ მეოთხედ კი არა, მეათედაც რომ წაიკითხო ეს ნარკვევი, ვერაფერს გაიგებ, უკეთეს შემთხვევაში – **მხოლოდ იმას გაიგებ, რომ ვერაფერი გაიგე!**

ახლა ვიკითხოთ, თუ რამ გააერთიანა ჩემს წინააღმდეგ ფილოლოგი, გეოგრაფი, სოციოლოგი, არქიტექტორი... და ინდმეწარმე? ჭეშმარიტების დადგენის სურვილმა თუ უფრო მათზე აღმატებულისა და წარმატებულისადმი შურმა და ცრუპატრიოტული მოტივებით მდაბლის აღზევების დაუოკებელმა წყურვილმა?

წერილში ავტორები მომიხსენიებენ გარიყულად და იზოლირებულად, რომელსაც დამსწრეებმა (იგულისხმება მათ მიერ საგანგებოდ შეკრებილი მომხრეები) ზურგი მაქციეს, ძირითადად ტექნიკური ხასიათის შენიშვნებით შემოიფარგლაო (გეგონება მაცალეს, სათქმელი ბოლომდე რომ მეთქვა). აქ ელემენტარულ ჭეშმარიტებას შევახსენებ მათ: როგორც წესი, ჭეშმარიტებას ერთეულები ლაპარაკობენ და არა წინასწარ მომზადებული და დამოძღვრილი მასები.

ჩემი წერილის სათაურში სიტყვა – ფილოსოფიური ბრჭყალებშია ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ნ. ბოლქვაძის ნარკვევს არ მივიჩნევ ფილოსოფიურად. კოლექტიურ წერილში კი ეს სიტყვა ბრჭყალების გარეშეა გადმოტანილი. ხელმომწერთაგან მეცნიერებმა მაინც არ იციან ეს, თუ სულაც შეგნებულად აკეთებენ ამას? ნ. ბოლქვაძე კი, ჩემი წერილის სათაურს საერთოდ ამახინჯებს, რაც მისი წერის „მაღალ“ კულტურაზე მეტყველებს.

ავტორები დიდი რიხით ჩამოთვლიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ნ. ბოლქვაძის წიგნის განხილვას ასეთი და ასეთი ადამიანები ესწრებოდნენ და ასახელებენ... სამს, რომელთა გვარები ამ მიმართებით განსაკუთრებულს არაფერს გვეუბნება. თურმე დარბაზი აღტაცებით შეხვდა ნ. ბოლქვაძის ნაშრომის ნობელის პრემიაზე წარდგენის იდეას. თუ ეს სიმართლეა, გასაგებია თუ რა დონის პუბლიკა იყო იქ შეკრებილი. თუმცა, მეცნიერებათა აკადემიიდან მოწოდებული ინფორმაციით, ამ შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა ბათუმიდან ჩასული ნ. ბოლქვაძის მომხრეებისგან შედგებოდა.

აქვე კოლექტიური წერილის ავტორებს მინდა ვკითხო: თუ სმენიათ იმის შესახებ – როგორ შეიყვანა ნ. ბოლქვაძემ შეცდომაში აკადემიის ხელმძღვანელობა და პროგრამაში ჩააწერინა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არადა, მას არც სამეცნიერო ხარისხი აქვს და არც – წოდება.

წერილის ავტორები ერთმანეთის გვერდიგვერდ მოიხსენიებენ აკადემიკოს როინ მეტრეველს და „აკადემიკოს“ როინ ლიპარტელიანს. რა უნდა ელაპარაკო იმ მეცნიერებს როინ ლიპარტელიანი რომ ავტორიტეტად მიაჩნიათ განსახილველ საკითხზე! ისე კარგი იქნებოდა დაასახელებინათ ის აკადემია, რომლის წევრიცაა როინ ლიპარტელიანი.

დიდის ამბით წერენ პროფესორმა ნოდარ ბარამიძემ ბოდიში მოიხადაო. კარგად წაიკითხონ გაზეთი „აჭარა“ (21-22 მარტი, 2019), სადაც ნ.

ბარამიძემ ამ საკითხზე განმარტება გააკეთა და უფრო დაამძიმა თავისი კრიტიკული გამოსვლა. სხვათა შორის, ბატონი ბარამიძის კრიტიკული შენიშვნები დღემდე პასუხგაუცემელია.

წერილზე ხელმომწერთაგან მწერალთა სახლში მიმდინარე წლის 15 მარტს გამართული დისკუსიის შემდეგ ვესაუბრე ორს და იცით რა მითხრეს? ჩვენებურია და აბა რა უნდა გვექნაო. სამწუხაროდ, ეს არის მათი დონე და... ჩვენი რეალობა. არადა, როგორ გინდა გააგებინო მათ – მეცნიერებს, რომ **ჭეშმარიტება ყველაფერზე მაღლა დგას!**

წერილის ხელმომწერი მეცნიერები ამით მე ვერაფერს დამაკლებენ, სამაგიეროდ ეჭვქვეშ დააყენებენ თავისი, როგორც მეცნიერის რეპუტაციას. ისე კი კოლექტიური წერილებისა და „ტროიკების“ დრო დასრულებული მეგონა, მაგრამ ნურას უკაცრავად!

რაც შეეხება ნ. ბოლქვაძის წერილს, მან ამ „პასუხით“ უფრო გაამრავლა თავისი შეცდომები და აბსურდული იდეები, თუმცა, მათ სრულად აღნუსხვას აქ არ შევუდგები. დავიწყოთ მისი აღნიშვნით, რომ მან ეს წიგნი მაჩუქა და, როცა მას გავეცანი თურმე „შურით აღვივსე“. ნარკვევი მართლაც მაჩუქა, მაგრამ იმას მალავს რეცენზია რომ მთხოვა. გავეცანი ნარკვევს და მესამე დღეს დავურეკე და ვუთხარი – სერიოზული შენიშვნები მაქვს და ამიტომაც დადებით რეცენზიას ვერ დავწერ.

ნ. ბოლქვაძე ჩემი მისამართით აღნიშნავს, რომ მე ერთი რიგითი ლექტორი ვარ, ქართული ფილოსოფიის იქით არ ვიხედები და რა ფილოსოფოსი მე ვარ (როგორც ჩანს მას **ვოლტერის საფლავთან სურათის გადაღება** მიაჩნია ნამდვილ ფილოსოფოსობად!). მარტო ქართულ ფილოსოფიაში რომ ვმუშაობდე, რა არის ამაში დასაძრახი და რატომ არის ეს საქილიკო? ან იქნებ ჩემი ხელმძღვანელობით მომზადებული და პრემირებული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ ოთხტომეულის ორჯერ გამოცემა არის რაღაც გამოუსწორებელი ცოდვა? მე კი ვამაყობ ამ ოთხტომეულით და იმითაც, რომ იგი ჩემი CV-ით კოლუმბიის უნივერსიტეტმა მოითხოვა და გავუგზავნეთ კიდეც. ისე კი, მე 9 მონოგრაფიის ავტორი ვარ და აქედან მხოლოდ ერთია ქართულ ფილოსოფიაში. ამაზე თვალის დახუჭვა კი რას უნდა ნიშნავდეს – დილეტანტიზმს თუ სულაც დალტონიზმს?!

ამის გარდა, არეოპაგიტიკის, რენესანსისა და XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის კვლევაში ჩემი შეტანილი წვლილი აღიარებულია აკადემიურ წრეებში, რაც აღნიშნულია პრესტიჟული სახელმწიფო პრემიებით, მათ შორის მეცნიერებაში ეროვნული პრემიით. ამის ფონზე რას იტყვის მეცნიერებისგან შორს მდგომი ნ. ბოლქვაძე, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა უსირცხვილო ბოლშევიკური ტყუილის თაობაზე. თურმე მე **აზიზიეს მეჩეთის** აშენების ერთ-ერთი ხელშემწყობი ვყოფილვარ (სავარაუდოდ, ვიცი ვისგანაც იყიდდა ამ ტყუილს). ამას მაბრალებს მე, ქართულ სინამდვილესთან ისლამის უარყოფით როლზე უმწვავესი წერილების – „ჩვენ და ისლამი“ და „ისლამური ცნობიერების ქართველს მე არ ვიცნობ“ – ავტორს. იქნებ რაიმე წყარო დაგვისახელოს ბატონმა ნიაზმა? ვიდრე ამას გააკეთებს, მე ვიტყვი: ასეთ ტყუილს მაშინ ამბობს კაცი, როცა კედელთან არის მიყენებული და სათქმელი აღარაფერი აქვს.

ისე კი, ასეთი ტყუილის მთქმელი ყურით უნდა მიათრიო სასამართლოში და საქვეყნოდ მოახდევინო ბოდიში, მაგრამ ჩიტი ბდღვნად ხომ უნდა ღირდეს!

ნ. ბოლქვაძე აინშტაინს და უზნაძეს იმოწმებს, რათა დამიმტკიცოს, რომ ჩემს მიერ მისდამი აღნიშნული „ნათელხილვა“, სინამდვილეში წარმოსახვაა. აქაც დილეტანტიზმი ნავარდობს. აბა კარგად წაიკითხოს ეს ადგილი, სადაც ნათლად ჩანს, რომ ნათელხილვა ბრჭყალებში მაქვს ჩასმული. თუმცა, არც იმას გამოვრიცხავ, მან არ იცოდეს ბრჭყალებში ჩასმის მნიშვნელობა და ეს არც იქნება გასაკვირი იმისგან, ვინც ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს „ცნებას“ და „მცნებას“. ისე კი, აინშტაინს და უზნაძეს პიაჟე და ჩხარტიშვილიც რომ მიუმატოს, რა ზღაპარსაც ყვება ის ნარკვევში, უფრო ნათელხილვაა, ვიდრე წარმოსახვა.

ახლა ერთი საკითხის თაობაზე, რაშიც თავისი ჭკუით გამომიჭირა „ოპონენტმა“. საქმე ეხება რელიგიებად დაყოფის ღმერთისგან მომდინარეობას, რაც მას და მის მხარდამჭერებს სიახლედ და ისტორიულ აღმოჩენად მიაჩნიათ. საუბარია „ყურანის“ XI სურის 120-ე აიაზე.

აქ ხომ ერებად და არა რელიგიებად დაყოფაზეა ლაპარაკიო, მიკიჟინებს „ოპონენტი“. არა ბატონო ნიაზ! თქვენ სარგებლობთ ფრანგული ენიდან შესრულებული და 1906 წელს გამოცემული „ყურანის“ მოძველებული ქართული თარგმანით, მე კი – „ყურანის“, დღეისთვის ყველაზე თანამედროვე ქართული თარგმანებით, სადაც იმავე აიაში ვკითხულობთ: „და რომ ენებებინა შენს უფალს, აქცევდა ხალხს ერთ **(რელიგიურ)** თემად. ისინი კი უთანხმოებას განაგრძობდნენ“ („ყურანი“, თბილისი, 2006. გ. ლობჟანიძის თარგმანი. ხაზგასმა ჩემია – მ. მ.). ზუსტად ასეა ეს ადგილი ინტერპრეტირებული ისლამცოდნე ფილოსოფოსის, პროფესორ – თაუფიკ იბრაგიმის მიერ. აქ თუ რაიმე სიახლეზე და „აღმოჩენაზე“ იქნება ლაპარაკი, მაშინ საქართველოში ეს პატივი გ. ლობჟანიძეს ეკუთვნის.

აქ თემას ცოტას გადავუხვევ. **ეგზეგეტიკა** თეოლოგიაში არის მიმართულება, რომლის მიზანია რელიგიური ტექსტების განმარტება, მათ სტრიქონებს შორის დაფარული აზრის ამოკითხვა. წმინდა წიგნების მიმართ ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ შემთხვევებთან გვაქვს საქმე გ. ლობჟანიძის და თ. იბრაგიმის ინტერპრეტაციებში.

სიცხადისთვის, ყოველგვარი ეგზეგეტიკისა და ინტერპრეტაციის გარეშე, ვნახოთ რა წერია სხვაგან, კერძოდ, „ყურანის“ X სურის 99-ე აიაში: „და რომ ენებებინა შენს უფალს, **ირწმუნებდა ყველა, ვინც ქვეყანაზეა, ერთიანად.** განა შენ აიძულებ ხალხს, რომ ირწმუნონ?“ („ყურანი“,თბილისი, 2006. გ. ლობჟანიძის თარგმანი. ხაზგასმა ჩემია – მ. მ.).

ვნახოთ ამ აიას აკად. **აპოლონ სილაგაძის** (1942-2017) თარგმანიც: „და **რომ ესურვა შენს უფალს, ერთიანად ირწმუნებდა ყველა, ვინც კია მიწაზე.** და განა შენ აიძულებ ხალხს, მორწმუნენი იყვნენ“ („ყურანი“, IX-XIV აიები. თბილისი, 2012. ხაზგასმა ჩემია – მ. მ.).

არის აქ რაიმე გაურკვეველი? რა „სიახლეზე“ და „აღმოჩენაზეა“ ლაპარაკი, რაზეც ასე დაჟინებით და ჯიუტად დგანან ნ. ბოლქვაძე და მისი მომხრეები?!

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთის მიერ ხალხის როგორც ერებად, ისე რელიგიებად დაყოფა, მითებია და რეალობასთან არაფერი აქვს საერთო. ვისაც ეს მითები რეალობად მიაჩნია, მასთან კამათს აზრიც არ აქვს.

რაც შეეხება ნობელის პრემიის ნომინანტობას – 15 მარტს მწერალთა სახლში შეხვედრაზე ნ. ბოლქვაძის მომხრეები ისროდნენ რეპლიკებს – „რა გინდათ, კაცი უკვე ნობელის პრემიის ნომინანტიაო“. ამასვე იმეორებს ნ. ბოლქვაძე „პასუხში“. ყველაფერი მართლაც ისე რომ იყოს, როგორც მათ სურთ, როგორ გინდა გააგებინო ამათ ის ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ არა მხოლოდ ნობელიის პრემიის, არამედ სხვა სფეროებშიც (მაგ., ფეხბურთში), ვიდრე განაცხადების მიღება არ დამთავრდება, ნომინანტობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ნობელის პრემიის შემთხვევაში პრემია შემოდგომით გაიცემა, ხოლო ნომინანტების შერჩევა კენჭისყრამდე ორი თუ სამი თვით ადრე იწყება და ყოველწლიურად დაახლოებით რამდენიმე ასეული განაცხადიდან შეირჩევა 5-6 ნომინანტი. გამოდის, რომ განაცხადისთანავე შეიტანეს ნ. ბოლქვაძის გვარი ნომინანტთა სიაში. აი ამ დონის უმეცრებასა და აბსურდთან გვაქვს საქმე!

კიდევ ერთ მომენტზე შევჩერდები ნ. ბოლქვაძის ნარკვევიდან, კერძოდ, მის „წუხილზე“ რომის პაპთან და რუსეთის პატრიარქთან არშემდგარი ვიზიტების გამო და თუ რა დონის ამბიციასთან გვაქვს საქმე ეს კომენტარის გარეშეც კარგად გამოჩნდება: „2007 წლის შემდეგ, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო, **ჩემთვის შეუძლებელი გახდა რუსეთის პატრიარქ კირილთან და რომის პაპ ფრანცისკესთან დაგეგმილი შეხვედრების ორგანიზება“** (გვ. 8. ხაზგასმა ჩემია – მ. მ.).

აღნიშნულის კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ნ. ბოლქვაძეს რუსეთის პატრიარქთან და რომის პაპთან შეხვედრები ჯერ კიდევ 2007 წლამდე დაუგეგმავს. არადა, კირილი რუსეთის პატრიარქად 2009 წლის 27 იანვარს აირჩიეს, ხოლო ფრანცისკე რომის პაპად – 2013 წლის 13 მარტს. საინტერესოა როგორ გეგმავდა იგი შეხვედრებს ჯერ არ არჩეულ რუსეთის პატრიარქთან და ასევე ჯერ არ არჩეულ რომის პაპთან? (არ დაესახელებინა მაინც). აქაც მორიგ „ნათელხილვებთან“ ხომ არა გვაქვს საქმე?

თუნდაც მარტო ეს ფაქტი არ არის საკმარისი იმის გასაგებად, რომ ნ. ბოლქვაძე უბრალოდ თვალებში ნაცარს გვაყრის, რის დაჯერება არამც და არამც არ უნდათ მის ტაშის მკვრელებს. ამით კი ისინი დათვურ სამსახურს უწევენ მას, ისედაც გაურკვევლობაში მყოფ კაცს.

„პასუხებში“ ხშირად გაისმის ასეთი აბსურდული ბრალდება ჩემი მისამართით, რომ შური და ბოღმა მკლავს და ეს არის ჩემი კრიტიკული გამოსვლის მიზეზი. რა მეთქმის ამის თაობაზე? მე, ჩემი ბიოგრაფიის, განვლილი გზისა და მდგომარეობის კაცისთვის, მაქსიმუმს მივაღწიე როგორც მეცნიერებაში, ისე პოლიტიკაში და ვისი უნდა შემშურდეს? ნიაზ ბოლქვაძის, ამ თოკის წვერ დაკარგული კაცის თუ თვითმარქვია პროფესორისა და ფსევდო-ფილოსოფოსის? კაცისა, ვისაც ნობელის პრემიაზე აქვს პრეტენზია და თავი მოაქვს ლამის ავტობუსის გაჩერებაზე მოფიქრებული... ვითომ აკადემიის საპატიო (!) აკადემიკოსობით, ჩაბღაუჭებულია რაღაც გამოგონილ თანამდებობას მაშინაც კი, როცა ის ამ თანამდებობიდან გადაყენებულია და სხვა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნ. ბოლქვაძე არ ჩანს უნიჭო კაცი. მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ გააჩნია სათანადო განათლება, გავლილი არა აქვს ინტელექტუალური საქმიანობისთვის ასე აუცილებელი აკადემიური სკოლა. ამ მიმართებით თბილისის პოლიტიკური აკადემიის ბათუმის ფილიალისა (დღეს რომ აღარავის ახსოვს მისი არსებობა!) და ფილოსოფიურ რადარებზე არარსებულ ქ. უფაში ასპირანტურის დამთავრება **(დამთავრება და მეტი არაფერი!)**, ვერაფერი შეღავათია. სწორედ აქედან იღებს სათავეს მისი ამბიციები, „აღმოჩენები“, რაღაც სასწაულის გაკეთების უკიდეგანო ლტოლვები და ა. შ.

თავისი „პასუხის“ დასასრულს ნ. ბოლქვაძე პირობას დებს, რომ მეტს აღარ მიპასუხებს (გეგონება მის „პასუხს“ რაიმე ჰქონდეს საერთო პასუხთან!). თუმცა, გარკვეულ „შეღავათს“ მიკეთებს – თუ ამის საჭიროება შეიქმნება, მზად ვარ შევხვდე ტელედებატებშიო. აი სადამდე მიიყვანს კაცს უსაფუძვლო ამბიციები და განდიდების მანია! როგორც ჩანს, მას ყველა „სიკეთესთან“ ერთად, მისი ტოლიც ვგონივარ!

დასასრულს, ბატონ ნიაზს მინდა შევახსენო, რომ ადამიანს, მით უმეტეს შემოქმედებაზე პრეტენზიის მქონეს, პრობლემები მაშინ ეწყება, როცა სასურველი რეალობად ეჩვენება, იმისკენ მიილტვის, რის მიღწევაც მის შესაძლებლობებს აღემატება. ვურჩევ დაფიქრდეს ამაზე და, რაც მალე გამოვა ამ ილუზიებიდან და, რაც მალე დაძლევს განდიდების მანიის სინდრომს, მით უკეთესი იქნება მისთვისაც და მის წამქეზებლებისთვისაც.

P. S. როგორც მწერალთა სახლში გამოსვლით, ისე კრიტიკული წერილით მინდოდა ნ. ბოლქვაძის „არნახული აღმოჩენებით“ გაბრუებულ ადამიანთა ერთი ჯგუფი ცოტათი მაინც დამეწყნარებინა და დამეფიქრებინა იმაზე, რომ ამ – განდიდების მანიით შეპყრობილ კაცს ისინი შეცდომაში შეყავს, თვალებში ნაცარს აყრის, აბოლებს და ა. შ. მაგრამ მათმა კოლექტიურმა წერილმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ ტყუილად ვირჯები! ეს ხალხი ისე კარგად გრძნობს თავს უმეცრებისა და გაუგებრობის მორევში (რბილად ვამბობ!), რომ ცხრა უღელი ხარ-კამეჩით ვეღარ გამოიყვან იქიდან. მეც რაღა დამრჩენია, გზა დამილოცნია, განა მათ უკეთ არ იციან სად არის მათი ადგილი!

მ. მ.

ჯოროხი 3

2019

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2019
malkhaz.pagava@mail.ru